# არქივისი
# ARCHEION
# XIX - XX

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო
დაწესებულება – საარქივო სამმართველო

*Sub-department of Ministry of Education, Culture and Sport of Ajara Autonomous Republic – Archives Administration*

**ISSN 2233-3541**

# ა რ ხ ე ი ო ნ

# A R C H E I O N

# XIX-XX

თბილისი 2020 Tbilisi

**სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე: მაია ივანიშვილი**
**რედაქტორი: თამაზ ფუტკარაძე**
**სარედაქციო საბჭო:**

თეონა იაშვილი, რამაზ ბოლქვაძე, ბესიკ ბაუჩაძე, ანზორ თხილაიშვილი, ელგუჯა გოგიბერიძე, ელგუჯა ჩაგანავა, მაია რურუა, ფრიდონ ქარდავა, ნატო ქიქავა, ოთარ გოგოლიშვილი, ჯემალ კარალიძე, მერაბ კეზევაძე, ციური ქათამაძე, ირაკლი ბარამიძე.

**Maia Ivanishvili** – chairman of editorial board
**Tamaz Putkaradze** – editor
**Editorial Board:**

Teona Iashvili, Ramaz Bolkvadze, Besik Bauchadze, Anzor Tkhilaishvili, Elguja Gogiberidze, Elguja Chaganava, Maia Rurua, Fridon Kardava, Nato Kikava, Otar Gogolishvili, Djemal Karalidze, Merab Kezevadze, Tsiuri Katamadze, Irakli Baramidze.

კრებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს სარედაქციო საბჭოს შეხედულებებს.
ავტორების სტილი დაცულია.

Any opinion expressed in the book belongs to the author and may not reflect the view of the editorial board.
Authors' style reserved

**აჭარის საარქივო სამმართველო,** ტელეფონი: 27 52 10
**ვებ გვერდი:** http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=2

გამომცემლობა „უნივერსალი", 2019

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

# რედაქტორისაგან

10 წლის წინ, 2010 წელს მკითხველმა მიიღო საარქივო სამმართველოს ორგანო – ჟურნალ „არხეიონის“ პირველი ნომერი.

ჟურნალის დაფუძნებისას ვფიქრობდით – რა მიმართულების უნდა ყოფილიყო ეს გამოცემა, რა სახის პუბლიკაციები უნდა დაბეჭდილიყო სრულიად ახალ გამოცემაში. ჩვენი ამოცანა იყო ჟურნალს ჰქონოდა შემეცნებითი დატვირთვა. ცხადია, ასეთ გამოცემაში უნდა გამოქვეყნებულიყო დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, მეცნიერული სინდისითა და აკადემიურობით დაწერილი სტატიები, რათა **ჟურნალს პირუთვნელად შეესრულებინა „ცოცხალი ისტორიის“ მთხრობელის ფუნქცია**. ჩვენ უნდა აგვემეტყველებინა საარქივო დოკუმენტები, გაგვეცოცხლებინა ის ადამიანები, რომლებიც იღწვოდნენ, იბრძოდნენ, სწამდათ, ეიმედებოდათ ერთმანეთის, ელოლიავებოდნენ და ეფერებოდნენ ფონდსაცავებში დაბინავებულ თითოეულ ფურცელს. **ჟურნალის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად განისაზღვრა აგრეთვე უშუალოდ წყაროების, საარქივო დოკუმენტების პუბლიკაცია.**

10 წლის გადასახედიდან დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ჟურნალმა უპასუხა დროის მოთხოვნებს. მან პირნათლად შეასრულა თავისი ფუნქცია. „არხეიონი“ შეიყვარა მკითხველმა, რაზეც მეტყველებს სამადლობელო წერილები, სატელეფონო ზარები, გამოხმაურებები, ციტირების ინდექსი. ეს კეთილგანწყობა კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, რათა აქ გამოქვეყნებული სამეცნიერო პროდუქცია აკმაყოფილებდეს მაღალი გემოვნებით გამორჩეული მკითხველის მოთხოვნილებებს. რამდენად შეძლო და შეძლებს ამას „არხეიონი“, ცხადია მკითხველმა საზოგადოებამ უნდა განსაჯოს.

ჟურნალმა მკითხველი სოციალურ ქსელშიც მიიწვია. ჩვენს ერთგულ მკითხველს ვახსენებთ ჟურნალის იმ პუბლიკაციებს, რომლებიც ადრე გამოქვეყნდა, ამავე დროს, შესაძლებლობას ვაძლევთ მათაც, ვინც ადრე ვერ შეძლო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიებისა თუ დოკუმენტური წყაროების გაცნობა. ჩვენთვის ძვირფასია ყოველი სამართლიანი შენიშვნა, კომენტარი, გამოხმაურება, რომელიც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული სარედაქციო საბჭოს მიერ.

ახლა მკითხველს ხელთ უპყრია მორიგი XIX-XX ნომერი. პანდემიით განპირობებული სირთულეები ჩვენს ჟურნალსაც შეეხო. ვერ მოვახერხეთ XIX და XX ნომრების ცალ-ცალკე გამოქვეყნება. ამიტომ გადავწყვიტეთ ერთ ჟურნალში გავაერთიანოთ ორივე **ნომერი. XIX ნომერში ქვეყნდება სამეცნიერო პუბლიკაციები, ხოლო XX ნომერში ვბეჭდავთ თემატიკურად მრავალფეროვან საარქივო დოკუმენტებს.** მკითხველი ინტერესით წაიკითხავს გამოქვეყნებულ მასალებს, თუმცა სარედაქციო საბჭო დროს წინ უნდა უსწრებდეს და ფიქრობდეს ინოვაციებზე, სიახლეებზე, მკითხველი საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებაზე. ეს ასეც იქნება. მოვუწოდებთ სამეცნიერო საზოგადოებას – აქტიურად ჩაერთონ ამ მუდმივ პროცესებში. „არხეიონი“ თქვენი ჟურნალია.

**თამაზ ფუტკარაძე**

### *პოლიტკატორღელების საკავშირო საზოგადოების აჭარის განყოფილება (1925-1935)* *(ფონდი რ- 91-ის მიმოხილვა)*

**აბსტრაქტი.** აჭარის საარქივო სამმართველოში დაცულია მეტად მნიშვნელოვანი და უხვი საარქივო მონაცემები ყოფილი პოლიტკატორღელებისა და გადასახლებულების რეგიონალური საზოგადოების საქმიანობის შესახებ. საკავშირო საზოგადოების აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია ფუნქციონირებდა 10 წლის განმავლობაში -1925 წლიდან 1935 წლამდე. წინამდებარე ნაშრომში, რომელიც სრულად ეფუძნება საარქივო მონაცემებს, პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში არაერთი მანამდე გამოუყენებელი დოკუმენტი. სწორედ ეს განსაზღვრავს ნაშრომის სამეცნიერო სიახლეს. საარქივო დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი სახე. ხელისუფლება თითქოსდა ხელს უწყობდა და ეხმარებოდა ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ყოფილ პოლიტკატორღელებს, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი მათ წინააღმდეგ რეპრესიული პოლიტიკის გატარებაში. პოლიტკატორღელთა გარკვეული ნაწილი 1930-ნი წლების რეპრესიებს ემსხვერპლა.

**საკვანძო სიტყვები:** პოლიტკატორღელები, ცარიზმი, დოკუმენტი, რევოლუცია, აჭარა, საკავშირო საზოგადოება.

ფელიქს ძერჟინსკის ინიციატივით (რუძუტაკისა და იაროსლავსკის მონაწილეობით) მოსკოვში, კავშირების სასახლეში, 1921 წ. 21 მარტს საფუძველი ჩაეყარა ცარიზმის მოწინააღმდეგე **ყოფილი პოლიტკატორღელების საკავშირო საზოგადოებას.** საზოგადოებამ იარსება 1935 წლამდე (ბოლო თავმჯდომარე **იყო ალექსანდრე ანდრეევი**). დაარსების პირველ წელს ორგანიზაცია 200-მდე წევრს აერთიანებდა, 10 წლისთავზე კი მათი რაოდენობა გაიზარდა 2600-მდე.



წევრებს შორის იყვნენ რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები, მათ შორის: ვ. ვილენსკი (სიბირიაკოვი), ვ. ფიგნერი, ლ. დეიჩი, ნ. ტიუტჩევი, ფ. კონი, მ ფროლენკო, ა. იაკიმოვა-დიკოვსკაია, ა. პრიბილიოვ-კორბა, ფ პეტროვი, ვ. ბისტრიანსკი, ნ. სკრილნიკი, ი თეოდოროვიჩი, ვ ჟდანოვი და ა. შ.

(Общество бывших политкаторжан и ссыльнопоселенцев, https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9E%D0%B1%D1%89%D0%B5%D1%81%D1%82%D0%B2%D0%BE_%D0%B1%D1%8B%D0%B2%D1%88%D0%B8%D1%85_%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%B8%D1%82%D0%BA%D0%B0%D1%82%D0%BE%D1%80%D0%B6%D0%B0%D0%BD_%D0%B8_%D1%81%D1%81%D1%8B%D0%BB%D1%8C%D0%BD%D0%BE%D0%BF%D0%BE%D1%81%D0%B5%D0%BB%D0%B5%D0%BD%D1%86%D0%B5%D0%B2. 2020 წ. 16 იანვარი)

საზოგადოებას ხელმძღვანელობდა საბჭო. 1924 წლიდან საზოგადოება გადაიქცა საკავშირო ორგანიზაციად. 1928 წლისათვის საზოგადოებას გააჩნდა 50 ფილიალზე მეტი. 1924 წლიდან 1931 წლამდე ჩატარდა საზოგადოების ოთხი საკავშირო ყრილობა. მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში შეიქმნა საკავშირო საზოგადოების რესპუბლიკური და რეგიონალური ორგანიზაციები. მათ შორის აჭარის განყოფილება. ყოფილი პოლიტკატორღელები ახალი ხელისუფლების პირობებში სარგებლობდნენ პრივილეგიებით, ისვენებდნენ სპეციალურ სანატორიუმებში, პოლიტკატორღელებისათვის ლენინგრადში აშენდა სამი ექვს და შვიდსართულიანი ცნობილი სახლები. მოგვიანებით, პოლიტკატორღელთა ნაწილი შეეწირნენ პოლიტიკურ რეპრესიებს.



პოლიტკატორღელების სახლი პეტერბურგში

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%94%D0%BE%D0%BC_%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%B8%D1%82%D0%BA%D0%B0%D1%82%D0%BE%D1%80%D0%B6%D0%B0%D0%BD

ყოფილ პოლიტკატორღელებს უწევდნენ მატერიალურ დახმარებას, ორგანიზებას უკეთებდნენ ლექციებსა და მოხსენებებს, სწავლობდნენ მეფის რუსეთის ციხეების, კატორღებისა და გადასახლების ადგილების ისტორიას.

საზოგადოებამ გამოსცა ჟურნალი „კატორღა და გადასახლებები“, „ყოფილი პოლიტკატორღელებისა და გადასახლებულების საკავშირო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს ბიულეტენი“ (1930-1933 წწ.), სერია: „ისტორიულ-რევოლუციური ბიბლიოთეკა“, „დემოკრატიული პერიოდის რევოლუციური აზროვნების კლასიკოსები“, გამოიცა აგრეთვე ა. გერცენის, ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვის, მ. ბაკუნინის და სხვათა მოღვაწეობის ამსახველი თხზულებები, მოგონებები დეკაბრისტების მოღვაწეობის, მუ-

შათა მოძრაობის, სამეფო ციხეებისა და კატორღების შესახებ (Общество бывших политкаторжан и ссыльнопоселенцев, https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9E%D0%B1%D1%89%D0%B5%D1%81%D1%82%D0%B2%D0%BE_%D0%B1%D1%8B%D0%B2%D1%88%D0%B8%D1%85_%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%B8%D1%82%D0%BA%D0%B0%D1%82%D0%BE%D1%80%D0%B6%D0%B0%D0%BD_%D0%B8_%D1%81%D1%81%D1%8B%D0%BB%D1%8C%D0%BD%D0%BE%D0%BF%D0%BE%D1%81%D0%B5%D0%BB%D0%B5%D0%BD%D1%86%D0%B5%D0%B2)

მეფის რუსეთის ერთ-ერთი ძველი პოლიტკატორღელი იყო **ვერა ფიგნერი (1852-1942),** რომელიც პრინციპულად არ ერთიანდებოდა ამ საზოგადოებაში, რასაც ხსნიდა იმით, რომ თავად იყო სიკვდილის დასჯის კატეგორიული მოწინააღმდეგე, რის შესახებაც საკავშირო ცაკისათვის არაერთხელ მიუმართავს კიდეც. საზოგადოება კი, რომელიც ჩათრეულია პოლიტიკაში, ზოგჯერ რეპრესიულ პოლიტიკას ამართლებს კიდეც და აძლევს დასტურს. ნაცვლად იმისა, რომ საზოგადოებამ ხმა აღიმაღლოს პიროვნული ღირსების შელახვის, კონტროლის არსებული მეთოდიკის წინააღმდეგ, პირიქით, გამოყენებულია ხელისუფლების ხელში პოლიტიკურ იარაღად (Фигнер Вера Николаевна, Письмо от 17 июля 1932 г. http://az.lib.ru/f/figner_w_n/text_0030.sht. ნახულია 16 იანვარი, 2020)

აჭარის საარქივო სამმართველოში დაცულია მეტად საინტერესო და უხვი საარქივო დოკუმენტები პოლიტკატორღერების საკავშირო საზოგადოების აჭარის განყოფილების მუშაობის შესახებ (ფონდი რ-91). ფონდი შედგება 57 საქმეთა ერთეულისაგან და მოიცავს 10 წლიან პერიოდს – 1925 წლიდან ორგანიზაციის ლიკვიდაციამდე – 1935 წლის ჩათვლით.

N 1 საქმეში წარმოდგენილია დადგენილებები, ინსტრუქციები და საზოგადოებაში გაწევრიანების წესები. ამავე საქმეში არის პოპულარული ლექცია თემაზე „ვინ იყვნენ დეკაბრისტები და რისთვის იბრძოდნენ ისინი“ (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს. 1, ფურცელი 1-3), ფონდში დაცულია სადღესასწაულო დღეებისათვის გათვალისწინებული ღონისძიებები, 1925 წლის 1 მაისის შესახებ „ერთიანი დეკაბრისტული კომისიის სალექციო საექსკურსიო სექციის შრომის ოქმი (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს. 1, ფურცელი 4), პრეზიდიუმთან არსებული პოლიტკატორღერების საზოგადოების საორგანიზაციო კომისიის 1926 წ. 12 იანვრის სხდომის ოქმი (საქმე 5, ფურც. 20). ოქმებში არის გარკვეული ინფორმაციები საზოგადოების წევრების შესახებ. თბილისის განყოფილებიდან პოლიტკატორღელების საზოგადოების აჭარის განყოფილების შემადგენლობაში შეუყვანიათ **ნიზარბეგ დავითის ასული გობრონიძე,** რომელიც მეფის რეჟიმის დროს გადასახლებული იყო ირკუტსკში იაკუცკის ოლქში #№ 1656 კატორღაში. ირკუტსკის კატოღელი იყო აგრეთვე **ნადეჟდა კალოევა – ჩხიკვიშვილი** (ბენია ჩხიკვიშვილის მეუღლე, წარმოშობით ოსი, მემარცხენე ესერი ვლადიკავკაზიდან.



ნ. კალოევა მეუღლესთან ერთად

გადასახლების დროს, 1905 წელს გაუცნიათ ერთმანეთი და პოლიტიკური შეხედულებების განსხვავებულობის მიუხედავად შეუღლდნენ. იხ. ეთერ ერაძე, ვინ იყო გურიის თავზეხელაღებული „პრეზიდენტი", გაზეთი „კვირის პალიტრა", 30 მაისი, 2017)

გაზეთი „კვირის პალიტრა", 30 მაისი, 2020

სარატოვში იხდიდა სასჯელს კატორღელი **პავლე საყვარელიძე (1882-1937),** (პარტიული ფსევდონიმი „დიდი პავლე" მენშევიკი, 1905 წ. რევოლუციის აქტიური მონაწილე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, 1921 წლიდან ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას)

აჭარისტანის განყოფილებაში გაწევრიანებულია **ნესტორ ერქომაიშვილი,** რომელსაც ვოლოგდაში (კატორთა №1661) მოუხდია სასჯელი (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს. 1, ფურცელი 20).

საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ ყოფილი პოლიტკატორღერებსა და გადასახლებულების ცენტრალური საბჭოს აჭარის განყოფილების მამასახლისის ფუნქციებს ასრულებდა **ბრგაძე** (სახელი არ იკითხება) (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს. 6, ფურცელი 1), საქმეში დაცულია მისი მოხსენება, რომელშიც წარმოდგენილია 1928-1929 წლებში განყოფილების შემოსავლებისა და გასავლების სმეტა. მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ ყოფილი პოლიტკატორღელებისათვის ციხისძირში უნდა აშენდეს მეორე დაჩა, რათა დაისვენონ ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლმა ყოფილმა პოლიკატორღელებმა. ამ მოთხოვნით ყოფილი პოლიტპატიმრების ცენტრალურ საბჭოსადმი აჭარის განყოფილებას 1929 წლის 31 იანვარს გაუგზავნის შესაბამისი წერილი (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს. 6, ფურცელი 1). სმეტის მიხედვით ციხისძირის ბაღი, კერძოდ ხილი და მანდარინი იძლევა გარკვეულ შემოსავალს (900 ძირი მანდარინის ხე/ საშუალო შემოსავალი 2500 მანეთი, შემოსავალი ციხისძირის დაჩებიდან – 1200 მანეთი, გასავალი: საწევრო გადასახადებიო 100 მანეთი, სამეურნეო გასავალი – დაჩების შენახვა, ძაღლების შენახვა, საკანცელარიო საქონელი, განათება, გათბობა, ტელეფონები, სარემონტო სამუშაოები და ასე შემდეგ – 1175 მანეთი, ასევე, ყარაულების, დაჩისა და ბაღის შენახვა (ხელფასი, სპეცტანსაცმელი, შვებულება, სოციალური გასვალი 116 მანეთი, ციხისძირის ბაღის შენახვა, გაწმენდა, სასუქებით მომარაგება – 700 მანეთი, ხის 5 ოთახიანი დაჩის მშენებლობა ქვის საძირკველზე – 7200 მანეთი (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს. 6, ფურცელი 4).

საქმეში არის ნესტორ ერქომაიშვილის (რომელსაც 11 წელი კატორღაში გაუტარებია) საწინააღმდეგო პასკვილი, რომლის ავტორები მას უწოდებენ „ყალბ რევოლუციონერს". ავტორი დურსუნ ხაჯიოღლი პროტესტს გამოთქვამს იმის გამო, რომ ეს „ყალბი რევოლუციონერი" კატორღელების ბიუროდან პენსიის სახით იღებს 120 მანეთს. ამასთან დაკავშირებით გაზეთშიც გამოქვეყნებულა სტატია. საგაზეთო სტატიის ავტორი ადანაშაულებს პასკვილის ავტორს იმაში, თითქოს იგი წარსულში იყო ჯაბა გურიელის მოურავი და „კრიმანჭული და ტენორი". „თუ ტენორით მღერა და კრიმანჭული დანაშაულია, მაშინ ყველა ტენორი და ყველა მოკრიმანჭულე გურული პასუხისმგებაში უნდა დარჩნენ მიცემულნი" – გაუცია პასუხი დურსუნ ხაჯიოღლისათვის. „დურსუნ ხაჯიოღლი ბრალად მდებს თითქოსდა რევოლუციამ დამაფიქრა, რადგანაც თითქოს რევოლუცია ბოლოს მოუღებდა ჩემს ქეიფებსა და ნადიმებს, ეს არის მარჩიელობა და არა ფაქტებით მსჯელობა" (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს. 6,ფურცელი 7). ნესტორ ერქომაიშვილს ბრალად სდებდნენ მენშევიკების გვარდიის ოფიცრობასაც, რომელსაც იგი კატეგორიულად უარყოფს და ამტკიცებს, რომ იგი მხოლოდ ქართველ მუსულმანთა ბატალიონში მსახურობდა. 1919 წელს მას დაუტოვებია მენშევიკების რიგები, გადასულა ბათუმში და დაუწყია ბრძოლა დენიკილელებისა და სედაიმილეთლების წინააღმდეგ. ნესტორი თავის საპასუხო წერილში იხსენებს 1905 წლის მოვლენებს, როცა ანტონ კავაშალთან, პორფირე ჩხაიძესთან, სერაფიონ დათუნაიშვილთან, ილარიონ მენაბდესთან ერთად, ოზურგეთში იარაღი აყარეს სტრაჟნიკებს. მას, როგორც ყოფილ აზნაურს, ნებაყოფილებით უთქვამს უარი აზნაურობაზე (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს. 6,ფურცელი 8-9).

რეალურად ვინ იყო ნესტორ ერქომაიშვილი? ნ. ერქომაიშვილი დაიბადა 1863 წელს.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
http://dspace·nplg·gov·ge/handle/1234/1508

მოგვიანებით ჩაერთო პოლიტიკურ საქმიანობაში, იყო „გურიის რესპუბლიკის“ ჩამოყალიბების ერთ-ერთი მოთავე, ნასაკირალის ომის გმირი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბენია ჩხიკვიშვილთან ერთად. სწორედ მისი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით დაიკავეს ფოსტა, ტელეგრაფი, რკინიგზა, აიღეს მაზრის ცენტრი ოზურგეთი და გამოაცხადეს გურიის რესპუბლიკის შექმნა.



გურიის რესპუბლიკა
http://guriismoambe·com/?m=68&news_id=36400

1905 წლის თებერვლისათვის გურია მთლიანად აჯანყებულთა ხელში მოექცა. არჩეულ იქნენ მოსამართლეები, მოხდა სასოფლო თემების ფორმირება. აჯანყებულთა დასაშოშმინებლად გურიაში 1905 წ. 11 იანვარს გაიგზავნა 10 ათას კაციანი ჯარი ალიხანოვ ავარსკის მეთაურობით. ისინი დაბანაკდნენ ნატანებში. ცოტა მოგვიანებით, **ერმილე დოლიძის** ეტლით **ესე ცინცაძემ** საჯავახოდან გურიაში ჩამოიყვანა **სოსო ჯუღაშვილი**. იმართებოდა მიტინგები. ერთ-ერთ მიტინგს ნიკო მარიც დასწრებია (ავტორი გურიის მოამბე, გურიის რესპუბლიკა, http://guriismoambe.com/?m=68&news_id=36400). ცარიზმი იძულებული გახდა ჯარი გაეწვია გურიის რეგიონიდან. აჯანყებულებმა მოიგეს ბრძოლა ნასაკირალთანაც.

1908 წლის 21 იანვარს დაიწყო გურიის რესპუბლიკის სასამართლო პროცესი. გამოძიება დაევალა **ს. სიონკევიჩს**. სასამართლო პროცესი კი გაიმართა ოდესაში. მონაწილეებსა და მოთავეებს **(ბენია ჩხიკვიშვილს, ნესტორ ერქომაიშვილს, სიმონ ჟღენტს, სერგო სურგულაძეს, მოსე ტუღუშს, კირილე ლომიძეს, ივანე გოგიტიძეს, დიმიტრი გოგიტიძეს, ვლადიმერ დუმბაძეს** და სხვებს. სია აჯანყების მონაწილეებისა პოლიციამ აღმოაჩინა **მოსე ტუღუშის** ოჯახში. სიაში ნ. ერქომაიშვილი 35-ე ნომრად, ტერორისტადაა მოხსენიებული) ასამართლებდნენ 102-ე მუხლით – ცარიზმის დამხობის მიზნით სპეციალური ორგანიზაციის შექმნის ბრალდებით. ზოგიერთმა მოახერხა მიმალვა (ირაკლი მახარაძე, გურიის რესპუბლიკის სასამართლოს ბრალდებები, http://www.gurianews.com/article/istoria/guriis-respublikis-sasamartlos-braldebulebi).

გამოძიების ცნობების საფუძველზე **გაზეთ „ისარში“** გამოქვეყნდა მონაცემები მსჯავრდებულთა, მათ შორის ნესტორ ერქომაიშვილის შესახებ: „ნესტორ ერქომაიშვილი გურიის კომიტეტის წევრი იყო და მეთაურობდა ტერორისტების ჯგუფს. ითვლებოდა აგრეთვე წითელ რაზმის ერთ-ერთ უფროსად. იგი ტერორისტების დახმარებით ჰყიდდა იარაღს. იგი იყო აგრეთვე ბენია ჩხიკვიშვილის ერთ-ერთ მცველად. ნასაკირალის საქმეშიაც მიუღია მონაწილეობა“ (გაზ. „ისარი“, N 20, 1908 წელი).

გურიის რესპუბლიკის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები ადასტურებს საარქივო ფონდებში დაცული დურსუნ ხაჯიოღლის მიერ ნესტორ ერქომაიშვილისადმი წაყენებული ბრალდებების უსაფუძვლობას. ნ. ერქომაიშვილი რეალურად იყო ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანი, რის გამოც მოიხადა კიდეც მრავალწლიანი სასჯელი.

ნესტორ ერქომაიშვილთან დაკავშირებული ისტორია ნათელი მაგალითია პიროვნებების დასმენის საბჭოური სტილისა. მსგავსი ფაქტები ფონდის სხვა საქმეებშიცაა დაცულლი. მხედველობაში გვაქვს გაზეთ „საბჭოთა აჭარისტანში“ 1930 წლის 8 იანვრის № 6 ნომერში **„ტყვიის მფრქვეველის“** ფსევდონიმით გამოქვეყნებული სტატია **„ვინ აფარებს ხელს გამფლანგველს“**. ავტორს სამსჯავროზე გამოაქვს მახინჯაურის სავაჭროს ყოფილი გამგის **მელიტონ ვანიძის** საქმიანობა, რომელიც „ხშირად ქეიფობს მწვანე კონცხსა და ციხისძირში – სხვის ხარჯზე – მუშკოპის თანხებით“. ამავე დოკუმენტის მიხედვით მის მაღაზიაში აღმოჩნდა დანაკლისი 2134 მანეთის ოდენობით და ეს იმიტომ, რომ ამავე მაღაზიაში „ნოქრის თანამდებობაზე მუშაობს „გაუსწორებელი ინტრიგანი და კოპერაციისათვის მავნე ელემენტი“ გარსევან მგალობლიშვილი (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს. 6,ფურცელი 17).

საბჭოთა ხელისუფლება ყოფილ პოლიტკატორღელებს სხვა პრივილეგიებთან ერთად იჯარით აძლევდა აგარაკებსა და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს სამეურნეო საქმიანობისათვის. N 6 საქმეში დაცულია მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მიერ გაგზავნი წერილი სახკომსაბჭოსადმი. წერილიდან ჩანს, რომ პოლიტკატორღელებს 1925 წლისათვის მოუთხოვიათ „რომელიმე კულტურული აგარაკი საერთო წესით დასამუშავებლად“. სახალხო კომისარიატს „ფრიად სასურველად მიაჩნიათ მათი თხოვნის დაკმაყოფილება, ვინაიდან აგარაკში მათი კომუნის სახით მუშაობა იქნება ზედმიწევნით ნაყოფიერი კულტურის აღდგენის საქმეში“. სწორედ ამ მიზნით გადაუცი-

ათ **„ბია ლუსკის“** აგარაკი მწვანე კონცხზე (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს. 6,ფურცელი 39), თუმცა დადგენილება მალე გაუუქმებიათ, რადგან აგარაკი გადაუციათ აჭარისტანის განათლების სახ კომისარიატისათვის „სასოფლო სამეურნეო ტეხნიკუმის საჭიროებისათვის“ (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს. 6,ფურცელი 88- 90).

ამავე საკითხს ეხება 1926 წელს აჭარისტანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და პოლიტკატორღელთა საკავშირო საზოგადოების ბათუმის განყოფილებას (მამსახლისი იოსებ ბრეგაძე) შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით პოლიტკატორღელთა სამეურნეო საქმიანობისათვის გაუციათ ციხისძირში არსებული 3,57 დესეტინა მიწის ნაკვეთი N 9 – კულტურული მცენარეებითა და შენობებით, 20-წლიანი ვადით. ხელშეკრულებაში სიზუსტითაა წარმოდგენილი მიწის ფართობის საზღვრები. საიჯარო გადასახადი 1926-1937 წლებში შეადგენდა ყოველწლიურად 275 მანეთს (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს. 6,ფურცელი 11-13).


План участка земли под № 9 в местности „Цихис-Дзири" Кобулетского уезда, находящегося в арендном пользовании Батумского Отд. Всесоюзного Общества Полит-каторжан и сс.-поселенцев по договору № 1, от 22го мая 1926 года, мерою 3.57 десят.

Масштаб в дюйме 25 саженъ.

ფონდში წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებიდან საყურადღებოა N 8 საქმეთა ერთეული, რომელშიც წარმოდგენილია სხდომათა ოქმები, ასევე საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებების სტრუქტურა. განყოფილების მთავარი ორგანოა **წევრთა საერთო კრება**. იგი მოწვეული უნდა იყოს წელიწადში 3 – ჯერ. მიმდინარე მუშაობას წარმართავს საერთო **კრების მიერ არჩეული საბჭო** არანაკლებ 3 კაცის შემადგენლობით. განყოფილების საქმიანობის რევიზიისა და კონტროლისათვის შექმნილია 1 წლის ვადით არჩეული **სარევიზიო კომისია** 3 კაცის შემადგენლობით. ახალი წევრის მიღება ხდება **საორგანიზაციო საბჭოს** მიერ. იგი იღებს მსურველის განცხადებას და ანკეტას, შეისწავლის მას და განხსახილველად გადასცემს საბჭოს. საბჭოსთან შექმნილია ვეტერანტა კომისია, რომელიც სხვა პრობლემებთან ერთად განიხილავს პენსიის გაცემის საკითხებს. სამეურნეო საქმიანობას წარმართავს **სამეურნეო კომისია,** კულტურულ საგანმანათლებო საქმიანობას კი **კულტურულ საგანმანათლებო კომისია**. კომისიები ანგარიშვალდებულნი არიან არჩეული საბჭოს წინაშე (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს.8, ფურცელი 16). სტრუქტურა შედგენილია 1924 წლის ივლისში. ამავე საქმეში წარმოდგენილია ყოფილ პოლიტკატორღელთა საკავშირო **საზოგადოების წესდება**, რომელიც დათარიღებულია 1924 წლის 16 სექტემბრით. წესდება მიზნად ისახავს „გააერთიანოს ცარიზმის და თვითმყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი პოლიტკატორღერები, შეისწავლოს მათი ცხოვრებისა და ყოფის საკითხები კატორღებისა და გადასახლების ადგილებში. შესაბამისად, საზოგადოება უფლებამოსილია გახსნას კლუბები, სამკითხველოები, ბიბლიოთეკები, სანატორიუმები, სასადილოები, ერთმანეთს გაუწიონ დახმარება, დაეხმარონ რევოლიციური საქმისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებს, გააერთიანონ ყოფილი პოლიტკატორღელები „ზემლიაჩესტვოს“ პრინციპზე, შეაგროვონ, შეინახონ და გამოაქვეყნონ მასალები კატორებისა და კატორღელების, გადასახლებებისა

და გადასახლებულების, ზოგადად რევოლუციურ მოძრაობის შესახებ, გამოსცენ ჟურნალები, კრებულები, მემუარები, გახსნან მუზეუმები, მოაწყონ საღამოები და ა. შ. (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს.8, ფურცელი 27) .

წესდება არეგულირებდა საზოგადოების წევრად მიღების საკითხებს. საზოგადოების წევრი შეიძლება გამხდარიყო ყველა ის ადამიანი, რომელსაც არ ჰქონდა ჩადენილი რევოლუციის საწინააღმდეგო ქმედება და არ იყვნენ გასამართლებულნი საბჭოთა ხელისუფლების მიერ. საზოგადოების წევრად მიღება ხდებოდა ორი რეკომენდატორის საფუძველზე. საწევრო გადასახადი – გასაწევრიანებელი თანხა იყო 2 მანეთი, ყოველთვიური გადასახადი კი 50 კაპიკი. წესდება ითვალისწინებდა საკავშირო ორგანიზაციის ადგილობრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბებასაც (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს.8, ფურცელი 27-28).

საზოგადოების სტრუქტურის საკითხები სხვა საქმეთა ერთეულებშიცაა წარმოდგენილი. პოლიტკატორღელთა დასაქმების, შრომითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით საზოგადოებასთან არსებობდა ხუთი წევრისაგან (თავჯმდომარე, მოადგილე, მდივანი და ორი წევრი) შემდგარი **შრომითი ბიურო.** მის ფუნქციებში შედიოდა აგრეთვე საზოგადოების უმუშევარი წევრების რეგისტრაცია, უმუშევრობის მიზეზების შესწავლა და სხვა საკითხები (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს.1, ფურცელი 1). ორგანიზაციის წევრებისათვის მატერიალური დახმარების მიზნით ყოფილი პოლიტკატორღელების და გადასახლებულების საზოგადოებასთან შექმნილა აგრეთვე **საკავშირო სალარო** (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს.2, ფურც. 1).

საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილია საზოგადოებაში გაწევრიანების მსურველთა განცხადებები. ეს განცხადებები მკითხველისათვის საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მასში წარმოდგენილია ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრების გზა, რევოლუციური საქმიანობა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1925 წლის 9 დეკემბერით დათარიღებული ორთაბათუმელი **მუსტაფა აბდიბას** განცხადება პოლიტკატორღელთა ბიუროს ბათუმის განყოფილებისადმი. განცხადების მიხედვით, იგი დაბადებულა 1880 წელს, ორთაბათუმში. მისი მშობლები იყვნენ ღარიბი მიწათმოქმედები. თავად მ. აბდიბა 15 წლის ასაკიდან ჩაება შრომით საქმიანობაში, მუშაობდა სხვადასხვა ქარხანაში მცველის პოზიციაზე. სწორედ მაშინ, 1905 წელს გაუცნია საარტილერიო საწყობის მმართველი რევოლუციონერი **ლემიშჩენკო,** მცხოვრები ორთაბათუმის თემის სოფელ **ფეიზიეს** დაჩაზე. იგი ეწეოდა აქტიურ სააგიტაციო მუშაობას ჯარისკაცებს შორის. მუსტაფას მასთან უმუშავია ერთი წლის განმავლობაში. ლემიშჩენკოს დავალებით მ. აბდიბა ავრცელებდა რევოლუციურ ლიტერატურას, ასრულებდა სხვადასხვა სახის სერიოზულ დავალებას. სწორედ ამ მუშაობის შედეგი იყო ის, რომ პატარა სამებელმა ჯარისკაცებმა ხელმძღვანელობის ნების წინააღმდეგ არ გაუხსნეს ცეცხლი პროტესტანტებს, რისთვისაც ისინი დაპატიმრეს. ლემისჩენკო გადავიდა ყარსში და იქ გააგრძელა სააგიტაციო საქმიანობა. ლემიშჩენკო დააპატიმრეს. დაპატიმრებულმა ლემიშჩენკომ მოახერხა მ. აბდიბასათვის წერილის გამოგზავნა დახმარების თხოვნით. მუსტაფა აბდიბა წასულა ყარსში, მოუხერხებია ლემიშჩენკოსათვის პასპორტის გაკეთება, მაგრამ ისიც დაუპატიმრებიათ. მუსტაფას წინააღმდეგ გამოძიებას მტკიცებულებები ვერ უპოვია, რის გამოც იგი გაათავისუფლეს. მუსტაფა ბათუმში ჩამოსულა. სწორედ მაშინ გაუგია ლემისშენკოს პატიმრობიდან გაქცევის ამბავი. მას შემდეგ აბდიბას ლემიშჩენკო არ შეხვედრია. ლემიშენკოს ჰყოლია მალაკანი საყვარელი, რომელმაც ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუთხრო ლემიშჩენკოსთან მუსტაფას თანამშრომლობის ისტორია და გამოუთქვამს ვარაუდი, რომ მხოლოდ აბდიბას ეცოდინება ლემიშჩენკოს ადგილსამყოფელიო. მუსტაფა დაუპატიმრებიათ. მას ექვსი თვე გაუტარებია ბათუმის, ხოლო ორწელნახევარი თბილისის ციხეში. მისი ინფორმაციით სოფელ მახმუდიეში (ორთაბათუმის თემი) ყოფილა საიდუმლო ტიპოგრაფია, რომელშიც დაბეჭდილ პროკლამაციებს ავრცელებდა იგი. სწორედ ამიტომ ითხოვს იგი საზოგადოებაში გაწევრიანებას 1925 წლის 9 დეკემბერს დათარიღებული წერილით (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს.8, ფურცელი 9).



საქმეში დაცულია საზოგადოების წევრად გახდომის მსურველის არაერთი განცხადება. მათ შორისაა რკინიგზის მუშა ვლადიკო კვაჭანტირაძე, რომელსაც 1914 წელს მიუსაჯეს 15 წელი რევოლუციური საქმიანობისათვის. 3 წელი გაატარა ქუთაისის ციხეში. თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, 1917 წელს ის გაათავისუფლეს. შემდეგ მუშაობა დაუწყია მუშად ბათუმში, ხაჩატურიანის ქარხნის გემზე. იმავე დროს შესულა სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში. წერილის მიხედვით, იგი ავრცელებდა პროკლამაციებს, იარაღს ყრიდა სტრაჟნიკებსა და ჟანდარმებს, აუყრია რკინიგზის ლიანდაგები. მის სახელს უკავშირდება ჯაშუში ქარცივაძის მკვლელობაც, რის გამოც პარტიის დახმარებით ერთი წელი გაუტარებია ოსმალეთში. იქედან დაბრუნების შემდეგ, 1914 წელს ვ. კვაჭანტირაძე დაუპატიმრებიათ. განცხადება დათარიღებულია 1926 წლის ივლისით (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს.13, ფურცელი 39).

მსგავსი ისტორიაა წარმოდგენილი ბათუმის ტექნიკუმის მე-4 კლასის მოწაფის გიორგი ლომაძის განცხადებაში, რომელიც გაუგზავნია პოლიტკატორთელთა ბიუროსადმი 1926 წლის 13 დეკემბრს. განცხადებაში აღწერილია მისი **მამის მიხეილ ლომაძის** რევოლუციური საქმიანობა, რის გამოც იგი დაუპატიმრებიათ 1903 წელს და მიუსჯიათ 12 წლიანი კატორღა ირკუტსკში. თუმცა 3 წლის შემდეგ მოუხერხებია გაქცევა, ჩასულა სოფელ ხიდისთავში (ოზურგეთის მაზრა) და გაუგრძელებია რევოლუციური საქმიანობა. 1911 წელს იგი მოუკლავთ სოფელ ბასილეთში. მალე მისი მეუღლეც გარდაცვლილა. ობლად დარჩენილ ბავშვს კი ზრდიდა მისი ბიძა (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს.13, ფურცელი 2).



ფონდის სხვადასხვა საქმეებში წარმოდგენილია საინფორმაციო წერილები, სხვადასხვა შინაარსის განცხადებები, ანგარიშები, ოქმები, ავტობიოგრაფიები, მატერიალური დახმარების მიღების მსურველთა ანკეტები, საზოგადოების ფინანსური ანგარიშები, უწყისები, აქტები, ინსტრუქციები (ს. 3, 10, 13, 14, 17, 17, 19, 20, 25)

მეტად საინტერესოა ფონდში დაცული მასალები, რომლების ეხება **მებრძოლ უღმერთოთა კავშირის (მუკის) საქმიანობას**. N16 საქმეში არის ანტი-

რელიგიური ხასიათის მოხსენებები, უღმერთოთა კავშირის მუშაობის ანგარიშები, უღმერთოთა კავშირის საოლქო და საქალაქო საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებული მასალები, ანტირელიგიური ბრძოლის გააქტიურებასთან დაკავშირებული ღონისძიებები და ა. შ. (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს.16).

მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს 1930 წ. 29 იანვრით დათარიღებული ცირკულარი ითვალისწინებს ანტირელიგიური გამომცემლობის შექმნას (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს.22, ფურც. 2). ქალებს შორის ანტირელიგიური აგიტაცია-პროპაგანდის გასაძლიერებლად უნდა ჩატარებულიყო კრებები, სამუშაო თათბირები, კინოსეანსები, მოწყობილიყო ანტირელიგიური გამოფენები. დოკუმენტში წარმოდგენილია ანტირელიგიური მოხსენებების თემატიკა: „ ქალი და ისლამი“, „რაში იხატება ურაზის ბოროტება“, „ურაზის კლასიური ბუნება“ და ა. შ. (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს.15, ფურც. 25-52).


თემები.

ღონისძიებები ძირითადად „ჯუმა დღეს“, პარასკეობით უნდა ჩატარებულიყო. ერთ-ერთ ანტირელიგიურ დოკუმენტს ეპიგრაფად ჰქონდა წამძღვარებული შემდეგი სიტყვები: „ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ, ბრძოლა სოციალიზმისათვის, რელიგია ხალხის ოპიუმია“. 1934 წ. იანვრის ერთი დოკუმენტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს მუკის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მანტკავა,** მუკის საოლქო და რაისაბჭოებისაგან მოითხოვდა მუკსა და კოოპერაციულ და საწარმო ორგანიზა-

ციებს შორის ხელშეკრულების დადებას ანტირელიგიური საქმიანობის გააქტიურებისათვის, ტარდებოდა საკავშირო კონკურსები ანტირელიგიური სწავლების საკითხებთან დაკავშირებით (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს.46, ფურც. 1-13).

საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა აისახა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე და პათოლოგიური ხასიათი მიიღო. ამის ნათელი დადასტურებაა ლენინგრადის მუკის საოლქო პლენუმის გადაწყვეტილება 1931 წ. 22 მაისს ბალტიის ზღვაში ჩაძირული N 9 წითელდროშოვანი წყალქვეშა ნავის ნაცვლად აეშენებინათ ახალი წყალქვეშა ნავი სახელწოდებით „მებრძოლი უღმერთო" (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს.29, ფურც. 12). მასიური ხასიათი მიიღო ანტიაღდგომის, ანტიბაირამის, ანტიყურანის საწინააღმდეგო კამპანიამ (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს.46, ფურც. 20).

ანტირელიგიურ ბრძოლაში ჩაბმული იყო ყოფილი პოლიტკატორღელების საზოგადოებაც. N 24 საქმეში მრავლადაა წარმოდგენილი ამ საზოგადოების ანტირელიგიური ბრძოლის ამსახველი მასალები აღდგომის საწინააღმდეგო მოხსენებები, ანტირელიგიური მოხსენებების მოკლე თეზისები (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს.24, ფურც. 13-26, 28-33).



საბჭოთა ანტირელიგიურ პოლიტიკას უარყოფითი გამოხმაურება მოყვა მსოფლიოში. ხელისუფლებამ იგი საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევად აღიქვა და

მოუწოდა მუკის ყველა უჯრედს ჩაეტარებინათ კრებები და გაეპროტესტებინათ „კაპიტალისტების ცილისწამება“. „საზღვარგარეთ დაიწყეს ბრაზიანი ცილისწამება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ – ვკითხულობთ მებრძოლ უღმერთოთა კავშირებისადმი 1939 წლის 7 აპრილს გაგზავნილ სამთავრობო დოკუმენტში. ამ საქმეში უდიდეს მონაწილეობას იღებს ეკლესია. ბურჯუაზია და სოციალ დემოკრატები, ბრალს დებენ საბჭოთა ხელისუფლებას რელიგიის დევნაში... რელიგიის გამოყენება ამ შემთხვევაში არის ნიშანი სსრკ-ის წინაღმდეგ ომის მზადებისა. მუკის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ამ დღეებში უნდა ფართოდ გაშალონ სააგიტაციო კომპანია, უნდა იქნეს მოწყობილი კრებები ფაბრიკებში, ქარხნებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, სოფლებში და სამხედრო ნაწილებში. ამ კრებებზე მიღებულ რეზოლუციებში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს პროტესტის გამოცხადება იმპერიალისტების წინააღმდეგ. რომლებიც ცდილობენ სსრკ-ის შინაურ საქმეში ჩარევას“ (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს.21, ფურც. 2-34). N 22 საქმეში არის აჭარისტანის მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ბათუმის ორგანიზაციის სააღრიცხვო სია სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, სქესის, ეროვნების, სოციალური მდგომარეობის, განათლების, ხელობის, პარტიულობის, საარჩევნო ხმის უფლების, მუკის წევრობის მითითებით (1931 წლის 20 მაისის მდგომარეობით), (ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს.22, ფურც.16-17: 28, 29, 30 ).

ამრიგად, აჭარის საარქივო სამმართველოში დაცულია მეტად მნიშვნელოვანი და უხვი საარქივო მონაცემები ყოფილი პოლიტკატორღელებისა და გადასახლებულების რეგიონალური საზოგადოების საქმიანობის შესახებ. ამ დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი სახე. ხელისუფლება თითქოსდა ხელს უწყობდა და ეხმარებოდა ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ყოფილ პოლიტკატორღელებს, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი მათ წინააღმდეგ რეპრესიული პოლიტიკის გატარებაში. პოლიტკატორღელთა გარკვეული ნაწილი 1930-ნი წლების რეპრესიებს ემსხვერპლა.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

**საარქივო დოკუმენტები:**


1. ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, საქმ. 1, ფურც. 1-3, 4, 20;
2. ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, საქმ .2, ფურც. 1;
3. ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, საქმ .3;
4. ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, საქმ. 6, ფურც. 1, 4, 7, 8, 9,11, 12, 13, 17, 39, 88-90;
5. ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, საქმ. 8, ფურც. 9, 16, 27, 28;
6. ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, საქმ. 10;
7. ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, საქმ.13, ფურც. 2, 39;
8. ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, საქმ. 14;
9. ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, საქმ. 15, ფურც. 25-52;
10. ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს.16;
11. ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, საქმ. 17;
12. ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, საქმ. 19;
13. ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, საქმ. 20;
14. ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, საქმ.21, ფურც. 2-34;
15. ასს, ცსა, ფ. რ-91, ან. 1, საქმ. 22, ფურც. 2, 16-17: 28, 29, 30;
16. ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს.24, ფურც. 13-26, 28-33;
17. ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, საქმ. 25;
18. ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, საქმ.29, ფურც. 12;
19. ასს ცსა, ფ. რ-91, ან. 1, ს.46, ფურც. 1-13, 20.

**პრესა:**

1. გაზ. „ისარი“, N 20, 1908 წელი;
2. ეთერ ერაძე, ვინ იყო გურიის თავზე ხელაღებული „პრეზიდენტი“, გაზეთი „კვირის პალიტრა“, 30 მაისი, 2017;
3. ტყვიის მფრქვეველი (ფსევდონიმი), „ვინ აფარებს ხელს გამფლანგველს”, გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“, № 6 ,1930 წლის 8 იანვარი.

**ინტერნეტ მონაცემები:**

1. Общество бывших политкаторжан и ссыльнопоселенцев, https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9E%D0%B1%D1%89%D0%B5%D1%81%D1%82%D0%B2%D0%BE_%D0%B1%D1%8B%D0%B2%D1%88%D0%B8%D1%85_%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%B8%D1%82%D0%BA%D0%B0%D1%82%D0%BE%D1%80%D0%B6%D0%B0%D0%BD_%D0%B8_%D1%81%D1%81%D1%8B%D0%BB%D1%8C%D0%BD%D0%BE%D0%BF%D0%BE%D1%81%D0%B5%D0%BB%D0%B5%D0%BD%D1%86%D0%B5%D0%B2. 2020 წ. 16 იანვარი)
2. პოლიტკატორღელების სახლი პეტერბურგში https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%94%D0%BE%D0%BC_%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%B8%D1%82%D0%BA%D0%B0%D1%82%D0%BE%D1%80%D0%B6%D0%B0%D0%BD;
3. Фигнер Вера Николаевна, Письмо от 17 июля 1932 г. http://az.lib.ru/f/figner_w_n/text_0030.sht. ნახულია 16 იანვარი, 2020);
4. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/1508
5. გურიის რესპუბლიკა, http://guriismoambe.com/?m=68&news_id=36400
6. ირაკლი მახარაძე, გურიის რესპუბლიკის სასამართლოს ბრალდებები, http://www·gurianews·com/article/istoria/guriis-respublikis-sasamartlos-braldebuli)·

**Tamaz Phutkaradze**

**Union of Political Prisoners**
**Department of Ajara (1925-1935)**

**Summary**

Archives Administration of Ajara preserves very important and abundant archival data on the activities of the former community of political prisoners and deportees. Ajara regional organization of the Union Society functioned for 10 years – from 1925 to 1935. This paper, which is based entirely on archival data, first introduces a number of previously unused documents into scientific circulation. That is what determines the scientific innovation. The real face of the Soviet government is clearly visible from the archival documents. Some political prisoners fell victim to the repressions of the 1930s.

*მარიამ მარჯანიშვილი*

## *ისტორიული მოვლენები პირად არქივებში*
## *(კერესელიძეების ეპისტოლეების მიხედვით)*

ყოველ ადამიანს ცალკე და ყველას ერთად აქვს გარკვეული მიზანი, რომლისკენაც ისწრაფვის, მაგრამ ამ მიზანთაგან ერთს ირჩევს, მეორეს გაურბის...

ლეო კერესელიძეს სამშობლოს გრძნობა ყველგან თან ახლდა, ამიტომაც მისი არჩევანი თუ ცხოვრების მიზანი თავისუფლებისათვის სწრაფვის დაუოკებელი ბედისწერა გახდა.

„1906 წლის აპრილს, დუშეთის ამბის გამო, ჩემი უფროსი ძმა ლეო კერესელიძე, ჩემი დეიდაშვილი ნესტორ მაღალაშვილი და მე სამშობლოდან შვეიცარიაში გავიხიზნეთ, – წერს გიორგი კერესელიძე თავის მემუარებში.

... ვიცოდით, რომ რუსეთის მთავრობა ლეოს და ჩემს გაცემას მოითხოვდა. გადავწყვიტეთ, რომ შვეიცარია უფრო საიმედო იქნებოდა, რადგან საფრანგეთი მოკავშირე იყო რუსეთისა და ჩვენს გაცემაზე იქნებ უარი ვერ ეთქვა...

ჩავედით ჟენევაში და იქ დავსახლდით. ლეო ავადმყოფობდა. წავიდა ნესტორთან ერთად მთებში დასასვენებლად“ **(„ქართული ემიგრაცია“ 2013:147)**.

შვეიცარიაში ჩასულ ლეო კერესელიძეს გულმა ახლა მთებისაკენ გაუწია. თუმცა აქ უკვე იყო ხანმოკლე დროით ნამყოფი, მაგრამ საბოლოოდ უნდოდა თავად ეხილა ამ ქვეყნის მშვენიერი ბუნება და განეცადა თავისუფალი სუნთქვა.

პირველად გაზეთ „დროების“ ფურცლებიდან სერგეი მესხის „მოგზაურობის შენიშვნებისა და ფიქრების“ გავლენით ეწვია შვეიცარიას, რათა დარწმუნებულიყო ავტორის შეფასებაში, როცა იგი წერდა: „ბუნებით, ადგილის მდებარეობით, თითქმის ჰავითა და ცხოველ-მცენარეებით კავკასიასა და შვეიცარიას შუა დიდი მსგავსებაა. ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ერთი აკლია: შვეიცარიის ტბები. გაუჩინეთ თფილისს გვერდით ჟენევის ტბა, ქუთაისს – ციურიხის ტბა, სადმე ზემო იმერეთში ოთხი კანტონის ტბა წარმოიდგინეთ, და თუ საქართველო შვეიცარიას არ ემგვანება სრულებით თავის ბუნებით, მაშინ რაც გინდათ ის მითხარით.

... ყოველი შვეიცარიელი ყველაზე პირველად თავის მამულის მოყვარულია. მგონი, არც ერთი მეორე ხალხი არ მოიძებნება დედა-მიწაზე, რომელსაც ისე უყვარდეს თავისი პატარა, მაგრამ მშვენიერი სამშობლო, როგორც შვეიცარიელს. ის გრძნობს, რომ თავის ქვეყნის ბედნიერება იმის საკუთარი ბედნიერებაა, და სამშობლოს დამცირება იმის დამცირებაა.

შვეიცარიელი გრძნობს, რომ თავისუფალი წევრია თავის ხალხისა და არა ვისიმე ქვეშევრდომი. ის ამაყობს თავის სამშობლოთი; არავის მისცემს იმის დამცირების და შეურაცხყოფის უფლებას; ყველა ისე იცავს, ისე უყურებს საზოგადო მამულს, როგორც თავის უძვირფასესს საკუთარ საქმეს; ყველა მზათ არის, მამულს თუ დასჭირდება, არა თუ თავის შეძლება და ქონება, თავის თავიც შესწიროს“ **(„ევროპა როგორც მასწავლებელი“ 2017:228)**.

სწორედ, ამ მთებში ყოფნისას გაიცნო ლეო კერესელიძემ თავისი მომავალი მეუღლის ოჯახი. „ორიოდე კვირის განმავლობაში ისე მოხიბლა თავისი საცოლის მამა კოლონელი (პოლკოვნიკი) ლეკულტრი, რომ საქართველო და ქართველობა საოცნებო საგნად გაუხადა“ **(„ქართული ემიგრაცია“ 2013:147)**.

ტყუილად კი არ არის ნათქვამი, რომ მსგავსი მსგავსთან განისვენებს. პოლკოვნიკმა ლეკულტრმა მასში აღმოაჩინა შვეიცარიელი ხალხის ბუნება- თავისუფლებისაკენ სწრაფვა და სამშობლოსათვის თავგანწირვა.

სამართლიანად შენიშნავდა თავის „მოგზაურობის“ ჩანაწერებშიც სერგეი მესხიც: „შვეიცარიის ყველა სახლებზე ორი სიტყვა აწერია დევიზით „Liberte et patrie“ („მამული და თავისუფლება“).

და ამ ორი, ერთმანეთში განუყოფელი საგნისათვის, ისინი არაფერს არ ზოგავენ: ციურიხელსაც ან სხვა რომელიმე ნემეცური კანტონის შვეიცარიელს რომ ჰკითხოთ: „ნემეცი ხომ არა ხართ თქვენ?“ ის წყრომით შემოგიბღვერთ და ამაყათ გეტყვით: „უკაცრავად, უფალო, მე შვეიცარიელი გახლავართ!“ აგრეთვე ჟენეველ შვეიცარიელს, რომ ფრანცუზობა შესწამოთ, თუმცა ძალიან უყვართ ფრანცუზები, მაგრამ მაინც იმავე სიამაყით გიპასუხებენ, რომ „მე ფრანცუზი კი არა, შვეიცარიელი ვარო!“ აი, ამისთანა ხალხი ცხოვრობს იმ მთა-კლდიან და ტბა-მდინარებიან პატარა შვეიცარიაში, რომელსაც ბევრის მხრით ევროპის საუკეთესო კუნჭულს ეძახიან, ხალხი ცოცხალი, მხნე, მშრომელი, თავისუფლებისა და სამშობლოს მოყვარე...“ **(„ევროპა როგორც მასწავლებელი“ 2017: 228-229)**.

პოლკოვნიკი არ შემცდარა. ლეო კერესელიძე გახლდათ თავისუფლების იდეალისათვის სიცოცხლის უყოყმანოდ შემწირველი პიროვნება, რომელიც ერის თავისუფლებასთან ერთად სახელმწიფოში მისი სრულუფლებიანობისთვისაც იბრძოდა. რამეთუ ყოველ ხალხს, თვითმპყრობელობის უღელში მგმინავს, უფლება აქვს ეს უღელი გადაიგდოს.

საერთოდ, ციურიხელებს ძალიან უყვარდათ ყველა კავკასიელი, ისინი როგორც თავის მოძმეს, თავის მეგობარს, როგორც კარგ კაცს ისე უყურებდნენ მათ და სიამოვნებით უმეგობრდებოდნენ. სწორედ, ციურიხში, 1873 წელს, უცხოეთში წასულმა ქართველმა ახალგაზრდებმა, მათ შორის სერგეი მესხის ძმამ ივანე მესხმა და მისმა მომავალმა მეუღლემ კეკე მელიქიშვილმა ჩამოაყალიბეს საზოგადოება „უღელი“: „მისი მიზანი იყო საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ახალგაზრდების გაერთიანება, ევროპული საზოგადოების აზრისა და ლიტერატურის შესწავლა და პოპულარიზაცია საქართველოში, საერთოდ კავკასიაში.

სამშობლოს განთავისუფლების მიზნით ისინი ცდილობდნენ კონტაქტების დამყარებას სხვა ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.

„უღელის“ ყოველი წევრი დიდ ყურადღებას უთმობდა ლიტერატურის კრიტიკასა და ესთეტიკას. ხელს უწყობდნენ ქართულ ლიტერატურაში ევროპული მხატვრული კულტურის ათვისებას. მათვე შეიმუშავეს ქართული სკოლებისათვის სახელმძღვანელოების შედგენის გეგმა და მთარგმნელობითი კომისია ჩამოაყალიბეს.

„უღელმა“, ევროპულ ცივილურ სამყაროსთან ქართული კულტურის შემოქმედებითი კავშირის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მან 1876 წლამდე იარსება. ივანე მესხი ამ საზოგადოების უცვლელი მდივანი გახლდათ“ **(მარჯანიშვილი 2011:42)**.

ადამიანი ყოველთვის ყველაზე საინტერესო მოვლენა იყო და იქნება ადამიანისათვის, ასეთი გახლდათ პოლკოვნიკი ლეკულტრი, რომელიც რუსეთის მთავრობის მოთხოვნით დაპატიმრებულ ლეო კერესელიძესა და მათ თანამდგომებს მაშინვე გვერდით ამოუდგა და მხსნელად მოევლინა.

„კოლონელ ლეკულტრმა უმალ მიიღო ზომები. ჩააბარა ჩვენი დაცვის საქმე შვეიცარიის უდიდეს ადვოკატებს: ჟენევის „ბაროს“ ორ ადვოკატს: ადრიან ლაშენალს და ცეზარ ჰიუდრის და ნოვშატელის „ბაროსისა“ – სტრიტმატერს. ლაშენალი იყო ყოფილი პრეზიდენტი შვეიცარიის კონფედერაციისა და სტრიტმატერი ყოფილი პროკურორი ფედერაციულ სასამართლოსი“...**(„ქართული ემიგრაცია“ 2013:148)**.

ძმები კერესელიძეების საქმემ ფართო ხასიათი მიიღო და დასავლეთის თითქმის მთელი პრესა აალაპარაკა. წამოიჭრა საქართველოს ეროვნული უფლებების საკითხი. რაკი საქმე საერთაშორისო პრობლემას ეხებოდა, ამიტომ მათ დამცველად საერთაშორისო უფლების ცნობილი ავტორიტეტი ბელგიელი პროფესორი ერნეს ნისი შეარჩიეს. მისი განცხადებით: „საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ სრულიად უკანონოა, რადგან ტრაქტატები ცალმხრივ და ძალმომრეობით იყვნენ დარღვეული რუსეთის მიერ“ **(„ქართული ემიგრაცია“ 2013:148)**.

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დაპატიმრებულნი გაათავისუფლეს: „ერთ საღამოს მცველი შემოვიდა ჩემთან და მითხრა: დირექტორს სურს თქვენი ნახვა, წამომყე-

ვითო. დირექტორი ფეხზე წამოდგომით მომეგება და ხელი ჩამომართვა, კონიაკით სავსე ჭიქა მომცა, თვითონაც აიღო და დიდი სიხარულით მომილოცა: – ლოზანიდან ფედერაციული სასამართლოს პირველმა „გრეფიემ" (სასამართლოს მდივანი) ტელეფონით მაცნობა: რუსეთს უარი უთხრა სასამართლომ, ხვალ მომივა საჭირო ქაღალდი და გაგათავისუფლებთო. ასევე მოექცა დირექტორი ლეოსა და ნესტორს.

განაჩენის მოტანამდე დირექტორმა პატიმრები იმ ღამესვე გაათავისუფლა. სასამართლოს ხარჯების გასტუმრება თვით სასამართლომ იკისრა, ხოლო ადვოკატთა მოგზაურობისა და სხვა ხარჯები, – კოლონელ ლეკულტრმა გაისტუმრა" **(„ქართული ემიგრაცია" 2013:149)**.

კოლონელ ლეკულტრის ქმედება უნებურად თემისტოკლეს გადაწყვეტილებას გვაგონებს. თურმე როდესაც მას ჰკითხეს: „ვის აჯობებდი სიძედ, ღირსების მქონე ადამიანს, მაგრამ უსახსროს, თუ მდიდარ კაცს, მაგრამ ნაკლებად წმინდა რეპუტაციის მქონესო. თემისტოკლემ უპასუხა: „უადამიანო ფულებს, მე უფულო ადამიანი მირჩევნიაო!".

ასე რომ, ფედერაციული სასამართლოს თხუთმეტმა მსაჯულმა რუსეთის მთავრობას ძმები კერესელიძეებისა და მაღალაშვილის გადაცემაზე უარი უთხრა.

ეს გახლდათ ერთადერთი შემთხვევა, როდესაც შვეიცარიამ უარი უთხრა იმათ გაცემაზე, ვისაც იარაღიანი თავდასხმა ბრალდებოდათ. ამას გარდა პროცესმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა, როგორც ევროპაში, ასევე ამერიკაში, სადაც მხილებულ იქნა რუსეთის მიერ „ტრაქტატის" ვერაგული დარღვევა. პროცესმა საქართველოს საკითხი მსოფლიოს წინაშე აამეტყველა და აახმიანა. ამ სამაგალითო ქმედებით შვეიცარიელებმა არა მარტო თავისი სამშობლოს ძლიერი სიყვარული გამოამჟღავნეს, არამედ თავისუფლებისადმი დაუოკებელი წყურვილის მქონე ერისადმი უსაზღვრო პატივისცემაც, რაც თავისთავად ჰბადებს ძლიერ სიყვარულს კაცობრიობისას. რადგან მხოლოდ საერთო კეთილდღეობაში შეუძლია თითოეულ პატრიოტს საკუთარი კეთილდღეობის ხილვა.

„პროცესის დამთავრების შემდეგ ჟენევის ფრანკ-მასონთა ლოჟამ ჟენევის უკეთეს დარბაზში „ვიქტორია ჰალში" ბანკეტი მოგვიწყო. საქართველო, მისი უფლებები, იყო მთავარი თემა ყველა სადღეგრძელოებისა. გვითხრეს შვეიცარიას რუსეთისათვის უარი რომ არ ეთქვა, ჩვენ ვენის სადგურიდან მოგიტაცებდით და საფრანგეთში ჩაგიყვანდით. იქ ხელს ვერავინ გახლებდათ. ამ „შეთქმულებაში" თქვენი ციხის დირექტორიც იღებდა მონაწილეობასო. ამისათვის საჭირო თანხა ჰქონიათ შეგროვილი და გვითხრეს, რა ვუყოთ ამ ფულსაო? ჩვენ ვურჩიეთ რუსეთში პოლიტიკურ პატიმართათვის მოეხმარათ" **(„ქართული ემიგრაცია" 2013:149)**.

ყოველ ადამიანს თავისი ისტორია აქვს და რაც უფრო დიდია ადამიანი, მით უფრო გრანდიოზულია მისი ისტორია. შვეიცარიელები მუდამ ამაყობდნენ თავისი დიდი შვილებით, როცა „1307 წელს სამმა კანტონის უბრალო მცხოვრებლებმა: ვალტერ ფიურსტმა, ვერნელ შტაფხერმა და არნოლდ – დე მელხტალმა თავის დაჩაგრული მამულის, თავის მშვენიერი მთების, უცხო ტომის ხალხისაგან განთავისუფლებაზე შეჰფიცეს ერთმანეთს და კიდეც შეასრულეს ეს კაცის საუკეთესო მოვალეობა"**(„ევროპა როგორც მასწავლებელი" 2017:227)**.

ასეა, თუ უნარი გაქვს იქ უნდა ჩადგე, სადაც ყველაზე უფრო სჭირდები შენს ხალხს და სამშობლოს. სწორედ ამ ნიშან-თვისებით დაჯილდოებული ძმები კერესელიძეებით მოიხიბლნენ შვეიცარიელები.

და, რა გასაკვირია, რომ სამშობლოსათვის შეწირული და გულანთებული ლეო კერესელიძე გულში, რომ ჩავარდნოდა პოლკოვნიკ ლეკულტრის ქალიშვილს მარტას, რადგან „ქალების თანაგრძნობა ძლიერი სქესის დიად მისწრაფებისადმი მუდამ იყო ცივილიზაციის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა". ამასთან, როცა ქალი თავისუფლების მოტრფიალე შვეიცარიელიცაა.

მარტა ლეკულტრის გუშაგი სათნოება გახლდათ. სათნო მხოლოდ ის ქალია, ვისაც შიში არ აიძულებს, ხოლო ის ვინც შიშის გამოა ერთგული, იგი სულაც არ არის ერთგული.

„...ძილში მესმის საშინელი სროლა... მივხვდი სროლის ხმის მიზეზი: ეს ჩვენი ტყვიები იწვიან და ფეთქდებიან... ვიცოდი რომ ლეოს „ჩემოდანში“ ჰქონდა 20 000 ოქროს ფრანკი. საცოლემ მისცა ყოველ გასაჭირ შემთხვევისათვის. დავავლე ხელი, – მინდოდა მათი გადარჩენა.

ამავე დროს ვიფიქრე, – ვაი თუ სხვანი განსაცდელში არიან ჩავარდნილი მეთქი. დავაგდე „ჩემოდანი“ დავიარე ოთახები, ვერავინ ვნახე... ამასობაში ლეოს „ჩემოდანს“ ცეცხლი მოსდებოდა...“ **(„ქართული ემიგრაცია“ 2013:161).**

ლეო კერესელიძისათვის მარტა იყო ცხოვრების ნამდვილი მეგობარი და უტყუარი თანამგზავრი, თანამდგომი, თანამებრძოლი, თანამძრახველი...

მარტა ლეკულტრისათვის კი ლეო იყო ემოციურობის ის ყველაზე მაღალი გამოხატულება, რომელსაც სიხარულს ეძახიან. ეს სიხარული ვრცელდებოდა ცნობიერების მთელ შინაარსზე. იგი იყო თვით სულის ამოხეთქვა. სულის ერთგვარი განუწევრებელი განსჯა, რომელსაც თან სდევდა გრძნობა ძალისა და ძლიერებისა.

ალბათ, ეს სიხარული აძლევდა მარტას მრავალ დაბრკოლებათა გადალახვის შესაძლებლობას. გონისებურად თავისკენ ითრევდა, როგორც ნიშანი ღირსების არსებობისა.

ლეო კერესელიძესთან ქალი მუდმივად ბედნიერებისაკენ მიისწრაფვოდა, თუმცა ვერასოდეს აღწევდა სრულ ქმნას, მაგრამ ამ წინსვლაში იხატებოდა მისი მრავალი ღირებულება.

„მარტა არაჩვეულებრივი სიღრმის ბუნებისაა, ინტეგრალურად პატიოსანი, თავდადებული სხვისათვის. ლეო იყო და დღემდე რჩება მის კერპად“ **(გიორგი კერესელიძე, 15.07.1959 ვეზინე).**

თავის ქმარ-შვილთან ყოფნის სიხარული მარტასათვის ბედნიერებაზე უკეთესი გახლდათ, რადგანაც ბედნიერება ხომ საბოლოოდ ერთხელ და სამუდამოდ მაინც ნავსადგურში მისვლაა, ხოლო სიხარული კი თვით ადამიანის მსგავსად მუდმივი წინსვლაა.

ქალმა, დედამ და მეუღლემ, თავისი საკუთარი სურვილების მიდრეკილებებისა და მისწრაფებების თანახმად მათთვის ცოტადან – ბევრი გააკეთა, რაღაცა არარაობიდან წინასწარი დასახული მიზანი განახორციელა.

„მეკითხები თუ რისით იყო მამა ავად: ნერვებით, მალარიით და წვალობის გამო, სულ ნევრები აშლილი ჰქონდა და კინაღამ მოკვდა, პარიზში. დედა, რომ არ ყოფილიყო, აუცილებლად მომკვდარიყო... რატომ ვიყავით ამდენად ღარიბი? მშობლებმა, ხომ ყველაფერი დაკარგეს. შემდეგ, რაც დედა ჰქონდა შვაიცარიაში, დახარჯეს; ძალიან ბევრი ქართველი ადამიანის უშველიათ. ასე რომ, 1924 წელს სულ უარაფროთ ვიჯექით... მამა მუშაობას ეძებდა პარიზში, მაგრამ თითქმის არაფერს არ იგებდა, და მალე ძალიან ავად გახდა. დედა კერვის მუშაობა დაიწყო, მთელ ღამეს ათევდა, რომ ლუკმა პური მოეგო. ვერ წარმოიდგენ თუ რა ავად იყო, საწყალი მამა! მართალი ხარ: დედა ჩემი, ნამდვილი გმირია! რომ დაბოლოს დედის დები არ დაგხმარებიათ, უეჭველად ჩვენ შიმშილით მოვკვდებოდით. 1933 წლამდი მამა ძლიერ იყო ავად, მაგრამ რაცა ვღებულობდით, დედის ოჯახობიდან ძლივს გვაცოცხლებდა.

მერე დიდედა ჩემი მოკვდა, და ფული დაგვიტოვა. შემდეგ კი საჯდომი სკოლა გვქონდათ და ამით წესიერად ვცხოვრობდით, მამა კარგად იყო და ვასწავლიდი ხალხს. მის შემდეგ კი, მე და დედა საშინელ მდგომარეობაში ჩავარდით, ქუჩაში გვძინავდით“ **(მარიამ კერესელიძე, 30.7.57 პერუ).**

მარტასა და ლეოს რთულ და სასტიკ დროში მოუხდათ ცოლ-ქმრული უღლისა და სამშობლოს წინაშე მოვალეობის გაწევა. ეს იყო რევოლუციების, მსოფლიო ომების, ბოლშევიზმისა და ფაშიზმის სატანური ეპოქა. შვეიცარიელ ქალს, თავისუფალი ქვეყნის შვილს ჰქონდა მტკიცე ნერვები, დიდი ნებისყოფა, აზროვნების ძალა და რაც მთავარია მიზანი, რომელსაც სახელად „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, – ერქვა.

საერთოდ, მიზანს რომ ეწიო, საჭიროა საქმე და არა ოცნება. მიუხედავათ დიდი სიძნელეებისა მარტა ფანატიკურად ამაყობდა მეუღლის უდრეკი სულით, ქმედით- უნა-

რიანობით, პოლიტიკური ალღოთი და სამხედრო ნიჭით. ქალს აოცებდა მისი პოლიტიკური ჩიხიდან გამოსვლის გზების დიდი უნარი.

შინაგანი იმპულსებით მარტა ლეკულტრს არ გამოპარვია ლეო კერესელიძის რთული, ზოგჯერ ტრაგიკული არჩევანის არცერთი ნიუანსი, რომელიც მის თვალწინ მიმდინარეობდა. იყო ეს: 1910 წელს ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრება და მისი პრივატ-დოცენტად დანიშვნა; შვეიცარიის სამხედრო შტაბში სამხედრო საკითხებზე ოთხი მოხსენების წარდგენა; ოთხ შვეიცარიულ გაზეთში თანამშრომლობა; 1912 წელს ჟენევაში „ქართველ სეპარატისტთა წრის" დაარსება და გაზეთ „თავისუფალ საქართველოს" ფურცლებზე პუბლიკაციების გამოქვეყნება; 1914 წელს „სეპარატისტთა კომიტეტის" დავალებით ოსმალეთის მთავრობასთან ხელშეკრულების დადება თუ 400 მოხალისით რეგულარული ჯარის ხელმძღვანელობა; 1916 წელს სპარსეთ-ერაყის ფრონტზე მონაწილეობა; შვეიცარიაში, 1918 წელს, საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელობა; დამოუკიდებელ საქართველოში ლეგიონის უფროსობა და 1919 წელს კი გენერლის ხარისხით ჩეჩენ-დაღესტანში მთავარსარდლობა.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ლეო კერესელიძემ უცხოეთს მიაშურა. 1925 წლიდან უკვე „თეთრი გიორგის" ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. მერე ცოლ-შვილთან ერთად ჩრდილოეთ მაროკოში, ქალაქ-ნავსადგურ ტანჟერში ცხოვრობდა. 1940 წლოდან იგი გერმანიაში დაბრუნდა და მალე ცოლ-შვილიც ჩამოიყვანა.

მარტას სიყვარული ლეოსთან ეკლიდან თაფლის ალოკვასავით იყო, რადგან ლეო კერესელიძის ცხოვრების გზა მუდამ იყო მშფოთვარე, ზიგზაგოვანი, ქარიშხლიანი და დაუდეგარი. მისი სურვილები და მისწრაფებანი მუდამ ბობოქრობაში გახლდათ. ამ გრძნობათა უგულებელყოფა კი უწამლავდა სიცოცხლეს. მაშინ, მარტა მას ჭეშმარიტ მიზნამდე მისაღწევ სიცრუისა და ორპირობის ჩირქნარევ წყლულებს უამებდა. და, ამ დროს მათ ურთიერთობაშიც სიხარულისა და აღფრთოვანების წინანდელი ურთიერთობა ბრუნდებოდა.

მართალია, ბედმა ისინი სად არ ატარა, მაგრამ ყველა სიძნელეს ამარცხებდნენ იმით, რომ მათში გენეტიკური კოდი, სამშობლოს მიწის ყივილი უფრო ძლიერი იყო.

„იცოდე, რომ თუ კი დედა დღე და ღამე წლების განმავლობაში, დედა მამა ჩემს არ მოურებია თავი, თითქოს იყო თავისი დედ-მამა, საწყალი მამა უკვე პარიზში 1925 წელს მომკვდარიყო. მე თავის დღეში არ მინახია ისეთი სიყვარული, არც არსად და არავისთან, როგორც სიყვარული ჩემს მშობლებს შორის" **(მარიამ კერესელიძე, 31.8.60 პერუ)**.

სიყვარული ადამიანთა მოდგმის უპირველესი ინსტიქტების უკეთილშობილესი სახეა. და, ნამდვილ ადამიანს სატრფოც ნამდვილი ადამიანი უნდა ჰყავდეს, რადგან ერთმანეთში ადამიანური ღირსების ურთიერთ-პატივისცემა ჰქმნის თანასწორობას, თანასწორობა კი თავისუფლებისადმი ლტოლვასა და თაყვანისცემას.

მარტა ლეკულტრის სიყვარული ლეოსადმი იყო ყოველთვის მკვიდრი, ყოველთვის ნათელი და მშვიდი.

როდესაც ეცნობი ლეო კერესელიძის ცხოვრება-მოღვაწეობას, კითხულობ მის ნაწერებს, ნაშრომებს ისტორიაში, კვლევებს იურისპუდენციაში, თარგმანებს, პუბლიკაციებს გიჩნდება სიამაყის გრძნობა, რომ არსებობენ პიროვნებანი, რომელნიც სწირავდნენ თავს სამშობლოს მომავლისათვის. და ამ თავგანწირვაში ლომის წილი მარტა ლეკულტრსაც ედო. ამასთან ჰაინრიხ ჰაინეს სიტყვებსაც თუ დავიმოწმებთ: „როდესაც მე მსოფლიო ისტორიას ვკითხულობ და რომელი საგმირო საქმე, ან რომელიმე მოვლენა მაოცებს, მე განწყობილი ვარ ზოგიერთ მათგანში ვიპოვო ქალი, როგორც ფარული მამოძრავებელი ძალა. ქალები მართავენ ქვეყნიერებას. ისინი ადგენენ ისტორიას. თუმცა ისტორიკოსმა მხოლოდ მამაკაცის სახელები იცის."

ამ ჭეშმარიტებაზე დაყრდნობითა და დინების საწინააღმდეგოთ, ლეოს ჩრდილოდან დიდ ქართულ საქმეში მარტა ლეკულტრის თანამონაწილეობა მეტად თვალსაჩინოა: „მეტისმეტად უყვარდათ ერთმანეთი და მამა აუცილებლად მომკვდარიყო 1925-28 წელს უდედოთ. შენ არ იცი რა მძიმეთ ავად იყო მამა ჩემი, და რა პირობებში ვცოც-

ხლობდით ძლივს... დედა ჩემი ღმერთია და ყველა ადამიანი ვისაც დედას იცნობს, ჩემსავით აღმერთებენ, ამის ღირსია“ **(მარიამ კერესელიძე, 21.4.57 პერუ)**.

ადამიანები მუდმივად ბედნიერებისკენ მიისწრაფვიან. ზოგს უმართლებს და პოულობს მზის სხივებს. ზოგს კი ხელიდან მაშინ უსხლტება, როცა ჰგონია, რომ მას მხოლოდ ერთი ნაბიჯი აშორებს. 1943 წელს ლეო კერესელიძე ბერლინის დაბომბვისას ტრაგიკულად დაიღუპა და აქედან მოყოლებული სიცოცხლის სიხარულის მდინარე მარტასათვის ჭაობად იქცა.

ნოსტალგია, ერთდროული სევდა და მონატრება, ოდესღაც დაკარგულზე უმძაფრებდა ვნებებს. იგი ათეული წელი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იდგა, რომელსაც თან სდევდა გრძნობა სისუსტისა და უძლურებისა.

ფსიქიკის სიღრმეში მოქცეული მისი რომანტიკული სული და მებრძოლი განწყობილება სევდის ზღვაში ჩაიძირა. ქალი წარსულის მირაჟებში ეძებდა ცხენთა ჭიხვინზე ამხედრებულ ლეო კერესელიძეს.

„... რატომ არაფერს არ იწერები დედის სურათის შესახებ? ალბათ ძალიან შეიცვალა. დიახ! საწყალი დედა, მანამ მამა ცოცხალი იყო, ახალგაზრდა იყურებოდა მიუხედავათ ამისა, რომ დედა ჩვენი ჩვენი გულისათვის მეტად იმუშავა და იწვალა. მამა რომ მოკვდა, უცბათ დაბერდა და თუ კი არ მომკვდარა თითონ სევდით, ეს იმიტომ იცოდა, რომ მარტო მე სადღაც დავიკარგებოდი. მაგრამ დედის ცხოვრება ამის შემდეგ, ნამდვილი ჯოჯოხეთია... თუმცა მუდამ ხალხს შეხდება ღიმილით, მე მხოლოდ ვიცი როგორ იტანჯება...

დედა ბიძა გოგიას სთხოვა ბევრჯერ მამის ახალგაზრდობის დროს სურათი, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ მივიღეთ. ომის დროს ის სურათი დავკარგეთ, მაგარამ სხვა გვაქვს გადაღებული, როცა ბავშვი ვიყავი“ **(მარიამ კერესელიძე, 21.4.57 პერუ)**.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მარტასა და მარიამ კერესელიძეს ცხოვრება გაუჭირდათ. ისინი ღვთის ანაბარად დარჩნენ: „ქუჩაში ვძინავდით... ჩემმა ბიძამ, (დედის მხრივ) წაგიყვანა 1948 წელს შვაიცარიაში, უნივერსიტეტში ვსწავლობდი, თანაც ენებს ვასწავლიდი სკოლებში, მერე დავიწყე უნო-ში მუშაობა მთარგმნელათ და მანამდე კარგი ფული ვიგებდი...

შენმა წერილმა მამის სურათით ვერ წარმოიდგენ თუ როგორ იმოქმედა ჩემზე! თანაც მეჩქარებოდა, მინდოდა მალე დავბრუნება მანკორაში (ტალარიდან მოშორებულია 80 კილომეტრით) რომ დედას სურათი ჩამებარა. რომ იცოდე თუ რა მადლობელია, დედისთვის და ჩემთვისაც ყველაზე ძვირფასი არის მამის სურათი“ **(მარიამ კერესელიძე, 30.7.57 პერუ)**.

შორეულ სამხრეთ ამერიკაში სამშობლოს განშორებული მარტა ლეკულტრი მთელ თავის სიცოცხლეში ტიროდა. სძაგდა სიტყვა „უსამშობლო ადამიანი“. იგი უმამულოდ და ეულად დარჩენილი მეუღლის მაგივრადაც სტიროდა. ახლაც ყურში ჩაესმოდა ლეოს სიტყვები: „არ არსებობს ბედნიერება, მარტა, სამშობლოს გარეშე...

მამა ჩემმა სულ ამბობდა: „მე ვერ ვეღირსები საქართველოში დაბრუნება, მაგრამ თქვენ კი დაბრუნდებითო!“ არ ვიცი როგორ მოხდება, მაგრამ გული მეუბნება, რომ მოხდება, რომ მე და დედა დავბრუნდებით და რომ შევხვდებით ერთმანეთს!

22 ნოემბერს 1943 წელს მამილომ გვითხრა, რომ სიზმარში ნახო თავის თავი თეთრად ჩაცმული და მთელი ნათესავები დედ-მამა, რომელიც მოკვდენ შავი ტანისამოსით და გვითხრა „ცუდია, მალე მოვკვდებიო!“ 23-ში დაიღუპა“ **(მარიამ კერესელიძე, 30.8.56 პერუ)**.

მარტა ლეკულტრი სევდის გავლენით საკუთარ სამყაროში ჩაიკეტა და გარემოს სინამდვილეს მოშორდა. საერთოდ, სევდის მიერ შექმნილი სულიერი განწყობილება თავისი ხასიათით მარცხის კომპლექსს უკავშირდება, რაც ადამიანს წარმატების მიღწევის ყველა საშუალებას ართმევს და ამით ბრძოლისათვის გამოუსადეგრად ხდის.

„ძალიან ღმად იმოქმედა დედაზე ნოდარმა ჩემი მამის სახელი, რომ დაარქვა უმცროს ვაჟიშვილს... გთხოვ, ჩვენზე არ იდარდო ჩემო კარგო, არ გვიჭირს, მაგრამ არ გეგონო რო არ ვიცი თუ რა არის გაჭირვება! 6 წლისა ვიყავი, როცა დავინახე საწყალი დედა, როგორ წაიქცა უგროშოთ შიმშილის გამო. მამა მაშინ ძალიან ავად იყო... შემდეგ

რამოდენიმე წელიწადი უკან, მე და დედა დიდი ხანი გარეთ დავიძინეთ და ლუკმა პურიც კი არა გვქონდა. ეხლა არაფერი არ გვიჭირს“ **(მარიამ კერესელიძე, 13.12.56 მანკორა).**

აღიარებულია, რომ სევდა უფრო მავნეა, ვიდრე ტკივილი, რადგანაც იგი ადამიანის მიერ თავისად მიჩნეულია. და სევდა სრულყოფილი ნეგატიური ქცევაა. იგი იმთავითვე სიკვდილისა და არარაობის მიღებაა.

მარტას თავისუფლება დაკარგული, ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოსა და მეუღლის ტრაგიკულმა ხვედრმა სიცოცხლის ყოველგვარი ხალისი დაუხშო, რომელსაც ზედ დაერთო ევროპიდან დევნილობა და შორეულ პერუში გადახვეწა.

ახლობლები სწუხდნენ მარტასა და მარიამის ცხოვრების მძიმე ხვედრზე: „მართასა და მუმუნის (მარიამი) წერილი დიდი ხანია არ მომსვლია. მეც ვერ ვწერდი ამ ბოლო დროს, ვიცი უჭირთ და მე კი, სამწუხაროდ, არ ძალმიძს დავეხმარო“ **(გიორგი კერესელიძე, 20 მკათათვე 1956 ვეზინე).**

„დიდი ხანია მართასი და მარიამის ცნობა არ მქონდა. იმ დღეს, როცა შენი წერილი მივიღე, იმათი წერილიც მომივიდა. ფიზიკურად კარგად არიან, მატერიალურად კი გაჭირვებაში.“ **(გიორგი კერესელიძე, 6 მარტი 1959 ვეზინე).**

„არც მართასი და მარიამის პასუხი მაქვს, აგერ ორ თვეზე მეტია. რა მოუვიდათ“ **(გიორგი კერესელიძე, 9 ქრისტოშობისთვე 1959 ვეზინე).**

„მარტასი და მარიამის არა ვიცი რა... ვშიშობ, რომ მარიამის თეატრის პიესას დიდი გამოძახილი არა ჰქონდა, თორემ მახარებდნენ. რა მოელით იმ საწყლებს – ალლაჰ ბილურ! იმედი დიდი მქონდა: ჩემს საქმეს ისე მოვაწყობ, ვფიქრობდი, რომ გასაჭირიდან გამოვიყვან – მეთქი. სამწუხაროთ სულ სხვანაირად დატრიალდა ჩემი ბედის ჩარხი. **(გიორგი კერესელიძე, 8 ღვინობისთვე 1958 ვეზინე).**

ცნობილია, რომ მარიამ კერესელიძემ პერუში ცხოვრებისა და მოღვაწეობისას, 38 წლისამ, ესპანურ ენაზე დაწერა პიესა „მაიტა“, რომლის შესახებ იგი მამიდას ელენე გლურჯიძეს თბილისში წერდა: „სექტემბრის თვეში აქ პირველ თეატრში დგამენ ჩემს პირველ პიესას – დრამას ესპანურად დაწერილს. გიგზავნი გაზეთს, სადაც იწერება, რომ ქართველი ვარ. ჩემი პსევდომინია – ლეო კერელი!... ეს დრამა პერუს ცხოვრებიდან არის აღებული. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი პიესა „მაიტა“ მიიღებენ თბილისშიც და მოსკოვშიც და ეს იქნება დიდი საშუალება ჩვენი შეხვედრისა“ **(მარიამ კერესელიძე 03.07.1960 პერუ).**

დედა-შვილი, როგორც წყალწაღებული ხავს, ისე ეჭიდებოდენ და იმედოვნებდენ, რომ ამ პიესების საშუალებით მოხვდებოდნენ საქართველოში, რითაც აღასრულებდენ ლეო კერესელიძის უკანასკნელ ანდერძსა თუ თხოვნას: „მე და დედის ოცნება ეს არის, რომ დავბრუნდეთ საქართველოში, რას იტყვი? ამ იმედით, ამ ოცნებით, მინდა როგორმე ფული მოვიგო, და იმედია, მოვახერხებ კიდევაც“ **(მარიამ კერესელიძე 30.07.57 პერუ).**

„მართამ და მარიამმა ადგილი იცვალეს. ველოდი მათ ახალ მისამართს. გავიგე, რომ მისამართი ძველი დაიტოვეს. ხვალ გადავუგზავნი შენს წერილებს და სურათებს“ **(გიორგი კერესელიძე, 4 მკათათვე 1959 ვეზინე).**

„მიზეზი იმისა რომ შენი წერილები დაგვიანებით მიდიოდა მუმუნთან ცენზურა არ არის, რადგან ცენზურა არც იქ და არც აქ არ არსებობს. მიზეზი შემდეგია: 1. სამხრეთ ამერიკა ძალიან დაშორებულია ჩვენს კონტინენტისგან და ოკეანის გადალახვას ჩვეულებრივი ფოსტა დიდი დროს უნდება.

2. იქ სადაც აქამდე მუმუნი და ჩვენი მართა ცხოვრობდნენ, ვფიქრობ, „ავიონი“ სულ არ მიდიოდა. ეს იყო მიზეზი გზის ხანგრძლივობისა. ეხლა ლიმაში ცხოვრობენ ე. ი პერუს სატახტო ქალაქში – და იქ, ფოსტა ავიონით, უფრო სწრაფად აღწევს ადრესატს“ **(გიორგი კერესელიძე, 18 ენკენისთვე 1957 ვეზინე).**

ახლობლები მარიამ კერესელიძის წერილებიდან აშკარად გრძნობდნენ, რომ მარტას სევდის გამო ხელი ყველაფერზე აღებული ჰქონდა და მისი სასოწარკვეთაც აქედან მომდინარეობდა.

„რა კეთილი და მგრძნობიარე ადამიანი ხარ, ჩემო კარგო, რომ იშოვე მამის სურათი და გვიგზავნე. დედასთვის სიცოცხლეა. უკანასკნელი სურათი ნესტორთან რა კარ-

გია! და ისიც რომელიც ბიძა გოგიას გაგიგზავნია, ძალიან ლამაზია! როცა ფული მექნება გადავიღებ დედასთან ერთად სურათს და გაგიგზავნებ. რომ იცოდე რა სიყვარულით დედა მესაუბრება სულ მუდამ შენზე და სხვა ნათესავებზე, ვერ წარმოიდგენ...“ **(მარიამ კერესელიძე 25.9.1957 პერუ).**

დედა-შვილი თავდაპირველად პერუს სხვადასხვა სოფლებში ცხოვრობდნენ. ბოლოს დედაქალაქში იპოვეს თავშესაფარი. „მშვენიერ პენსიონში მოვაწყეთ თავს, ორი ოთახი გვაქვს და საკუთარი აბანო, კვება კარგია. და შედარებით ყველაფერი იაფია“ **(მარიამ კერესელიძე 23.8.1957 პერუ).**

„საწყალი დედაჩემი ცუდად გახდა, როცა მიიღო ამბავი ბიძა გოგიას სიკვდილისა. იგი ძლიერ უყვარდა, რადგან მამის ძმა იყო და მოწმე იმისი ბედნიერების მამასთან ერთად... საწყალი ბიძა გოგია, იმანაც სამშობლოს სიტკბო არ ეღირსა კიდევ და ისევ დაიღუპა საზღვარგარეთ, როგორც მამა, როგორც ბევრი ქართველი ადამიანი“ **(მარიამ კერესელიძე 1.10.1960 პერუ).**

„მე და დედა კარგად ვართ, თუმცა დედა ძალიან გამხდარა საფიქრებით. იმედია ეხლა გამოკეთდება. ეხლა ნელ-ნელა ჩვენი მატერიალური მდგომარეობა უმჯობესდება, თუმცა ბევრი ვალები მაქვს. ძალიან ძნელი დრო გავატარეთ, ეხლა უკეთ მიდის საქმე“ **(მარიამ კერესელიძე 25.3.1960 ლიმა).**

„შენ ვერ წარმოიდგენ რას ნიშნავს ჩემთვის და დედისთვის შენი ამბის გაგება. მე სიმართლე გითხრა, რომ დედა არა მყოლიყო იქნებ თავს მოვიკლავდი 10 წლის უკან. აქ არაფრისი გემო არ მაქვს, მკვდარივით დავდივარ, ჩემი გული და ოცნება კი მანდ არის, თქვენთან, მაგრამ ეხლა ჩემი ცხოვრება შეიცვალა, მე რაღაც იმედი მაქვს და ამ იმედით ვცოცხლობ“ **(მარიამ კერესელიძე 16.10.1956 პერუ).**

„დედა უნდოდა მიგიწერია და დაიწყო, მაგრამ ამდენათ დაგლოვებული იყო, რომ ვერ შეძლო და 24 საათი თავის ტკივილით იწვა. დედის ნერვები ძალიან შეუშინდა იმის აქეთ რაც ძვირფასი მამილო დაიკარგა, თუმცა ვერ შეატყობ ვერავინ ვინაითგან მაგარი ნებისყოფიანი ადამიანია, მაგრამ ყველაფერი რასაც მამა შეეხება ძლიერ მოქმედებს იმაზე, მით უმეტეს შენს შესახებ. შენ ხომ იცი თუ როგორ უყვარხარ“ **(მარიამ კერესელიძე 19.9.1956 პერუ).**

თავისუფლების მოყვარე მშვენიერი შვეიცარელი ქალის მარტა ლეკულტრის ცხოვრების კარუსელი შორეულ პერუში გაჩერდა: „დედა ძალიან ცუდათ იყო გულით, კინაღამ მოკვდა... მაგრამ ეხლა კარგად არის და გამოკეთდა. მეც, ეხლა, კარგადა ვარ. 5 წელიწადი ვიმუშავე უნივერსიტეტში როგორ ფროფესორი, ეხლა კულტურულ საქმეში ვმუშაობ“ **(მარიამ კერესელიძე 27.1.74 ტოლერმო).**

წერილის მიღებიდან, ერთი წლის შემდეგ, მარტა ლეკულტრი 1975 წელს პერუში გარდაიცვალა. იგი ლამაზ ოცნებასა და სასტიკ სინამდვილეს შორის უფსკრულში აღმოჩნდა. ვერც ოცნებად ქცეულ საქართველოს ხილვას ეღირსა და ვერც მის თავისუფლებას. თუმცა საქართველოს სიყვარულმა აუნთო გულში წმინდა სანთელი. ლეოსა და მარტას თანაცხოვრება თითქმის 30 წელს გაგრძელდა და ამდენივე წელს იყო იგი ქვრივი. მარტას ცხოვრება გავდა მწარე სიზმარს, რომლიდანაც გამოსვლა, გამოფხიზლება ბევრი წვალების მიუხედავად მაინც ვერ შეძლო.

მისი არა მარტო სევდით შეპყრობილი მოქმედება გახდა უძლური, არამედ ამასთან ერთად იდეების, წარმოდგენების, ხატების მოძრაობაც და აზროვნებაც თანდათან შეუნელდა.

ყველა ადამიანი მონაწილეობს ისტორიის შექმნაში. მარტა ლეკულტრი იყო ის თავისუფალი ევროპელი ქალი, რომელიც დამოუკიდებლად აზროვნებდა და ერთი რამ ღრმად სწამდა, რომ მთელი სიცოცხლე და მთელი ძალები შეეწირა სამყაროში ყველაზე მშვენიერი ბრძოლისათვის, რომელსაც კაცობრიობის განთავისუფლება ჰქვია. რამდენად გამოუვიდა, პირადად მას, საქართველოს მაგალითზე ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან ერთად საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობის აღდგენა, ეს არც თუ ისე ძნელი დასადასტურებელია, რადგან ემიგრაციამ, ასე თუ ისე, მაინც წინ

წასწია ჩვენი ქვეყნის საქმე. რითაც მიზან- მიმართულ და შინაარსიან სიცოცხლეზე სამარადისო ხსოვნა დატოვეს.

მარტასა და ლეოს სიყვარულმა, კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ადამიანთა ბუნება ყველგან ერთია. ყველა ამბობს და წერს, რომ ქართველი ქალივით ერთგული ცოლი ევროპაში არ მოიპოვება, მაგრამ ამ სიყვარულის ისტორიამ სულ სხვა რამ გვითხრა.

მარტა ლეკულტრისათვის ლეო იყო მისი სიცოცხლის – სიცოცხლე. იგი მთლიანად ქმრის მოვლა-პატრონობით, მისი საქმიანობისა თუ მოღვაწეობის თანადგომით იყო გატაცებული. ყოველ მის ქმედებაში ლეო კერესელიძის გაღმერთება იგრძნობა. როცა მის ქცევას, ხასიათს, თავდადებას, ერთგულებასა და თითოეულ შტრიხზე წერილებში კითხულობ, ერთ რამეში აშკარად რწმუნდები. თუ ქალის სიყვარულს წინ არაფერი ეღობება, იგი უეჭველად გაღმერთებაში გადაიზრდება. მაგრამ, იქ სადაც ბატონობს მერკანტილური ურთიერთობა და ცხოვრების ამაოება, გულწრფელი სიყვარული ქრება და ქალის ბუნება უმაღლეს სრულყოფილ ნეტარებამდე ვერ ადის.

მარტა ლეკულტრმა უსაზღვრო მარტოობაში უკვდავყო ლეო კერესელიძის სიყვარული და მის ღრმა დუმილში შენახული ერთგულება, მათი დრამატული განცდების სამყარო სიყვარულის ანა-ბანაზე არა მარტო ერთი მშვენიერი წიგნია, არამედ მათ ურთიერთობაში ბევრი ისტორიული მოვლენებია წარმოჩენილი.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. მ. კერესელიძე, ეპიტოლეები, 30.8.56; 19.9.1956; 21.4.57; 30.7.57; 03.07.1960; 31.8.60; პერუ.
2. მ. კერესელიძე, ეპისტოლეები, 13.12.56 მანკორა.
3. მ. კერესელიძე 25.3.1960 ლიმა.
4. მ. კერესელიძე 27.1.74 ტოლერმო.
5. გ. კერესელიძე, ეპისტოლეები, 20 მკათათვე 1956;  18 ენკენისთვე, 1957; 8 ღვინობისთვე 1958; 6 მარტი 1959; 4 მკათათვე 1959; 15.07. 1959; 9 ქრისტოშობისთვე, 1959 ვეზინე.
6. მ. მარჯანიშვილი, „მარჯანიშვილთა და მესხთა ხომლი“, თბილისი, 2011.
7. გ. საბანიძე, ე. ჯგერენაია, „ევროპა როგორც მასწავლებელი“, თბილისი, 2017.
8. ო. ჯანელიძე, „ქართული ემიგრაცია“, 1/20/3. თბილისი, 1(4), 2013.


**Mariam Marjanishvili**

## Historical Events in Private Archives
## (According to the Kereselidzes' letters)


A lot of significant and historical facts are reflected in the private letters of Georgian political emigrants scattered in different places, the letters which they sent to their relatives in their home country.

In this respect, the letters written by Leo and Giorgi Kereselidzes and their descendants are of particular interest, which they sent to their sister and aunt, Elene Glurjidze, who lived in Tbilisi.

Although these letters expressed their personal feelings and attitudes, they also reflected a number of historical events, since their striving for freedom, even in their dreams, required great energy and concentration of their passion, feelings and ideas.

In Elene Glurjidze's private archives, we can find very importnat information about the hard life and work of Leo Kereselidze, the founder of *White Giorgi*, who expressed his dedication to the struggle for the independence and liberation of Georgia.

It is worthy of note that alongside these political emigrants their wives also participated in their struggle for independence, namely, Leo Kereselidze's European wife, Martha Lecultre.

The citizen of free Switzerladnd, Martha Lecultre, was interested not only in her own country, but she, as a European, also strived for the independence of other countreis.

*ჯეირან-გიორგი ფალავანდიშვილი*

## *აკაკისთან... სხვიტორში*

(მასალები ქვეყნდება აჭარის
მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის ეგიდით)

ქობულეთში, გურიის საზღვართან ერთი ისტორიული სოფელია – ლეღვა. მას გარს არტყია ჩეხედანას, ელიასციხისა და სკურდას (დამწვარი მთა) ქედები. აქედან იღებს სათავეს პატარ-პატარა ღელე-მდინარეები, რომლებიც სოფლის ბოლოს ერთიანდებიან და მდინარე ჩოლოქით შავ ზღვას ერთვიან. მდინარეებს სახელებიც მდებარეობის მიხედვით ჰქვიათ, ჩეხედანა, ცხრაფონა და ელიასციხე.

სოფელი ლეღვა იყო მშობლიური სოფელი და საცხოვრებელი ადგილი სასიქადულო მამულიშვილისა, რომელსაც ოსმან მჭედლიშვილი ერქვა. იგი გასული საუკუნის ცხრაასიანი წლების დასაწყისში ზემო იმერეთში, სოფელ სხვიტორში ქართული პოეზიის კლასიკოსის – აკაკი წერეთლის სახლში საქმიანობდა, მწერლის ხელნაწერებისა და ბიბლიოთეკის მცველი და მზრუნველი იყო.

ლამაზი ისტორია„ რომელიც ოსმან მჭედლიშვილს ეხება, პირველად გამოავლინა მწერალმა, მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, რამაზ სურმანიძემ. აკაკის წერილიდან მოურავ ზამბახიძისადმი მისთვის ცნობილი იყო „აჭარელი ოსმანა," მაგრამ გვარი და სადაურობა არ იცოდა. ასე ვარაუდით ის ეწვია სოფელ ლეღვაში მჭედლიშვილების ოჯახს. დარწმუნებული არ იყო, მაგრამ, გაირკვა, რომ სწორი მისამართით მივიდა, რაც კარგი შედეგითაც დაგვირგვინდა. მისი წერილი სხვა მოკვლეულ მასალებთან ერთად 1971 წელს ჟურნალ „ჭოროხი"-ს N4-ში (გვ. 74-78) გამოქვეყნდა.

ამ წერილმა ჩემში დიდი ინტერესი გამოიწვია, ამიტომ შევუდექი მისი ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ მასალების უფრო დეტალურად მოკვლევას. რამაზ სურმანიძის წერილთან ერთად ვისარგებლე მოგვიანებით გამოქვეყნებული გურამ შარაძის წიგნებით „აკაკი წერეთელი" და „აკაკის იუბილე." ნიკო ნიკოლაძის საარქივო კატალოგით, შევხვდი ოსმანის ოჯახის წევრებს, მის შვილიშვილებს – დავით და ეთერ მჭედლიშვილებს. ქალბატონი ეთერი ისტორიკოსი აღმოჩნდა. ის სკოლის ისტორიის მასწავლებელია და გაცილებით მეტი მასალები გააჩნდა თავის ბაბუაზე, ვიდრე მე წარმომედგინა.

დასაწყისშივე მსურს გავამახვილო ყურადღება ოსმანის წინაპრებზე. როგორც იტყვიან „ხე ფესვებიდან იზომება და არა მიწის ზედაპირიდან." ოსმან მჭედლიშვილი თავის ბაბუას სახელს ატარებდა, მას ორი ვაჟი ჰყავდა – გულვანი და სეფერი. ცხოვრობდნენ ზემო ხინოში, დიდვაკეში წყაროს გვერდით. მათი ნასახლარის ფრაგმენტები დღესაც არის შემორჩენილი. პირველი ვაჟი – გულვანი გაიზარდა, დაქორწინდა და საცხოვრებლად გადმოვიდა სოფელ აჭყვისთავში. მისი ვაჟი უსუფი უეცრად გარდაიცვალა. უსუფს დარჩა ერთად-ერთი შვილი სულეიმანი. გულვანმა შვილიშვილი საცხოვრებლად თურქეთში წაიყვანა. აჭყვისთავის მიწა და სახლი მიყიდა იქაურ თანასოფლელს გვარად ანანიძეს. დიდი ოსმანის მეორე ვაჟს – სეფერსაც დაუტოვებია ხინოს დიდვაკე და საცხოვრებლად ზენითში გადასულა. იქაც წყაროს გვერდით აუგიათ საცხოვრებელი სახლი. აქ არის წყალი, რომელსაც დღესაც მჭედლიშვილების წყაროს ეძახიან. სეფერსაც გაუყიდია ეს ადგილი კომახიძეზე და თვითონ სოფელ ლეღვაში გადასულა საცხოვრებლად.

სეფერ მჭედლიშვილს ორი ცოლი ჰყავდა. პირველის გვარად გოლომანიძისგან სეფერს ერთი ქალიშვილი შეეძინა, სახელად ფადიმე. მეტი შვილი მათ არ ეყოლათ, ამიტომ ცოლმა ქმარს მეორე ცოლის შერთვაზე თანხმობა მისცა. ეს იყო ფიდოსი – სოლად წილოსანის შვილი. მისგან 1881 წელს შეეძინა ვაჟი, რომელსაც თავისი მამის სახელი ოსმანი დაარქვა და 5 ქალიშვილი: ფადიმე, გუგული, ზევჯანი, ზექიე, ნაზილე.

ჩვენი გმირი, ოსმანი, 3 წლის იყო, როცა მამა – სეფერი გარდაიცვალა. ობოლი ბიჭი თავის დებთან ერთად მამიდამ გაზარდა.

21 წლისამ ცოლად 14 წლის ფადიმე მჟავანაძე შეირთო.

ოსმანის ნახევარდამ ფადიმემ იცოდა „დედაბრული“ წერა. მან ეს დამწერლობა შეასწავლა ოსმანს და მის მეუღლეს ფადიმე მჟავანაძეს.

ოსმანს ფადიმესგან შეეძინათ რვა შვილი. მერიემი, ემინე, ქევსერი, აიშე, სულეიმანი, რეხიმე, ბესირე და ასლანი.

ოსმალთაგან ახლადგათავისუფლებულ აჭარაში ძალზე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ქვეყანა ძლიერ ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიდა. განსაკუთრებით უჭირდა სოფლის გლეხობას. ასეთი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს იმაში ხედავდნენ, რომ წასულიყვნენ სოფლიდან სამუშაოს საძებნელად. ბათუმსა და ფოთშიც სოფლის გლეხობამ ფეხი ვერ მოიკიდა, სამუშაოს ვერ პოულობდნენ. ბათუმის პორტში უბრალო გლეხობას სამუშაოდ არ ღებულობდნენ. უკვე დაოჯახებული ოსმან მჭედლიშვილი 1901 წელს ნატანებამდე ფეხით ჩავიდა და იქედან მატარებლით გაემგზავრა ჭიათურაში, მაღაროში სამუშაოდ. ამას ბიძგი მისცა მისი დის, ნაზილეს ქმარმა, ხასან მესხიძემ, რომელიც ილარიონ გამყრელიძესთან ჭიათურაში მარგანეცის საბადოზე მუშაობდა. ილარიონი ერთ-ერთი გავლენიანი პიროვნება იყო. კარგი ურთიერთობა ჰქონდა აკაკი წერეთელთან. ამ პიროვნების მეშვეობით ოსმანი საჩხერეში მოხვდა აკაკისთან. ადრე აკაკი წერეთელმა ქობულეთის სოფელ სამებიდან იმერეთში წაიყვანა მურად და სულეიმან წერეთლები, ისინი ჭიათურის მარგანეცის საბადოზე მუშაობდნენ. მათთან ერთად იყო ოსმანიც, რამაც ასევე განაპირობა მისი იმერეთში ცხოვრება, თუმცა ოსმან მჭედლიშვილი რომ სხვიტორში აკაკისთან აგრძელებს ყოფნას, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს. აკაკის ოსმანი მოწონებია და ის 1902 წელს თავისთან წაიყვანა წერეთელთა საგვარეულოს ტყის მცველად. ენერგიით სავსე, დინჯმა და კეთილმოსაუბრე ოსმანმა მალე დაიმსახურა წერეთელთა ოჯახის ნდობა და სიყვარული. აკაკი წერეთელი თავის კეთილ მსახურს დაისვამდა და ქართულ ანბანსაც ასწავლიდა. წერა-კითხვას კარგად დაუფლებული ტყისმცველი აკაკიმ სასახლეში გადმოიყვანა და მიანდო თავისი ხელნაწერების დაცვა.

აკაკის და, ანა, ყოველ კვირა დღეს ეკლესიაში დადიოდა წირვაზე. მას ფეხი სტკიოდა და ოსმანი მას ხელკავით მიაცილებდა. ამავე დროს მაჰმადიანი ქართველი იცავდა თავის რწმენას. ღვინის წვეთი რომ შარვალზე დაწვეთებოდა, – ის ამ ადგილს წყლით არ გარეცხავდა, პირიქით, ამოჭრიდა და იქ სხვა ნაჭერს ჩააკერებდა.

ერთხელ ანამ უსაყვედურა ოსმანს ღვინის მიმართ ასეთი სიძულვილი. ამ დროს აკაკი გვერდით ოთახში იმყოფებოდა, გაიგონა ანას სიტყვები და კარებთან მისულმა დას უსაყვედურა:

- ანა, ეს ერთხელ თქვი და მეორეჯერ არ გაიმეორო. ორმოცი დღე ლობიოს რომ ჭამ და არ მიირთმევ ხორცსა და რძის ნაწარმს, ისე იქცევა ოსმანიც. ეს კაცი ამიტომაც არის სანდო, მტკიცედ დგას მისი რწმენისადმი, ოსმანს სასტიკმა დროებამ აუკრძალა ღვინის დალევა, ახლაც დრო დაალევინებს ღვინოს.

დიდი პოეტის წინასწარმეტყველება ახდა. სადილობის დროს ოსმანი აუცილებლად დალევდა ერთ ჭიქა ღვინოს. მისი ვაჟი ასლანი თავის შვილებს მამის ღვინოსთან დამოკიდებულებაზე საინტერესო ამბებს უყვებოდა.

1918 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში კონფერენციაზე თურქეთთან საზავო ხელშეკრულება გააფორმა, რომელიც გულისხმობდა ბათუმის ოლქის თურქეთზე გადაცემას, მაგრამ ამისათვის საჭირო გახდა ბათუმის ოლქის მოსახლეობის თანხმობა, რაც უნდა გამოეხატა რეფერენდუმის სახით. ბათუმსა და ქობულეთში ოსმალეთმა გადმოსხა გალიპოლის სამხედრო დივიზია 7-ათასი ჯარისკაცით. ქალაქები და სოფლები 40 წლის შემდეგ კვლავ მოექცა ოსმალთა იმპერიის გავლენის ქვეშ. ოსმალეთის ჯარი სოფელ ლეღვაში ოსმან მჭედლიშვილის სახლის ზევით, შემაღლებულ გორაკზე იყო განლაგებული. დივიზიის ათასისთავი, ეროვნებით არაბი „ბინბაში“ შეძლებული ოსმან მჭედლიშვილის სახლში ცხოვრობდა. „ბინბაში“ ყოველ საღამოს მასთან იწვევდა სოფლის მაჰმადიან ასაკოვან ხალხს და მათთან ერთად ვახშმობდა. ერთ-ერთი ასეთი ვახშმობის დროს ბინბაშმა მოიწვია ხასან ალისძე გოგიტიძე და მამუდ რეზმანის ძე სეფერთელაძე. არაბმა ვახშამზე არაყი მოიტანა და თანასუფრელებს

დალევა შესთავაზა. მოწვეულებმა არც კი იცოდნენ, რა იყო არაყი, მაგრამ ბინბაშს უარი ვერ უთხრეს შეთავაზებულ სიამოვნებაზე და სასმისი ხელში აიღეს. ოჯახის უფროსმა ოსმანმა კი არაყის დალევაზე სასტიკი უარი თქვა.

მე ჩემი რწმენის ერთგული ვარ და სასმელს არ მივიღებო. ამ სიტყვებზე ბინბაში გაკვირდა, სიბრაზეც დაეტყო, შებრუნდა კარებისკენ და იქ მდგომ ჯარისკაცს დაუძახა. ბინბაში მიუბრუნდა თანამესუფრეებს და მიმართა: – რომელიმე გაყევით ამ ჯარისკაცს თქვენს ხოჯასთან, თუ ის იტყვის, რომ დალევა ცოდვაა, მაშინ არც მე დავლევ, მე არაბი ვარ და უფრო წმინდათ უნდა მესმოდეს, რა არის ცოდვა და რა არის ცრუ რწმენა. თუ არა და, მაშინ მაგ თქვენს ხოჯის თავს მდინარეში გადავაგდებო. ასეთი მუქარის შემდეგ სუფრასთან უხერხულობა შეიქმნა. ხასანი და მამუდი მიუბრუნდნენ ოსმანს და არყის დალევა სთხოვეს. ოსმანმა გაითვალისწინა საშიშროება და არაყი დალია. მეორე დღეს სოფლის ხოჯას წინა საღამოს ამბები თვითონ მოუყვა. ხოჯამ ოსმანს მადლობა უთხრა რწმენის ერთგულებისთვის და შეაქო კიდეც – სწორედ მოიქეცითო და ასეთი ძალადობა ცოდვად არ ჩაგეთვლებაო.

ოსმანი აკაკისთან 6-7 წელი დარჩა. ბურჟუაზიული რევოლუციის დროს გარკვეული პერიოდით პოეტი თბილისში იმყოფებოდა. სხვიტორში აკაკის კარ-მიდამოს მოურავი გიორგი ზამბახიძე ზედამხედველობდა. ის ხისტი კაცი იყო, ვერ ეგუებოდა, რომ აკაკი გლეხებთან ძალიან თბილი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. მოურავმა ხელიდან არ გაუშვა ბატონის სახლში არყოფნის შანსი, ისარგებლა ქვეყანაში პოლიტიკური დაძაბულობით და ერთ დღეს სასახლიდან დაითხოვა ყველა გლეხი. მათ შორის არქივარიუსი ოსმანიც. ოსმანმა თავის ხურჯინში ჩაალაგა ტანსაცმელი, აგრეთვე ყველა ის წიგნი, რომელიც აკაკისგან ჰქონდა ნაბოძები. ეს იყო „აკაკის კრებული, “ ლექსების ოსმანისეული ხელნაწერებიც, რომლებიც კრებულში არ მოხვედრილა. ყველა წიგნს თუ კრებულს აკაკის ავტოგრაფი ამშვენებდა. დღეისთვის ოსმანის დანატოვარ ოჯახში შემორჩენილია სკივრი, ხოლო წიგნებიდან ორი „აკაკის კრებული,“ რომლებიც 1898 წლითაა დათარიღებული. იყო სხვა წიგნებიც, მაგრამ ისინი ოსმანის სახლიდან ნათესავებმა წაიღეს.

თბილისიდან აკაკიმ მოურავს წერილით უსაყვედურა ოსმანის გათავისუფლების გამო. ეს წერილი რამდენჯერმე გამოქვეყნდა აკაკის თხზულებებში.

აკაკიმ ამ პერიოდში წერილი გაუგზავნა ოსმანს, მასთან მუშაობას სთავაზობდა, მაგრამ ოსმანმა იქ წასვლა შექმნილი ვითარების გამო ვერ შეძლო. აკაკისგან წამოღებულ წიგნებს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, ეფერებოდა, ვინ იცის მერამდენედ კითხულობდა მათ. სულ აკაკიზე საუბრობდა, იგონებდა დიდ პოეტთან გატარებულ ყველა შემთხვევას. ამ დროს მას სახე გაუბრწყინდებოდა და დიდი სიამოვნებით ყვებოდა ერთად გატარებულ დროზე.

... ერთხელ აკაკი და ოსმანი ცხენზე ამხედრებულნი გზად მიდიოდნენ. გზა-გამყოფზე აკაკი ეკითხება ოსმანს – რომელი გზით აჯობებს წასვლაო. – ეს გზა „პრიამოია“ და ცუდი. მეორე, აი აქეთ მიდის, შორია, მაგრამ კარგი, – უპასუხა ოსმანს.

მათ შორი გზა ირჩიეს და სვლა განაგრძეს. ცოტა ხნის შემდეგ აკაკი ეკითხება: – ოსმან, რუსული იცი? არაო, უპასუხა ოსმანმა. აკაკიმ განაგრძო: – მე რუსული კარგად ვიცი, მაგრამ ქართულად მეტყველების დროს რუსულ სიტყვებს არ ვიყენებო და შენც ამას გირჩევო. ოსმანმა ბოდიში მოიხადა და ეს შეცდომა რუსეთის სამსახურში ყოფნით ახსნა.

პოეტი ოსმანს თითქმის ყველგან დაატარებდა. ერთხელ ილიასთან სტუმრობის დროს ოსმანიც თან ახლდა. ამ შეხვედრაზე ილიას ქება-დიდება ისმოდა. საღამოზე ერთმა სტუმართაგანმა აკაკის მიმართა:

– თქვენც ხომ დიდი პოეტი ხართ... რატომაა, რომ დღეს მარტო ილიას ქება ისმის და თქვენზე ერთი სიტყვაც არ თქმულა? აკაკი დინჯად წამოდგა, მოსაუბრეს ირიბად გადახედა, თასი შეავსო და სადღეგრძელო წარმოსთქვა ლექსად:

დათვმა ლხინი გადიხადა,
მოიწვია მეგობრები,

გარეშემო ბევრი ჰყავდა:
ტურა, მელა, კატა, მგელი...
ილია დათვს შეადარა, ხოლო ყველა დანარჩენი წვრილფეხა ნადირებს.

ოსმანის შვილიშვილი – ქალბატონი ეთერი, იგონებს:

- ბაბუას ოთახის კედლები სავსე იყო აკაკის ფოტოსურათებით. გულდასმითა და სასოებით ეფერებოდა ყველაფერს, რაც აკაკისთან იყო დაკავშირებული.

მახსოვს ერთხელ სოფელში ბიბლიოთეკა დაშალეს, სხვა ადგილას გადატანის გამო. მე იმ დროს მე-2 კლასში ვსწავლობდი და შემთხვევით აკაკის ორ წიგნს წავაწყდი. წიგნები ავიღე და ბაბუას მივუტანე. ბაბუამ გამომართვა, სახე გაებადრა, თვალებზე ცრემლიც კი მოადგა.

კიდევ ერთს გვიყვება მისი შვილიშვილი დავითი:

- ღრმა მოხუცებულ ბაბუას სიარული უჭირდა, მოუშვა წვერი ისე, როგორც აკაკის ჰქონდა. ის თითქმის ყველაფერში აკაკის ბაძავდა. ერთხელ გაიგო, რომ სხვიტორსა და სავანეში კინოფილმი გადაუღიათ აკაკიზე. „აკაკის აკვანს" ტელევიზია გადმოცემდა. იმ დროს ოჯახში ტელევიზორი არ გვქონდა და ბაბუას მეზობელთან გადასვლა დასჭირდა. ის გზადაგზა ისვენებდა, მაგრამ ჩქარობდა, რომ ფილმი თავიდან ბოლომდე ენახა. შედგა თუ არა ფეხი კარებში, შუქი ჩაქრა. მან ეს ისე განიცადა, რომ თითქმის განახევრდა კაცი, ეს რა მომივიდა, როგორ ვერ ვნახე ჩემი ნაცნობი ადგილებიო.

დავითი იგონებს კიდევ ერთ ეპიზოდს: ბაბუა, უკვე მძიმე ავადმყოფი, საწოლს იყო მიჯაჭვული. მის სანახავად მოდიოდნენ სტუმრები, ნათესავები. ბაბუა მათთან საუბრისას რატომღაც თავის ახალგაზრდობას და სხვიტორში აკაკის სახლში გატარებულ დროს იხსენებდა. აკაკის პოეზია ზეპირად იცოდა და სიამოვნებდა კიდეც, როცა იგი ამ ლექსებს კითხულობდა. მნახველნი, ნათესაობა გაკვირვებული იყო. მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, აკაკის ლექსებს როგორ გატაცებით გვიკითხავსო. განსაკუთრებით მოსწონდა აკაკის „გამზრდელი," უყვარდა ამ პოემის შინაარსი და ყველას უხსნიდა, თუ რას ნიშნავდა პოემაში ნათქვამი ესა თუ ის სტრიქონი. ბაბუასთან, ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში, სტუმრად ნამყოფია პოეტი კარლო კალაძე, ხოლო ბაბუას სიკვდილის შემდეგ, 1970 წელს, ჩვენს ოჯახს სტუმრობდნენ მკვლევარი რამაზ სურმანიძე და პოეტი ჯემალ ქათამაძე.

აკაკის დაკრძალვაზე ქობულეთიდან დელეგაცია წავიდა გულო კაიკაციშვილის მეთაურობით. ამ დელეგაციის ერთ-ერთი წევრი ოსმან მჭედლიშვილი იყო.

ოსმან მჭედლიშვილს მიაჩნდა, რომ მოსახლეობის საფუძვლიანი განათლების და სწორი მსოფლმხედველობის შექმნისთვის საჭირო იყო ქართული სკოლის დაარსება. რელიგიური წინააღმდეგობის მიუხედავად, ოსმანმა მოახერხა მიზნის მიღწევა. მას გვერდში დაუდგნენ ისეთი ცნობილი თანასოფლელები, როგორებიც იყვნენ: იუნუს წულუკიძე, ახმედ-აღა წილოსანი, ალი სტამბოლიშვილი, მ. კობალაძე, სულეიმან ირემაძე, ო. რომანაძე. იმ დროისთვის სოფელში წერა-კითხვა გამართულად მხოლოდ ოსმანმა იცოდა. იუნუს წულუკიძის მეშვეობით იგი ქუთაისის სტამბიდან უფასოდ ღებულობდა გაზეთებს და დიდ მუშაობას ეწეოდა სოფელში, რომ გახსნილიყო სკოლა. 1917 წელს სოფლის თავკაცების ინიციატივით ისმაილ წულუკიძის სახლში გაიხსნა სკოლა, რომელმაც 2 წელი იარსება. მასწავლებლებად მოწვეული იყვნენ გურიიდან, ზინა ებრალიძე და ნინა ჭყონია. სკოლაში სულ 8 ბავშვი სწავლობდა.

ფანატიკოსმა მუსლიმანებმა სკოლას და ოსმანს ბოიკოტი გამოუცხადეს. ბავშვების მშობლებს ხელს უშლიდნენ სიმინდის დათესვაში, წისქვილში სიმინდის დაფქვევის დროს წყალს გადაუგდებდნენ გვერდზე და არ აძლევდნენ ნორმალურად ცხოვრების საშუალებას, მაგრამ დროება თავისი გზით წავიდა. ბოლოს ყველა დარწმუნდა, რომ მომავალი თაობის აღსაზრდელად სკოლა აუცილებელი იყო.

1921 წელს საქართველოში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ შეიქმნა სასოფლო საბჭო, რომელიც უნდა დაკომპლექტებულიყო განათლებული ადამიანებით. ოსმან

მჭედლიშვილი სასოფლო-საბჭოს თავმჯდომარის – სულეიმან მენაბდის მოადგილედ დანიშნეს.

1923 წელს ოსმან მჭედლიშვილმა და სოფლის თავკაცებმა სოფელ კოხში შავიშვილისგან იყიდეს ოთხოთახიანი ხის სახლი, ჩამოიტანეს სოფელ ლეღვაში და 1924 წელს გახსნეს 7-წლიანი სკოლა. მისი პირველი დირექტორი იყო სულეიმან ირემაძე. სკოლის გახსნის დღეს ოსმანის შვილმა, ხუთი წლის აიშემ წაიკითხა ლექსი, რომელიც მას მამამ ასწავლა.

„დიახ, ვხარობ თქვენი მოსვლით
და მოგიძღვნით მზიურ სალამს,
ვიცი, ჩვენი მამები ხართ,
ვაფრიალებთ წითელ ალამს.
დე, სხვა ხალხმაც გაიგონოს,
რომ ჩვენცა ვართ შეგნებული,
ჩვენშიც მეფობს რწმენა მტკიცე,
შრომა, გარჯა ჩვენებური."

ოსმან სეფერის ძე მჭედლიშვილი გარდაიცვალა 1968 წელს. ერთი წლის შემდეგ, 1969 წელს გარდაიცვალა მისი მეუღლე ფადიმე მჟავანაძე. დასაფლავებულნი არიან სოფლის საგვარეულო სასაფლაოზე, ლეღვაში.

P. S. ეს წერილი მზად იყო, როცა მიზანშეწონილად ჩავთვალე, ვსტუმრებოდი სხვიტორში აკაკის სახლმუზეუმს და შემევსო იგი ახალი მასალებით. ჩემი განზრახვა გავუზიარე მწერალ რამაზ სურმანიძეს. მან არა მარტო ჩასვლა მირჩია სხვიტორში, არამედ თვითონაც გამოთქვა სურვილი და ჩვენ ოსმანის შვილიშვილთან, დავით მჭედლიშვილთან, მის ვაჟთან მიხეილთან და მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის ვიცე-პრეზიდენტთან, ჟურნალ „ქედის" რედაქტორთან ბატონ შაქრო ჩიკვაიძესთან ერთად ვეწვიეთ სხვიტორს.

აკაკისა და მისი საგვარეულოს შესახებ ამომწურავად გვესაუბრნენ სახლმუზეუმის ფონდის მცველი, 80 წლის კლარა მაჭარაშვილი და მუზეუმის ექსკურსიამძღოლი ირინა ფხალაძე. ფოტოსურათებზე აღვბეჭდეთ სახლი, სადაც აკაკი ცხოვრობდა, მისი ბეღელი და სასიმინდე ნალიები, საცხოვრებელი ჯარგვალი, სადაც ცხოვრობდნენ მოსამსახურეები, მათ შორის ჩვენი გმირი ოსმან მჭედლიშვილი.

იხ. ფოტოსურათები.



აკაკის სახლ-მუზეუმი
რამაზ სურმანიძე, კლარა მაჭარაშვილი და ჯეირან-გიორგი ფალავანდიშვილი



აკაკის სახლ-მუზეუმის აივანი.
მარცხნიდან – ბენიამენ ფალავანდიშვილი (საჩხერეს მუნიციპალიტეტის მერი), ჯეირან-გიორგი ფალავანდიშვილი (აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის პრეზიდენტი), ლევან ივანაშვილი (საჩხერეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე), შაქრო ჩიკვაიძე (აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, ჟურნალისტი), რამაზ სურმანიძე (მწერალი, პროფესორი), კლარა მაჭარაშვილი (აკაკის სახლმუზეუმის ფონდის მცველი), დავით მჭედლიშვილი (ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე), ირინა ფხალაძე (მუზეუმის ექსკურსიამძღოლი), ირაკლი ჩხიკვაძე (საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის I მოადგილე



შვილიშვილი – დავითი სხვიტორში, აკაკის სახლმუზეუმში.
ბაბუას წარსულის კვალდაკვალ



რამაზ სურმანიძე სხვიტორში, აკაკის სახლმუზეუმში



სახლი, სადაც ცხოვრობდა აკაკისთან მომუშავე გლეხობა,
მათ შორის ჩვენი გმირი ოსმან მჭედლიშვილი



300-წლოვანი კაკლის ხე, აკაკის სახლ-მუზეუმის ეზოში

**Jeiran-Giorgi Phalavandishvili**

**With Akaki. . . in Skhvitori**

**Summary**

In the village of Skhvitori, in the house of the classic of Georgian poetry – Akaki Tsereteli, there was Osman Mchedlishvili, the guardian and caretaker of the writer's manuscripts and library, who was a resident of the village of Legva in the Kobuleti region. This is what the article is about.

*ზაზა ბურკაძე*

## *საფრანგეთის შიგა წინააღმდეგობის მოძრაობა: ეროვნული აჯანყება*

მას შემდეგ, რაც 1943 წლის მაისში ოკუპირებულ საფრანგეთში წინააღმდეგობის ეროვნული საბჭო შეიქმნა (2; გვ. 12-14), რომელმაც გერმანელთა წინააღმდეგ მებრძოლი პატრიოტული ორგანიზაციები და მათი შეიარაღებული ძალები გააერთიანა, ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი წინააღმდეგობის მოძრაობის სამხედრო-პოლიტიკური შეკავშირების და ეროვნული აჯანყების მომზადების ხელსაყრელი პირობები გაჩნდა. აღმოსავლეთის ფრონტზე 1943 წლის განმავლობაში გერმანული ჯარების მიერ განცდილი დიდი მარცხი, ანგლო-ამერიკული ძალების იტალიაში შეჭრა და ამასთან ერთად მათი ჩრდილო საფრანგეთში გადასხდომისთვის მზადება ამ აჯანყების წარმატებით განხორციელების და საფრანგეთის გათავისუფლების რეალურ პერსპექტივას ქმნიდა.

მიუხედავად იმისა, რომ შექმნისთანავე წინააღმდეგობის ეროვნულმა საბჭომ მძიმე დარტყმა იწვნია, რადგან გერმანელებმა 1943 წლის ივნისში ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჟ. მულენი და გაერთიანებული შეიარაღებული ძალების _ „საიდუმლო არმიის" მეთაური გენერალი დელესტრენი დააპატიმრეს, მისი პოლიტიკური და სამხედრო როლი თანდათანობით იზრდებოდა. ორგანიზაციის ახალი ხელმძღვანელი ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, აგრეთვე წინააღმდეგობის მოძრაობის ორი მძლავრი ორგანიზაციის „კომბას" და „ეროვნული ფრონტის" წევრი ჟ. ბიდო, რომელსაც მხარს პ. ვიიონი („ეროვნული ფრონტი"), ლ. საიანი (პროფკავშირული გაერთიანება „შრომის საყოველთაო კონფედერაცია"), მ. ბლოკ-მასკარი („სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზაცია") და პ. კოპო („წინააღმდეგობის გაერთიანებული მოძრაობა") უმაგრებდნენ, წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს ადგილობრივი ორგანოების _ განთავისუფლების კომიტეტების (რომელთაც ცალკეულ დეპარტამენტებში არსებული წინააღმდეგობის ორგანიზაციების მოქმედების კოორდინაცია უნდა მოეხდინათ) შექმნას შეუდგა. 1943 წლის სექტემბერში წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ადგილობრივი ორგანო _ პარიზის განთავისუფლების კომიტეტი ჩამოყალიბდა, რომელსაც სათავეში პარიზის პროფკავშირების გაერთიანების ხელმძღვანელი, კომუნისტური პარტიის წევრი ა. ტოლე ჩაუდგა. განთავისუფლების კომიტეტების ფორმირება წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს მსგავსად წინააღმდეგობის მოძრაობის ჯგუფების, პოლიტიკური პარტიების და პროფკავშირების წარმომადგენლებისგან ხდებოდა. ისინი წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს მითითებებს ასრულებდნენ და ადგილებზე ამ ორგანიზაციის საყრდენები და განმათავისუფლებელი ბრძოლის ცენტრები ხდებოდნენ. (12; გვ. 208)

1944 წლის დამდეგს წინააღმდეგობის ეროვნულმა საბჭომ გაერთიანებული შეიარაღებული ძალების („საიდუმლო არმიის") რეორგანიზაცია განახორციელა, რომლის მიზანი მისი შიგა კონსოლიდაციის დონის ამაღლება და ერთიანი სამხედრო ხელმძღვანელობის შექმნა იყო. „საიდუმლო არმიას" „საფრანგეთის შინაგანი ძალები ეწოდა" და მას სათავეში ეროვნული შტაბი ჩაუდგა, რომელსაც ქვეყნის შიგნით მომავალი საომარი ოპერაციები უნდა დაეგეგმა. ამ საომარი ოპერაციების საერთო ხელმძღვანელობა კი საომარ მოქმედებათა კომიტეტს უნდა ეთავა. ეროვნული შტაბის მეთაურად „წინააღმდეგობის გაერთიანებული მოძრაობის" წარმომადგენელი გენერალი დეჟიუსიე-პონკარალი დაინიშნა (რომელიც მაისში, მისი დაპატიმრების შემდეგ კომუნისტმა გენერალმა მალერე-ჟუენვილმა შეცვალა), ხოლო საომარ მოქმედებათა კომიტეტს კი სათავეში „ეროვნული ფრონტის" ლიდერი კომუნისტი პ. ვიიონი ჩაუდგა.

წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს შექმნა (რომელიც უკვე ქვეყნაში მოქმედ პატრიოტულ ძალებს მთლიანად აკონტროლებდა) და მისი სტრუქტურული გამტკიცება სეროზულად აძლიერებდა გენერალ დე გოლის ხელმძღვანელობით 1943 წლის 3 ივნისს

ალჟირში შექმნილ საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის (1; გვ. 30-32) პოზიციებს, რომელიც საფრანგეთის კოლონიურ იმპერიაში არსებულ სამხედრო ძალებს აერთიანებდა და ფაქტობრივად ქვეყნის დროებით მთავრობას წარმოადგენდა. საფრანგეთის მთელი წინააღმდეგობის მოძრაობის შეკავშირების მიზნით 1943 წლის ნოემბერში საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის შემადგენლობა კიდევ უფრო გაფართოვდა. მასში შიგა წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, აგრეთვე საფრანგეთის ყოფილი პარლამენტის დეპუტატები (იმ დეპუტატთაგან, რომელთაც 1940 წლის ივლისში ხელისუფლების პეტენის მთავრობისათვის გადაცემის წინააღმდეგ მისცეს ხმა) შევიდნენ. ნოემბერშივე კიდევ უფრო დიდი წარმომადგენლობითი ორგანო დროებითი საკონსულტაციო ასამბლეა შეიქმნა, რომელმაც პარლამენტის ფუნქციები ითავა. ასამბლეას ეროვნული განთავისუფლების კომიტეტისათვის ვიშის ხელისუფლების ლიკვიდაციის, ახალი სახელმწიფო წყობის შექმნის, პოლიტიკური და სოციალური რეფორმების, შიგა წინააღმდეგობის მოძრაობისთვის დახმარების ფორმების, საგარეო პოლიტიკის და ა. შ. საკითხებში რეკომენდაციები უნდა შეემუშავებინა (9; გვ. 212).

საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი საკმაოდ მნიშვნელოვან არმიასაც აკონტროლებდა. ეს არმია _ „საფრანგეთის განთავისუფლების ძალები“, რომელიც ყოფილი ვიშისტური კოლონიური არმიის და დე გოლის პატრიოტული ორგანიზაციის „მებრძოლი საფრანგეთის“ სამხედრო ნაწილების შერწყმის შედეგად შეიქმნა, 1944 წლის გაზაფხულზე მოკავშირეთა მიერ კარგად აღჭურვილ 8 დივიზიას (500000 ჯარისკაცი) ითვლიდა. აქედან ერთი _ მე-2 ჯავშან-სატანკო დივიზია, რომელსაც მონაწილეობა ანგლო-ამერიკული ძალების ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრაში უნდა მიეღო, ინგლისში გადასასვლელად ემზადებოდა. სამი დივიზია ჯერ-ჯერობით ჩრდილოეთ აფრიკაში რჩებოდა, ხოლო დანარჩენი ოთხი იტალიაში მიმდინარე საომარ ოპერაციებში იყო ჩართული (5; გვ. 310). აღსანიშნავია, რომ ფრანგულმა დივიზიებმა დიდი როლი ითამაშეს რომთან მიმდინარე საომარ ოპერაციებში. სწორედ მათი მედგარი შეტევის წყალობით მოხერხდა აქ გერმანელთა ფრონტის გარღვევა და 1944 წლის 4-5 ივნისს მოკავშირეთა ჯარების იტალიის დედაქალაქში შესვლა (3; გვ. 390).

როგორც უკვე ითქვა წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს ეგიდით საფრანგეთში მოქმედი პატრიოტული ძალების კონსოლიდაცია საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტს მყარ საფუძველს უქმნიდა, მაგრამ ვინაიდან წინააღმდეგობის ეროვნულ საბჭოში კომუნისტებს დიდი გავლენა ქონდათ გენერალი დე გოლი თვლიდა, რომ საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტს წინააღმდეგობის ეროვნული საბჭო თავისი კონტროლის ქვეშ უნდა მოექცია, რათა ქვეყნის განთავისუფლების მომენტში შიგა წინააღმდეგობის ძალებს ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ემოქმედათ რაც საბოლოოდ მას განთავისუფლებულ რეგიონებში ხელისუფლების დროებითი ორგანოების დაუბრკოლებლად შექმნის საშუალებს მიცემდა. დე გოლის ამ მოსაზრებას ისიც ამყარებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის მთავრობები, რომლებმაც საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი ოფიციალურად ცნეს, ამ ორგანიზაციას საფრანგეთის დროებით მთავრობად არ აღიარებდნენ და განთავისუფლებული ქვეყნის მართვას გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოკავშირეთა სამხედრო ადმინისტრაციის მეშვეობით აპირებდნენ, რომელშიც ფრანგი პოლიტიკური მოღვაწეებიც (მათ შორის საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის წევრებიც) იქნებოდნენ შეყვანილნი.(12; გვ. 252; 8; გვ. 270).

შიგა წინააღმდეგობის მოძრაობის გაკონტროლების მიზნით დე გოლმა 1943 წლის ზაფხულში ე. წ. გენერალური დელეგაცია შექმნა, რომელშიც ოკუპირებულ ქვეყანაში საიდუმლოდ შეგზავნილი მისი წარმომადგენლები შედიოდნენ და რომელსაც სათავეში ყოფილი სახელმწიფო მოხელე (რომელმაც ვიშის ხელისუფლებასთან თანამშრომლობა უარყო) ა. პაროდი ჩაუდგა. 1944 წლის დამდეგს საფრანგეთის არმიის ყოფილი ოფიცრის და ვიშის მთავრობის სამრეწველო წარმოების სამინისტროს თანამშრომლის ჟ. შაბან-დელმასის (რომელიც საიდუმლოდ წინააღმდეგობის მოძრაობაში იყო

ჩართული) ხელმძღვანელობით კიდევ ერთი ორგანო _ სამხედრო დელეგაციაც ჩამოყალიბდა. გენერალური და სამხედრო დელეგაციების წევრები შიგა წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელებს რეგულარულად ხვდებოდნენ, მათ დე გოლის მითითებებს აცნობდნენ, მთელი მოძრაობის ფინანსებით და იარაღით მომარაგებას უზრუნველყოფდნენ და ხშირად სამხედრო ოპერაციების მართვაშიც მონაწილეობდნენ. „საფრანგეთის შინაგანი ძალები" და მისი ეროვნული შტაბი დე გოლმა გენერალ კენიგს დაუქვემდებარა, რომელიც ლონდონში იმყოფებოდა. დე გოლის მოთხოვნით გენერლები კენიგი, კოშე და ლეკლერკი მოკავშირეთა მთავარსარდლობის შემადგენლობაში იქნენ შეყვანილნი. ამასთან ერთად დე გოლმა 1944 წლის გაზაფხულზე წინააღმდეგობის ეროვნულ საბჭოსთან შეთანხმებით რეგიონალური კომისრები და პრეფექტები დანიშნა. მათ ფრანგული და მოკავშირეთა არმიების უსაფრთხოების უზრუნველყოფის, განთავისუფლებული ტერიტორიების მართვის ორგანიზების, რესპუბლიკური კანონების აღდგენის და მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი ყველა ღონისძიების განხორციელება უნდა უზრუნველეყოთ (6; გვ. 358).

მაგრამ საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტსა და წინააღმდეგობის ეროვნულ საბჭოს შორის სერიოზული უთანხმოებას ეროვნული აჯანყების მომზადების და განხორციელების მეთოდების საკითხი იწვევდა. ჯერ კიდევ 1942 წლის აპრილში გენერალმა დე გოლმა განაცხადა, რომ „ეროვნული განთავისუფლება და ეროვნული აჯანყება ერთმანეთისაგან განუყოფელი იყო" (5; გვ. 313), მაგრამ გენერალი ამ აჯანყებას გარკვეულ ჩარჩოში აქცევდა. მისი აზრით აჯანყება მოკავშირეთა ჯარების გადმოსხდომის შემდეგ მხოლოდ საფრანგეთის შინაგან ძალებს უნდა განეხორციელებინათ და მათი მოქმედება საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტთან და მოკავშირეთა სარდლობასთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული. ანგლო-ამერიკული ძალებისთვის სამხედრო დახმარების გაწევის გარდა მათ ვიშის რეჟიმის დამხობა და განთავისუფლებულ ტერიტორიებზე ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაცია უნდა მოეხდინათ, რომელზე დაყრდნობითაც ალჟირიდან საფრანგეთში გადმოსული ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი დროებითი მთავრობის ფუნქციების განხორციელებას შეძლებდა.

იმისათვის, რათა აჯანყება საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის სრული კონტროლით წარმართულიყო გენერალ კენიგის შტაბმა გარკვეული გეგმები შეიმუშავა (გეგმა „კაიმანი" და გეგმა „მთიელი"), რომელთა მიხედვითაც საფრანგეთის შინაგანი ძალების პარტიზანული რაზმები მთიან რეგიონებში მოწყობილ სპეციალურ საბაზო ბანაკებში დიდი დაჯგუფებების სახით უნდა ყოფილიყვნენ კონცენტრირებულნი. ასეთი დაჯგუფებები საოკუპაციო ჯარებზე ორგანიზებული თავდასხმებით ქვეყნის შიგნით განთავისუფლებულ ზონებს შექმნიდნენ. მოკავშირეთა გადმოსხდომის შემდეგ სწორედ ამ ზონებიდან განხორციელებული იერიშებით, რომელთა სამიზნე გერმანელთა შენაერთები, აეროდრომები და ნავსადგურები იქნებოდა, პარტიზანები ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში ჩაებმებოდნენ. ზემოთაღნიშნულის გარდა შემუშავებული იქნა სპეციფიკური გეგმებიც („მწვანე გეგმა", „ცისფერი გეგმა", „იისფერი გეგმა"), რომლებიც რკინიგზების, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების და სატელეფონო კავშირის მწყობრიდან გამოყვანას ითვალისწინებდნენ. 1944 წლის დამდეგს ამგვარი ბანაკები (მათი მოწყობა ჯერ კიდევ 1943 წლიდან დაიწყო) მთათა ცენტრალურ მასივში, არდენების მთებში და ალპებში იყო შექმნილი. მათგან ყველაზე უფრო დიდი ბანაკები ალპებში, გლიერის (სავოიის მხარე) და ვერკორის (დოფინეს მხარეში, ქალაქ გრენობლის მახლობლად) პლატოებზე იყვნენ განლაგებულნი. ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის ხელმძღვანელთა აზრით ეროვნული აჯანყება წმინდა სამხედრო ოპერაცია უნდა ყოფილიყო, რომლის მსვლელობაშიც პარტიზანებს საომარი მოქმედებები უნდა ეწარმოებინათ და თანდათანობით ამ ორგანიზაციის რეგულარულ დივიზიებს შეერთებოდნენ, რომლებიც საფრანგეთში ანგლო-ამერიკულ ჯარებთან ერთად შემოვიდოდნენ.

მაგრამ წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს მესვეურთა უმრავლესობას ეროვნული აჯანყება სხვაგვარად წარმოედგინა. ისინი ფიქრობდნენ, რომ ეს უნდა ყოფილიყო არამარტო საფრანგეთის შინაგანი ძალების ორგანიზებული საომარი ოპერაციები, არამედ მოსახლეობის ფართო მასების შეიარაღებული გამოსვლა, რომლის შედეგადაც ე. წ. „პატრიოტული მილიციის“ რაზმები შეიქმნებოდა და ოკუპანტთა წინააღმდეგ ნამდვილი სახალხო ომი გაჩაღდებოდა (5; გვ. 316). ამასთან ერთად ეს აჯანყება შეიძლებოდა მოკავშირეთა გადმოსხდომამდეც დაწყებულიყო, რადგან გერმანულ სარდლობას დასავლეთ ევროპიდან სამხედრო ნაწილები აღმოსავლეთის ფრონტზე გადაყავდა და შესაბამისად საფრანგეთშიც გერმანიის ჯარების რაოდენობაც გარკვეულწილად მცირდებოდა. ასეთ ვითარებაში კი აჯანყებულებს ფართო ტერიტორიების განთავისუფლების დიდი შესაძლებლობა ეძლეოდათ, რაც საბოლოო ჯამში საფრანგეთში ანგლო-ამერიკული ძალების დესანტირებას ბევრად გაამარტივებდა. უნდა ითქვას, რომ ჩრდილოეთ საფრანგეთში მოქმედი წინააღმდეგობის ჯგუფი „სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზაცია“, აგრეთვე აქ არსებული ჯგუფების („ლიბერასიონ ნორი“, „სე დე ლა რეზისტანსი“, „სე დე ლა ლიბერსიონი“) წევრთა გარკვეული ნაწილი ეროვნული აჯანყების შესახებ საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის მოსაზრებას იზიარებდა. მაგრამ საბოლოოდ წინააღმდეგობის სხვა ჯგუფების „კომბას“, „ფრანტირერის“ და „ლიბერასიონ სიუდის“, განსაკუთრებით კი კომუნისტური „ეროვნული ფრონტის“ (რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანი გაერთიანება იყო) ძალისხმევით ეს გათიშულობა დაძლეული იქნა. ფრანგი პატრიოტები, რომელთათვის მთავარი ამოცანა ქვეყნის რაც შეძლება სწრაფად განთავისუფლება იყო სახალხო ომის იდეის ირგვლივ გაერთიანდნენ.

სწორედ ეს ერთიანობა იყო წარმოჩენილი წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს პროგრამაში რომელიც 1944 წლის მარტში იქნა შემუშავებული. პროგრამის პირველ ნაწილში ნათქვამი იყო, რომ ქვეყანაში „პატრიოტული მილიცია“ და შესაბამისად ოკუპანტთა წინააღმდეგ მასობრივი შეიარაღებული ბრძოლა დაუყოვნებლივ უნდა ყოფილიყო ორგანიზებული და რომ სამხედრო მოქმედებები მოსახლეობის ასევე მასობრივ აქციებთან (გაფიცვები, დემონსტრაციები) უდა ყოფილიყო შერწყმული (12; გვ. 236). პროგრამის ავტორები საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტს მოუწოდებდნენ, რომ მას პატრიოტთა იარაღით მომარაგებისათვის ყველა ღონე ეხმარა და აცხადებდნენ, რომ საომარი ოპერაციებს წინააღმდეგობის ეროვნული საბჭო მასთან შეათანხმებდა.

პროგრამის მეორე ნაწილში კი უკვე განთავისუფლებულ საფრანგეთში განსახორციელებელი ღონისძიებები იყო განხილული. წინააღმდეგობის ეროვნული საბჭო გენერალ დე გოლის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის დროებითი მთავრობის შექმნას, სახელმწიფო აპარატის ვიშისტებისგან გაწმენდას და მოღალატეთა დასჯას მოითხოვდა. (13; გვ. 217; 6; გვ. 358). დოკუმენტში დიდი ყურადღება ეკონომიკის და სოციალურ სფეროებს ეთმობოდა. ნათქვამი იყო, რომ პოლიტიკური დემოკრატიის დონის ამაღლებასთან ერთად ქვეყანაში ნამდვილი სოციალური და ეკონომიკური დემოკრატია უნდა დამყარებულიყო, რაც ნაციონალიზაციის და სახელმწიფოს მიერ რეგულირების გზით ეკონომიკაში მონოპოლიათა ბატონობის ლიკვიდაციას, კერძო ინტერესების საზოგადოების ინტერესებზე დაქვემდებარებას და აგრეთვე მოსახლეობის სრულ სოციალურ დაცვას უზრუნველყოფდა (5; გვ. 319).

წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს მიერ შემუშავებულ ამ დოკუმენტს მეტად დიდი მნიშვნელობა ქონდა. იგი იმაზე მიუთითებდა, რომ ქვეყნის შიგნით მოქმედ პატრიოტული ძალებს არამარტო ოკუპანტთა წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისკენ სწრაფვა, არამედ განთავისუფლებული ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოწყობის ფართო დემოკრატიული პლატფორმაც აერთიანებდათ.

1944 წლის დამდეგიდან საფრანგეთის შიგა წინააღმდეგობის მოძრაობა კიდევ უფრო გაფართოვდა. საფრანგეთის შინაგანი ძალების რიცხვი თანდათან იზრდებოდა, რასაც პარტიზანთა ახალი შეიარაღებული ბანაკების გაჩენა მოწმობდა. კიდევ უფრო მომრავლდა ასეთი ბანაკები ცენტრალურ მასივში, აგრეთვე ლიმუზენის და ოვერნის

მხარეებში ქალაქების ლიმოჟის და კლერმონ ფერანის ახლოს, ბანაკების რაოდენობა გაიზარდა ალპებში, კერძოდ კი მაღალი ალპების, დრომის და იზერის, აგრეთვე პირენეის მთების მიმდებარე დორდონის, ლოს, ტარნის და არიეჟის დეპარტამენტებში. საკმაოდ დიდი იყო ბანაკების რიცხვი საფრანგეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ბურგუნდიის და ფრანშ-კონტეს მხარეებშიც. მაგრამ ამ პროცესს იარაღის უკიდურესი ნაკლებობა დიდად აფერხებდა. საფრანგეთის შინაგანი ძალების სათანადოდ შეიარაღებისათვის ანგლო-ამერიკული ჯარების დესანტირებამდე რამდენიმე თვის განმავლობაში მათთვის ყოველდღიურად პარაშუტებით არანაკლებ 60 ტონა სამხედრო აღჭურვილობის მიწოდება იყო საჭირო. მაგრამ 1944 წლის მარტიდანაც კი მათ მხოლოდ დღეში 20 ტონა მიეწოდებოდათ. მოკავშირეთა შემოჭრის დღეებშიც კი საფრანგეთის შინაგანი ძალების მხოლოდ ნახევარი იყო შეიარაღებული, თუმცა მას არც ტანკები არც არტილერია და არც თვითმფრინავები არ გააჩნდა (7; გვ. 174). ეს გარდა იარაღის მიწოდებასთან დაკავშირებული სირთულეებისა, იმითაც იყო განპირობებული, რომ მოკავშირეთა უმაღლესი სარდლობის შტაბს საფრანგეთის შიგა წინააღმდეგობის მოძრაობის საბრძოლო პოტენციალზე ნათელი წარმოდგენა არ ქონდა და ამიტომ იგი არც ფრანგული ძალების ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში ჩაბმას ელოდა. ანგლო-ამერიკული სარდლობის ვარაუდით წინააღმდეგობის მოძრაობის ძალები მოკავშირეებს მხოლოდ სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდებით, გერმანული კომუნიკაციების დარღვევით და პარტიზანული ხასიათის ოპერაციებით დაეხმარებოდნენ. დიდწილად სწორედ იარაღის ნაკლებობის შედეგი იყო ის, რომ 1944 წლის მარტში გერმანულმა რეგულარულმა ნაწილებმა და ვიშისტურმა მილიციის ძალებმა შეძლეს ზემოთაღნიშნული გლიერის პლატოს პარტიზანული ბანაკის განადგურება, სადაც 450 მოხალისე იყო თავმოყრილი. პარტიზანთა მხოლოდ ერთმა მესამედმა შეძლო ალყიდან თავის დაღწევა დანარჩენები ბრძოლაში დაიღუპნენ ან ტყვედ ჩავარდნენ.

მიუხედავად ამისა პარტიზანთა ოპერაციები უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენდა. 1944 წლის მხოლოდ თებერვლის თვის ყოველი 10 დღის განმავლობაში გერმანულ შეიარაღებულ ძალებზე 70-90 თავდასხმა ხორციელდებოდა (8; გვ. 272). 1944 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში პარტიზანებმა რკინიგზებზე 2731 დივერსიის აქტი განახორციელეს (12; გვ. 242). ოკუპანტები, რომლებიც წინააღმდეგობის მოძრაობის განადგურებას ცდილობდნენ, პარტიზანთა კონცენტრაციის რაიონებში ტანკების არტილერიის და ავიაციის გამოყენებით მსხვილ ოპერაციებს ანხორციელებდნენ, მაგრამ იმ ადგილებშიც კი, სადაც ისინი გარკვეულ წარმატებას აღწევდნენ, ცოტა ხნის შემდეგ პარტიზანთა ახალი რაზმები იქმნებოდა.

1944 წლის მაისში ანგლო-ამერიკული ძალების ჩრდილოეთ საფრანგეთში გადმოსხდომის პერსპექტივა ნათლად გამოიკვეთა. ინგლისის სამხრეთში მათი დიდი დაჯგუფება იქნა თავმოყრილი, რომელიც 86 დივიზიისგან (მათ შორის 25 სატანკო) შედგებოდა. მას გერმანულ არმიათა ჯგუფ „B-ს" 59 დივიზია (მათ შორის 10 სატანკო) უპირისპირდებოდა, რომლებიც ჰოლანდიიდან მდინარე ლუარამდე არსებულ სანაპირო ზოლზე იყვნენ თავმოყრილნი. გარდა ამისა სამხრეთ საფრანგეთში განლაგებული იყო გერმანული არმიათა ჯგუფი „G", რომელიც თავის შემადგენლობაში 21 დივიზიას აერთიანებდა (10; გვ. 122). მოკავშირეთა ავიაცია 11530 საბრძოლო და სატრანსპორტო თვითმფრინავს, ხოლო ფლოტი 6939 საბრძოლო, სადესანტო, სატრანსპორტო ხომალდს და მცირე ზომის მცურავ საშუალებას (ბარჟები და კატარღები) ითვლიდა (11; გვ. 372-374). გერმანელთა ძალები მოწინააღმდეგეს საკმაოდ ჩამოუვარდებოდნენ. მათი დივიზიებიდან ბევრი მათგანი სრულად არ იყო დაკომპლექტებული (მაგ. გერმანული სახმელეთო დივიზიების შემადგენლობა 9-10 ათას ჯარისკაცს არ აღემატებოდა. ინგლისურ და ამერიკულ დივიზიებში კი ჯარისკაცთა რაოდენობა შესაბამისად 18 და 14 ათასს შეადგენდა (11; გვ. 372-374). ამიტომ რიცხობრივ უპირატესობას სახმელეთო ძალებში მოკავშირეები ფლობდნენ. მოკავშირეთა ფლოტს გერმანულმა სარდლობამ მხოლოდ 545 საბრძოლო ხომალდი ხოლო ავიაციას 500 თვითმფრინავი დაუპირისპირა (11; გვ. 372; 8; გვ.

276). ამასთან ერთად გერმანულმა სარდლობამ ვერც მოკავშირეთა ძალების დესანტირების კონკრეტული რაიონის ზუსტად განსაზღვრა შეძლო. მისი აზრით ეს ოპერაცია ლა მანშის სრუტის ყველაზე ვიწრო ნაწილში _ პა დე კალეს სრუტის სანაპიროზე უნდა განხორციელებულიყო, რის შედეგადაც დასავლეთ ევროპაში განლაგებული გერმანული ჯარების გერმანიის ტერიტორიიდან იზოლირების საფრთხე იქმნებოდა. ანგლო-ამერიკული სარდლობა კი, რომელიც მოულოდნელობის ეფექტის შექმნას ცდილობდა დარტყმას უფრო დასავლეთით _ ნორმანდიაში, ქალაქებს შერბურსა და ჰავრს შორის გეგმავდა.

1944 წლის 6 ივნისის ღამეს ანგლო-ამერიკულმა სარდლობამ ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრის გრანდიოზული ოპერაციის განხორციელება დაიწყო. მოკავშირეთა ავიაციამ ნორმანდიაში გერმანელთა პოზიციების მასობრივი ბომბარდირება განახორციელა, რის შემდეგაც სატრანსპორტო თვითმფრინავებით სანაპიროდან 15-20 კილომეტრის სიღრმეში მოკავშირეთა პირველი სამხედრო ნაწილები იქნა გადასროლილი. ამავე დროს სამხედრო ფლოტის არტილერიის მხარდაჭერით სატრანსპორტო გემებმა და ბარჟებმა სამხედრო შენაერთები უშუალოდ სანაპიროზეც გადასხეს. სანაპიროზე მყოფმა სამმა გერმანულმა დივიზიამ ძალების უკმარისობის გამო სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ გერმანული სარდლობისათვის მოკავშირეთა ამ რეგიონში შემოჭრა სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა. გერმანული სარეზერვო ძალების სანაპიროსკენ სვლა მხოლოდ დღის ბოლოს დაიწყო, როცა კონტრდარტყმის განხორციელება უკვე ძალზედ დაგვიანებული იყო. ამ დროისთვის ანგლო-ამერიკულმა ძალებმა უკვე სამი პლაცდარმი დაიკავეს, რომლებზედაც რვა დივიზია და ერთი სატანკო ბრიგადა იყო გადმოყვანილი. საერთოდ აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლების პირველ დღეებში გერმანული სარდლობა სატანკო ნაწილების ბრძოლაში შეყვანას ხშირად აგვიანებდა, რადგან იგი მიიჩნევდა, რომ ნორმანდიაში განხორციელებული სადესანტო ოპერაცია გერმანული ტანკების ბრძოლაში ჩაბმისათვის გამიზნული სატყუარა იყო (4; გვ. 263). 7 ივნისს მოკავშირეებმა დაკავებული პლაცდარმები გააერთიანეს და ფრონტის უწყვეტი ხაზი შექმნეს. 12 ივნისისათვის პლაცდარმი გაფართოვდა. მისმა არეალმა სიფართით 80, ხოლო სიღრმით 10-17 კილომეტრს მიაღწია (11; გვ. 376). 29 ივნისს მოკავშირეებმა შერბური დაიკავეს, რის შემდეგაც მათ საფრანგეთის ტერიტორიის სიღრმეში დაიწყეს წინსვლა. თუმცა გერმანელთა წინააღმდეგობა თანდათან იზრდებოდა, რის გამოც ბრძოლები კანის, სენ ლოს, და ავრანშისათვის ივლისის ბოლომდე გაგრძელდა. ავრანშის დაკავების შემდეგ გერმანელთა ფრონტი გარღვეული იქნა და მათმა სამხედრო ნაწილებმა ნორმანდიიდან და ბრეტანიდან უკანდახევა დაიწყეს.

15 აგვისტოს ანგლო-ამერიკული სარდლობა საფრანგეთში შეჭრის ოპერაციის მეორე ეტაპის განხორციელებას შეუდგა. ამჯერად დიდი დესანტი (მე-7 ამერიკული და 1 ფრანგული არმია, რომელსაც გენერალი დელატრ დე ტასინი მეთაურობდა) სამხრეთ საფრანგეთში, ქალაქებს ნიცასა და ტულონს შორის გადმოსხდა და ჩრდილოეთისაკენ წინსვლა დაიწყო.

მოკავშირეთა ძალების წინსვლის ტემპი ნორმანდიაში სწრაფი არ იყო, რადგან გერმანელთა წინააღმდეგობა მოსალოდნელზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ამასთან ერთად თავდაპირველად მოკავშირეთა სარდლობამ თავისი სამხედრო ნაწილების ეფექტური ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფაც ვერ შეძლო. სწორედ ამ მნიშვნელოვან მომენტში ფრანგულმა წინააღმდეგობის მოძრაობამ უდიდესი როლი ითამაშა (10. გვ. 122). საფრანგეთის შინაგანი ძალები, რომელთაც გენერალმა დე გოლმა 6 ივნისს საღამოთი ლონდონიდან ეროვნული აჯანყებისაკენ მოუწოდა, ბრძოლაში ჯერ კიდევ მოკავშირეთა გადმოსხდომამდე ჩაებნენ. 5-6 ივნისის ღამეს მათ ბევრ ადგილზე კავშირგაბმულობის, საგზაო და სარკინიგზო კომუნიკაციები მწყობრიდან გამოიყვანეს. მოკავშირეთა შემოჭრისთანავე კი პარტიზანთა ბრძოლამ ეროვნული აჯანყების სახე მიიღო. უნდა ითქვას, რომ ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში ოკუპანტთა ძალების კონცენტრაციის და წინააღმდეგობის მოძრაობის განვითარების სხვადასხვა დონე აჯანყების ერთდროულად მთელ საფრანგეთში დაწყების საშუალებას არ იძლეოდა. მაგალითად ნორმანდია-

ში, აგრეთვე ნორის და პა დე კალეს დეპარტამენტებში, სადაც გერმანელთა დიდი ძალები იყო თავმოყრილი პარტიზანები დივერსიებით და მცირერიცხოვანი მობილური რაზმების ოპერაციებით იფარგლებოდნენ, ხოლო იქ, სადაც ძალთა თანაფარდობა პარტიზანებს უფრო აქტიური მოქმედების საშუალებას აძლევდა, ისინი დიდი მასშტაბის ბრძოლებს აწარმოებდნენ, თანდათანობით სულ უფრო მეტ ტერიტორიებს ათავისუფლებდნენ და ვიშის რეჟიმის მმართველობის ლიკვიდაციას ახდენდნენ. პირველი ტერიტორიები საფრანგეთის შინაგანმა ძალებმა ჯერ კიდევ ივნისის ბოლოს ქვეყნის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში გაათავისუფლეს. ამავე დროს ეროვნულმა აჯანყებამ ბრეტანი, ცენტრალური მასივი და სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთიც მოიცვა. ივლისში პარტიზანები ბრძოლებს უკვე ქალაქების ლიონის, ლიმოჟის, ტულუზის და გრენობლის მიმდებარე რაიონებში აწარმოებდნენ.

გერმანული ჯარები მთელი ძალებით ცდილობდნენ მათ ზურგში გაჩაღებული სახალხო აჯანყების სულ უფრო მზარდი კერების ლიკვიდაციას და არამარტო პარტიზანთა, არამედ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართაც დიდ სისასტიკეს იჩენდნენ. 8 ივნისს, როცა გერმანული სატანკო დივიზია „რაიხი“, რომელიც ბორდოდან ნორმანდიისკენ მიემართებოდა, პარტიზანთა მიერ დაკავებულ ტიულში შეიჭრა, გერმანელმა ჯარისკაცებმა ქალაქის 99 მცხოვრები ჩამოახრჩეს. 10 ივნისს ამავე დივიზიის შენაერთებმა ქალაქ ლიმოჟის მახლობლად სოფელ ორადურ სიურ გლანში 642 ადამიანი, მათ შორის 240 ქალი და ბავშვი დახვრიტეს და ცოცხლად დაწვეს (5; გვ. 332). გერმანელები დიდი ძალებით დაატყდნენ თავს მთათა ცენტრალურ ნაწილში მონ მუშეს და ალპებში ვერკორის პლატოს პარტიზანთა ბანაკებს. ბანაკების დამცველებმა, რომლებიც იარაღის მწვავე ნაკლებობას განიცდიდნენ, მოწინააღმდეგის შეკავება ვერ შეძლეს. მათი დიდი ნაწილი უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო ტყვეები და დაჭრილები გერმანელებმა დახვრიტეს. მაგრამ მიუხედავად ამ ბანაკების განადგურებისა, აღნიშნულ რეგიონებში პარტიზანული მოძრაობის ლიკვიდირება მაინც ვერ მოხერხდა. გადარჩენილი პარტიზანები მცირე ჯგუფებად დანაწილებულნი გერმანელებზე თავდასხმებს აგრძელებდნენ.

ოკუპანტთა მცდელობის მიუხედავად, ეროვნული აჯანყების არეალი სულ უფრო ფართოვდებოდა. ივლისის შუა რიცხვებში ქვეყნის 90 დეპარტამენტიდან ეროვნულმა აჯანყებამ 40 დეპარტამენტი მოიცვა (8; გვ. 278). მეტად ეფექტური იყო პარტიზანთა მოქმედება ბრეტანში, სადაც მათი ოპერაციები ამერიკული ჯარების ოპერაციებთან ერთად მიმდინარეობდა. გერმანელთა ფრონტის სწრაფად გარღვევით დაინტერესებული მოკავშირეთა სარდლობა პარტიზანებს იარაღით სულ უფრო დიდ დახმარებას უწევდა, რის შედეგადაც მათმა რიცხვმა ბრეტანში აგვისტოს ბოლოს 80 ათასს მიაღწია (7; გვ. 174). აგვისტოს შუა რიცხვებში ბრეტანი გათავისუფლებული იქნა. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი გერმანელთაგან პარტიზანებმა გაწმინდეს და სანაპირო ქალაქებში ბრესტში, ლორიანსა და სენ ნაზერში თავშეფარებული გერმანული ნაწილების ბლოკირებაც მოახდინეს. საფრანგეთის შინაგანმა ძალებმა ტყვედ 20 ათასი გერმანელი ჯარისკაცი აიყვანეს (7; გვ. 174). პარტიზანთა და მოკავშირეთა ძალების ერთობლივი მოქმედება მას შემდეგაც გრძელდებოდა, როცა საომარმა მოქმედებებმა საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის დეპარტამენტებში გადაინაცვლა. პარტიზანებმა საკუთარი ძალებით გაათავისუფლეს ქალაქები ლილი, ტურკუენი და რიუბე, რამაც ანგლო-ამერიკული ძალების წინსვლა მეტად დააჩქარა. სექტემბრის დამდეგს მოკავშირეთა ჯარები ბელგიის საზღვრებთან გავიდნენ.

პარტიზანთა და მოკავშირეთა ძალები ერთიან საომარ მოქმედებებს სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთშიც აწარმოებდნენ. ჯერ კიდევ ივნისსა და ივლისში პარტიზანებმა ენის, არდეშის და ზემო სავოიის დეპარტამენტების გარკვეული რაიონები გაათავისუფლეს, ხოლო მას შემდეგ, რაც სამხრეთ საფრანგეთში მოკავშირეთა არმიები გადმოსხდნენ, მათი მოქმედება მკვეთრად გააქტიურდა. 23 აგვისტოს საფრანგეთის 1 არმია მარსელში შევიდა, სადაც პარტიზანებსა და გერმანულ ნაწილებს შორის ბრძოლები უკვე მიმდინარეობდა. 28 აგვისტოს გერმანული გარნიზონი იძულებული გახდა კაპიტულაცია გამოეცხადებინა. აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დამდეგს პარტიზანებმა სა-

კუთარი ძალებით ნიცას და ლიონის გათავისუფლებაც შეძლეს. საერთო ჯამში საფრანგეთის ამ ნაწილში მოქმედი გერმანული შენაერთების მხოლოდ მეოთხედმა შეძლო უკანდახევა. 40 ათასი გერმანელი ჯარისკაცი პარტიზანებმა დაატყვევეს (7; გვ. 174). პარტიზანთა მოქმედების შედეგად 1 ფრანგული არმია მეტად სწრაფად მოძრაობდა. 15 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე მცირე დანაკარგებით მან წინ 700 კილომეტრით წაიწია.

რაც შეეხება საფრანგეთის ცენტრალურ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, აქ საომარ ოპერაციებს პარტიზანები მხოლოდ საკუთარი ძალებით აწარმოებდნენ, რადგან ქალაქების ნანტის, ორლეანის და დიჟონის სამხრეთით, ასევე დიჟონის და ავინიონის დასავლეთით მოკავშირეთა ჯარები საერთოდ არ გამოჩენილან. პატრიოტული ძალების აქტიური მოქმედებების შედეგად ოკუპანტები დიდ ქალაქებში აღმოჩნდნენ ჩაკეტილები. აგვისტოში კი პარტიზანებმა ქალაქები ლიმოჟი, ტულუზა და ბორდო გაათავისუფლეს და გერმანელთაგან ამ რეგიონის 28 დეპარტამენტი გაწმინდეს.

საფრანგეთის შინაგანმა ძალებმა თავიანთი ოპერაციებით ანგლო-ამერიკულ ძალებს იმთავითვე დიდი დახმარება გაუწიეს. ჯერ კიდევ ნორმანდიაში მიმდინარე ბრძოლების დროს პარტიზანებმა სატრანსპორტო კომუნიკაციების თითქმის სრული პარალიზება მოახდინეს, რის შედეგადაც გერმანული სარდლობის მერ გადასროლილმა სარეზერვო დივიზიებმა, რომლებმაც მათთან შეტაკებებში მნიშვნელოვანი ზარალიც იწვნიეს, ფრონტის ხაზს მხოლოდ დიდი დაგვიანების შემდეგ მიაღწიეს. ამან კი ანგლო-ამერიკულ ძალებს თავდაპირველ პლაცდარმზე გამაგრება და მისი გაფართოვება მეტად გაუადვილა. მალე გერმანელები იძულებულნი გახდნენ რკინიგზების გამოყენებაზე საერთოდ უარი ეთქვათ, თუმცა მათი სამხედრო ნაწილების საავტომობილო გზებით გადაადგილებაც ძალზედ ფერხდებოდა. როგორც მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალი გენერალი ეიზენჰაუერი თვლიდა, საფრანგეთის შინაგანი ძალების მიერ ანგლო-ამერიკული ჯარებისთვის გაწეული სამხედრო დახმარება 15 რეგულარული დივიზიის დახმარებას უტოლდებოდა (12; გვ. 285).

ფრანგი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის კულმინაციად პარიზის აჯანყება იქცა. ნორმანდიასა და ბრეტანში მიმდინარე ბრძოლების შემდეგ მოკავშირეთა ჯარები საფრანგეთის დედაქალაქს მიუახლოვდნენ. თუმცა ანგლო-ამერიკული სარდლობა, რომლის სტრატეგია მიზნად უპირველეს ყოვლისა არა ქალაქების დაკავებას, არამედ მოწინააღმდეგის დიდი დაჯგუფებების გარემოცვას და განადგურებას ისახავდა, პარიზში შესვლას არ ჩქარობდა. მოკავშირეთა გეგმა პარიზზე ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ღრმა შემოვლითი მანევრების განხორციელებას ითვალისწინებდა, რის შედეგადაც პარიზში და მის რაიონში ალყაშემორტყმულ გერმანულ ნაწილებს წინააღმდეგობა ორ ან სამ კვირაში უნდა შეეწყვიტათ. ამით თავიდან იქნებოდა აცილებული ის უზარმაზარი მსხვერპლი და ნგრევა, რაც შეიძლებოდა ასეთი დიდი ქალაქის კვარტლებში გაჩაღებულ შეტაკებებს გამოეწვია. ამავე დროს გერმანულ სარდლობა პარიზის შენარჩუნებას მთელი ძალებით ცდილობდა, რადგან იგი ნორმანდიიდან და საფრანგეთის სამხრეთიდან უკუგდებული გერმანული ჯარების კონცენტრაციას, გადაჯგუფებას და ფრონტის ხაზის სტაბილიზაციას სწორედ აქ აპირებდა. ამიტომ პარიზს გერმანელთა ძლიერი გარნიზონი იცავდა, რომელიც 20 ათასამდე ჯარისკაცს, 60 ქვემეხს, 60 თვითმფრინავს და 80 ტანკს ითვლიდა (8; გვ. 282).

ანგლო-ამერიკული სარდლობის სტრატეგიისგან განსხვავებით გენერალ დე გოლს მოქმედების თავისი გეგმა ქონდა. მისი აზრით მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ 12 ივლისს საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის (რომელმაც ჯერ კიდევ ივნისის დამდეგს თავი ქვეყნის დროებით მთავრობად გამოაცხადა) უფლებამოსილება ცნო, წინააღმდეგობის მოძრაობის მებრძოლებს პარიზში გერმანელთა წინააღმდეგ აქტიური საომარი მოქმედება უნდა დაეწყოთ და მოკავშირეთა ჯარების მოსვლამდე აქ საფრანგეთის დროებითი მთავრობის მმართველობა საკუთარი ძალებით უნდა დაემყარებინათ. პატრიოტული ძალების მესვეურები ერთსულოვანნი იყვნენ იმაში, რომ პარიზში აჯანყება უნდა დაწყებულიყო. მაგრამ აჯანყების განხორციელების მეთოდების საკითხმა ამჯერადაც აზრთა დაპირისპი-

რება გამოიწვია. წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს და საფრანგეთის შინაგანი ძალების ხელმძღვანელთა უმრავლესობა რომელთა შორის განსაკუთრებით კომუნისტები გამოირჩეოდნენ თვლიდა, რომ ისევე როგორც მთელ საფრანგეთში, პარიზშიც აჯანყებას სახალხო ომის სახე უნდა ქონოდა. პატრიოტთა მეორე ნაწილი კი გენერალური და სამხედრო დელეგაციების პოზიციას იზიარებდა და ფიქრობდა, რომ აჯანყება პარიზის რაიონის შინაგან ძალებს უნდა მოეხდინათ, რომელთაც ეს მოქმედება მოკავშირეთა შტაბთან უნდა შეეთანხმებინათ. თუმცა უნდა ითქვას, რომ როგორც წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელი ჟ. ბიდო, ისე გენერალური და სამხედრო დელეგაციის მეთაურები ა. პაროდი და ჟ. შაბან დელმასი ყველანაირად ცდილობდნენ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამ გადამწყვეტ მომენტში აზრთა დაპირისპირება წინააღმდეგობის მოძრაობის მოქმედებაზე არ ასახულიყო.

პარიზის რაიონში მოქმედი შინაგანი ძალები, რომელთაც კომუნისტი ა. როლ-ტანგი მეთაურობდა აჯანყების მომზადებას მოკავშირეთა ნორმანდიაში შემოჭრისთანავე შეუდგნენ. ივნისის და ივლისის განმავლობაში დედაქალაქში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე გერმანულ სამხედრო ნაწილებზე და იარაღის საწყობებზე თავდასხმები თითქმის ყოველდღე ხდებოდა. პარტიზანებს განუწყვეტლივ გამოყავდათ მწყობრიდან ელექრტოგადამცემი ხაზები და სატელეფონო კომუნიკაციები. 28 ივნისს პატრიოტებმა ვიშისტური მთავრობის ინფორმაციის და პროპაგანდის მინისტრი ფ. ანრიო მოკლეს. აგვისტოში როლ-ტანგის შტაბში აჯანყების გეგმა იქნა შემუშავებული, რომლის მიხედვითაც პარიზის სხვადასხვა ნაწილებში მნიშვნელოვანი ობიექტების დასაკავებლად შინაგანი ძალების 25 ათასი მებრძოლის და პატრიოტული მილიციის მოხალისეთა რაზმების (რომლის წევრთა რიცხვი უკვე 50 ათასს აღწევდა) მობილიზაცია იყო გათვალისწინებული. პარიზის განთავისუფლების კომიტეტის ინიციატივით დედაქალაქში მანიფესტაციები მოეწყო, რომელთა დაგვირგვინებაც 14 ივლისს საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად მოწყობილი დიდი დემონსტრაცია იყო. 10 აგვისტოს პარიზის რაიონის რკინიგზების მუშებმა დიდი გაფიცვა მოაწყვეს, რის შედეგადაც პარიზის სარკინიგზო ქსელი სწორედ იმ მომენტში აღმოჩნდა პარალიზებული, როცა გერმანულ სარდლობას ნორმანდიისკენ დამატებითი ძალები გადაყავდა. მეტად მნიშვნელოვანი იყო ის, რომ 15 აგვისტოს პარიზის ვიშისტური პოლიციაც გაიფიცა. შეიარაღებულმა პოლიციელებმა მასობრივად მიატოვეს თავიანთი პოსტები. მათი ნაწილი პარტიზანებს შეუერთდა. რკინიგზელთა და პოლიციელთა გამოსვლები აშკარად მიუთითებდა იმაზე, რომ საფრანგეთის დედაქალაქში შეიარაღებული აჯანყება უკვე მომწიფებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ გენერალური დელეგაციის ხელმძღვანელს ა. პაროდის იარაღის უკმარისობის გამო აჯანყების დაწყება ჯერ მაინც ნაადრევად მიაჩნდა, წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს წევრთა დიდი უმრავლესობის აზრი გადამწყვეტი აღმოჩნდა. 19 აგვისტოს წინააღმდეგობის ეროვნულმა საბჭომ და გენერალურმა დელეგაციამ პარიზის მოსახლეობას შეიარაღებული ბრძოლისკენ მოუწოდეს. შინაგანი ძალების, პატრიოტული მილიციის და პარიზის პოლიციის რაზმები შეტევაზე გადავიდნენ. 19-22 აგვისტოს მიმდინარე ბრძოლების შედეგად პატრიოტულმა ძალებმა იარაღის საწყობები, პარიზის მერიის, პოლიციის პრეფექტურის და სხვადასხვა სამინისტროების შენობები იგდეს ხელთ. ისინი უკვე დედაქალაქის კვარტლების ნახევარზე მეტს აკონტროლებდნენ. გერმანული გარნიზონი ბლოკირებული იქნა. ოკუპანტთა სამხედრო ნაწილების გადაადგილება ქალაქში შეუძლებელი გახდა. თუმცა ამ წარმატებას პატრიოტულმა ძალებმა მნიშვნელოვანი ზარალის ფასად მიაღწიეს, რადგან გერმანული შენაერთები, რომელთათვისაც აჯანყების მასშტაბი თავდაპირველად მოულოდნელი აღმოჩნდა, ტანკების და არტილერიის გამოყენებით სულ უფრო ენერგიულ კონტრშეტევებს ანხორციელებდნენ. ამავე დროს არც ის იყო ცნობილი თუ რამდენად სწრაფად შეძლებდა ანგლო-ამერიკული სარდლობა აჯანყებულთათვის დახმარების გაწევას. სწორედ ამიტომ წინააღმდეგობის მოძრაობის შიგნით გერმანელებთან დროებითი დაზავების იდეა წარმოშვა. ჯერ კიდევ 19 აგვისტოს პარიზის პოლიციის პრეფექტმა ლიუიზემ, გენერალური დელეგაციის წევრმა რ. პრემ და პარიზის განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენელ-

მა ლ. ამონმა შვედეთის კონსულის ნორდლინგის შუამავლობით მოლაპარაკება დაიწყეს გერმანული გარნიზონის მეთაურთან გენერალ ჰოლტიცთან, რომელიც თავის მხრივ ნორმანდიიდან უკუგდებული გერმანული ჯარების პარიზის გავლით შეუფერხებელი გადაადგილებით იყო დაინტერესებული. დროებითი დაზავების იდეამ, რომელსაც თავდაპირველად მხარი ა. პაროდიმ და ჟ. ბიდომაც დაუჭირეს, წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს რიგებში მწვავე დაპირისპირება გამოიწვია. პ. ვიიონმა და ა. ტოლემ, რომელთაც მიაჩნდათ, რომ დიდი მსხვერპლის და ქალაქის ნგრევის თავიდან აცილების მოტივით პარიზის გარეუბნებში გერმანული ჯარების თავისუფალი გატარების გამართლება დაუშვებელი იყო, დაზავება კატეგორიულად უარყვეს. საბოლოოდ 21 აგვისტოს წინააღმდეგობის ეროვნულმა საბჭომ გენერალური და სამხედრო დელეგაციების ხელმძღვანელთა თანხმობით დაზავების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო (5; გვ. 346). თუმცა უდა ითქვას, რომ დაზავების პერიოდში ცეცხლის შეწყვეტა ყველგან მაინც არ მომხდარა პატრიოტული ძალები საომარ მოქმედებებს დედაქალაქის მნიშვნელოვან ნაწილში კვლავ აგრძელებდნენ.

22 აგვისტოს ქალაქის ქუჩები უკვე ბარიკადებით დაიფარა, რომელთა მეშვეობითაც აჯანყებულებმა ოკუპანტთა ცალკეული სამხედრო ნაწილების ერთმანეთისგან იზოლირება მოახდინეს და მათ ტანკებსაც მანევრირების საშუალება მოუსპეს. თუმცა აჯანყებულები, რომელთაც მძიმე შეიარაღება არ გააჩნდათ, გერმანელთა წინააღმდეგობის კერების საბოლოო ლიკვიდაციას ვერ ახერხებდნენ. ასეთ ვითარებაში დე გოლის თხოვნით ანგლო-ამერიკული ძალების მთავარსარდალმა გენერალმა ეიზენჰაუერმა პარიზისკენ გენერალ ლეკლერკის ფრანგული სატანკო დივიზია დაძრა. 24 აგვისტოს საღამოს ლეკლერკის დივიზიის მოწინავე ნაწილები პარიზში შევიდნენ. 25 აგვისტოს აჯანყებულთა რაზმებმა მძიმე ბრძოლების შემდეგ ტანკების მხარდაჭერით გერმანელთა წინააღმდეგობა საბოლოოდ ჩაახშვეს. დაპატიმრებული იქნა გენერალი ჰოლტიცი, რომელმაც მონპარნასის სარკინიგზო სადგურის შენობაში ლეკლერკის და როლ-ტანგის წინაშე გერმანული გარნიზონის კაპიტულაციის აქტს მოაწერა ხელი.

იმავე დღეს პარიზში გენერალი დე გოლი ჩამოვიდა, რომელმაც მაშინვე დაიწყო ღონისძიებათა განხორციელება, რათა დედაქალაქში საფრანგეთის დროებითი მთავრობის მმართველობა დამყარებულიყო. 26 აგვისტოს გენერალმა პარიზის განთავისუფლების აღსანიშნავად ელისეს მინდვრებზე ფრანგული და ამერიკული სატანკო დივიზიების მონაწილეობით დიდი სამხედრო და სამოქალაქო პარადი მოაწყო, რომელიც მისი აზრით ამავე დროს მოკავშირეთა და მოსახლეობის მიერ საფრანგეთის დროებითი მთავრობის მასობრივი მხარდაჭერის დემონსტრაციაც უნდა ყოფილიყო. ამავე დღეს გამოქვეყნდა ანგლო-ამერიკული სარდლობის ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, რომ იგი ქვეყნის მართვის უფლებამოსილებას საფრანგეთის დროებით მთავრობას ანიჭებდა.

ჯერ კიდევ პარიზის აჯანყებამდე ვიშის მარიონეტულმა მთავრობამ თავისი არსებობა უსახელოდ დაასრულა. მთავრობის მეთაურს ა. პეტენს და ვიცე პრემიერ პ. ლავალს იმედი ქონდათ, რომ ისინი შუამავლის როლს შეასრულებდნენ და საფრანგეთის დროებით მთავრობას წესრიგის დამყარებაში დაეხმარებოდნენ, რაც ქვეყანას „სამოქალაქო ომისგან იხსნიდა“ (5; გვ. 340). მაგრამ მათი მცდელობა გენერალ დე გოლთან კონტაქტი დაემყარებინათ და საფრანგეთის ყოფილი პარლამენტის (რომელმაც 1940 წელს თავი დაშლილად გამოაცხადა) დეპუტატების სხდომა მოეწვიათ წარუმატებლად დამთავრდა. საბოლოოდ ვიშის მთავრობის აქტიურობას წერტილი თავად გერმანელებმა დაუსვეს. 17 აგვისტოს მათ იგი ქალაქ ბელფორში, ხოლო 7 სექტემბერს გერმანიის ტერიტორიაზე ქალაქ ზიგმარინგენში გადაიყვანეს.

პარიზის აჯანყების შემდეგ საფრანგეთის განთავისუფლება სწრაფი ტემპით წარიმართა. 15 სექტემბერს ქვეყნის ჩრდილოეთსა და სამხრეთში მებრძოლი მოკავშირეთა ძალები ერთმანეთს შეუერთდნენ და ბელგიაში შეიჭრნენ. საფრანგეთის თითქმის მთელი ტერიტორია (ალსასის და ლორენის ნაწილის გარდა, რომლებიც გერმანიის ჯარებმა 1944 წლის ბოლოს დატოვეს) განთავისუფლდა. ქვეყანაში დროებითი მთავრობის

მმართველობა დამყარდა. 19 სექტემბერს დე გოლის მიერ ხელმოწერილი დეკრეტით შინაგანი ძალები საფრანგეთის რეგულარულ არმიას შეუერთდნენ.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. ბურკაძე ზ. ოპერაცია ტორჩი და საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის შექმნა. სოციალურ მეცნიერებათა საკითხები, VII, შრომების კრებული, თბილისი, 2015.
2. ბურკაძე ზ. საფრანგეთის შიგა წინააღმდეგობის მოძრაობა: კონსოლიდაცია. სოციალურ მეცნიერებათა საკითხები, XI, შრომების კრებული, თბილისი, 2017.
3. სვანაძე ლ. შარლ დე გოლი. პოლიტიკური ბიოგრაფია, წიგნი პირველი, პრემიერი, ქუთაისი, 2008.
4. უილიამ რ. ქილორი. მეოცე საუკუნის მსოფლიო. საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან, მეექვსე გამოცემა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015. www.press.tsu.edu.ge
5. Jean-Pierre Azéma. De Munich à la Libération 1938-1944. Editions du seuil, 1979.
6. Арзаканян М. Ц., Ревякин А. В., Уваров П. Ю. История Франции. Москва, 2005.
7. Александр Берт. Франция 1940-1955. http://www.fedy-diary.ru/html/032013/0703013-02a.htm
8. История Франции. В трех томах. А. З. Манфред (ответственный редактор). Том 3. Москва, 1973. http:militera.lib.ru/common/h_france/index.html
9. Молчанов Н. Н. Генерал де Голль. Москва, 1988.
10. Новейшая история стран Европы и Америки. XX век. Част 1. 1900-1945. Под редакцией А. М. Родригеса и М. В. Пономарева. Москва, 2001.
11. Самсонов А. М. Вторая мировая война. 1939-1945. Москва, 1985.
12. Смирнов В. П. Движение сопротивления во Франции в годы Второй мировой войны. Москва, 1979.
13. Смирнов В. П. Новейшая история Франции. 1918-1975. Москва, 1979



**Zaza Burkadze**


**The French Internal Resistance Movement: A National Uprising**
**Summary**


The paper discusses the process of preparing and carrying out a general uprising by patriotic forces already consolidated by the National Council of Resistance in France during the Second World War, fighting against the German occupiers and the puppet-collaborationist Vichy government, which played a major role in the liberation of the country after the withdrawal of Anglo-American forces in June 1944. There is also shown military operations carried out by resistance forces in various parts of the country and in Paris, which greatly assisted the Anglo-American regular units and greatly accelerated the expulsion of German troops from France.

*სიმონ კილაძე*

# *სევრის ხელშეკრულება — "დიდი სომხეთის" კონტურები, თურქეთის დიდი უკმაყოფილება და ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობა საქართველოსთვის*

**აბსტრაქტი. სევრი — ამ ფრანგული ქალაქის სახელი ბევრს, ალბათ, ცნობილი ფაიფურის ნაკეთობებს გაახსენებს: სევრში მდებარეობს მსოფლიოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერამიკის მანუფაქტურა (კომპანია), თუმცა ასევე ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ ზუსტად ასი წლის წინ სევრში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელმაც ოსმალეთის იმპერიის ბედი გადაწყვიტა.**

1920 წლის 10 აგვისტო. სევრში ზაფხულის პაპანაქებაა. ფაიფურის მანუფაქტურის ადმინისტრაციის შენობასთან უჩვეულო ხალხმრავლობა შეინიშნება – აქ არის უამრავი პოლიტიკოსი, დიპლომატი, ჟურნალისტი... დღის 12 საათისათვის შენობის წინ ავტომობილები ჩერდებიან, გადმოდიან პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ანტანტის (მოკავშირეთა) ქვეყნების ლიდერები, პოლიტიკოსები... აქვე ვხედავთ დამარცხებული ოსმალეთის იმპერიის წარმომადგენლებსაც, რომლებსაც ცოტა ხნის შემდეგ შენობის დიდ დარბაზში ერთობ არასასიამოვნო დოკუმენტზე მოუწევთ ხელმოწერა – ოდესღაც ძლევამოსილი იმპერიის დაშლა-დანაწილების თაობაზე.

მაშ ასე, სევრში პირველი მსოფლიო ომის შემდგომი მცირე აზიის, ახლო აღმოსავლეთის და ნაწილობრივ, კავკასიის მოწყობის საკითხი წყდება... ფორმდება საზავო ხელშეკრულება გამარჯვებულს და დამარცხებულს შორის, რომელიც წარმოადგენს ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის ნაწილს (ანუ ასახავს იმ ახალ მსოფლიო წესრიგს, რომელიც 1919 წლის 27 ივნისის ვერსალის საზავო ხელშეკრულებით ჩამოყალიბდა პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ).

- **ხელშეკრულების სუბიექტები**

ერთი მხრივ – ანტანტის წევრები და მათი სატელიტი ქვეყნები (საფრანგეთი, იტალია, იაპონია, ბელგია, საბერძნეთი, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სერბეთ-ხორვატეთ-სლოვენეთის სამეფო, ჰიჯაზის სამეფო, ჩეხოსლოვაკია); მეორე მხრივ – ოსმალეთის იმპერია (თურქეთი),

დოკუმენტს ხელს აწერენ ანტანტის ქვეყნების მეთაურები, პირველ მსოფლიო ომში ანტანტის მხარეზე მებრძოლი ქვეყნების (ბრიტანეთის დომინიონების) წარმომადგენლები, სულთან მეჰმედ VI-ის ნდობით აღჭურვილი პირები ჰაადი-ფაშა და რიზა თევფიკ-ბეი, აგრეთვე სომხეთის რესპუბლიკის დაშნაკური მთავრობის თავმჯდომარე ავეტის აგარონიანი.

- **ხელშეკრულების საფუძველი**

ა) ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის (ე.წ. „საიქს-პიკოს“) საიდუმლო შეთანხმება, რომელიც დაიდო 1916 წელს დიდი ბრიტანეთის სამეფო მრჩევლის მარკ საიქსის და საფრანგეთის გენერალური კონსულის ფრანსუა ჟორჟ-პიკოს მოლაპარაკების შედეგად ბეირუთში. ბეირუთის შემდეგ მოლაპარაკება გაგრძელდა პეტერბურგში. დოკუმენტი ითვალისწინებდა პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიების გადანაწილებას. საფრანგეთი იღებდა იმპერიის სამხრეთ-ღმოსავლეთ ნაწილს, ჩრდილოეთ ერაყს, სირიასა და ლიბანს. ინგლისი იღებდა იმ ტერიტორიას, რომელზეც თანამედროვე იორდანია, ერაყის სამხრეთი ნაწილი და ისრაელი მდებარეობს. პეტერბურგში გამართული მოლაპარაკების დროს გათვალისწინებული იქნა რუსეთის მთავრობის ინტერესები: ოსმალეთზე გამარჯვების შემთხვევაში რუსეთი იღებდა ბოსფორ-დარდანელის სრუტეებს, კონსტანტინოპოლს (სტამბოლს), დასავლეთ სომხეთს და ქურთისტანის ჩრდილოეთ ნაწილს.

*შენიშვნა: რადგანაც რუსეთში 1917 წელს კომუნისტური (ბოლშევიკური) გადატრიალება („ოქტომბრის რევოლუცია“) მოხდა, საბჭოთა მთავრობამ უარი განაცხადა ანტანტის წევრობაზე და მისი შემადგენლობიდან გავიდა. შესაბამისად, რუსეთი არ მონაწილეობდა სევრის ხელშეკრულების ხელმოწერაში.*

ბ) სან-რემოს (იტალია) 1920 წლის 19-26 აპრილის კონფერენციის (დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის პრემიერ-მინისტრების, აგრეთვე იაპონიის ელჩის მონაწილეობით) გადაწყვეტილებები ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიების მართვის თაობაზე ერთა ლიგის მანდატით. **ოსმალეთის ჩრდილო-დასავლეთის ნაწილის (ტრაპიზონი, ართვინი, ერზერუმი) ბედის გადასაწყვეტად სან-რემოს კონფერენციაზე მიწვეულნი იყვნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციებიც,** საქმე ეხებოდა ბათუმის ნავსადგურით ერთობლივ სარგებლობას, რკინიგზის მშენებლობას ყარსიდან ბათუმამდე, მდინარე ჭოროხის ხეობის გავლით. სამწუხაროდ, თბილისსა და ერევანს შორის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება-შეთანხმება შეუძლებელი გახდა. როგორც ცნობილი ქართველი დიპლომატი, სან-რემოს მოლაპარაკების მონაწილე **ზურაბ ავალიშვილი** წერს თავის მემუარებში "საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში", სომხები ითხოვდნენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე (ართვინის ოლქში) აგებული რკინიგზა მათ საკუთრებაში ყოფილიყო, ასევე სურდათ მისი ერთ-ერთი განშტოება ბათუმიდან რიზეს ნავსადგურშიც გასულიყო, ანუ ისინი ბათუმით არ კმაყოფილდებოდნენ და რიზეში საკუთარი დიდი პორტის შექმნა სურდათ. მოკლედ, საქართველოსა და სომხეთის დელეგაციების შეთანხმება ვერ მოხერხდა.

**ოსმალეთის იმპერიის (თურქეთის) დანაწილება**
**1920 წლის 10 აგვისტოს სევრის ხელშეკრულების მიხედვით**




- **ხელშეკრულების მიზანი და პირობები**

სევრის ხელშეკრულების მიზანი იყო ოსმალეთის იმპერიის (თურქეთის) პერსპექტივა – მისი საერთაშორისო სტატუსი, ტერიტორიების გადანაწილება ანტანტის წევრებს შორის და დაყოფა მართვის (გავლენის) ზონებად.

დოკუმენტის პირობების მიხედვით განისაზღვრა ოსმალეთის არმიის რაოდენობა – 50 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე, ოსმალეთის (თურქეთის) ფინანსებზე წესდებოდა საერთაშორისო კონტროლი. გარდა ამისა, ოსმალეთი კარგავდა ტერიტორიებს:

ა) ევროპულ ნაწილს – აღმ.თრაკიას, ადრიანოპოლს, ეგეოსის ზღვის კუნძულებს – რომლებიც საბერძნეთს გადაეცა. საბერძნეთმა მიიღო აგრეთვე სმირა (დღევანდელი იზმირი);

ბ) ალბანეთი ცხადდებოდა იტალიის პროტექტორატად;

გ) კონსტანტინოპოლი და შავი ზღვის სრუტეები ცხადდებოდა დელიმიტარიზებულ ზონად. როგორც ითქვა, ოსმალეთის ეს ნაწილი რუსეთს უნდა გადაცემოდა, მაგრამ რადგანაც საბჭოთა რუსეთის ანტანტიდან გავიდა, ქალაქზე და სრუტეებზე საერთაშორისო მართვა გამოცხადდა;

დ) სირიისა და ლიბანის მართვის მანდატი გადაეცა საფრანგეთს;

ე) პალესტინისა და მესოპოტამიის მართვის მანდატი – დიდ ბრიტანეთს;

ვ) ოსმალეთი (თურქეთი) კარგავდა ჩრდილოეთ აფრიკას (სირიას, ტუნისს, ეგვიპტეს), არაბეთის ნახევარკუნძულს (სადაც ცხადდებოდა ჰიჯაზის სამეფოს დამოუკიდებლობა). ყველა მათზე პროტექტორატს იღებდა დიდი ბრიტანეთი;

ზ) ოსმალეთი აღიარებდა სომხეთს "თავისუფალ და დამოუკიდებელ" სახელმწიფოდ. "თურქეთი და სომხეთი თანხმდებოდნენ, რომ მათ შორის საზღვარი (ვანის, ბითლისისა, ერზერუმის, ტრაპიზონის ვილაითებთან მიმართებით) და სომხეთისთვის შავ ზღვაზე გასასვლელი დადგინდებოდა საერთაშორისო არბიტრაჟით, აშშ-ის პრეზიდენტის **ვუდრო ვილსონის** ხელმძღვანელობით. ასევე ორივე მხარე აცხადებდა, რომ აღიარებდა არბიტრაჟის გადაწყვეტილებას. სომხეთთან მომიჯნავე ოსმალეთის ტერიტორიები ცხადდებოდა დელიმიტარიზებულ ზონად“ (მუხლი 89).

"სომხეთის საზღვრები აზერბაიჯანთან და საქართველოსთან (ტერიტორიის კუთვნილების გასარკვევად) დადგინდება დაინტერესებული ქვეყნების საერთო თანხმობით. თუ რაიმე შემთხვევის გამო დაინტერესებული ქვეყნების თანხმობა არ მოხდება, მაშინ საზღვარს დადგინდება მთავარი მოკავშირე სახელმწიფოების შუამავლობით, რომლებიც უზრუნველყოფენ მის ადგილზე გატარებას" (სტატია 92).

"ბათუმის პორტის მეშვეობით შავ ზღვაზე თავისუფალი დაშვების უფლება ეძლევათ საქართველოს, აზერბაიჯანს, სომხეთს და სპარსეთს. პორტით სარგებლობისათვის მათ აქვთ ტერიტორიებზე თავისუფალი ტრანზიტის უფლება" (მუხლი 350). ეს ნიშნავს, რომ სომხეთს, აზერბაიჯანს და სპარსეთს ეძლეოდათ საქართველოს ტერიტორიით თავისუფლად სარგებლობის უფლება – ტვირთების გადასაზიდად და მგზავრთა გადასაყვანად..

*შენიშვნა: "ახალი თურქეთის“ მთავრობამ **მუსტაფა ქემალის** ხელმძღვანელობით, უარი განაცხადა სევრის ხელშეკრულების პირობების აღიარებაზე. შესაბამისად, დიდ ეროვნულ კრებას (პარლამენტს) მისი რატიფიცირება არ მოუხდენია.*

- **აშშ-ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და სომხეთის ბედი**

1920 წლის 22 ნოემბერს აშშ-ის პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა მოკავშირეებს განსახილველად წარუდგინა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით თურქეთი სომხეთს გადასცემდა 103 ათას 599 კვ.კმ. ფართობის ტერიტორიას, მათ შორის ვანისა და ბითლისის ვილაიეტების ორ მესამედს, თითქმის მთლიანად ტრაპიზონის ვილაიეთს, ტრაპიზონის ნავსადგურის ჩათვლით. **ანუ სომხეთი ერთიანდებოდა და იღებდა გასასვლელს შავ ზღვაზე. თუმცა ამ გადაწყვეტილებას უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა...**

**1920 წლის სექტემბრის დასაწყისში, სევრის ხელშეკრულებით უკმაყოფილო ახალი თურქეთის ქემალისტური მთავრობის არმიამ სომხეთს შეუტია და ხელში ჩაიგდო ჯერ ყარსი, შემდეგ კი ალექსანდროპოლი (ყოფ. ლენინაკანი, დღევანდელი გიუმრი), თურქები დაიმუქრნენ ერევნის დაპყრობითაც.** 1920 წლის ნოემბერში სომხეთის სახელმწიფო განადგურების წინაშე აღმოჩნდა. 1920 წლის 2 დეკემბერს ქალაქ ალექსანდროპოლში დაიდო ხელშეკრულება, რის მიხედვით სომხეთმა უარი თქვა ყარსის ოლქზე და სურმალის მაზრაზე არარატის მთასთან ერთად. ამასობაში სომხეთში წითელი არმიის ნაწილები შევიდნენ, დაშნაკთა მთავრობა დაემხო. მოგვიანებით ალექსანდროპოლის ხელშეკრულების პირობები განმეორდა 1921 წლის მარტ-ოქტომბერში დადებულ მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებში.

- **იყო თუ არა ალტერნატივა?**

სომეხი მკვლევარების აზრით, რადგანაც ქემალისტურმა თურქეთმა სევრის ხელშეკრულების პირობების აღიარებაზე უარი განაცხადა, სომხეთს ტერიტორიების მიერთება მხოლოდ ძალის გამოყენებით შეეძლო, მაგრამ მის 30-ათასიან არმიას წინ 50 ათასიანი ქემალისტთა არმია ელობებოდა. ამ სიტუაციაში სომხეთი წარმატებას მიაღწევდა მხოლოდ საქართველოსთან კავშირში, მაგრამ ორ მეზობელ სახელმწიფოს ურთიერთობაში საკმაო პრობლემები არსებობდა და მათი გადალახვა ვერ მოხერხდა.

თურქული დიპლომატია უკეთესად მუშაობდა: 1920 წლის 8 სექტემბერს მუსტაფა ქემალის დავალებით თბილისში თურქეთის დელეგაცია გაემგზავრა (ხელმძღვანელი – იუსუფ ქემალ-ბეი, მინისტრი) და საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკება გამართა.



- **სევრის ხელშეკრულების მნიშვნელობა**

**ა) სომხეთისათვის:**

შეიძლება ითქვას, რომ სევრში ხელმოწერილი დოკუმენტი სომხების საუკუნო ოცნების განხორციელებას წარმოადგენდა: იქმნებოდა "დიდი სომხეთის" კონტურები დასავლეთის სახელმწიფოების მხარდაჭერით, რაც იმდროინდელ დიპლომატიაში "სომხური საკითხის" სახელით იყო ცნობილი. სევრის ხელშეკრულების პირობების რეალიზებით, ბუნებრივია, სომხეთის ამბიციები კიდევ უფრო გაიზრდებოდა როგორც თურქეთის, ასევე კავკასიური მეზობლების მიმართ. შავ ზღვაზე გასასვლელი და მნიშვნელოვანი ნავსადგური სომხეთს საშუალებას მისცემდა განევითარებინა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები დასავლეთის სახელმწიფოებთან..

**ბ) საქართველოსათვის**

ზურაბ ავალიშვილი თავის წიგნში სევრის ხელშეკრულებას "ბედნავსს" უწოდებს, რომელიც "დასავლეთ ევროპის კოლექტიური "ველიკოდერჟავული" თვალსაზრისის ნაყოფს წარმოადგენს". სევრის ხელშეკრულების სუბიექტი (ანუ ხელმომწერი) საქართველოს წარმომადგენელი არ ყოფილა, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დოკუმენტის რიგი მუხლები საქართველოს ნამდვილად ეხებოდა. გარდა ამისა, არის რამდენიმე საინტერესო ფაქტი, რომელიც წინ უძღოდა სევრის ხელშეკრულებას:

**ერთი მხრივ, როცა დიდმა ბრიტანეთმა საქართველოსათვის აჭარის (ბათუმის ოლქის) დაბრუნება გადაწყვიტა, 1920 წლის 28 ივნისს ბათუმში ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის კონცესიის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა სომხეთიდან (ყარსიდან) რკინიგზის გაყვანას შავ ზღვამდე, მდინარე ჭოროხის ხეობის გავლით.** ანუ დიდი ბრიტანეთი სომხეთზე ზრუნავდა და საქართველოს აიძულებდა ტერიტორია რკინიგზის მშენებლობისთვის დაეთმო. მეორე მხრივ – თუ გავითვალისწინებთ სომხეთის იმდროინდელ აგრესიულ პოლიტიკას, მეზობლის გაძლიერება საქართველოსთვის მაინცდამაინც სასიკეთო არ უნდა ყოფილიყო.

არის მესამე მომენტიც: სევრის ხელშეკრულების გამო დაწყებული თურქეთ-სომხეთის ომით საქართველომ, შეიძლება ითქვას, გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური დივიდენდები მიიღო: გააფართოვა კონტროლირებული ტერიტორიის არეალი არტაანის

ოლქში (ჩრდილის ტბის ზონაში) და ჯარები შეიყვანა ლორის ნეიტრალურ ზონაში (სომხეთთან შეთანხმებით).

- **სევრის ხელშეკრულების შემდეგ: ლოზანა**

სევრის ხელშეკრულების რატიფიცირება ვერც ანტანტის სახელმწიფოებმა და ვერც სომხეთმა ვერ მოასწრეს, შესაბამისად, დოკუმენტის პირობებს იურიდიული ძალა არ შეუძენია. თურქულმა დიპლომატიამ მიაღწია იმას, რომ სევრში დადებული ხელშეკრულების პირობები განეიტრალებულიყო. 1923 წლის 24 ივლისს ლოზანაში (იტალია) გამართული მოლაპარაკების შედეგად გაფორმდა მრავალმხრივი დოკუმენტი, რომელიც ისტორიაში "ლოზანის ხელშეკრულების" სახელით შევიდა: მასზე ხელი მოაწერეს ერთი მხრივ – დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, საბერძნეთის, რუმინეთისა და სერბების, ხორვატებისა და სლოვენიელების სამეფოს და მეორე მხრივ – თურქეთის წარმომადგენლებმა.

1923 წლის ლოზანის ხელშეკრულებამ, ფაქტიურად, 1920 წლის სევრის ხელშეკრულება ჩაანაცვლა: ჩამოაყალიბა თანამედროვე თურქეთის საზღვრები, იურიდიულად გააფორმა ოსმალეთის იმპერიის დაშლა. ხელშეკრულებამ გამოაცხადა ზავი თურქეთსა და ანტანტის სახელმწიფოებს შორის. თურქეთმა შეინარჩუნა აღმოსავლეთი თრაკია, იზმირი, ვანი, ბითლისი, ერზერუმი, ტრაპიზონი და სხვა ტერიტორიები, რომლებიც დაკარგა სევრის ხელშეკრულების შედეგად. იმავდროულად თურქეთმა უარი თქვა არაბეთზე, ეგვიპტეზე, სუდანზე და სხვა გავლენის სფეროებზე.

1923 წლის 23 აგვისტოს თურქეთმა მოახდინა ლოზანის ხელშეკრულების რატიფიკაცია, რომელიც საბოლოოდ იურიდიულ ძალაში შევიდა 1924 წლის 6 აგვისტოდან, როდესაც მისი რატიფიკაცია ყველა ხელმომწერმა სახელმწიფომ განახორციელა.

- **სევრის ხელშეკრულება და თანამედროვე სომხეთი**

როგორც უკვე ავღნიშნეთ, სომხეთისათვის სევრში დადებული ხელშეკრულება "სომხური საკითხის" გადაწყვეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს.

**სომხეთში, თურქეთ-აზერბაიჯანთან დამოკიდებულების პერიოდული გამწვავების ფონზე, სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები, რომ სევრის ხელშეკრულებას სომხეთისთვის ძალა არ დაუკარგავს. სომეხი საერთაშორისო სამართალმცოდნეების არგუმენტები ასეთია:**

ა) ლოზანის ხელშეკრულებაში არ არის ნათქვამი, რომ სევრის ხელშეკრულება გაუქმებულია;

ბ) მართალია, სევრის ხელშეკრულების რატიფიცირება არ მომხდარა, მაგრამ ამით აშშ-ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სამართლებრივი მნიშვნელობა არ შეცვლილა, ანუ ის დღესაც ძალაშია და სომხეთი, გარკვეული პირობების შემთხვევაში, შეეცდება მის რეალიზებას.

გ) ლოზანის ხელშეკრულებაში თურქეთისა და სომხეთის საზღვრები მითითებული არ არის, შესაბამისად, იურიდიულად, თურქეთს სომხეთის კუთვნილი ტერიტორიები უკანონოდ აქვს დაკავებული.

დ) რაც შეეხება მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებს, რომელთა მიხედვით სომხეთ-თურქეთის საზღვრები დადგინდა, არც ის დოკუმენტები არ არიან სრულყოფილნი, რადგან მათი ხელმოწერის დროს თურქეთის და რუსეთი საერთაშორისო სამართალსუბიექტებად არ იყვნენ აღიარებულნი.

- **სევრის ხელშეკრულება და თანამედროვე თურქეთი**

თურქეთის ამჟამინდელი ხელისუფლება, განსაკუთრებით კი პირადად პრეზიდენტი **რეჯეფ ერდოღანი** სევრის ხელშეკრულებას იძულებით და თავსმოხვეულს უწოდებს, რომლის შედეგად თურქეთმა მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაკარგა, მათ შორის ხმელთაშუა ზღვის შელფიც. იგი არასრულყოფილად თვლის ლოზანის ხელშეკრულებასაც, რომლის თანახმად, თურქეთმა ნაწილობრივ მაინც აღიდგინა სევრით დაკარგული ტერიტორიები. რეჯეფ ერდოღანმა ასეთი განცხადება 2016 წლის სექტემბერში გააკეთა. მოგვიანებითაც პრეზიდენტმა რამდენჯერმე მიანიშნა თავის უკმაყოფილო დამოკიდებულება ასი წლის წინანდელი ხელშეკრულების მიმართ.



თურქულმა მასმედიამ პრეზიდენტის გამონათქვამი რესპუბლიკის დამაარსებლის მუსტაფა ქემალის ირიბ კრიტიკად შეაფასა – პირველი პრეზიდენტი, ათა-თურქი ("თურქა მამა") ხომ ლოზანის ხელშეკრულებას თავის გამარჯვებად მიიჩნევდა, რის შედეგადაც სევრის ხელშეკრულების პირობებმა იურიდიული ძალა დაკარგა.

- **სევრის ხელშეკრულება და თანამედროვე საქართველო**

საქართველოსთვის სევრის ხელშეკრულებას დღეისათვის რაიმე იურიდიული და ფაქტიური მნიშვნელობა არ აქვს (თურქეთთან ჩვენი საზღვარი ყარსის ხელშეკრულებითაა დადგენილი), თუმცა **ის გარემოება, რომ თურქეთისა და სომხეთის პოზიციები დოკუმენტის მიმართ საკმაოდ კონფრონტაციულია, მაინც ბადებს გარკვეული შეშფოთების საფუძველს უსაფრთხოების თვალსაზრისით.** კავკასიაში ხომ ოფიციალური პირების ყოველი განცხადება ტერიტორიების კუთვნილებისა თუ საზღვრების გადასინჯვის თაობაზე სიტუაციის დაძაბვას იწვევს.

შეიძლება მტკიცედ ითქვას, რომ მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში სევრის ხელშეკრულების ირგვლივ ისეთი არაფერი მნიშვნელოვანი არ მოხდება, რაც რეგიონში ვითარებას მკვეთრად გააუარესებს (ანკარა-ერევნის უკმაყოფილების სიტყვიერი გამოხატვის მიუხედავად). აქედან გამომდინარე, საქართველოს რაიმე რეალური პოლიტიკური პრობლემები არ შეექმნება. ეს ჰიპოთეტურადაც წარმოუდგენელია დღევანდელ ეტაპზე. რაც შეეხება სომხეთს და თურქეთს, ყველასათვის ცნობილია მათი სენსიტიური დამოკიდებულება უახლესი ისტორიის დოკუმენტების მიმართ. შესაბამისად, საქართველოსთვის მათი სიტყვიერი-შეხლა-შემოხლის გაგრძელება მოულოდნელი არ უნდა იყოს, თუმცა, რასაკვირველია, მოვლენებს ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ.

**Simon Kiladze**

**Treaty of Sevres – Contours of "Greater Armenia",
Turkey great dissatisfaction and the importance of the historical document for Georgia**

**Summary**

Exactly one hundred years ago, a treaty was signed in Sevres that decided the fate of the Ottoman Empire. In part, it also touched upon the issues of the Caucasus. A peace treaty is made between the winner and the loser, which is part of the Versailles-Washington system and reflects the new world order established by the Treaty of Versailles of June 27, 1919, after the end of World War I.

*მარინა ჯინჭარაძე*

# *რენესანსული ხელოვნების ტენდენციები ქართულ სახვით ხელოვნებაში*

XX ს-ის ქართული სახვითი ხელოვნების განხილვისას თვალნათლივ იკვეთება მრავალი მხატვრული მოვლენა და ის სტილისტური თავისებურებანი,რომელიც ინდივიდუალური ხასიათის მქონე მხატვართა შემოქმედებაში მკაფიოდ არის გამოხატული. მიუხედავათ სტილისტური მრავალფეროვნებისა,თემის მიზანია ქართულ ხელოვნებაში რენესანსული ტენდეციების გამოვლენა,რომლის დროსაც მთავარი აქცენტი პროპორციებზ ე და პერსპექტივაზე კეთდება და მოცულობის მთავარ საშუალებად შუქჩრდილი მიიჩნევა.

რენესანსული ხელოვნების ტენდეციების გამოვლენის თვალსაჩინო მაგალითია ს.ქობულაძის შემოქმედება. მის მიერ გავლილი ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის გზა წარმოგვიდგენს შემოქმედს როგორც ფერმწერს,წიგნის გრაფიკის ცნობილ ოსტატს და თეატრალურ მხატვარს. როგორც ცნობილია, ს.ქობულაძის მხატვრული სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია რენესანსული ხელოვნებით გატაცება. მის შემოქმედებაში რენესანსული მიდგომა ვლინდება არა მარტო კომპოზიციის აგებაში,დასრულებულ ნახატში,შუქ-ჩრდილოვან მოდელირებაში,სხეულის პლასტიკურ,მოცულობითი ფორმების გამოვლენაში,არამედ მხატვრული სახეების განზოგადებულობასა და იდეალურობაში.

სახეობრივი დახასიათების დიდი ძალის შემცვლელია ს.ქობულაძის რენესანსული პორტრეტები. კერძოდ, უ.შექსპირის, დანტე ალიგიერის და სავონაროლას პორტრეტები,რომლებიც ავლენენ ავტორის გრაფიკული ოსტატობის განსაკუთრებულ მხარეებს და ადამიანის შინაგან ინდივიდუალურ სამყაროში წვდომას. საინტერესოა ს. ქობულაძის მიერ შესრულებული შექსპირის პორტრეტი. მხატვარს უნდა წარმოედგინა დიდი პოეტის და დრამატურგიის პიროვნება,რომლის ბიოგრაფია, მიუხედავათ ამ საკითხის გარშემო არსებული მრავალრიცხოვანი გამოკვლევებისა, თითქმის უცნობია. დრამატურგის სახე შექმნილია ცნობილი ძველი გრავიურის მიხედვით. ქობულაძისეული შექსპირის პორტრეტი წარმოადგენს შავ ტანსაცმელში თეთრი საყელოთი გამოსახულ ძლიერ, მონუმენტურ ფიგურას, ფეხებთან მოფენილი შავი მოსასხამით. ს. ქობულაძის ნიჭიერება გამოვლინდა შექსპირის ტრაგედიების დასურათებაშიც. მაგ: „მეფე ლირი", „რიჩარდ III", „მაკბეტი", „ანტონიუსი და კლეოპატრა". 1934-1935 წლებში მან შეასრულა ილუსტრაციები, რომლებიც შექსპირის ტრაგედიების ორტომეულს დაერთო, 10 წლის შემდეგ კი კვლავ დაუბრუნდა შექსპირის თემას, როცა შეასრულა მთელი სერია „ მეფე ლირისთვის".

ს. ქობულაძის მიერ შექმნილ პორტრეტებს შორის განსაკუთრებით გამოიყოფა დანტე ალიგიერისა და სავონაროლას პორტრეტები. ორივე 1944 წელსა შექმნილი და ზომებიც თითქმის იგივეა.

რენესანსის ეპოქის ამ ორი წარმომადგენლის ცხოვრება და მოღვაწეობა მათი განსხვავებული შეხედულებების მიუხედავათ ძალიან უახლოვდება ერთმანეთს. ეს არის მათი ძლიერი ბუნება,რითაც ასე გამოირჩეოდნენ თანამედროვეთაგან. ეს ორივე პორტრეტი შესრულების საერთო ხასიათით ახლოს დგას ერთმანეთთან. თეთრ ფონზე გამოსახულ სავონაროლას ზეაწეულ გამხდარ სახეში იგრძნობა სულიერი შთაგონება. სავონაროლას პორტრეტი ახლოს დგას დანტეს პორტრეტთან, თუმცა აქ სხვა ემოციური განწყობაა ნაჩვენები. ამ პორტრეტებში მხატვარმა გამოხატა არა მხოლოდ ერთმანეთთან ახლოს მდგომი ორი მოაზროვნის კონკრეტული, ფსიქოლოგიური სახე, არამედ სიმბოლური სახე დანტესი და სავონაროლასი. აღსანიშნავია, რომ „ს. ქობულაძე, რომელიც აქცენტს რენესანსული ხელოვნების ინტერპრეტაციაზე აკეთებს, სიცოცხლის ბოლოს პ.პიკასოს ნეოგრეკული სტილით ინტერესდება. თაობები აგრძელებენ 1920-1930-იან წლებში გამოკვეთილ მისწრაფებას კულტურულ დიალოგში მონაწილეობისაკენ,

ეროვნული ხელოვნების ჰარმონიული ჩართვისკენ მსოფლიოში მიმდინარე აქტუალურ სამხატვრო პროცესებში „(ზაალიშვილი,2008:105-106).

XX ს-ის 50-60-იანი წლებიდან ქართულ ფერწერასა და გრაფიკაში ცვლილები შეინიშნება. აღსანიშნავია, რომ ქართული მხატვრების ერთ ჯგუფს, კერძოდ, ე. კალანდაძეს, დ. ერისთავს, ზ. ნიჟარაძეს, გ.კასრაძეს და სხვებს თავიდანვე არ აკმაყოფილებდათ იმ სკოლის მეთოდები, რომელსაც ისინი ეზიარნენ და გამოსავლის ძიებამ კვლავ რენესანსის ხელოვნების ტრადიციებამდე მიიყვანა. წლების მანძილზე ეს მხატვრები შეისწავლიდნენ აღორძინების ხანის მხატვრობას, განსაკუთრებით დიდი იყო მათი ინტერესი მიქელანჯელოს ნახატებისადმი. ისინი აკეთებდნენ ასლებს რენესანსული კომპოზიციებიდან, გრძნობდნენ,რომ რუსული აკადემიური და რენესანსული ნახატი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. რუსულ აკადემიურ ნახატში მხოლოდ ჩრდილისა და სინათლის ფიქსაციაა,ფორმის ანალიზის გარეშე,რენესანსულ ნახატში კი ფორმის ანალიზიცაა მოცემული, ანუ მხატვარი მარტო ჩრდილ-სინათლეზე კი არ ფიქრობს,არამედ ფორმის ანალიზიდან გამომდინარე ქმნის გამოსახულებას სიბრტყეზე. (ჩიხრაძე მ. 2006:17).

საბოლოოდ კი, როგორც აღმოჩნდა , რენესანსული მხატვრობაც შეიცავდა იმ ელემენტებს, რომელმაც მხატვართა თაობები ჩიხში შეიყვანა და იქედან გამოსავლის პოვნა მხატვართა იმ ნაწილმა შეძლო,რომლებიც ქმნიდნენ საკუთარ გამომსახველობით სისტემას და მკვეთრად გამოხატული შემოქმედებითი ინდივიდუალობა ახასიათებდათ. მაგალითად,დროთა განმავლობაში ე.კალანდაძის შემოქმედებაში ანტიკური ხელოვნების ტრადიციები იჩენს თავს. ზ. ნიჟარაძე თავის შემოქმედებაში ეყრდნობა რენესანსულ,რეალისტურ ტრადიციას და მისი ხატვის პრინციპები მომდინარეობს აღორძინების ხანის ისეთი კლასიკოსებისგან, როგორიცაა ბოტიჩელი,რაფაელი, ლეონარდო და ვინჩი.

დ. ერისთავის შემოქმედებაში, როგორც ლ. თაბუკაშვილი აღნიშნავს „ აზრის სიახლე ჩანს შერეული მასალით-კალმით,ფანქრით, ტემპერითა და პასტელით შესრულებულ მის მრავალრიცხოვან ნამუშევრებში. სკულპტურული რელიეფურობით გამოირჩევა მხატვრის პორტრეტული ნაწარმოებები,რომლებიც ცხადყოფენ დ. ერისთავის მაღალ პროფესიულ კულტურას, ნახატის ძლიერ ფლობას“ ( ლ. თაბუკაშვილი, 1973:188-189).

გ. კასრაძის შემოქმედებაში მრავლადაა შესრულებული პორტრეტები, ნიუები და ნატურმორტები. თავისი შემოქმედებით ის თანდათან აბსტრაქციას უახლოვდება,თუმცა საგანს ბოლომდე არ ემიჯნება.

ამრიგად, როგორც ჩანს, ქართული აკადემიური სკოლა ორიენტირებული იყო რენესანსულ პრინციპებზე და ამასთან ქმნიდა საკუთარ გამომსახველობით სისტემას, რომლის ძირითად ნიშანს ინდივიდუალობა წარმოადგენს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1) ზაალიშვილი ნ. „1920-30-იანი წლების ქართული გრაფიკის ზოგიერთი ტენდენცია“, კ.ბერიძის სახელობის საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი,2008
2) ჩიხრაძე მ. „ თანამედროვე ქართული ნახატის განვითარების ანალიზი“ თბილისი,2006
3) თაბუკაშვილი ლ. კრებული,ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნება, თბილისი,1973



**Marine Jincharadze**


**Renaissance art trends in Georgian art**

**Summary**


The work talks about revealing renaissance tendencies in the works of Georgian artists and at the same time on the system of individual representations created by them.

*მზია კეკეიშვილი*

## *პირველი აგარაკები და სანატორიუმები ქობულეთში*

ისტორიულ წყაროებში ქობულეთი პირველად მოიხსენიება იტალიელი მისიონერის – არქანჯელო ლამბერტის ჩანაწერებში, ის თითქმის თვრამეტი წელი (1631-1649) დარჩა საქართველოში და მთლიანად გაეცნო ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, მის ადათ-წესებს.

შარდენისეული ცნობებით XVII საუკუნიდან ქობულეთი მოიხსენიება, როგორც ტყვეებით ვაჭრობის ადგილი.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ვახუშტი ბატონიშვილი მოიხსენიებს ქობულეთს ასე: „კუალად ალამბრისა და აჭყვის სამხრით დის მდინარე ქობულეთისა. გამოსდის ხინო-აჭარის მთასა, მოდის დასავლით, მიერთვის ზღუასა ეგრეთვე. ზღვის პირზედ არის **ქობულეთი** – მცირე ქალაქსავით და ნავსადგური ფრიად კეთილი“.

ოსმალების ხელში ქობულეთს „ჩურუკ-სუ“ ეწოდებოდა, რაც თურქულად „დამპალ წყალს“ ნიშნავს – უთუოდ, დასახლების ირგვლივ არსებული ჭაობების გამო (მე-18 საუკუნემდე ქობულეთი ეკუთვნოდა ქობულიძეების საგვარეულოს, სავარაუდოდ აქედან გამომდინარეობს მისი სახელწოდება).

რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ქობულეთში აღმოცენებულ ახალ დასახლებას ეწოდა „სმეკალოვკა“ -ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის გენერალ სმეკალოვის საპატივცემულოდ. ინფორმაცია სმეკალოვკის მოსახლეობის შესახებ არ იყო ზუსტი, ძირითადად ის გაკეთებული იყო საეკლესიო წიგნებში გაკეთებული ჩანაწერების საფუძველზე. მოსახლეობის რაოდენობაზე წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:

| | 1886 | 1887 | 1888 | 1889 | 1890 | 1891 | 1892 | 1893 | 1894 | 1895 | 1896 | 1897 | 1898 | 1899 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოსახლეობის რაოდენობა | 304 | 283 | 259 | 246 | 206 | 201 | 212 | 208 | 222 | 223 | 223 | 196 | 203 | 214 |
| ოჯახების რაოდენობა | 71 | 61 | 56 | 56 | 47 | 51 | 45 | 46 | 53 | 52 | 52 | 43 | 43 | 44 |

მაგალითად: 1899 წელს დაფიქსირებული 214 მოსახლიდან : 44 ოჯახი – მამაკაცი იყო 119, ქალი – 95.

ამ საკარმიდამოების ნახევარი მოაგარაკეებს ეკუთვნოდა. აგარაკები, ძირითადად, სეზონურად ფუნქციონირებდა; მხოლოდ 3 მოაგარაკე ზამთარ-ზაფხულ ცხოვრობდა ქობულეთში.

ქობულეთის შემდგომი განვითარებისა და დამსვენებელთათვის უკეთესი პირობების შექმნის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით მიზანშეწონილად მიიჩნეოდა „სმეკალოვკისა და ჩურუკ-სუს გაერთიანება, მოაგარაკეებისათვის საკუთრების უფლების მინიჭება, მაშინ ორივე დასახლება უფრო კარგად და ჩქარა განვითარდებოდა და 2-3 წელიწადში ჩამომსვლელთა რიცხვი ორჯერ გაიზრდებოდა“- სპეციალისტები მიიჩნევდნენ, რომ ქობულეთი იყო ის ადგილი, რომლისთვისაც ღირდა ჩამოსვლა: ზღვის ტემპერატურა ზაფხულობით – 17-23$^0$C; ოქტომბერ-ნოემბერში 12-13$^0$C, ასე რომ ბევრი აქ ნოემბრის ბოლომდე ბანაობს; ზღვის სანაპირო მოფენილია წვრილი კენჭებით, რაც დიდ კომფორტს ქმნის ბანაობისას....იონიზირებული ზღვის ჰაერი, რბილი ტენიანი სუბტროპიკული კლიმატი რეკომენდირებულია არა მარტო დამსვენებელთათვის, არამედ სამკურნალოდ: მაგალითად: მზის უხვი რადიაცია, რომელიც ჰელიო-თერაპიისთვის

კარგ პირობებს ქმნის, სამკურნალოა ძვალ-სახსრების, ლიმფური ჯირკვლების, ტუბერკულოზიის, ბრონქიალური ასთმის, გულ-სისხლძრღვთა დაავადებისათვის და ა.შ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქობულეთი იქცა ელიტურ კურორტად. ზღვისპირა ზოლი რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მეორის განკარგულებით გადაეცა საუკეთესო მთავარ-სარდლებს, რომლებმაც რუსულ – თურქული კამპანიის დროს თავი გამოიჩინეს. დაიწყო ზღვისპირა ზოლის მოწყობა მდიდრული აგარაკებით. მათ მიეკუთვნებოდათ თითო დესეტინა საკარმიდამო ნაკვეთი და 10 დესეტინა **(დესეტინა – მიწის საზომი ერთეული ძველ რუსეთში, მოქმედებდა მეტრული სისტემის შემოღებამდე. ერთი დესეტინა 2400 კვ. საჟენს, ანუ 1,09 ჰექტარს, უდრის).**სახნავ სათესი. აშენებდნენ აგარაკებს, რგავდნენ ეგზოტიკურ მცენარეებს. იმ დროს შავი ზღვის სანაპირო მოკლებული იყო მცენარეულობას; მხოლოდ, მისგან 20-25 საჟენის მანძილზე შეიმჩნეოდა თხილისა და მაყვლის ბუჩქები. ბევრი ვერ ეგუებოდა აქაურ პირობებს და უკან ბრუნდებოდა, სხვები ყიდდნენ თავის ნაკვეთებს შეძლებულ პირებზე, რომლებიც აქ აშენებდნენ აგარაკებს

სმეკალოვკის ადგილმდებარეობისა და მისი ჰავის ექსპერტული შეფასებით „ქობულეთი (სმეკალოვკა) თბილი ზამთრითა და ზღვის სუფთა ჰაერის გამო უნდა ითვლებოდეს ერთ-ერთ საუკეთესო საკურორტო და სამკურნალო ადგილად ფილტვებით და, ძირითადად, ტუბერკულოზიით დაავადებულთათვის. კარგი იქნებოდა თუ სმეკალოვკისა და ჩურუკ-სუს „ინტელიგენცია“ მოაწყობდა სამკითხველოს, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ზაფხულის თვეებში ჟურნალებისა და გაზეთების მიღება, მოაგარაკეებს და ჩამოსულ დამსვენებლებს შესაძლებლობა ექნებოდათ ერთმანეთთან კონტაქტის დამყარებისა და გაცნობის. ეს იქნებოდა პირველი ნაბიჯი მოაგარაკეების ურთიერთ დაახლოვებისა, რაც ძალიან ადვილად გადაიზრდებოდა უფრო მნიშვნელოვან საქმიანობაში, რაც ზაფხულში აქ ჩამოსვლას გაცილებით მომხიბლელს გახდიდა. ამის შედეგად შესაძლებელი იქნებოდა დამსვენებელთა მოზიდვა, მით უმეტეს რომ აქ ბანაობა გაცილებით სჯობს ბათუმში ბანაობას, სადაც დიდი ქვებია და ზაფხულში აუტანლად ცხელა. ბათუმთან სიახლოვე და მასთან მოხერხებული კავშირი (რამდენიმე მატარებელი მოძრაობს დღეში მოაგარაკეებისათვის, რომელთა საშუალებითაც 55 წუთში ნებისმიერ დროს მოხვდები ბათუმში) აძლევს დამსვენებლებს საშუალებას დროდადრო ისარგებლონ ქალაქური სერვისებით “ როგორც ვხედავთ, ერთი საუკუნის წინ დაწერილ ამ სიტყვებში ბევრია ისეთი რამ, რასაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

XIX საუკუნის დასასრულს ქობულეთი, მწვანე კონცხთან და ჩაქვთან ერთად, ბათუმის „საგარაკო ადგილად“ მოიხსენიება.

**ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის 1897 წლის 16 თებერვლის მიმართვაში კავკასიის მხარის სამხედრო-სახალხო სამმართველოს მთავარმმართებლისადმი საუბარია, რომ ბათუმის ოლქის უფროსს მიეცა წინადადება, ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს გადაცემოდა საქმეები, რომელთა ჩამონათვალი გარკვეულ წარმოდგენას ქმნის სმეკალოვკის, იგივე ჩურუქ-სუს დასახლების ისტორიაზე:**

**ჩურუქ-სუში ერთი ბატალიონისთვის ყაზარმის აშენებაზე; 1880 წელი, ...ჩურუქ-სუში რუსული დასახლების შექმნაზე, ჩამოსახლებაზე; 1893 წ. .. ექიმ ფრანციუსისთვის მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე სამკურნალო დაწესებულებისთვის – 1893 წელი; დასახლებაში გზების მშენებლობაზე 1894 წ., მესტეჩკა-- ჩურუქ-სუსთვის სლობოდკის, ან პოსადის ---- სახელის მინიჭებაზე – 1896 წ, სხვადასხვა პირთა თხოვნები მათთვის ნაკვეთების გამოყოფაზე აგარაკის ან სამკურნალო** დაწესებულების მოსაწყობად.

საარქივო დოკუმენტებში, სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის საქმეთა ჩამონათვალში დასახელებულია სანატორიუმის და სამკურნალო დაწესებულების აგების მიზნით ნაკვეთის გამოყოფის მთხოვნელთა გვარები: **ექიმი მარკ-სეგალი და ექიმი ტოპოროვი** (თუმცა მათ მიერ აშენებული აგარაკების შესახებ საარქივო დოკუმენტებს ვერ მივაკვლიეთ).

საქმეებში არის ინფორმაცია მხოლოდ **ანნა შჩერბინინას** მიერ აგებულ და ფუნქციონირებად სანატორიუმზე. ცნობილია N 97 ნაკვეთის საზღვრები, მაგრამ გეგმა

ჯერჯერობით არ აღმოჩნდა. მკითხველს ვთავაზობთ **ექიმი ქალის ანნა შჩერბინინას** თხოვნის სრულ ტექსტს, გაგზავნილს სახელმწიფო ქონებათა მინისტრისადმი:

„1893 წელს ჩემი თხოვნით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა --- გასცა განკარგულება ჩემთვის ერთ-ერთი მიტოვებული, № 97 ნაკვეთის გამოყოფაზე სანატორიუმის მოსაწყობად იმ ვალდებულებით, რომ ორი წლის ვადაში ამეშენებინა აღნიშნული სამკურნალო დაწესებულება. 1895 წელს სანატორიუმი აგებული იქნა, მიწის ნაკვეთი – ერთი დესეტინა- დამუშავებული იქნა, დაირგო ძვირფასი ჯიშის ხეები. სამი წლის განმავლობაში, ზაფხულის თვეებში სანატორიუმი ფუნქციონირებდა, ჰყავდა 30-დან 38 -მდე ავადმყოფი. 1898 წლის შემოდგომაზე კი მთელი დაწესებულება, მთელი თავისი მოწყობილობით, უბედური შემთხვევის შედეგად განადგურებულ იქნა ხანძრით და ავადმყოფთა მიღება შეწყდა. 1899 წლისთვის შევძელი ამეშენებინა ორი საშუალო ზომის სახლი, შვიდი ოთახით, მაგრამ ამ სახლების სამკურნალო დაწესებულებად მოწყობა არ შემიძლია – ყველაფერი, რაც კი მქონდა, დაახლოებით 16 000, ჩადებულ იქნა საქმეში დასაწყისშივე და განადგურდა ხანძრის შედეგად. დარჩა ნაკვეთი და ორი სახლი დამხმარე ნაგებობებით.

ნაკვეთი, რომელიც ადრე შიშველ ქვიშიან სანაპიროს წარმოადგენდა, ახლა დაფარულია 1 არშინი თიხით – რაც რამდენიმე ათასი დაჯდა, და მასზე დაირგო 2 000 მდე უმაღლესი ჯიშის ხე, უპირატესად წიწვოვანი, რომელთა უმეტესობა ახლა 7-9 არშინს აღწევს. (ანნა შერბინინა ფლობდა ნაკვეთებს N 96 და 97).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დახარჯული ფულისა და შრომის, და მიღწეული რეზულტატების გათვალისწინებით მივმართავ თქვენს უმაღლესობას თხოვნით, დამიმტკიცოს სმეკალოვკაში მდებარე, 1893 წელს გამოყოფილი ნაკვეთი N 97

1900 წელი, 10 აგვისტო“.

მანამდე, 1900 წლის ივლისში, ანნა ივანეს ასულმა შჩერბინინამ ითხოვა აღნიშნული მიწის ნაკვეთი

გადაცემოდა მის შვილს, ნიკოლოზ პროხორის ძე შჩერბინინს.

ბათუმის სატყეო მეურნეობამ 1906 წლის მარტში მოახდინა ნაკვეთის დათვალიერება: „ნაკვეთი სავსებით კულტივიზირებულია უმეტესად წიწვოვანი დეკორატიული ხეებით, შემოღობილია, და ნაკვეთზე აგებულია ორი აგარაკი. მოკლედ, ნაკვეთის კულტივირებისთვის ყველაფერი გაკეთებულია, რაც წესდებითაა გათვალისწინებული. ამიტომ შჩერბინინას თხოვნა მიწის ნაკვეთის მისთვის გადაცემის შესახებ სავსებით შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას“.

1906 წლის 24 მაისის, სატყეო რევიზორმა სხვა თანმხლებ პირებთან ერთად მოახდინა N 97. ნაკვეთ – აგარაკის დათვალიერება. გთავაზობთ ამონარიდებს შესაბამისი ოქმიდან:

1) „მიწის ნაკვეთის საზღვრები იყო: აღმოსავლეთით – მთავრი ქუჩა, რომელიც მთელს სმეკალოვკაზე გადიოდა (და მიემართებოდა სადგურ ქობულეთიდან ფიჭვნარში), დასავლეთით – შავი ზღვის სანაპირო, ჩრდილოეთით – ბატონ შჩერბინინის მიწა (ეს უნდა იყოს ნაკვეთი N 96, ) და სამხრეთით – შესახვევი, რომელიც მთავარ ქუჩას ზღვის ნაპირთან აერთებდა. მიწის ნაკვეთი ყველა მხრიდან შემოღობილი იყო წნული ღობით, რომელსაც ქუჩის მხრიდან აქვს სიგრძე 60 (გრძივი) საჟენი. ზღვის მხრიდან 66 საჟენი, შესახვევის მხრიდან 52 საჟენი, ხოლო ბ-ნ შჩერბინინის აგარაკის მხრიდან 50 საჟენი და 2 არშინი.
2) მთელი ნაკვეთი წარმოადგენს კარგად დამუშავებულ და კულტივირებულ ბაღს ძვირფასი და დეკორატიული მცენარეებით: წიწვოვანი, ფოთლოვანი და მარადმწვანე ჯიშის ხეებით, უპირატესად ნახევრადტროპიკული სახეობებით. ასევე ბუჩქოვანი, ბალახოვანი და ყვავილოვანი მცენარეები. მთელ ნაკვეთზე არის 6-7 არშინის სიმაღლის 1705 ხე. ბაღში მოწყობილია ხეივნები და გზები, არის ყვავილნარები. აგარაკი სუფთაა და მოვლილი.
3) ნაკვეთზე არის შემდეგი ნაგებობები:

ა) ხის სახლი ბეტონის ცოკოლზე – გადახურულია მოთუთიებული თუნუქით, სახლის სიგრძეა 20 ½ არშინი, სიგანე 12 არშინი, სიმაღლე 6 არშინი. სახლის ჩრდილო-დასავლეთი მხარე წარმოადგენს კვადრატულ ვერანდას ბეტონის იატაკით, ... აღმოსავლეთის მხრიდანაც აქვს აივანი – 4 არშინის სიგრძისა და სიგანით ბეტონის კიბის ოდენა.

ბ) დამხმარე ნაგებობები – ბეტონის სამზარეულო 9 არშ . 6 არშინზე, და ხის სარაი – ფარდული, 9 არშინი – 2 ½ არშინზე. სიმაღლე 3 არშინი. ორივე ეს ნაგებობა ერთი სახურავის ქვეშაა. სახლის სამხრეთ მხარეს არის ბეტონის ჭა.

გ) სამხრეთ დასავლეთ მხარეს არის საცხოვრებელი ფლიგელი, შემდგარი ხის სახლისა, ბეტონის საძირკველზე, კრამიტით გადახურული, 91/2 – 5 ზე, ამ სახლზე მიშენებულია: ჩრდილოეთის მხრიდან აივანი 5—4 ½ არშინზე, გადახურული კრამიტით, სამხრეთის მხრიდან ხის ნაგებობა 8 ¼--- 5 არშინი, სიმაღლით 4 არშინი. რკინით გადახურული. აღნიშნულ ფლიგელს აქვს დამხმარე ნაგებობები – ბეტონის სამზარეულო 6-5-4 – ზე, გადახურული მარსელის კრამიტით. მასთან ორი ხის დამხმარე ნაგებობაა..... არის ჭაც (18-2195, ფ. 278).

ქობულეთის წვრილფრაქციანი სანაპირო პლაჟი 10 კმ-ზე მიუყვება შავი ზღვის სანაპიროს. პლაჟსა და დასახლებულ ნაწილს შორის 3-4 მეტრი სიმაღლის და რამდენიმე ათეული მეტრი სიგანის სანაპირო დიუნური ზოლია, სადაც ფიჭვის მძლავრი კორომებია გაშენებული. ფიჭნარის პარკი განსაკუთრებულ მიკროკლიმატს ქმნის, რაც გულსისხლძარღვთა სისტემის და ფილტვებით დაავადებულთათვის უებარი სამკურნალო საშუალებაა.

ასე რომ ქობულეთის გამაჯანსაღებელი კლიმატის ძალამ თავიდანვე გაითქვა სახელი უზარმაზარ იმპერიაში, აქ თუნდაც რამდენიმე დღის გატარება რჩეული საზოგადოებისადმი კუთვნილების ნიშანი იყო. კურორტის შესახებ უკვე არა მხოლოდ საუბრობდნენ არამედ წერდნენ კიდეც. ამის მტკიცებულებაა მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები იმდროისათვის ყველაზე ცნობილი გაზეთის "კავკაზის" ფურცლებზე, სადაც გამოჩენილი ექიმები **პანტიუხოვი და პერედელსკი** წერდნენ ქობულეთის უნიკალური გამაჯანსაღებელი ჰავის შესახებ. ისინი იხსენიებენ ქობულეთს, როგორც "სმეკალოვკას" (როგორც რუსული დიდგვაროვნების დასახლებას) და უწოდებენ **"რუსულ რივიერას". გარდა** ამისა ავტორები იშველიებენ ექიმ **პრეობრაჟენსკის და პროფესორ შჩერბაკოვის** სიტყვებს, რომლის მიხედვითაც ქობულეთის ჰავა საუკეთესოდ მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა, ნერვულ სისტემასა და სასუნთქ ორგანოებზე.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ არისტოკრატების აგარაკები წითელი კომისრების მფლობელობაში გადავიდა. ერთ-ერთი საუკეთესო აგარაკი, რომელსაც სამედიცინო თვალსაზრისით იდეალური ადგილმდებარეობა ქონდა, ლავრენტი ბერიას საკუთრება გახდა. მას შემდეგ, რაც ბერია მოსკოვში გადავიდა, მისი აგარაკი სანატორიუმად აქციეს. სანატორიუმს "საქართველო" დაარქვეს. სანატორიუმი ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ დასასვენებელ ადგილად ითვლებოდა საბჭოთა კავშირში და აქ დასვენებისა და მკურნალობის უფლება მხოლოდ რჩეულებს ჰქონდათ.

დღეისათვის ზღვის გარდა ქობულეთის ტერიტორიაზე მინერალური და გოგირდოვანი წყლებისა თუ სამკურნალო ტალახის არსებობა ასევე სამკურნალო ტურიზმის განვითარების საშუალებასაც იძლევა.
ქალაქის სტატუსი ქობულეთმა 1944 წელს მიიღო, ხოლო კურორტად ჯერ კიდევ 1923 წელს გამოცხადდა. დღეისათვის განსაკუთრებით გაიზარდა ქობულეთის პოპულარობა. ტურისტებისთვის ქობულეთი საინტერესოა მდიდარი ქვის ხანის, ადრეფეოდალური და ანტიკური არქეოლოგიური ძეგლებით, რაც ძველი კოლხეთისა და საერთოდ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრის არსებობას ადასტურებს.

ქობულეთში არის დაცული ტერიტორიები (1999 წლიდან) – ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი – ისპანი II (331ჰა) და კინტრიშის ნაკრძალი (3 190 ჰა). დღეს ქობულეთი საქართველოს ერთ–ერთი ულამაზესი ზღვისპირა ქალაქია. კარგი პლაჟი და ზღვა დასვენების, გართობისა თუ გაჯანსაღების შესანიშნავ პირობებს ქმნის.

**გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**


1. ქუთაისის ცენტრალური არქივი (ქცა), ფონდი # 18, საქმე 2195
2. Кавказский календарь на 1885 год გვ. 216
3. Кавказский календарь на 1910 год



**Mzia Kekeishvili**


**The first cottages and sanatoriums in Kobuleti**
**Summary**


Kobuleti is first mentioned in historical sources in the records of the Italian missionary Archangelo Lambert. He stayed in Georgia for almost eighteen years (1631-1649) and became fully acquainted with the life of our people. The article presents the history of Kobuleti and its transformation into a tourist city.

*თინათინ ჯაბადარი*

## *ქართული სამხედრო აზროვნების სამჭედლო და 1921 წლის თებერვალი*

1866 წლის დასაწყისში კავკასიის მთავარმმართებლის, დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის მიერ ქალაქ თბილისში ოფიციალურად დაფუძნდა **ქვეით იუნკერთა სასწავლებელი.** პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას სასწავლებელში უკვე 700-ზე მეტი იუნკერი ირიცხებოდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ 1918 წელს თბილისის მიხეილის სახელობის სამხედრო სასწავლებელი საქართველოს მთავრობის დაქვემდებარებაში გადავიდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ-მაიორ გიორგი კვინიტაძის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით ეროვნული არმიისა და მაღალი ჩინის ოფიცერთა კორპუსის შესაქმნელად 1919 წლის ზაფხულის ბოლოს ქალაქ თბილისში დაარსდა იუნკერთა ქართული ორწლიანი სამხედრო სასწავლებელი.



**ქართული სამხედრო სკოლის შენობა**

სიტყვა იუნკერი გერმანულია და თავად-აზნაურული წარმოშობის უნტერ-ოფიცერს ნიშნავს, მაგრამ ახლად დაარსებული ქართული სასწავლებელი გახდა ქართული სამხედრო აზროვნების ჭეშმარიტი სამჭედლო. სასწავლებელში ძირითადად ქართველ თავადაზნაურთა შვილები სწავლობდნენ, დასაწყისში სამხედრო ხელოვნებას აქ 180 იუნკერი ეუფლებოდა და როგორც ალექსანდრე ჩხეიძე წერდა, ეს იყო პირველი ქართული ეროვნული სამხედრო სასწავლებელი, რომლის სასწავლო პროგრამა იმჟამინდელი ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას ზედმიწევნით ითვალისწინებდა.

იუნკრები და დამოუკიდებელი საქართველო განუყოფელი თემაა, ქართველი იუნკრები დამოუკიდებელი საქართველოს ყველაზე წმინდა ნაწილი იყო. საქართველოს პირველი რესპუბლიკის, ქართული სამხედრო სკოლისა და მისი პირველი კურსდამთავრებულების შესახებ, თანამედროვეებისაგან: ალ ჩხეიძის, გიორგი კვინიტაძის და ამ ბრძოლის სხვა მონაწილეთაგან უამრავი მოგონება გამოქვეყნდა, ბრძოლის შემფასებელი უამრავი სტატია დაიბეჭდა, 2008 წელს შეიქმნა ლელა სარალიძის შესანიშნავი ნაშრომი „სამხედრო სკოლა (იუნკრები) პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს."

ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლიდან 100 წლის გასვლის შემდეგაც, კვლავ აქტუალურია დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირები და მათი გმირო-

ბის სულის ჩამდგმელი ქართული სამხედრო სკოლა. მინდა ყურადღება გავამახვილო საქართველოს საისტორიო არქივში დაცულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ფონდში არსებულ უცნობი იუნკრის მოგონებებზე, რომელიც ტაბახმელასა და თბილისში ჩატარებული ბრძოლების და სამხედრო სასწავლებლს ეხება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოგონება ბრძოლიდან 50 წლისთავზე დაიწერა.

როგორც ზევით აღვნიშნე, მოგონების ავტორის შესახებ დოკუმენტში ინფორმაცია არ დევს, თუმცა 1921 წლის თებერვლის ბრძოლებზე გამოქვეყნებული უამრავ წერილებსა და მოგონებებზე დაყრდნობით, მოგონების სავარაუდო ავტორი ყოფილი იუნკერი ნიკოლოზ მათიკაშვილია, მოგონებაში ერთ ადგილზე ვკითხულობთ „აღზრდილი ვარ ძველი თბილისის ტრადიციებზე", ცნობილია, რომ ის დაიბადა 1900 წელს, თბილისის მაზრაში, სოფელ პატარძეულში, მაგრამ გაიზარდა თბილისში. ***[ფ. 1969, ან4, საქ15. ფ. 23]*** მოგონება დაწერილია 1921 წლის თებერვლის ბრძოლებიდან 50 წლის შემდეგ, ე.ი. 1971 წელს, ამ პერიოდისათვის ცნობილი გენერლები, ცნობილი იუნკრები, აღნიშნული პერიოდის მემატიანენთა უმრავლესობა თითქმის გარდაცვლილნი იყვნენ, ამ ბრძოლების უშუალო მონაწილე ნიკოლოზ მათიკაშვილი კი 71 წლის იყო, „დღეს ამ ბრძოლებიდან ორმოცდაათი წლის თავზედ, მსურს გაკვრით ავღნიშნო... "და ა.შ. მოგონენების ავტორი უშუალოდ მონაწილეობდა 1921 წლის თბილისის შემოგარენში წარმოებულ ბრძოლებში, (ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ის ირიცხებოდა უმცროსი კურსის მესამე განყოფილებაში), რადგან დაწვრილებით აღწერს თებერვლის ბრძოლების თითოეულ დღეს, უკანასკელ ბრძოლას და თბილისის დატოვებასაც „თბილისი გავიარეთ გამთენიისას, როგორც უკანასკნელ ქართულ ნაწილმა". ავტორი მოგონებაში აღნიშნავს რომ მონაწილეობას იღებდა ასევე მეორე მსოფლიო ომში: „მეორე მსოფლიო ომის დროს ბევრი ქვეყანა ვნახე" ***[ფ. 1969, ან4, საქ15. ფ. 23]*** აღსანიშნავია, რომ ის იყო გიორგი ლეონიძის დეიდაშვილი, მოგონება დაწერილია გამართული ქართული ლიტერატურული ენით, ეს მაფიქრებინებს, რომ უცნობი იუნკრის მოგონების ავტორი ნიკოლოზ მათიკაშვილია.

სამხედრო სკოლის დაარსების შესახებ, მისი მოგონებაში ვკითხულობთ:

„სამხედრო სკოლა დაარსებული იყო 1919 წლის სექტემბერში, თვით სახელის შერჩევა, მისი დამაარსებელმა და საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, განსვენებულმა გენერალმა გიორგი კვინიტაძემ კერძო საუბარში შემდეგ და გვარად ამიხსნა:

უმეტესობის აზრი ის იყო, რომ სახელი აგვეღო რუსულ სახელის უშუალო თარგმანიდან და დაგვერქო „სამხედრო სასწავლებელი", ხოლო თვით სამხედრო განათლება მაქსიმალურად ყოფილიყო შეკვეცილი, გაწვრთნის და თეორიული სწავლების პრაქტიკულ მინიმუმით, მე წინუკმო აზრისა ვიყავი და როგორც სკოლის მომავალ უფროსმა გავიყვანე შემდეგი აზრი:

ეს უნდა ყოფილიყო არა სასწავლებელი, არამედ ქართული სამხედრო აზროვნების სამჭედლო, ქართული დოქტრინის კათედრა, ამიტომ მისი ნამდვილი სახელი უფრო სამხედრო სკოლა იყო, ვიდრე რუსულიდან ნათარგმნი სამხედრო სასწავლებელი. გარდა ამისა, მე არ მწამდა გაწრთვნა მხოლოდ იარაღის ხმარებაში. მე მსურდა აღზრდა ქართული სულით. ამიტომ იყო, რომ გარდა ფართო სამხედრო თეორიულ საგნებისა....სამხედრო სკოლაში გასწავლიდნენ ისეთ არა სამხედრო საგნებს, როგორც ქართული ენის სიტყვიერებას და საქართველოს ისტორიას, ამისათვის მოწვეულნი იქმნენ ისეთი საუკეთესო პროფესორები საგნებისა, როგორც ვასო ბარნოვი და ს. კაკაბაძე. რასაკვირველია ეს დროებით და გარდამამავალი ზომა იყო, სანამ სასწავლებლები მოგვაწოდებდნენ სრულიად ქართულ აღზრდილ მოწაფეებს.

სამხედრო სკოლის დანიშნულება იყო მოემზადებინა უმცროსი ოფიცრები ჯარის ყოველი იარაღისათვის, როგორც ქვეითა ჯარის, არტილერიის, ცხენოსანი, საინჟინრო და ოფიცერთა ნაცვლები, როგორც ამავე იარაღებისათვის, აგრეთვე ისეთ გასაკუთრებულ დარგებისათვის, როგორც ტყვიამფრქვევლები და სანაპირო (საზღვრების დაცვა) ერთეულებისათვის." ***[ფ. 1969, ან4, საქ15. ფ. 20].***

ავტორს დაწვრილებით აქვს აღწერილი სამხედრო სკოლის სწავლების პროცესი. „ოფიცერთა სკოლის მოსწავლეებს იუნკრები ეწოდათ, პირველ კურსზედ იუნკერთა სასწავლებელი ერთ ასეულად იქმნა ჩამოყალიბებული, უმცროსი კურსი გადიოდა საერთო პირველდაწყებით მომზადებას. მეორე წელს უფროსი კურსი იმყოფოდა დარგების მიხედვით, სახელდობრ: ქვეითთა ჯარის, არტილერიის, ცხენოსანი ნაწილის და საინჟინრო დარგებზედ.“ იუნკერების სასწავლო წელი განისაზღვრებოდა პირველი სექტემბრიდან.

სკოლაში მზადდებოდა ნაცვალთა შემადგენლობაც „ნაცვალთა ნაწილი შეიცავდა შემდეგ ასეულებს: ქვეითა ჯარის, ტყვიის მფრქვევლების, სანაპირო სამსახურის, არტილერიის ერთეულს, ბატარეის, საინჟინრო ასეულს და ცხენოსან მწყობრს.“ ნაცვალთა ნაწილი ივსებოდა ახალი გაწვეული რეკრუტებით, მათი შევსება ნოემბრის თვეში ხდებოდა. ***[ფ. 1969, ან 4, საქ15. ფ. 20].*** დამოუკიდებელი ქვეყნის მთელი შეიარაღებული კადრების მომზადება სამხედრო სკოლაში ხდებოდა.

საქმეში დაცული მასალის მიხედვით 1921 წლის თებერვლში სამხედრო სკოლის უფროსი იყო გენერალი ანდრონიკაშვილი, (ცნობილია, რომ გენერალი კვინიტაძე მთავარსარდლად იქნა






**გიორგი კვინიტაძე, ალექსანდრე ჩხეიძე, ალ. ანდრონიკაშვილი, ნიკოლოზ მათიკაშვილი**

დანიშნული 16 თებერვალს) მისი თანაშემწე იყო პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე; იუნკერთა ასეულს ხელმძღვანელობდა არჯევან ანანიაშვილი.

სასწავლებელში 1920-1921 სასწავლო წელს განაგებდნენ:

**იუნკერთა ქვეითი ნაწილი**

კურსის ოფიცერი – გვარი არ არის აღნიშნული;
ტაქტიკა – გენერალური შტაბის გენერალი-ზაქარიაძე;
აფეთქების ხელოვნება – კაპ. თოიძე;
მასალათა სიჯიქე, მექანიკა, აღმშენებლობა, ხიდების აგება, გზების გაყვანა, ანალიტიკურ გეომეტრია, დურგლობა – სამხედრო ინჟინერი გენ. თაყაიშვილი;
სამხედრო ისტორია – გენ. შტაბის გენერალი გიორგი კვინიტაძე;
საქართველოს სამხედრო გეოგრაფია – გენ. შტაბის პოლკ. ჩეჩელაშვილი;
სამართლის მეცნიერება – კაპ. ტატიშვილი;
ენების პედაგოგი – ინფორმაცია არ დევს;
ქიმია – პოლკოვნიკი ვახვახიშვილი;
წესდებები – კაპ. თოიძე;
ფარიკაობა – პოლკ. ჩხეიძე;

**საარტელიო განყოფილება**
**(კურსის ოფიცერი – კაპიტანი დ. ქარუმიძე)**
ტაქტიკა – გენერალური შტაბის გენერალი-ზაქარიაძე;
ტოპოგრაფია – პოლკ. ცხაკაია;
სახედრო ისტორია – გენ. შტაბის გენერალი გიორგი კვინიტაძე;
ფორტიფიკაცია – სამხდრო ინჟინერი, გენ. თუმანიშვილი;
სროლის ისტორია – არტ. პოლკ. სკაბიჩი;
სროლის წესები – კაპიტანი დ. ქარუმიძე;
ქვემეხები და ჭურვები – არტ. პოლკ. გედევანიშვილი;
სამართლის მეცნიერება – კაპ. ტატიშვილი;
არტილერიის ტაქტიკა – კაპ.დ ქარუმიძე;
პიპოლოგია – ვეტ. ჩხენკელი;
სამხედრო გეოგრაფია – პოლკ. ჩეჩელაშვილი;
ენები – პედაგოგზე ინფორმაცია არ დევს;
წესდებები – პედაგოგზე ინფორმაცია არ დევს;
ტანვარჯიშობა – კაპიტანი დ. ქარუმიძე;
ფარიკაობა – პოლკ. ჩხეიძე.

**უმცროსი კურსი**
პირველი განყოფილება – კურსისის ოფიცერი კაპ. ჯაფარიძე;
მეორე განყოფილება – კაპ. ჩიჩუა;
მესამე განყოფილება – კაპ. ხოშტარია;
ტაქტიკა : პირველი განყოფილება – გენ. კვინიტაძე;
მეორე განყოფილება – პოლკ. გედევანიშვილი;
მესამე განყოფილება – გენ. ანდრონიკაშვილი;
ტოპოგრაფია – გენ. ანდრონიკაშვილი;
ფორტიფიკაცია – პოლკ. ვახვახიშვილი;
საქართველოს სამხედრო ისტორია – გენ. გედევანიშვილი;
არტილერიის ტაქტიკა – კაპ. დ ქარუმიძე;
საქართველოს ისტორია – ს. კაკაბაძე;
ქართულ ლიტერატურა – ვასილ ბარნოვი
სამხედრო ადმინისტრაცია – პოლკ. ჩეჩელაშვილი;
ფრანგული – ქ-ნი ვარო ყიფიანი;
სომხური – ბ. შავდია;
გერმანული – პედაგოგზე ინფორმაცია არ დევს;
ჰიგიენა – მედიცინის გენერალი კალანდარიშვილი;
**ნაცვალთა პირველი ასეულის უფროსი** – მაიორი ნესტორ გარდაფხაძე;
**ოფიცრები**: კაპ. დავით მაჭავარიანი;
კაპ. ადამიძე;
კაპ. ზაქრაძე;
ნაცვალთა მეორე ასეულის მეთაური – მაიორი მიხეილ აბულაძე;
ოფიცრები: – კაპ. ვარლამ ბალუაშვილი;
კაპ – ალექსანდრე ალავიძე;
კაპ. – ჭიჭინაძე;
**მესამე ასეულის უფროსი** – მაიორი ანდრო ბალუაშვილი;
ოფიცრები:
კაპ. გერმანე გვასალია;
კაპ. მაქსიმე რევია;
კაპ. იულონ სანიკიძე;

**სანაპირო ასეულის მეთაური:** სიამაშვილი;
ოფიცერი: – კაპ. ყიფიანი;
**ტყვიამფრქვეველთა ასეული უფროსი:** – უფროსი მაიორი: ელიზბარ შარვაშიძე;
ოფიცრები: კაპ. არტემ არონიშიძე;
კაპ. მჭედლიშვილი გიორგი;
ლეიტ. ერისთავი რაფო (ფრონტზე გასვლის წინ მიემატა);
**ბატარეის მეთაური** – მაიორი ბახუტაშვილი;
ოფიცრები: ბარნაბიშვილი გიორგი; ყარაშვილი გიორგი; ქავთარაძე;

სკოლის ორკესტრს ხელმძღვანელობდა კაპელმეისტერი **ვეჯინი** (ტექსტში ასეა, მისი გვარია – გიჯინი). საქმეში დაცულია 1921 წლის თებერვლის თვეში ერთ – ერთი ასეულის სრული შემადგენლობა. უმცროსი კურსი დაკომპლექტებული იყო 113 იუნკერით: პირველ განყოფილებაში – 37; მეორეში – 38; მესამეში – 39 – იუნკერი სწავლობდა.

უფროსი კურსი დაკომპლექტებული იყო – 39 იუნკრით. კურსზე შედიოდა ასევე ქვეითთა განყოფილება 38 იუნკრით; საინჟინრო განყოფილება – 10 იუნკრით, საარტილერიო განყოფილება – 15 იუნკრით, ცხენოსანი განყოფილება – 5 იუნკრით. სრულად მომყავს მათი სიები, მათი უმრავლესობის გასწვრივ მითითებულია ბრძოლის დროს მიღებული შედეგი და ბრძოლის შემდგომი მდგომარეობა.

**უმცროსი კურსი – პირველი განყოფილება**

1. ბარამიძე ბენია;
2. ბაქრაძე ივანე – გაიგზავნა პოლონეთში;
3. ბალახვანელი საველი- გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
4. გაბუნია კონსტანტინე;
5. გენძეხაძე შალვა;
6. გიგინეიშვილი ვასილი;
7. დგებუაძე ნიკოლოზი – დაიჭრა მსუბუქად;
8. დოლიძე პლატონი – ჭრილობისგან გარდაიცვალა;
9. ერქომაიშვილი ალექსანდრე – დაიჭრა;
10. ვეფხვაძე ივანე;
11. ზაუტაშვილი იოსები – დაიჭრა მსუბუქად და პოლონეთში გაიგზავნა;
12. იაშვილი კონსტანტინე – დაიჭრა;
13. იოსელიანი ტიმოთე;
14. კეკუაძე კლიმენტი;
15. კელენჯერიძე დავითი;
16. კვარაცხელია გრიგოლ;
17. გუმარიტაშვილი ალექსანდრე;
18. ლაღიძე ვლადიმერი – ქუთაისში იყო გაგზავნილი, ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია;
19. ლოლაძე კონსტანტინე – დაიჭრა;
20. ლოლუა მიხეილ – მოკლულია;
21. ლორთქიფანიძე ალექსანდრე – დაიჭრა;
22. ნაუშვილი ივანე – გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში და შემდეგ პოლონეთში;
23. ნიკოლაიშვილი ნიკოლოზი – გაიგზავნა პოლონეთში;
24. საღინაშვილი გიორგი – მძიმედ დაიჭრა;
25. სიდამონ-ერისთავი ილია;
26. სისაკოვი ივანე;
27. ტატიშვილი ზურაბი – მძიმედ დაიჭრა;
28. უგრეხელიძე ვიტალი – გაიგზავნა პოლონეთში;
29. ფანცულაია ალექსანდრე;

30. ფერაძე პავლე;
31. ქობულია მიხეილი;
32. ხუნდაძე გედეონ – გაიგზავნა პოლონეთში;
33. წიკლაური ვლადიმერ – მსუბუქად დაიჭრა;
34. ჯამასპიშვილი ივანე;
35. ჯაფარიძე ივანე – დაიჭრა;
36. ჯიბლაძე (ჭიღლაძე) ნიკოლოზ – დაიჭრა;
37. ჭოღოშვილი სერგი;

**უმცროსი კურსი – მეორე განყოფილება**

1. ავალიშვილი შალვა – დაიჭრა მძიმედ;
2. ანდრონიკაშვილი არჩილი;
3. აფხაიძე ტიმოთე;
4. აღლაძე ირაკლი – დაიჭრა მძიმედ;
5. ბოკუჩავა გრიგოლი – გაიგზავნა პოლონეთში;
6. გიორგაძე ვლადიმერი – დაიჭრა მძიმედ;
7. გლოვაცკი ალექსანდრე – გაიგზავნა პოლონეთში;
8. ვაჩნაძე დავითი;
9. იაშვილი ალექსანდრე – დაიჭრა;
10. იაშვილი სიმონი – დაიჭრა;
11. კანდელაკი ლევანი – მოკლულია;
12. კეზელი ლევანი – გაიგზავნა პოლონეთში და იქ გარდაიცვალა;
13. კვალიაშვილი მიხეილი – გაიგზავნა პოლონეთში;
14. კობიაშვილი სიმონი – გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში და შემდეგ პოლონეთში;
15. ლოსაბერიძე გობრონი;
16. მამუჩაშვილი დავითი – დაიჭრა მსუბუქად;
17. მარკოზაშვილი ლავრენტი;
18. მდივანი დავითი;
19. მორჩაძე დავითი – დაიჭრა მსუბუქად;
20. მრელაშვილი გიორგი – გაიგზავნა პოლონეთში;
21. ოქროპირიძე იოსები;
22. სვიმონიშვილი ივანე – დაიჭრა;
23. სომხიანცი მელიქ – გაიგზავნა პოლონეთში;
24. სხირტლაძე აკაკი – გაიგზავნა პოლონეთში;
25. ტროყაშვილი მიხეილი;
26. ტურაშვილი გრიგოლი – გაიგზავნა პოლონეთში;
27. ფურცელაძე გიორგი – ტიფით იყო ავად, ფრონტზე არ ყოფილა;
28. ფხაკაძე ვასილი;
29. ხიმშიაშვილი – ალექსანდრე;
30. ხინველი ისაკი – დაიჭრა
31. ძულიაშვილი გიორგი – ტიფით იყო ავად, ფრონტზე არ ყოფილა;
32. ციციშვილი კონსტანტინე;
33. ცქიტიშვილი გიორგი – დაიჭრა მძიმედ;
34. ჩაჩავა მიხეილი;
35. ჯავახიშვილი გიორგი – გაიგზავნა პოლონეთში;
36. ჯანდიერი იოსები – მოკლულია;
37. ჯაფარიძე ნიკოლოზი – დაიჭრა;
38. ჯინჭარაძე ალექსანდრე (I) – გაიგზავნა საფრანგეთში.

**უმცროსი კურსი – მესამე განყოფილება**

1. აბაშიძე ვარლამი – დაიჭრა მსუბუქად;
2. აბაშიძე კონსტანტინე;
3. ანდრონიკაშვილი გიორგი;
4. არჯევანიძე ალექსანდრე;
5. აღნიაშვილი ნიკოლოზი – გაიგზავნა პოლონეთში;
6. დათებაშვილი აკაკი;
7. დანელია ნიკოლოზი;
8. დონაძე გედეონ;
9. ერისთავი შალვა (შალიკო) – მოკლულია;
10. ვახვახიშვილი ნიკოლოზი – მძიმედ დაიჭრა;
11. ზალდასტანიშვილი გიორგი;
12. ზედგენიძე გიორგი;
13. თარხნიშვილი ალექსანდრე;
14. კავკასიძე ვლადიმერი;
15. კალანდარიშვილი დავით;
16. კასრაძე ვასილი;
17. კერესელიძე ივანე;
18. კვიკვიძე მიხეილი;
19. კვინიხიძე მიხეილი;
20. კინწურაშვილი ალექსანდრე – გაიგზავნა საფრანგეთში;
21. ლორთქიფანიძე ირაკლი;
22. ლეჟავა ვასილი;
23. მათიკაშვილი ნიკოლოზი – გაიგზავნა პოლონეთში;
24. მაჩაბელი ივანე – ფრონტზე მძიმედ გახდა ავად;
25. მირზაშვილი რევაზ – დაიჭრა;
26. მჭედლიშვილი აპოლონი;
27. ომარაშვილი ნეოფითე;
28. სამხარაძე ბაგრატი – დაიჭრა;
29. სალინაშვილი ევგრაფი;
30. ტატიშვილი ალექსანდრე;
31. ფავლენიშვილი რევაზი;
32. ქაჯაია ვასილი – მძიმედ დაიჭრა;
33. ხიდირბეგიშვილი მიხეილ – დაიჭრა;
34. შავდია დავითი;
35. შვანგირაძე ონისიმე;
36. ჯანდიერი არჩილი;
37. ჯინჭარაძე ალექსანდრე (II) ;
38. ჭანკვეტაძე ვახტანგი;
39. ლომკაცი გიორგი.
40.

**უფროსი კურსი**

1. უფროსი პორტ.იუნკერი – ასათიანი მამუკა – დაიჭრა ხელში, შემდეგში კურ-დსანტების კურსის ოფიცერი გახდა.
2. უმცროსი პორტ.იუნკერი – ამირაჯიბი დიმიტრი – სახეში დაიჭრა;
3. ახვლედიანი ალექსანდრე – მოკლულია;
4. ბარნაბიშვილი ივანე;
5. ბარნაბიშვილი მიხეილი;

6. ბახიტაშვილი სიმონ;
7. ბურჭულაძე ვლადიმერ;
8. გეგეჭკორი ვალერიანი;
9. გეთია მიხეილი;
10. გელაძე მიხეილი;
11. უფროსი პორტ.იუნკერი, გუნდის უფროსი-გელაშვილი სპირიდონი – დაბრუნდა ბეიუკლიმანიდან;
12. გოგოლაშვილი ნიკოლოზი;
13. უმცროსი პორტ.იუნკერი – გორდეზიანი ამბროსი – დაიჭრა ხელში;
14. უმცროსი-პორტ.იუნკერი-თაყაიშვილი პლატონი-გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
15. თინიკაშვილი ბორისი – გაიგზავნა პოლონეთში;
16. იასვილი გრიგოლი – გაიგზავნა პოლონეთში;
17. ივანიძე ნიკოლოზი;
18. უმცროსი პორტ.იუნკერი – იოსავა აბესალომი – დაიჭრა ხელში;
19. კაკაბაძე დავითი;
20. კაკაბაძე ილია – გაიგზავნა პოლონეთში;
21. ლაფაური ნიკოლოზი;
22. უმცროსი პორტ.იუნკერი-ლობჟანიძე ილარიონ, გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
23. ლორთქიფანიძე ოთარი – მოკლულია;
24. უმცროსი პორტ.იუნკერი – მატახერია ლავრენტი;
25. მაყაშვილი ბორისი – დაბრუნდა ბეიუკლიმანიდან;
26. ზემდეგი ოდიშელიძე გიორგი;
27. ოქროპირიძე ზაქარია;
28. სალინაშვილი გიორგი – დაიჭრა ფეხში;
29. სალინაშვილი ნიკოლოზი;
30. ტყეშელაშვილი ირაკლი – დაიჭრა ორთავ ფეხში;
31. უმცროსი პორტ.იუნკერი – ყიფიანი დავითი, გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
32. ხუციშვილი დიმიტრი – მძიმედ დაიჭრა;
33. ცერცვაძე ზაქარია – გაიგზავნა პოლონეთში;
34. ჩაჩიბაია კლემენტი – სტამბულში დარჩა საკუთარი ნებით;
35. ჩილოჩავა ალექსანდრე – დაიჭრა მსუბუქად;
36. უმცროსი პორტ.იუნკერი – ჩხეიძე გრიგოლი;
37. ჯავახიშვილი გიორგი – დარჩა გორში;
38. ჯანდიერი ილია – მძიმედ დაიჭრა ორთავ ფეხში, ჭრილობებისგან საავადმყოფოში გარდაიცვალა;
39. უმფროსი პორტ. იუნკერი – ჯაფარიძე ალექსანდრე.

**საინჟინრო განყოფილება**

1. აბაშიძე სიმონი – გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
2. უმცროსი პორტ.იუნკერი – ბალუაშვილი გიორგი;
3. უმცროსი პორტ.იუნკერი – გარსიაშვილი ნიკოლოზი – ბეიუკლიმანიდან საქართველოში დაბრუნდა;
4. იაკობაშვილი პავლე – მოკლულია;
5. კიკიანი გრიგოლ – დაიჭრა 2 მაისს, 1920;
6. რიჟამაძე კლემენტი;
7. უმფროსი პორტ.იუნკერი – ფერაძე ისიდორე – დაიჭრა ხელში;

8. ხელაძე ვალერიანი – გაიგზავნა პოლონეთში;
9. ციბაძე ვლადიმერი – გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
10. ჭუბაბრია დავითი.

**საარტელერიო განყოფილება**

1. აბულაძე პროკოფი – გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
2. უფროსი პორტ.იუნკერი ბაქრაძე ვახტანგი – ბეიუკლიმანიდან საქართველოში დაბრუნდა;
3. ვერულაშვილი ვასილი;
4. თოხაძე ნიკოლოზი – გაიგზავნა საფრანგეთში;
5. ისკანდარაშვილი ვახტანგი – ბეიუკლიმანიდან საქართველოში დაბრუნდა;
6. უმცროსი პორტ.იუნკერი – ლაღიძე დავითი – გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
7. უმცროსი პორტ.იუნკერი – მახარაძე ვლადიმერ – გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
8. ნიკოლაძე შოთა – გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
9. უმცროსი პორტ.იუნკერი – რატიშვილი გიორგი – გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
10. რცხილაძე ნიკოლოზი – გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
11. უფროსი პორტ.იუნკერი – ღოღობერიძე მიხეილ;
12. წითლანაძე თადეოზ – გაიგზავნა პოლონეთში;
13. ხუხუნი კლემენტი – საქართველოდან გერმანიის უნივერსიტეტში შევიდა, გახდა ავად და საქართველოში დაბრუნდა, სადაც ჩასვლის უმალვე გარდაიცვალა.

**ცხენოსანი განყოფილება**

1. უმცროსი პორტ.იუნკერი – დადიანი მიხეილი – გაიგზავნა პოლონეთში;
2. უფროსი პორტ.იუნკერი – ვაჩნაძე ივანე – გაიგზავნა საფრანგეთში;
3. ლაღიძე დიმიტრი – გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში, დაბრუნდა საქართველოში;
4. მიქაძე სერგო;
5. ნაცვლიშვილი ფარნაოზი – გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში.

**იუნკერთა ასეულის ოფიცერთა შემადგენლობა (ტაბახმელაზე)**

1. სკოლის უფროსი – გენერალი ანდრონიკაშვილი ალექსანდრე – დახვრიტეს ბოლშევიკებმა;
2. მისი თანაშემწე – ჩხეიძე ალექსანდრე;
3. იუნკერთა ასეულის უფროსი – მაიორი ანანიაშვილი არჯევანი – მოკლულია.

**ასეულის ოფიცრები**

1. კაპიტანი შავდია მიხეილი – დაიჭრა ხელში;
2. ხოშტარია ვარლამი – დაიჭრა;
3. ჩოჩუა დომენტი – მძიმედ დაიჭრა;
4. თოიძე ირაკლი – მოკლულია;
5. ანდრონიკაშვილი ალექსანდრე – დაიჭრა ფერდში;
6. სულხანიშვილი გიორგი;
7. ქარუმიძე დავითი. ***[ფ.1969, ანა საქ.N15, ფ.12-17].***

სამხედრო – სამნეო კომიტეტის ფული მისაღები ტალონით, სკოლის ოფიცრების, მოხელეების, იუნკრების და ჯარისკაცების, ხელფასების, სკოლის სხვადასხვა ხარჯებისათვის მოლარე კაპიტან მახარობლიძის წარდგენილი ანგარიშის შესახბამისად – თბილისის ხაზინიდან გაიცემოდა. სკოლაში შემოსული იუნკრების თანხა მათი

გუნდის უფროსებს კუთვნილებისამებრ დასარიგებლად გადაეცემოდათ. საქმეში არსებული ივნისის თვის უწყისის მიხედვით პირველი გუნდს გადეცა – 18500 მან; მეორე გუნდს – 18000 მან; მესამე გუნდს – 20000 მანეთი; ტყვიამფრქვეველთა გუნდის უფროსს 19000 მანეთი. ბატარეის უფროსს – 12000 მანეთი. სანაპირო გუნდის უფროსს – 10500 მანეთი; ცხენოსანი მწყობრის უფროსს – 5000; მცირე გუნდის უფროსს – 1000 მანეთი; ადიუტანტს გადაეცემოდა მებუკეთა ჯამაგირი – 2880 მანეთი. [ფ. 1969, ან4, საქ.15. ფ. 2.].

1919-1920 სასწავლო სამოსწავლო წელი თეორიულ ნაწილში შესრულებულ იქნა გეგმის მთელი სიზუსტით, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობა გატარებული იქნა, როგორც სრული საველე ლაშქრობა წარმოებული ნამდვილ ომში. ცნობილი ფაქტია, რომ 1920 წლის აპრილში რუსეთის შეიარაღებული ძალები პირველად მოადგნენ საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრებს, სამხედრო სკოლა განაწილებული იქმნა ფრონტზე, როგორც სამხედრო ერთეული.

საზღვართან სერიოზული წინააღმდეგობის შემდეგ, რუსეთმა მოახდინა პოლიტიკური კომედიის გათამაშება თბილისში. იმ დროს შეიარაღებული ძალების ძირითადი ნაწილი საქართველოს საზღვრებთან იბრძოდნენ, თბილისში მხოლოდ სამხედრო სკოლის შემადგენლობა იმყოფებოდა. 1920 წლის 1 მაისის ღამეს მოწინააღმდეგათა მხრიდან მოხდა სამხედრო სკოლაში მოტყუებით შეღწევა და ადგილზე დარჩენილ ნაწილზე თავდასხმა. სროლის დროს დაიჭრა საინჟინრო განყოფილების იუნკერი გრიგოლ კიკიანი. (კიკიანი შემდეგ თურქეთიდან გერმანიაში გაიგზავნა.) ამ შეტაკებამ იმსხვერპლა იუნკერი მიხეილ მაყაშვილი... ეს იყო პირველი სისხლი გაღებული სამხედრო სკოლის მიერ სამშობლოს სამსხვერპლოზედ.....

სამხედრო სკოლის ნაცვალთა კურსს, კურსი დამთავრებული ჰქონდათ სრულად და ნაცვლები განწესებულ იქმნენ ჯარის სათანადო ერთეულებში. თანახმად სკოლის გეგმისა, ნაცვლების განყოფილება სკოლაში დახურული იქმნა საერთო სამხედრო ბეგარის რეკრუტების გაწვევამდის. რეკრუტების გაწვევა, პოლიტიკურ თვალსაზრისით, რამდენჯერმე იქმნა გადადებული და ბოლოს გაწვეულ იქმნენ თებერვალში, ამის გამო ნაცვალთა სასწავლებელში 13-14 თებერვალს დაიწყო ახალგაწვეულთა მოსვლა, ე. ი. ომის დაწყებიდან მესამე-მეოთხე დღეს ***[ფ.1969, ან4, საქ15. ფ.23]***.


**მიხეილ მაყაშვილი**


**გრიგოლ კიკიანი**


**შალვა ერისთავი**

1920 წლის სასწავლო წლის დამთავრებისთანავე საქართველოში მდგომარეობა საკმაოდ დაიძაბა, საქრთველოს საზღვრებიდან რუსეთის ჯარის ნაწილები თბილისისკენ მოიწევდნენ. სამხედრო სკოლა გამწესებული იყო ფრონტზე ბორჩალოს რაიონში

მოქმედ დამრტყმელი ჯგუფის შემადგენლობაში, როგორც სამხედრო ერთეული. ისინი ამიერკავკასიის რკინიგზის იმ მონაკვეთს იცავდნენ, რომელიც თბილისში შემოდიოდა.

მოგონების ავტორი თბილისთან ბრძოლებს ომად მოიხსენიებს, „ომი 11 თებერვალს დაიწყო ღამის თავდასხმით." პირველი მარცხების შემდეგ 16 თებერვალს მთავარ სარდლად გენერალი გიორგი კვინიტაძე დაინიშნა. მისი ერთ ერთი პირველი ბრძანებით სამხედრო სკოლის მთლიანი შემადგელობა ფრონტზე გაწესდა, როგორც მთლიანი ერთეული. 17 თებერვლის დილას სამხედრო სკოლა გავიდა ბრძოლის ველზე ტაბახმელის ნაკვთის (მონაკვეთის) დასკავებლად. ***[ფ. 1969, ან4, საქ15. ფ. 22].***

ამ დროს სკოლაში გაწვრთნილი მხოლოდ იუნკერთა ნაწილი იყო, ნაცვალთა ნაწილი სულ ორიოდე დღის გამოცხდებულნი იყვნენ, „სკოლამ ძლივს მოასწრო, ყოველ მათგანს ერთხელ მაინც გაესროლა თოფი, ბევრისთვის ეს პირველი თოფის გასროლა იყო მის სიცოცხლეში, მიუხრდავად ამისა, ეს სრულიად გაუწრვთნელი ერთეული, ბრძოლის ველზედ მაგრად იდგა იუნკერთა ასეულის გვერდში." ***[ფ. 1969, ან4, საქ15. ფ. 22].***

ფრონტზე გამგზავრებისას სამხედრო სკოლას უნდა გაევლო თბილისის ქუჩები. ავტორი საუცხოოდ აღწერს თბილისის იმ დილას: „საუცხოო სურათს წარმოადგენდა თბილისი ამ დღეს. ხალხი ენთუზიაზმით იყო აღფრთოვანებული და მძლავრი ყიჟინით ეგებებოდა სკოლას, ოლღას ქუჩაზედ[1] ხალხის მჭიდრო მასსა გამოარღვია ყველასათვის ძვირფასმა და პატივცემულ ჩვენმა მასწავლებელმა, მოხუც პროფესორმა ვასილ ბარნოვმა, გადმოდგა შუა ქუჩაზედ და მოხდილი ქუდით გვესალმებოდა. ხალხის ყიჟინაში ვერ გვესმოდა რას ამბობდა, მაგრამ თვალებიდან ცრემლები უხვად ზდიოდა.

ხალხის აღფრთოვანებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, როდესაც სკოლა პარლამენტის შენობას დაუახლოვდა, მუსიკის ხმაზედ პარლამენტის აივანი ხალხით აივსო. საერთო გვრგვინვიდან ისმოდა მხოლოდ გაუმარჯოს და ვაშას ძახილი. წყობილებაში შემოდიოდნენ უცნობი პირნი, უბეებში და ჯიბეებში თუთუნს და სხვა რამეებს გვიდებდნენ, ხელს გვართმევდნენ, თანაც ცრემლებს მალავდნენ და სახეს გვარიდებდნენ. ... აღზრდილი ვარ ძველი თბილისის ტრადიციებზედ, მაგრამ არ მეგონა, რომ თბილისს ესე ფაქიზად ჰქონოდა შენახული ძველი ქართული სული და ესე მძლავრათა სძგერდა მისი ქართული გული. მეორე მსოფლიო ომის დროს ბევრი ქვეყანა ვნახე ომის ფსიხოზით ანთებული პატრიოტულ გრძნობებით გატაცებული, მაგრამ ბრძოლის ველზედ მდგომ თბილისის 1921 წლის 17 თებერვლის სურათის მაგვარი ვეღარ ვიხილე ვერსად" ... ***[ფ. 1969, ან4, საქ15. ფ. 13].***

„ბრძოლა 18 თებერვლის ღამეს დაიწყო, მოწინააღმდეგე ფრონტის ცენტრში საკმაო სირთულეს წააწყდა. ავტორი ამ ბრძოლას კრწანისის ბრძოლას ადარებს „ეს მეფე ერეკლეს კრწანისის ველი ახლად ბრგვინავს ბრძოლის ქარცეცხლით და იქნება მისი აჩრდილის დაჰქრის ამ ბრძოლის ცეცხლის ლანდებთან თავის ერთგულ თუშ – ხევსურებით" ***[ფ. 1969, ან4, საქ15. ფ. 22].***

19 თებერვალს ცეცხლი პირველმა იუნკერთა ასეულის მესამე მწყობრმა მიიღო, მალე აღმოჩნდნენ ცეცხლის ქვეშ პირველი და მეოთხე მწყობრი, ასევე ცეცხლი გაუხსნეს მარჯვნივ

მდგარ რეკრუტებს, მიუხედავად სამხედრო გაუწვრთნელობისა, შესანიშნავად იგერიებდნენ მტერს. ასეულის მეორე მწყობრი მოგვიანებით შევიდა ბრძოლაში. აქ მეორე მწყობრის წინ გენერალ ალექსანდრე ჩხაიძესთვის პატაკის ჩაბარების დროს მტრის ტყვიამ სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა მაიორ არჯევან ანანიაშვილს. ეს იყო იუნკერთა ასეულის პირველი მსხვერპლი ამ ომში.

კოჯორის მიმართულება და ქოროღლის მთის კალთები, მამა დავითის გორამდე დაუცველი იყო. მტერმა ეს სიცარიელე შენიშნა... სარდლობის გადაწყვეტილებით შუადღისთვის ამ მიმართულების დასაცავად იუნკერთა მეორე მწყობრი გააგზავნეს. მათ დაუმატეს საინჟინრო დარგის იუნკერთა ათ კაციანი ჯგუფი კაპიტან თოიძის მეთაურობით.

[1] დღევანდელი მ. კოსტავას ქუჩა.

საღამოთი კი ბათუმის გვარდიის ასეული და მეოთხე ათასეულის 50 ჯარისკაცი დაემატა.

მტრის რაოდენობრივი უპირატესობა მოიგერეს. 19 თებერვალს თბილისი გადარჩა, მაგრამ იუნკრების მეორე მწყობრის ნახევარი გათავდა, როგორც საბრძოლო ერთეული. ბრძოლის ველზე თავის აღზრდილებთან ერთად სიცოცხლე დატოვა კაპიტანმა თოიძემ.

20, 21 თებერვალს მტერი განუწყვეტლივ უტევდა ტაბახმელის ნაკვთს, იერიში და კონტრიერიში ერთმანეთს ცვლიდა. მტერი უკუგდებული იყო, 22, 23 თებერვალს ფრონტზე სრული სიწყნარე იყო, მაგრამ ჩვენი სარდლობას არ შეეძლო ამ გამარჯვების გამოყენება, საამისოდ სამხედრო ძალები აღარ ჰყოფნიდა. 24 თებერვალს მოწინააღმდეგის მხრიდან შეტევა განახლდა, მათ დახმარება მოუვიდათ, ეგრეთ წოდებული წითელ ოფიცერთა კურსანტების სახით. ***[ფ.1969, ან4, საქ15. ფ.25].***

მიუხედავად ხალხის ნაკლებობისა ქართველი იუნკრები შეტევაზე გადავიდნენ, ბრძოლა ბატარეის სადგომთან გაიმართა, მოწინააღმდეგე უკუგდებული იყო, ნაშუადღევისთვის ქოროღლის მთიდან შავნაბადის მონაკვეთამდე მდგომარება აღდგენილი იყო, თუმცა მსხვერპლი საკმაოდ დიდი იყო.

„მძიმედ და სევდიანად ღამდებოდა 24 თებერვლის ღამე. იუნკერთა ასეული, როგორც ერთეული აღარ არსებობდა, ბრძოლის მსვლელობაში იუნკერთა ერთი ჯგუფი 17 კაცი ნაკვთის მარცხენა მხარეს მოჰყვა, ჩვენს მარცხნივ, შავნაბადას მთაზედ ერთი ასეული იბრძვის კარგათ.... ღამდება, ვაზნები გვაკლდება, საღამოს ბურუსი სევდიანათ გვევლება თავზედ, განმარტოვების ცივი გრძნობა მძიმეთ აწვება გულს. ამ მდგომარეობაში მოულოდნელად მოდიან სამხედრო სკოლის ოფიცრები, დღეს უკვე განსვენებულნი, კაპიტნები დ. მაჭავარიანი და კაპიტანი ა. ალავიძე. ესენი არ არიან იუნკერთა ასეულის ოფიცრები. ჩვენ ოფიცრებიდან ორი დაიღუპა და დანარჩენნი ჭრილობებს გამო წყობიდან იქმნენ გაყვანილნი, ორთავე საუცხოვო ოფიცრები არიან. კაპიტანმა მაჭავარიანმა თვითონ გამოიყვანა ცეცხლის ხაზიდან დაჭრილი იუნკერი ხუხუნი, რომელსაც სხვები ვერ უახლოვდებოდნენ და პირველ მოსვლისთანავე მოიპოვა იუნკრების განსაკუთრებული განწყობილება. ამით ჩვენი სულიერი სიმარტოვე გრძნობა გაქრა და ჩვენმა განწყობილებამ მაღლა აიწია.... შუაღამეს გადასცდა, თოვლში რომ წვები, თხელ იტალიურ მაზარის ქვეშ თოვლი დნება, მერე რო ადგები, მაზარა იყინება და ფიცარისებრ მაგრდება, ყველანი ვდგევართ და ვმოძრაობთ რომ გავთბეთ....“ ***[ფ. 1969, ან4, საქ15. ფ. 26].*** გამთენიისას კაპიტან მაჭავარიანს შიკრიკმა აცნობა, რომ „ ყველაფერი დატოვებულია, ზურგში არავინ აღარ არის, ჩვენ დავავიწყდით“. ხანგრძლივი რყევის შემდეგ კაპიტნები მაჭავარიანი და ალავიძე უკან დახევის ბრძანებას იძლევიან.

თბილისი გავიარეთ გათენებისას, როგორც უკანასკნელ ქართულმა ნაწილმა. თბილისის ბრძოლა გათავდა. სამხედრო სკოლამ თავისი მოვალეობა შეასრულა უკანასკნელ წუთამდე.... მეორე დღეს 25 თებერვალი თენდებოდა ...მტერმა ვერ გაბედა ქალაქში შესვლა მანამდე, სანამ თავისმა აგენტებმა არ აცნობეს, რომ ქალაქი დატოვებული იყო. ***[ფ.1969, ან4, საქ15. ფ.26].***

ყველასგან მიტოვებულმა ქართული ჯარის უკანასკნელმა ნაწილმა დატოვა თბილისი... ოფიცერთა და იუნკერთა დიდმა ნაწილმა სიცოცხლე ბრძოლის ველზე დატოვა, მათი ნაწილს „ჩეკა“ გაუსწორდა, დიდმა ნაწილმა კი საზღვარგარეთს მიაშურა...

ქართულმა სამხედრო სკოლამ არ გაამტყუნა. დასასრულს მინდა მოვიშველიო გიორგი კვინიტაძის მიმართვა: „...ეს სახელი შეგრჩათ და შეგრჩებათ სამუდამოდ, იქნებით ლეიტენანტი, კაპიტანი, პოლკოვნიკი, გენერალი ან სხვა სახელწოდების მატარებელი, სახელი "იუნკრები“ თქვენია და ეს არა იმიტომ, რომ იყავით სამხედრო სკოლაში, არამედ იმიტომ, რომ იყავით ერთად, ერთ ჯგუფად სამხედრო სკოლის შემადგენლობაში და შედუღდით ტაბახმელის ომში. იქ დაამტკიცეთ, რომ არ მომკვდარა საქართველო, რომ გასაჭირ დროს მიუხედავად ხელშემშლელი პირობებისა, ჩვენ ქვეყანას აქვს ძალა დაემსგავსოს ძველებურს საქართველოს და თავის წიაღიდან წამოაყენოს ძველი გმირე-

ბი, ჩვენი წინაპრები.....ვამაყომ რომ ჩემი იუნკრები გახდნენ საქართველოს სიამაყედ“ ***[ლ. სარალიძე, 2008, 34].***

იუნკრების დიდი ნაწილი მსხვერპლად შეეწირა სამშობლოს სიყვარულს. ქართველი იუნკრები დამოუკიდებელი საქართველოს ყველაზე წმინდა ნაწილი იყო. მათ ვერ შეძლეს რუსული ძალის მოგერიება ძალის სიმცირის გამო, მაგრამ მათი საგმირო საქმე საამაყოდ დარჩა ჩვენს ისტორიაში.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:


1. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი (სსცა), ფონდი **1969** – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტრო, ან. 4, საქ.15;
2. ნ. მათიკაშვილი, მ. კვალიაშვილი, იუნკრები, *თბილისი*, 1990;
3. ლ. სარალიძე, *სამხედრო სკოლა (იუნკრები) პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს*, მეომრის ბიბლიოთეკა N 6. თბილისი, 2008,



**Tinatin Jabadari**


## Georgian Military School and February 1921

### Summary


After independence was proclaimed in 1918, the Mikheil Tbilisi Military School was subordinated to the government of Georgia. By decree of the government of the Democratic Republic of Georgia, the meeting of the founders of Georgia, on the initiative and direct leadership of the Commander-in-Chief of the Georgian Armed Forces, Major General Giorgi Kvitinadze, the Georgian Junker Biennial Military School was founded in Tbilisi.

In the historical archive of Georgia, in the fund of the military ministry of the democratic republic of Georgia, there are the memories of an unknown Junker, which relate to battles and military exercises held in Tabakhmela and Tbilisi. This memory was written on the fiftieth anniversary of the battle. For certain reasons, I think that the author of the memoirs is former Junker Mikheil Matikashvili.

In 1919-1920 academic years, the school released the first student flow, in April 1920 the Russian armed forces first approached the eastern borders of Georgia, the military school was distributed in the font as a military unit.

Since the end of the academic year of 1920, the state of the Georgian border has been quite tense, parts of the Russian army were moving towards Tbilisi. The military school was assigned to the front in the Borchalo area, as part of the active strike group, as a military unit. They defended the section of the Caucasian Railway, which led of Tbilisi.

At this time, only a part of the junkers were trained in the school. The school involved in the battle both trained Junkers and those who had been called up for only a few days, but despite this, this fully untrained unit stood firmly on the battlefield, side by side with a hundred Junkers.

On February 11-24, a fierce battle continued in the vicinity of Tbilisi, despite the inexperience of the Junkers, they selflessly fought. There were a lot of victims. On February 25 at dawn, by order of the Commander-in-Chief, part of the Junkers left Tbilisi. There, the Junkers proved that Georgia did not die, that in difficult times, despite the interfering conditions, our country has the power to become similar to the old Georgia.

*ლალი ფაცია*

## *კაკლის ქვეშ გაშლილი ხუთი სუფრა და დახარჯული სამი საპალნე ღვინო" – როგორ აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე "ილიაობას*

(https://allwine.ge/ka/blog/rogor-arnisnavda-iliaobas-ilia-wavwavaze_1567/ (10 აპრილი, 2018))

შემოდგომა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ლხინისა და ოჯახური გაბედნიერების დროდ იყო მიჩნეული. მთაში ქორწილის გადახდა უმთავრესად შემოდგომაზე – საზამთრო საძოვრებზე ცხვრის გასტუმრებამდე იცოდნენ, ხოლო ბარში ჭირნახულის, მოსავლის აღებას უკავშირებდნენ, როდესაც მარანსა და ბეღელში ბარაქა ტრიალებდა. აღნიშნული წესი დღემდე შემორჩა და ქორწილები საქართველოში ძირითადად შემოდგომა-ზამთარში იმართება.



თუმცა, ზაფხულში იყო ერთი მნიშვნელოვანი დღე – 2 აგვისტო, რომელსაც საქართველოში განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ. ეს დღე იყო "ილიაობა". თურმე, დიდ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ილია ჭავჭავაძეს სამაგალითო სუფრის გაწყობა სცოდნია. მისი თანამედროვე **იაკობ მანსვეტაშვილი** იგონებს: "ილია პურადობით, მასპინძლობით არც ერთს ქართველს არ ჩამოუვარდებოდა, თვითონაც უყვარდა სმა და ჭამა "ფრიად მარგე", იცოდა ჭამა საფუძვლიანად და სტუმრებსაც გულუხვად, ხელგაშლილად დაუხვდებოდა ხოლმე".



**იაკობ მანსვეტლაშვილის** გადმოცემით ყოველ წელს ილიასადმი მიძღვნილ "ილიაობის" დღესასწაულზე იკვლებოდა რამდენიმე ძროხა, ცხვარი, ბატი, აუარებელი ქათამი და ვარიები. ცხვებოდა ასევე უამრავი შოთი პური, ნაზუქი, იხდებოდა ქვევრები საგურამოსი და ყვარლული ღვინოებით სავსე. ყოველ დღეობაზე დაახლოებით სამი საპალნე (საპალნე უდრიდა 750 ბოთლს) ღვინო იხარჯებოდა. ცოცხალი ზუთხი მოდიოდა ფოთიდან ეპისკოპოს გრიგოლ დადიანისაგან, არაგვიდან ცოცხალი ორაგული მოჰქონდათ საგურამოელ გლეხებს.

ილიაობაზე იშლებოდა ოთხი, ხუთი სუფრა კაკლის ქვეშ – ჩამოსული სტუმრებისათვის, კაკლის გაყოლებაზე – წინამძღვრიანთ სკოლის მოწაფეებისათვის, მათ გაყოლებაზე კი გლეხებისათვის. მარტო გლეხების სუფრა საშუალოდ სამას კაცამდე შედგებოდა. თითქმის ყველა "ილიაობაში" მონაწილეობდა.



კარგად ცნობილი **გოგი ყარაგოზიშვილი**, განთქმული მოქეიფე, დარდიმანდი, ლოთი-შფოთი, რომელიც სმის დროს ჭკუას არ კარგავდა, ღვინის დალევა თავისებური ფოკუ-სებით იცოდა. მაგალითად სავსე ჭიქას დაიდგამდა ხელის გულზე, მერე ხელს ისე მო-იღრეცავდა, გადმოატრიალებდა, ჭიქაც ზედვე ედგა, არც ღვინო უნდა დაღვროდა და ასე უნდა დაელია.




ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდგომ წლებში "ილიაობა" მასშტაბურად იშვია-თად აღიშნებოდა.

*ელგუჯა ჩაგანავა*

## *ვინ მოკლა პუშკინი?*

### აჭარის არ შსს საექსპერტოს კრიმინალისტური განყოფილების უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკის, აკადემიკოს არამაის მესროპის ძე ტონოიანის პირადი ფონდის მასალების საფუძვლებზე

სამყარო უთვალავ საოცრებას მოიცავს, რომელთა განმარტებისას ნებით თუ უნებლიეთ რჩება საკითხები, გაშიფრული არასწორი ინტერპრეტაციით. აღნიშნული გარემოება თუმცა დანაშაულს არ წარმოადგენს, მაგრამ უთუოდ მოკლებულია ჭეშმარიტებას და მატერიაში არასასიამოვნოდ ჟღერს.

ძველთაგანვე ადამიანის მოაზროვნე სისტემას შემორჩა ერთი ბრძნული გამონათქვამი: „დედამიწაზე არაფერი იკარგება უკვალოდ". დიახ, ამქვეყნად არასოდეს ყოფილა გამოუვალი სიტუაცია თუ დანაშაული, რომელსაც მისი ხელწერის წყალობით ახსნა მუდამ მოეპოვებოდა და მოეპოვება კიდეც.

როგორც ადამიანს ღრმად მჯერა ანომალური მოვლენების უტყუარობა, მწამს, რომ ჩვენს გარშემო რაღაც ფარულად მოძრაობს, გვითვალთვალებს, გვამოწმებს, შეფასებას უკეთებს გარესამყაროში მიმდინარე ცვლილებათა ერთობლიობას, სასწორის პინაზე აყენებს ადამიანთა აზროვნების მრავალფეროვნებას და შეცდომის დაშვების შემთხვევაში იქედნურად იღიმება. ალბათ სწორედ აღნიშნული ნიუანსი გახლავთ ადამიანის საიდუმლოების მექანიზმის ძირითადი გასაღები. შეიძლება აქ ვიფიქროთ – რა შუაშია ამ შემთხვევაში პიროვნების დასახელებაო, მაგრამ სჯობს თავიდან დავიწყოთ.

თავიდანვე მაინტერესებდა სამყაროში მცხოვრებ გონიერ არსებათა აღმოჩენა – წარმოჩენის სინდრომი, უკანასკნელ ხანებში ეს სურვილი უფრო გაძლიერდა, რომ ლამისაა დუნიაზე მუხლჩაუხრელად ვიარო, ოღონდ ვნახო ადამიანი მესამე განზომილების აზროვნებით. ამ სულიერი მოთხოვნის ასრულების საშუალებას კი სამმართველოს არქივში დაცული მასალები იძლევა.

1999 წლის გაზეთ „ადჟარია"-ს ნომრის გადათვალიერებისას თვალს ერთი რუსულენოვანი სტატია მოხვდა სათაურით „პუშკინი მოკლული იქნა ქილერის მიერ". სიმართლე გითხრათ დამაინტერესა და გულდასმით გადავიკითხე. ავტორს ისტორიკოსი ალექსანდრე ზინუხინი წარმოადგენს. ერთი შეხრდვით, თითქოს წერტილი დაუსვეს მრავალსაუკუნოვან პრობლემას უდიდესი რუსი პოეტის მკვლელობის შესახებ, მაგრამ რა გვრჩება სტატიის დასასრულს? ცოტა არ იყოს უხერხული ნათქვამით, რომ ავხსნათ დაუსაბუთებელი მაგრამ დაკონკრეტებული და უკვე რეალობის ჩარჩოებში მოქცეული ფაქტი, რომ იგი დაქირავებულმა ქილერმა მოკლა. თუმცა არ ვიცნობ ბატონი ალექსანდრე ზინუხინის პიროვნებას, მაგრამ რატომღაც მისი ვერ გავიგე, რადგანაც არც კი ვიცი რამ გამოიწვია ჩემში ეჭვიანობა. იქნებ შესაძლებელია უფრო ღრმად გამოიკვლიონ პუშკინის მკვლელობის ამსახველი ფაქტები? პასუხის გაცემა კი ვერა და ვერ მოვახერხე, მანამ სანამ არ გავეცანი აჭარის არ შსს-ს საექსპერტო – კრიმინალისტიკური განყოფილების უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკი,ს აკადემიკოს არამის ტონოიანის პირად ფონდში დაცულ მასალებს.

სანამ კონკრეტულ ფაქტს დავუბრუნდებოდე ინტერესმოკლებული არ იქნება არამის ტონოიანის წარმოჩენა: აჭარის არ შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკური განყოფილება – აჭარის კრიმინალისტიკის ცენტრი წარმოადგენდა მრავალ სიახლეთა სამშობლოს, რომელსაც ხელმძღვანელობდა სსრკ-ს შსს დამსახურებული თანამშრომელი, აჭარის ასსრ-ს დამსახურებული იურისტი, სსრკ-ს სამეურნეო მოღვაწეთა გამოფენის ლაურეატი სამეცნიერო სფეროში, აკადემიკოსი არამაის ტონოიანი. იგი გახლდათ 5 მედლის (3 ოქროსა და 2 ვერცხლის) მფლობელი. მრავალი წლის მანძილზე კრიმინალისტიკური მეცნიერების აღორძინებისათვის ატარებდა საინტერესო და რთულ ექსპერიმენტებს. მის სახელს უკავშირდება საუკუნის აღმოჩენები. რომელიც მოიცავს კრიმინალისტიკური მეცნიერების ყველა დარგს. ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში არამაის ტონოიანი მუშაობდა შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას

ნამდვილობის დადგენის საკითხისათვის. ლოგიკური აზროვნების მეშვეობით ამტკიცებდა, რომ უსულო, უხილავი და არამეტყველი მოწმეები არიან არა მარტო დამსწრე თვითმხილველები, არამედ კვალმატარებლები, კვალშემნახველები, შეიძლება მათთან უდიდესი ნიჭითა და პროფესიონალიზმით დაამტკიცო, რომ შეიძლება საუბარი უსულო ნივთმტკიცებებთან – დანაშაულის უტყუარ მოწმეებთან, ლოგიკური აზროვნების მეთოდის გამოყენებით. ეს არის მეცნიერება, რომელსაც შეუძლია აიძულოს მტკიცებულების საგანი მიიღოს ინფორმაცია და ააგოს პირამიდა, მწვერვალი, რომელიც არის დანაშაულის გახსნის წყარო. ასეთი აზროვნებისაგან მოულოდნელი არ არის მორიგი სენსაციური აღმოჩენის გაკეთება. აი რას პასუხობს ტონოიანი კორესპონდენტის შეკითხვას პუშკინთან დაკავშირებული ვერსიის შესახებ: „მაგ საიდუმლოების გასაღებას მე უკვე კარგა ხანია ვფლობ და ვამუშავებ", „ფაქტებსაც ვფლობ, ამიტომ სულ მალე სავარაუდო მონაცემებსაც საკუთარ მტკიცებულებებს მოვუნახავო".

ჩვენი საუკუნის მიჯნაზე 200 წელი გავიდა უდიდესი რუსი პოეტის ალექსანდრე სერგოს ძე პუშკინის მკვლელობიდან. უამრავი სიტყვები გამოითქვა მასზე, როგორც პოეტზე და როგორც მკვლელობის მსხვერპლზე. ათასგვარი ვერსიები აღნიშნული საკითხის ირგვლივ არ წყდება. არცერთი გამოცემას არ ეპატიება ზედაპირული მონაცემების საფუძველზე ამდაგვარი მნიშვნელოვანი საკითხის საზოგადეობის წინაშე პუბლიკაცია. ელემენტარული კანონია: თუ გსურს ფაქტების ირგვლივ იმსჯელო და აზრი გამოთქვა, საჭიროა დაკონკრეტება, ლოგიკური აზროვნების გამოყენება – აღნიშნავს არამაის ტონოიანი.

160 – ზე მეტი წელი აშორებს ალექსანდრე პუშკინისა და ჟორჟ დანტესს შორის მომხდარ დუელს. ვერსია, რომ პუშკინი კონკრეტულად ქილერმა მოკლა, მიუღებელია ტონოიანისათვის. „თავდაპირველად დაუკმაყოფილების გრძნობა და საფუძველიანი პროფესიონალური ეჭვები სულს მიღრნის რატომღაც და არ მაიძულებს ფიქრი შევწყვიტო ამ ერთობ პოპულარული საკითხის ირგვლივო" – წერდა ტონოიანი.

ეხლა კი მოკლედ პუშკინთან დაკავშირებული დუელის შესახებ:

ალექსანდრე პუშკინმა საკუთარი დუელის შესახებ ორგანიზაციული საკითხები მთლიანად გადააბარა მის წამზომს დანზასს. ამ უკანასკნელმა მოსალოდნელი დუელის შესახებ მხოლოდ რამოდენიმე საათით ადრე გაიგო, ამიტომაც მთელი ინიციატივა მოწინააღმდეგე მხარეს – დანტესსა და მის წამზომს დეარშიაკს ჩაუვარდა ხელთ, რომელთანაც თავიანთი შეხედულებით გადაწყვიტეს დუელის ჩატარების ადგილმდებარეობა და იარაღის სახეობა. ჟორჟ შარლ დე დანტესი გაშვილების შემდეგ ატარებდა ჰექვერნის გვარს. იგი დაიბადა 1812 წლის 5 თებერვალს, კოლმარში (საფრანგეთი). გარდაიცვალა 1895 წლის 2 ნოემბერს (83 წლის ასაკში)

პუშკინის წინააღმდეგ დაგეგმილი დუელის უკან დგას ვინმე გეკკერენი, ყოვლად გარყვნილი და აღვირახსნილი კაცი, ჟორჟ დანტესის სექსუალური პარტნიორი. ფორმალურად იგი იმყოფებოდა შეურაცხყოფილის როლში, რადგან ოფიციალურად დუელის ჩატარება მას არ შეეძლო.

არის ცნობები იმის შესახებ, რომ ბარონი გეკკერენი შეხვდა ჟანდარმერიის შეფს, გრაფ ალექსანდრე ბეკენდროფს. მას როგორც უმაღლეს ჩინოვნიკს ევალებოდა რუსეთის საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა.

ელჩმა შეფს მოახსენა, რომ დუელი გარდაუვალია, მაგრამ კარგი იქნებოდა მისი თავიდან აცილება. რადგანაც ბეკენდროფს არ ჰქონდა ოფიციალური მონაცემები, დუელის მომზადებისა და ჩატარების შესახებ სათანადო ზომები არ მიუღია, ვინაიდან დადებით შემთხვევაში იგი ჟანდარმებს გაუშვებდა დუელის ადგილას. იმ დროისათვის აღნიშნული ქმედება ისჯებოდა სასჯელის უმაღლესი ზომით – სიკვდილით.

პარალელურად გეკკერნი დანტესის უსაფრთხოებისთვისაც ზრუნავდა. სწორედ 1836 წლის ნოემბერში მისცეს დაკვეთა ფოლადის მუზარადისათვის, რომელიც დანტესის სხეულს დაიცავდა მოსალოდნელი სახიფათო დაზიანებისაგან. ვერსია იმის შესახებ, რომ გამზადებული ფოლადის მუზარადი დანტესმა ჩაიცვა, გამოითქვა 1938 წელს ინჟინერ მ. კომარის მიერ.

დუელი გაიმართა საკომენდატურო დაჩის მახლობლად, შავ მდინარესთან – ზამთრში. აღსანიშნავია, რომ საკომენდატურო დაჩის შორიახლოს მდებარეობდა მეიჯარე მიაკიშჩევის სახლი. ხომ შეიძლებოდა ისინი ყოფილიყვნენ დუელის არასასურველი მოწმეები? სად შეიძლება დამალულიყო თვით სნაიპერი? მიზანმტყორცნი? საკომენდატურო დაჩის სხვენზე ხომ არა, სადაც საამისო ნაგებობა მართლაც რომ ხელსაყრელი იყო..

სროლის ხმა ნამდვილად გაიგონა საკომენდატურო დაჩის მეეზოვემ მატვეი ფომიჩმა, რომელმაც მიირბინა მეიჯარე მიაკიშჩევთან და უთხრა: „საკომენდატურო დაჩის მახლობლად სროლა ისმის"-ო.

როდის გაიმართა დუელი?

ა. ამმოსოკის მიერ ჩაწერილი დანზასის ჩვენებაში ვკითხულობთ: პუშკინი პანტელეიმონოვის ქუჩაზე შემხვდა შუადღის პირველი საათისაკენ. ლიცეუმის მეგობართან ერთად იგი ჩაჯდა ციგაში და გაემართა საფრანგეთის საელჩოსაკენ, სადაც დეარშიაკის თანდასწრებით ამიხსნა საქმის გარემოება. ამის შემდეგ პუშკინი ბრუნდება საკუთარ ბინაში და 13 საათზე გამოდის სახლიდან. დღე იყო ყინვიანი. იგი კვლავ სახლში ბრუნდება, რადგანაც თავს შეუძლოთ გრძნობს და 14 საათის შემდგომ ელოდება დანზასთან შეხვედრას. მალე დანზასიც მოდის. პუშკინი მას აგზავნის იარაღის შესაძენად. 15 საათზე ისინი ერთმანეთს ხვდებიდან და 16 საათზე მიემგზავრებიან დუელის ადგილისაკენ. თვითმხილველები მრავლად მოიპოვება აღნიშნული ფაქტის მტკიცებისათვის, მათ შორის კნიაზი გოლცინიც, რომელიც ქალაქგარეთიდან გართობის შემდეგ ბრუნდებოდა და პუშკინი დაინახა, დაელაპარაკა კიდეც. დუელის ადგილას 30-35 წუთი თოვლის გათელვას მოუნდა.

სამხედრო-სახომალდო კომისიის დასკვნის შესაბამისად დანტესმა გაისროლა 17 საათსა და 30 წუთზე. ამ დროს უკვე საკაოდ ბნელოდა. ცნობა იმის შესახებ, რომ დანტესს იარაღზე ჯერ კიდევ არ ჰქონდა ხელი აღებული, გასროლა კი წარმოიქმნა არ დამაჯერებელი არ ჩანს.

ერთი ცნობით, „როდესაც დანტესმა გაისროლა, იგი დაეცა შინელის პირდაპირ. პუშკინი დიდი კალიბრის ვაზნის გასროლის ძალის თანახმად არა უმცირეს 12 მმ-ისა უნდა წაქცეულიყო არა ამდაგვარად". შემდეგ უკვე აღწერილია პოეტის მეგობრის ვ.ი. დალიას წერილი პუშკინის სხეულის დაზიანების აღწერილობით. აღნიშნული მკვლელობის ირგვლივ იქმნება გაურკვეველი კითხვათა ერთობლიობა, რომელიც ახსნა-განმარტებას საჭიროებს. მათ შორის: კონკრეტულად რა სახეობის, სისტემისა და ეგზემპლიარის იარაღიდან მოხდა გასროლის წარმოება, შესწავლილი იყო თუ არა შემთხვევის ადგილზე დატოვებული კვალთა განსაკუთრებულობები და კიდევ მრავალზე უმრავლესი, რომელთა საფუძველზედაც არის შესაძლებელი ჭეშმარიტი დასკვნის გამოტანა.

როდესაც სამყაროში რაღაც ხდება თუნდაც უმნიშვნელო ასკვნის ტონოიანი, რომლის პროცესიც არავის უნახია ხასიათდება ძირითადი ფაქტორებით. „ჩადენილი დანაშაული ტოვებს კვალს უხილავსა და ხილვადსაც. სიმართლის დადგენისათვის ჩვენ უნდა გავშიფროთ ისინი, უნდა ვიცოდეთ მათი კოდი, მოვუძებნოთ ახსნა, დაველაპარაკოთ ჩვენ ირგვლივ არსებულ საგნებს, რომელთაც თითქმის მეტყველება არ გააჩნიათ, მაგრამ სინამდვილეში შესანიშნავად აზროვნებენ". იგი თვლის, რომ ჩადენილი დანაშაულისას ვიღაცა მოქმედებს, რომელიც ტოვებს თავისებურ კვალს და რომელსაც თავისი ხელწერა გააჩნია. „ჩვენ მხოლოდ უნდა მივხვდეთ და გავშიფროთ კვალთა საიდუმლოებები, ამოვიცნოთ მისი ძირითადი არსი. მარტივად რომ ითქვას თუ უბედური შემთხვევა მოხდა, კვალი ნებისმიერ შემთხვევაში რჩება, რადგანაც იგი ვიღაცამ ჩაიდინა და ის ვიღაცა ჩვენს გვერდით იმყოფება".

არამაის ტონოიანი მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა და შემუშავებული აქვს უსულო სახის საგნებთან საუბრის მეთოდიკის მნიშვნელოვანი საკითხები ლოგიკური აზროვნების მეშვეობით. პუშკინის მკვლელობის ისტორიის ახსნისათვის მას საინტერესო მასალები გააჩნდა, რისთვისაც სურდა ენახა შემთხვევის ადგილი სადაც მოხდა დუელი, ენახა შინელი, რომელზედაც დატოვებულია ტყვიის მიმართულების განმსაზ-

ღვრელი ნახვრეტები, კომენდატურის დაჩის ადგილმდებარეობის სქემა, გეგმები, ტყვიები, რომელიც უნდა დარჩენილიყო გასროლის შედეგად და ა.შ. იგი თვლიდა, რომ საჭიროა პუშკინის გვამის ეგზგუმაცია და შიგ არსებული ტყვიის ამოღება, რომელიც რატომღაც არ იქნა ფიქსირებული.

თუ ვინ მოკლა პუშკინი – დანტესმა, დაქირავებულმა მკვლელმა თუ მესამე პირმა, ამის დადგენის ნებართვისათვის ა. ტონოიანმა მრავალჯერ მიმართა ყოფილ სსრკ-ს შს სამინისტროს, მთავრობას, მაგრამ ყოველთვის კატეგორიული უარით გაისტუმრეს.

ჩვენის აზრით, მრავალმხრივი – ნახევარსაუკუნოვანი მუშაობის პრაქტიკის მქონე პიროვნებას, პროფესორს, აჭარის არ შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკური განყოფილების უფროსს, პოლიციის პოლკოვნიკს, უმაღლესი კლასის ექსპერტ-კრიმინალისტს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბათუმის სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო კრიმინალისტიკური ცენტის უფროსს, 40-მდე კრიმინალისტიკური ექსპერიმენტის ავტორს არამაის ტონოიანს შეეძლო ალექსანდრე პუშკინის მკვლელობის ფაქტის ობიექტური შესწავლა. არამაის ტონოიანს შეეძლო საუკუნის საიდუმლოებისათვის ფარად აეხადა, მაგრამ ამის საშუალება არ მისცეს. ა. ტონოიანი გარდაიცვალა 2011 წლის 28 სექტემბერს.

მეფის მეუღლის, რუსეთის პირველი ქალბატონის რჩეულმა ალექსანდრე პუშკინმა დუელის შემდეგ დასანანად და უაზროდ შეწყვიტა თავისი სიცოცხლე. პუშკინის პიროვნება და შესაძლებლობები წარმოადგენდა და წარმოადგენს ამოუხსნელ საიდუმლოებას თანამედროვეებისათვის. არაერთი თაობის კრიტიკოსი და ათასობით ადამიანი სვამს კითხვას: რა უჭირდა პუშკინს – არ მისულიყო ამ უაზრო დუელზე. კიდევ ერთხელ ამაღლებულიყო ჭორებზე მაღლა. ამით რა დაამტკიცა? ან რა უარყო? – არადა ხელოვანის აუხსნელი ინიტუიციით არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ შავ მდინარესთან ელოდა მას სასიკვდილო წაგება. ნუთუ მას სიკვდილი ეწადა? ამ შემთხვევაში დანტესი, შემთხვევითი გადამფრენი ჩიტია, „სამი სამშობლოთი და ორი სახელით“, თუ იგი ვიღაცის სურვილის შემსრულებელია?

პუშკინს გააჩნდა ოხუნჯობის, იუმორის უდიდესი ნიჭი. არ იყო ხუმრობა, რომლის უფლებასაც პუშკინი თავის თავს არ აძლევდა. განცვიფრებას იწვევდა მისი გამოხტომები თავისი განუმეორებლობით, სითამამით, სამეფო კარის წარჩინებულთა გამასხარავებით. მისი ოხუნჯობა, ყბედობა, ყოყლოჩინობა იყო ნიჭიერებით გაჟღენთილი.

ვის უშლიდა ხელს პუშკინი? ვის აწყენინა ასე ძლიერ? რამ აიძულა იძულებით მოებრუნებინა ბედის ბორბალი მის წინააღმდეგ? და ვის სურვილს ასრულებდა დანტესი, როდესაც პისტოლეტის ლულას პუშკინის მკერდს უმიზნებდა? და ბოლოს უსიტყვოდ რატომ ილტვოდა პუშკინი სიკვდილთან შესახვედრად, თითქოს უნდოდა მოვლენებისთვის გაესწრო. შეიძლება აქ საქმე პუშკინის ინტუიციას და ცხოვრებისეულ დაღლასთან კი არა, არამედ მან იცოდა მის წინააღმდეგ შეთქმულების შესახებ, რომლის აცილებასაც აზრი არ ჰქონდა. პოეტის დაღუპვაზე იმდენი მოსაზრებებია, რამდენიც კომენტარები მისი შემოქმედების ირგვლივ, ერთ-ერთი მკაფიო გავრცელებული ვერსიით პუშკინის მკვლელობის მთავარ მოქმედ პირად ითვლება საგარეო საქმეთა მინისტრი ნესსელროდე. ამის შესახებ წერდა თავის დროზე ლერმონტოვი ცნობილ ლექსში „პოეტის სიკვდილი“, რის გამოც იგი თავის დროზე მოკლული იქნა. ვ. ვერეგაევის წიგნში „პუშკინის ცხოვრებაში“ (1984) ვკითხულობთ: „გამოითქვა ვარაუდი, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს საერთაშორისო შეთქმულებასთან. ზ. ი. ტინიანოვს მიაჩნია, რომ ის შემუშავდა ვენის კონგრესზე მეტერნიხისა და ალექსანდრეს წინადადებით. ასე თუ ისე, შეთქმულებაში მონაწილეობდნენ: პუშკინის მიერ გამასხარავებული განათლების მინისტრი ს. უვაროვი, საგარეო საქმეთა მინისტრი ნესსელროდე თავის მეუღლით, რომელიც ვერ იტანდა პუშკინს, ჰოლანდიის რწმუნებული გეკერენი. თუ ეს შეთქმულება და გამოტანილი განაჩენი ცნობილი იყო პუშკინისთვის, ცხადი ხდება მისი განწყობები და წინათგრძნობა ბოლო წლების განმავლობაში.

პუშკინის საქმე თეთრი ძაფებით იყო ნაკერი. 1836 წლის შემოდგომიდან სამოქმედო წრემ ჩაფიქრებული დავალების შესასრულებლად მოქმედება დაიწყო. პუშკინს ებ-

რძანა, რომ დედაქალაქი არ დაეტოვებინა და გამგზავრებულიყო სოფლად ლიტერატურული მოღვაწეობისთვის, არადა მას ძლიერ უნდოდა და ცდილობდა გაქცევას. მაგრამ შეთქმულების სცენარი მოითხოვდა მის ადგილზე ყოფნას. სიკვდილმისჯილი პუშკინი დასჯისათვის ადგილზე იქნა დატოვებული. 4 ნოემბრის დილით, პუშკინმა ფოსტით მიიღო ანონიმური წერილობითი პასკვილი (ანალოგიური წერილი მიიღეს მისმა მეგობრებმა – ვიაზუმენსკი, კარამვინებმა, სოლოგუბიმ, ძმებმა როსეტებმა და გრაფმა ვიელგორსკმა). -იმავე დღეს, საღამოს პუშკინი აგზავნის გამოწვევას დანტესთან. მან გადაწყვიტა ერთი დარტყმით გასწორებოდა მაღალი ფენების სიბინძურეს, რომელმაც მას წაართვა ბედნიერება, მისწრაფება და სიმშვიდე. „ქვეყანაზე ბედნიერება არ არის – არის მხოლოდ სიმშვიდე და მისწრაფება“, აღსარებასავით დაწერა იგი სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე.

როგორც ყოველთვის, პუშკინი აქაც უსწრებდა მოწინააღმდეგეებს. მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო მისი მოკვლის სისრულეში მოყვანა გადაწყვეტილი, ის მიისწრაფოდა სიკვდილისაკენ. პუშკინი პირველ გამოწვევაზე უარს იღებს გეკერენისაგან. პოეტს არწმუნებენ, თითქოს დანტესი კვლავაც განაგრძობდა პუშკინის მეუღლისადმი, ულამაზესი ნატალიასადმი თაყვანისცემას. გათვლა კეთდება პუშკინის ფიცხ ხასიათზე, როგორც შემუშავებული სცენარის მიხედვით იყო საჭირო. გაცეცხლებული პუშკინი, 26 იანვარს უგზავნის წერილს გეკკერენს, სადაც ადანაშაულებს მისი მეუღლის მიმართ ინტრიგებში. გეკერენი ღებულობს გამოწვევას, მაგრამ საფუძვლად იყენებს რა დიპლომატიურ აკრძალვას, მის მაგივრად დუელში წარადგენს დანტესს. პუშკინის სიკვდილამდე რჩება ერთი დღე. საყურადღებოა, რომ დანტესი ისვრის არა წესის მიხედვით, არამედ ბარიერთან მისვლამდე. მან დაასწრო პუშკინს გასროლა. ეს უფრო მკვლელობას გავს, ვიდრე დუელს. პუშკინმა იცოდა ყოველივე ეს. დამაფიქრებელია მისი სიტყვები, რომელიც უთქვამს მისი სეკუნდანტის – დანზასათვის:„თუ ექიმი მიიჩნევს ჩემს ჭრილობას სასიკვდილოდ, შენ მეტყვი მე ამის შესახებ. მე ვერ შემაშინებენ: მე სიცოცხლე არ მინდა“.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:


1. ასს ცსა, ფონდი №396, ან. 1, საქმე 23; ფურცელი 40-65;
2. ასს ცსა, ფონდი №396, „შეთქმულება“– „ჩემი შეხედულება“, 2003 წ. 04.06, №22(83) ფურცელი 6.
3. ასს ცსა, ფონდი №396,„„ჩვენი ადგილი“ (დნეპრაპეტროვცკი), 1999წ. 8 ფურცელი;
4. ასს ცსა, ფონდი №396,„„პუშკინის სიკვდილის საიდუმლოებანი“ // „ჩემი შეხედულება“, 2004წ. №22, ფურცელი 12.


**Elguja Chaganava**

## Who Killed Pushkin?!
## Summary

The article analyzes the issues of Pushkin's assassination on the basis of the materials of the personal fund of Academician Aramay (Mesrop) Tanonian, preserved in the Archives Administration of Ajara.

*ვლადიმერ მამულაძე*

## *ელგუჯა მეძმარიაშვილი —*
## *პირველი კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი*

ამას წინათ, ჩემს უფროს მეგობარს, ცნობილ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ რამაზ სურმანიძეს ვეწვიე სამუშაო კაბინეტში. ერთმანეთის თბილად მოკითხვის, უშუალო საუბრისა და ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე ჩვენი შეხედულებების გაზიარების შემდეგ დამშვიდობებისას ჟურნალი „ჭოროხი“ გადმომცა და მითხრა – „აქ ჩემი წერილია და წაიკითხეო.“



იმის გამო, რომ ამ ჟურნალის დიდი ხნის სტაჟიანი მკითხველი ვარ, ბუნებრივია ბატონი რამაზის წერილის ძებნა არ დამიწყია, მივყევი თავიდან და მიმდევრობით წავიკითხე ყველა წერილი თუ სტატია. აქ შემხვდა ჩემი მეგობრების ზურაბ ხაბაძის და მიხეილ მახარაძის წერილები. განსაკუთრებით ვიხალისე ბატონი მიხეილის წერილში მოყვანილი, საქვეყნოდ აღიარებული ფილოსოფოსისა და მეცნიერის, აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის იუმორული, მახვილგონივრული და ენამოსწრებული ამბებით. მოვიდა ბატონი რამაზის წერილის წაკითხვის ჯერიც და რას ვხედავ-წერილი ეძღვნება ჩემთვის ძალიან ახლობელ, საპატივცემულო პიროვნებას, კაცს რომელთანაც სტუდენტობის წლებიდან მაკავშირებს მეგობრული ურთიერთობა-სახელოვან მეცნიერს, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალურ კონსტრუქტორს, ღირსეულ ბათუმელს ბატონ ელგუჯა მეძმარიაშვილს.

არ დავმალავ, საოცარი ემოცია დამეუფლა წერილის კითხვისას, რომელმაც უმალ წარსულის მოგონებებში გადამისროლა და ჩემს ფიქრსა და გონებაში სწორედ იმ წლების ცალკეულ მოვლენათა პერიპეტიები მოზღვავდა, რომელიც ამ დიდ პიროვნებასთან ჩემს ურთიერთობას ეხება და რომლის შესახებაც არასოდეს მითქვამს და დამიწერია. განსაკუთრებით დამაფიქრა წერილის ბოლო აბზაცმა, სადაც ვკითხულობთ: „ასეთია ელგუჯა მეძმარიაშვილის ცხოვრების ბათუმური პერიოდი“. ამის შემდეგ იწყება „რთული ცხოვრების გზა“, რომლის აღწერის უფლებას თავს ვერ მივცემ. დაე, იგი საქმის კარგად მცოდნე მემატიანეებმა გამოიტანონ, მზის შუქზე.“ საქმის კარგად მცოდნე მემატიანობაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ, სწორედ ამ სიტყვებმა რომ შთამაგონეს, გამოვხმაურებოდი წერილს და ცოტა რამ მეთქვა ამ დიდებულ პიროვნებაზე, ეს ცხადია.

მკითხველს რომ არ გაუკვირდეს, საიდან სადაო, სად მეძმარიაშვილი და სად მამულაძეო, დავიწყებ თავიდან:

1970 წელს, თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის დამთავრების შემდეგ, მისაღები გამოცდები წარმატებით ჩავაბარე და ჩავირიცხე მაშინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის-ამჟამინდელი ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე. პირველი კურსიდანვე ჩავები ფაკულტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში-ამირჩიეს კურსის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად. მომდევნო წლებში ინსტიტუტის ახალგაზრდული ორგანიზაციის მთავარი კომიტეტის წევრიც ვიყავი და ერთხანს კომიტეტის მდივნის მოადგილის მოვალეობასაც ვასრულებდი. ერთხელ, სამშენებლო ფაკულტეტის პროფკომიტეტის თავმჯდომარემ, ასევე ჩემმა ლექტორმა დემურ დანელიამ, რომელთანაც ახლო მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა, მითხრა-ინსტიტუტის გაერთიანებული პროფესიული ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარე შენი კუთხის შვილია, ბათუმელია და უნდა გაგაცნოო. ძალიან მესიამოვნა მისი შემოთავაზება და სულმოუთქმელად ველოდი იმ დღეს, როცა შევხვდებოდი და გავიცნობდი ამ პიროვნებას. დადგა ეს ნანატრი დღეც. მე და ბატონი დემური, ინსტიტუტის გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმჯდომარის კაბინეტში ვსხედვართ და ვესაუბრებით საოცრად მომხიბვლელ, უბრალოებით გამორჩეულ, ერთი შეხედვით ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილ, დინჯ და მეცნიერულად მოაზროვნე პიროვნებას. ეს ელგუჯა მეძმარიაშვილი გახლდათ. მახსოვს, პირველივე წინადადებიდან როგორ თბილად და ემოციურად საუბრობდა თავის ბათუმელობაზე, რაოდენ დიდ სიყვარულს, პატივისცემას და მოკრძალებას ავლენდა იმ პიროვნებებისადმი, რომელთა წყალობითაც ეზიარა განათლებას და მიიწევდა წინ სამეცნიერო სარბიელზე. განსაკუთრებული სითბოთი მოიხსენიებდა მშობლიურ სკოლას-ბათუმის მაშინდელ პირველ სკოლას, მასწავლებლებს, სკოლის მეგობრებს. სიამაყით ამბობდა, რომ ცხოვრობდა ბათუმის ცენტრში, მაშინდელ პიონერთა და მოსწავლეთა პარკის წინ, ენგელსის ქუჩაზე და ხშირად ჩადიოდა მშობლების მოსანახულებლად... გაივლის წლები და ბატონი ელგუჯა თავის ბიოგრაფიულ წიგნში ამ ადგილისადმი მის დამოკიდებულებას ასე გამოხატავს: „ეს იყო ჩემი მყუდრო სავანე, სადაც აზრები და რომანტიზმი ერთადაა...ჩემი ბინის ფანჯრებიდან პარკის მხარეს ალექსანდრე მეფის დარგული ხე და შესანიშნავი პეიზაჟი ჩანდა, სადაც ხის კენწეროების ზემოთ სულ ახლოს „ზღვის ცა" მოჩანდა და თანაც თურქეთის საზღვარი ერთი ხელის გაწვდენაზე იყო."

ვმადლობ უფალს, რომ ცხოვრების გზაზე ასეთ დიდბუნებოვან და კეთილშობილებით სავსე ადამიანს შემახვედრა. ჩვენი ურთიერთობა თანდათან მეგობრობაში გადაიზარდა. ის ხშირად ინტერესდებოდა ჩემი და არა მარტო ჩემი, არამედ, ჩვენი მხარის ახალგაზრდების სწავლის მდგომარეობით. საჭიროების შემთხვევაში გვეხმარებოდა სტუდენტური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი პრობლემების მოგვარებაში.

ვერავინ დამწამებს საბჭოთა ეპოქისადმი ბრმა ნოსტალგიას, მაგრამ ასევე ვერავინ უარყოფს, მხედველობაში მყავს უფროსი თაობის ადამიანები, თუ როგორი სიცოცხლით სავსე იყო მაშინ სტუდენტური ცხოვრება-ინსტიტუტი, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, ახალგაზრდული ღონისძიებები, მესამე შრომითი სემესტრი და სხვა მრავალი, ჩვენი ურთიერთობის განმტკიცების, მომავალზე ფიქრისა და ზრუნვის ის ფენომენი იყო, რომლის მსგავსს შემდგომ არსად შევხვედრივარ. ბატონი ელგუჯა, მიუხედავად იმისა, რომ ასპირანტურაში სწავლობდა და სერიოზულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასაც ეწეოდა, მუდამ იდგა ინსტიტუტის საზოგადოებრივი ცხოვრების მოწინავე პოზიციებზე და გულითადი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა როგორც ინსტიტუტის ხელმძღვანელთა, პროფესორ -მასწავლებელთა, ისე სტუდენტთა შორის. მე ვამაყობდი, რომ ის ჩემი კუთხის შვილი იყო-ბევრისთვის, მათ შორის ჩემთვისაც მისაბაძი და გზის გამკვალავი.

ცნობილია, რომ მაშინ საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას კომუნისტური პარტია წარმოადგენდა, რაც საბჭოთა კონსტიტუციით იყო განსაზღვრული და განმტკიცებული. ამ პარტიის წევრობა ადამიანებს საშუალებას აძლევ-

და უფრო სრულად მოეხდინა საკუთარი თავის რეალიზაცია და ემსახურა ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ, ვინაიდან ნებისმიერი დონის თანამდებობაზე დასანიშნად პარტიის წევრობა აუცილებელი მოთხოვნა იყო. სწორედ ესეც განაპირობებდა, რომ ადამიანების ლტოლვა პარტიაში შესვლისათვის ძალიან დიდი იყო. თუმცა, სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ სამწუხაროდ, ბევრი ღირსეული პირისათვის პარტიაში შესვლა მიუღწეველ ოცნებას წარმოადგენდა. ყველგან, ყველა ორგანიზაციაში და სფეროში დაწესებული იყო ლიმიტირებული ადგილები მის რიგებში მისაღებთა რაოდენობის შესახებ. უმაღლეს სასწავლებლებში ეს პროცესი უკიდურესად გაძნელებული და შეზღუდული იყო. მახსოვს, დაწესებული იყო, რომ წლის განმავლობაში ჩვენი ფაკულტეტიდან უნდა მიღებულიყო პარტიის რიგებში მხოლოდ ერთი სტუდენტი. მე, როგორც წარმატებულ სტუდენტს, 1974 წელს მხვდა წილად ეს პატივი. წესდების თანახმად, როგორც პარტიაში შემსვლელის კანდიდატს უნდა წარმედგინა ორი პარტიის წევრის რეკომენდაცია. როგორც კი გაიგო ბატონმა ელგუჯამ ამის შესახებ, თავად შემომთავაზა-მე ვიქნები შენი ერთ-ერთი რეკომენდატორიო. ბუნებრივია მესიამოვნა და უაღრესად მადლიერი დავრჩი მისი, რადგან, თავად მე მას ამას ვერ გავუბედავდი. ისიც მახსოვს, როგორი ენთუზიაზმით და მონდომებით დამეხმარა პარტიაში შესვლისთვის საჭირო დოკუმენტების მოგროვებაში და მისი ხელით დაწერილი შესანიშნავი რეკომენდაციის ტექსტიც დაურთო თან. როცა ამას აკეთებდა, იქნებ არც კი ფიქრობდა ბატონი ელგუჯა, რაში წამადგებოდა მომავალ ცხოვრებაში მმართველი პარტიის წევრობა, მაგრამ გულახდილად შემიძლია ვთქვა, რომ სერიოზულად გამომადგა ეს ამბავი-ინსტიტუტის დამთავრებიდან სულ რაღაც 6 თვეში ბათუმის ახალგაზრდობის ლიდერად ამირჩიეს და ერთ-ერთი კრიტერიუმი, თუ მოთხოვნა, ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არჩევისათვის, სწორედ პარტიის წევრობა იყო, სხვა შემთხვევაში შორეულ ოცნებად დარჩებოდა რაიმე წარმატების მიღწევა ამ გზაზე. ეს ამბავი ბატონ ელგუჯასაც ძალიან ეამაყებოდა, ვინაიდან მშობლიური ქალაქის ახალგაზრდობას სამი წლის განმავლობაში მისი უმცროსი მეგობარი და მის მიერ დაკვალიანებული ახალგაზრდა ედგა სათავეში.

ახლა უკვე მივადექით მთავარ სათქმელს. მინდა ისიც გავიხსენო, თუ რა როლი ითამაშა ბატონმა ელგუჯამ შრომის სარბიელზე ჩემი პირველი ნაბიჯების გადადგმისას.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1975 წლის ბოლოს, ინსტიტუტის ახალგაზრდული ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელები პარტიული კომიტეტის მდივანთან ბატონ ჯემალ კუხალაშვილთან მიგვიწვიეს. შეკრების მიზანი იყო ჩვენი მომავალი საქმიანობის შესახებ ინფორმაციების მიღება. ამ შეხვედრას ინსტიტუტის გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმჯდომარე ელგუჯა მეძმარიაშვილიც ესწრებოდა. ინსტიტუტის მაშინდელმა კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ბატონმა ზურაბ ერქვანიამ, თითოეული ჩვენგანის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია სასწავლებლის პარტიულ ლიდერს. არასოდეს დამავიწყდება, როცა ჩემს შესახებ გაიმართა მსჯელობა და აღინიშნა, რომ კომკავშირის ცეკას რეკომენდაციით მე აჭარაში მივდიოდი სამუშაოდ, ბატონი ელგუჯა წამოდგა და თქვა, რომ ის თავისი რესურსით ჩაერთვებოდა ჩემი დასაქმების საკითხის ოპერატიულად და დროულად მოგვარებაში, მიშუამდგომლებდა აჭარის კომკავშირის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელებთან, რომლებიც მისი მეგობრები იყვნენ. ასეც მოხდა, მან შეძლო დაკავშირებოდა კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანს, თავის მეგობარს, აწგანსვენებულ ჟანი ფატლაძეს, გამიწია მასთან მისეული რეკომენდაცია და მიიღო პირობა, რომ არანაირი პრობლემა არ შემექმნებოდა დასაქმების საკითხში. მალე გამოვეშურე ბათუმისაკენ, შევხდი საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობას და სულ მოკლე დროში, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შევუდექი მუშაობას. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მე აჭარაში სხვადასხვა ხელმძღვანელ კომკავშირულ, პარტიულ და სახელმწიფო თანამდებობებზე ვიმუშავე. ამ დროის მანძილზე რეგურალურად ვეხმიანებოდით ერთმანეთს. თბილისში ყოფნისას ხშირად ვსტუმრობდი ინსტიტუტში, ერთ-ორჯერ პარლამენტშიც მომიწია მასთან შეხვედრა. ის მუდამ დიდ ინტერესს იჩენდა ჩემი საქმიანობისადმი, ახარებდა ჩემი სამსახურებრივი წინსვლა-წარმა-

ტებები, მახალისებდა და მეგობრულ რჩევებსაც არ იზარებდა. მე კი ყოველთვის ვთვლიდი და დღესაც ვთლი, რომ ჩემს წარმატებებში, ცხოვრებისეულ თუ სამსახურებრივ წინსვლაში მას ლომის წილი ედო და სულ მინდოდა ყოველივე ამისათვის მეთქვა გულთბილი მადლობა, მაგრამ მერიდებოდა- ვფიქრობდი, ეს უბრალოებით და კეთილშობილებით გამორჩეული კაცი უხერხულობაში არ ჩავაყენო მეთქი. ახლა კი მოსარიდებელი არაფერი მაქვს, რასაც ვამბობ, იქნებ ასე წვრილმანებში არც კი გახსოვთ, ან როგორ გემახსოვრებათ როცა ჩემნაირები ბევრი იყო თქვენს ცხოვრებაში და მას ანგარების გარეშე, საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე აკეთებდით. ამიტომ ახლა მაქვს საშუალება ულრმესი მადლობა გითხრათ თქვენ, ბატონო ელგუჯა, ახალგაზრდობის წლებში ჩემდამი გამოჩენილი თანადგომისა და გაწეული მზრუნველობის გამო. თქვენ ხომ ამას ჩვენი სამშობლოს უკეთესი მომავლის რწმენით აკეთებდით. თქვენივე სიტყვების პერეფრაზირებით რომ ვთქვა, როდესაც ისტორიაში პირველ ქართულ კოსმოსურ ობიექტს ქმნიდით, საქართველოს პრესტიჟზე ფიქრობდით. როდესაც სამამულო სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარებისათვის მოღვაწეობდით, საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს ემსახურებოდით, როდესაც ჩემნაირ ახალგაზრდებზე ზრუნავდით და არ იშურებდით ძალას, ენერგიას და გამოცდილებას, ამას ჩვენი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის ფიქრით აკეთებდით. ბედნიერია ერი, ვისაც თქვენი მასშტაბის მეცნიერი, დიდბუნებოვანი, კეთილშობილი და პატრიოტი შვილები ჰყავს.

დასასრულს, მადლობა ბატონ რამაზ სურმანიძეს, რომლის წერილმაც მიკარნახა, მცირეოდენი ეპიზოდები გამეხსენებინა ბატონი ელგუჯასა და ჩემი ახალგაზრდული, სისხლსავსე სტუდენტური ცხოვრებიდან და მასთან შეხვედრის გარეშე, მეთქვა დაგვიანებული მადლობა ჩემდამი გაწეული უანგარო მზრუნველობისათვის.

**რეცენზია**

*თამაზ ფუტკარაძე*

## *რეცენზია პროფესორ ოთარ თურმანიძის მონოგრაფიაზე „საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში (1921-1952 წლები)*

„გამომცემლობა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ 2019 წელს დაისტამბა ცნობილი ქართველი ისტორიკოსის **ოთარ თურმანიძის** მეტად საყურადღებო მონოგრაფია **„საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში (1921-1952 წლები)“** (რედაქტორი, პროფ. ვახტანგ გურული, რეცენზენტები, პროფესორები: ავთანდილ სონღულაშვილი, ოთარ გოგოლიშვილი, ჯემალ კარალიძე)

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ შესაშური მეცნიერული კეთილსინდისიერებით შესრულებული საოცრად დიდი მოცულობის სამუშაო საქმისადმი პროფესიონალური მიდგომის კლასიკური მაგალითია. ავტორი თავიდანვე დაჯილდოებული იყო მეცნიერული პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, არგუმენტირებული მსჯელობითა და ლოგიკური დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევებით. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ასეთი პასუხისმგებლობითაა შესრულებული. მონოგრაფია გამოირჩევა მრავალჯერ გადამოწმებული წყაროების სიუხვით, საარქივო მასალებისა და ზეპირი ისტორიების ოსტატური შეხამებით, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ტკივილებისა და განცდების გათავისებით. ნაშრომში იგრძნობა ათასობით ოჯახზე თავსდამტყდარი ტრაგედიებისადმი ავტორის ემოციური დამოკიდებულება.

პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს არის შესანიშნავი გამოცემა, რომელიც ემსახურება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, საკუთრივ აჭარაში განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიების ახლებურ გააზრებას, იმ ტრამვულ გავლენას, რომელიც განიცადა ათასობით ადამიანმა. ნაშრომს წითელ ზოლივით გასდევს რეპრესიებით გამოწვეული ტკივილიანი განცდები, დიდი სიყვარული მშობლიური ქვეყნისა და ხალხისა, პროფესიული ერთგულება, და მეციერული კეთილსინდისიერება.მკითხველმა წიგნში სწორედ ეს უნდა დაინახოს.

640 გვერდიანი მონოგრაფია შედგება შესავალისა და ხუთი თავისაგან (18 პარაგრაფი). ნაშრომს დართული აქვს შემოკლებათა განმარტება და ინგლისურენოვანი რეზიუმე. მონოგრაფიას მნიშვნელობას მატებს ავტორის მიერ რეპრესირებულთა ოჯახებში თუ სხვადასხვა წყარო-დაწესებულებებში მოპოვებული ფოტომასალა, რომლებიც უხვადაა წარმოდგენილი შესაბამის პარაგრაფებში.

შესავალში ავტორი საუბრობს პოლიტიკური რეპრესიების იდეურ ფესვებზე, რომელიც ჩაისახა ბოლშევიკთა ლიდერების რადიკალიზმსა და თეორიულ-პოლიტიკურ ნააზრევში – ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის დამყარებამდე. მასში დახასიათებულია მმართველ ელიტაში არსებული სხვადასხვა პოლიტიკური პლატფორმა, სავსებით მართებულადაა წარმოდგენილი რეპრესიების განმაპირობებელი ფაქტორები, მოწინააღმდეგე ელემენტებისა და იმდროინდელი კრიზისის დაძლევისათვის რომ გამოიყენა პარტოკრატიამ. ავტორი მონოგრაფიის ამ ნაწილში ეხება ისტორიოგრაფიისა და საკითხის შემდგომი მეცნიერული შესწავლის აუცილებლობის საკითხებსაც. ავტორის აზრით „თემა იმდენად ფართო და სიღრმისეულია, რომ ერთი ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება (მისი შესწავლა, თ. ფ.). მომავალში ამ პრობლემაზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს, ახალი ხედვითა და უახლესი მოთხოვნებით დაიწეროს მონოგრაფიები, ნარკვევები, სტატიები მუნიციპალიტეტების, ხოებების, სოფლების მიხედვით, მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად მოეწყოს მემორიალური დაფები, დაიდგეს ძეგლები და ბიუსტები“, რათა ხალხის მეხსიერებიდან არ წაიშალოს საბჭოთა რეჟიმის მიერ ჩადენილი საშინელებები.

მონოგრაფიის პირველი თავი (შედგება სამი პარაგრაფისაგან) ეძღვნება აჭარაში საბჭოთა რეჟიმის დამყარებისა და მასობრივი რეპრესიების დაწყების საკითხებს. ავტორი ლოგიკური თანმიმდევრობით, საქმის ცოდნითა და პროფესიონალიზმით პირუთვნელად განიხილავს და აანალიზებს აჭარის გასაბჭოებისა და სადამსჯელო ორგანოე-

ბის ფორმირების პროცესებს. არსებული მონაცემების საფუძველზე ავტორს სააშკარაოზე გამოაქვს უღირსი, არაკომპეტენტური და მიზანთროპებით დაკომპლეტებული საგანგებო კომისიის საქმიანობის ჩრდილოვანი მხარეები, რომელთა კისერზეა მასობრივი რეპრესიები, უდანაშაულო ადამიანების იძულებითი გადასახლებები, ქონების კონფისკაცია, დაპატიმრება-დახვრეტები და სხვა ბოროტებანი. მონოგრაფიის ამ ნაწილში საუბარია აგრეთვე აჭარის ცაკსა და სახკომსაბჭოს შორის არსებულ დაპირისპირებებზე, ჩეკას თვითნებობისა და ბოროტმოქმედებათა ფაქტებზე.

პირველი თავის მეორე პარაგრაფში გაანალიზებულია რეპრესიების იდეური ფესვები და პოლიტიკური მოტივაცია. ბოლშევიკთა პოლიტიკური რეპრესიების სათავედ ავტორის მიერ მიჩნეულია რსდმპ-ს მეორე ყრილობა, რომელიც გაიმართა 1903 წელს. ყრილობაზე მიღებული პროგრამა მიზნად ისახავდა არსებული ხელისუფლების ძალადობრივ დამხობას, მემამულეების, ბურჟუაზიის, სასულიერო პირების ძალდატანებით ლიკვიდაციას და ა. შ. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბოლშევიკებმა იმპერიის მთელ ტერიტორიაზე აამუშავეს რევკომებს დაქვემდებარებული პოლიტიკური რეპრესიების მანქანა. იგივე მანქანა აამუშავეს აჭარაშიც. ერთდროულად დაიწყო პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და იდეოლოგიური რეპრესიები, რომელთა მსხვერპლი აღმოჩნდა თითქმის ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი. მათ დასწამეს ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა, ანტისაბჭოთა პროპაგანდა, საბოტაჟი და სხვა აბსურდული ბრალდებანი. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ როგორც ქართული, ისე თურქული ორიენტაციის წარმომადგენლები. ავტორი აანალიზებს იმჟამინდელ პროცესებს და ცალკეული ჯგუფების სახით წარუდგენს მკითხველ საზოგადოებას – სახელობითად, რეპრესირებულთა ვინაობის დახასიათებით.

მეორე თავში გადმოცემულია მასობრივი რეპრესიების ახალი მოტივაცია და მასშტაბები 1930-ნი წლების მეორე ნახევარში, რომელსაც თან ახლდა საჩვენებელი სასამართლო პროცესები. ავტორი აქაც მიუკერძოებლად წარმოაჩენს საბჭოთა რეჟიმის ბუნებას, რეპრესიების პერმანენტულ ხასიათს, ცილისწამებებისა და ბრალდებების ხასიათსა და უსაფუძვლობას. ამ პერიოდში რეპრესიების საბაბად ს. კიროვის მკვლელობაა დასახელებული, რომელსაც შედეგად მოყვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესაბამისი ცვლილებები. ამ ცვლილებების მიხედვით შესაძლებელი იყო საქმეების განხილვა მხარეების მონაწილეობის გარეშე, ხოლო განაჩენი სისრულეში უნდა მოეყვანათ დაუყოვნებლივ, განაჩენის გამოტანისთანავე. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება „ტროცკისტების", „კონტრრევოლუციონერების", „ხალხის მტრების", „მავნებლების" და სხვა ახალი ტერმინების გახმოვანება. შესაბამისად დაიწყო საკავშირო მმართველობის კადრების, რესპუბლიკური, სამხარეო, საქალაქო, რაიონული და სასოფლო სახელმწიფო ორგანოებისა და სამეურნეო მუშაკების, სასულიერო პირების, რიგითი ადამიანების განადგურების პროცესი.

მკითხველისათვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ზოგადად ქვეყანაში, კონკრეტულად კი მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში განხორციელებული რეპრესიების მასშტაბების და სადამსჯელო ინსტრუმენტების ავტორისეული ანალიზი. არსებული მონაცემების და წყაროების პირუთვნელი ანალიზის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ რეპრესიების მასშტაბები მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებაში გაცილებით დიდი იყო აჭარაში, ვიდრე ზოგადად, სრულიად საქართველოში. ქვეყნის ამ რეგიონში მოსახლეობა რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 5,9 პროცენტს შეადგენდა. ნაშრომის ამ ნაწილში ახსნილია აღნიშნულის მიზეზები, კერძოდ: თურქეთთან, როგორც კაპიტალისტურ ქვეყანასთან მოსაზღვრეობა, რელიგიური სპეციფიკა და კომუნისტური რეჟიმის ანტირელიგიური პოლიტიკის გამო რეგიონის მოსახლეობის უკმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი. ნაშრომში მოცემულია არაერთი სოფლის მცხოვრებთა მიმართ გატარებული რეპრესიული ღონისძიებანი. მაგალითად, პატარა სოფელ დარჩიძეებიდან 1937-1938 წლებში რეპრესიებს ემსხვერპლა 18 ადამიანი. სოციალური თვალსაზრისით ისინი იყვნენ ღარიბი გლეხები. ავტორი ჩამოთვლის რეპრესირებულთა გვარებს – ბერიძე-

ბი, სურმანიძეები, ბოლქვაძეები, ცეცხლაძეები, ფუტკარაძეები, აბაშიძეები.მონოგრაფიაში მკითხველი წაკითხავს სამოლღთის, აქუცის, ორთაბათუმის, ყოროლისთავის, გონიოს, მაჭახლისა და სხვა ხეობების სოფლების შესახებ ანალოგიურ მონაცემებს. წიგნში ცოცხლდება რეპრესირებულებისა და მათი ოჯახების ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები, მათი დარდი, ტკივილი, მწუხარება. აღნიშნული მოვლენების გადმოცემისას მკითხველი შენიშნავს ავტორის ტკივილიან განცდებს.

გაუგებარი და აღმაშფოთებელია აჭარის მკვიდრთა მიმართ ხელისუფლების მიერ ისეთი იარლიყების მიწებება, როგორებიცაა: „შპიონ-ტერორისტი", „თურქოფილი", „მავნებელ-ამჯანყებელი" და ა. შ. ნაშრომში ამ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული. ავტორის მიერ მოწოდებული სტიტისტიკის მიხედვით ამ ყალბი ბრალდებებით დაუპატიმრებიათ 11 ათასზე მეტი ადამიანი, რომელთაგან 400 დაუხვრეტიათ. დასახვრეტ ადგილებად შერჩეული იყო მდ. ჭოროხის სანაპირო, ადლია, ფერია, ეკლესიების უკანა მხარის ეზოები და სხვა მოფარებულ-მიყრუებული ადგილები. განაჩენი გამოჰქონდათ არასასამართლო ინსტანციებს: „კულაკურ" სამეულებს, ორეულებს, „ნაციონალურ" სამეულებსა და „მილიციის" სამეულებს. ავტორი არ ერიდება იმ პირების, შინსახკომის თანამშრომლების და სხვათა დასახელებას, რომლებმაც საკუთარი ხალხის წინაშე მიუტევებელი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს. მათ შორის არიან შინსახკომის ხელმძღვანელები: ვლადიმერ ზაქარაია (აჭარის შინაგან საწმეთა სახალხო კომისარი), დომენტი იმედაძე (ქედა), ბ. სიჭინავა (ქობულეთი), ნ. მატუა (ხულო) და სხვები. მონოგრაფიაში მოთხრობილია კონკრეტული ამბები ამა თუ იმ რეპრესირებულის მდგომარეობისა თუ შინსახკომის თანამშრომელთა ბოროტმოქმედებების შესახებ. საილუტრაციოდ მოვიყვანთ ამონარიდს: „ნ. მატუამ (ხულოს შინსახკომის განყოფილების უფროსი, თ. ფ.) შეურაცხყოფა მიაყენა ხულოს რაიონის სოფელ ოქრუაშვილების მკვიდრ გლეხის ქალს კოჩალიძეს. მას თვითგასამართლება მოუწყო, ჩასვა შინსახკომის საკანში. მიზეზი ის იყო, რომ ხულოს რაიონში აჭარის ცაკის გამსვლელი სესიის დროს კოჩალიძის ქალი ზალაში შეეჯახა ნ. მატუას მეუღლეს და მათ შორის შელაპარაკება მოხდა. მატუას მეუღლემ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. ამ ინციდენტის გამო გლეხის ქალი კოჩალიძე აწამეს". ასეთი უბრალო მიზეზებით თუ სრულიად უმიზეზოდ რეპრესიებს უამრავი ადამიანი ემსხვერპლა. შინსახკომის წარმომადგენლები კი სიამაყით აცხადებდნენ: „ჩვენ გავანადგურეთ და კვლავ გავანადგურებთ ხალხის სამგზის საზიზღარ მტრებს, ტროცკისტ-ბუხარინელ მახინჯებს, რომელნიც ცდილობდნენ ბითუმად და ვაჭრობით მიეყიდათ სოციალ-ფაშისტებისათვის ჩვენი სამშობლოს წმინდა მიწაწყალი. დიდი მადლობა სახელოვან სტალინურ სახალხო კომისარს ამხ. ეჟოვს, რომელსაც მტკიცედ უჭირავს ხელთ დამსჯელი მახვილი საბჭოთა მართლმსაჯულებისა" (გვ. 131). ამ სიტყვებში ნათლად ჩანს რეპრესიების არსი, საბჭოთა ხელისუფლების შინაგანი ბუნება.

ყველაზე ვრცელია მონოგრაფიის მესამე თავი – „აჭარაში 1937-1938 წლებში სახელმწიფო ორგანოების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კადრების რეპრესიები". ამ თავში ცალკე პარაგრაფების სახითაა წარმოდგენილი საოლქო და სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი კადრების რეპრესიები, პარტიული და საზოგადოებრივი, ორგანიზაციების კადრების, ინტელიგენციის, სასულიერო პირების, სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის და სასოფლო-სავაჭრო კოოპერაციის კადრების, კულაკებისა და სხვა არასასურველი ადამიანების რეპრესიები. შიშის, უსიტყვო მონობის ატმოსფეროს შესაქმნელად არ ინდობდნენ **საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგული პოლიტიკური კადრების განადგურებასაც.** რესპუბლიკურ თუ ადგილობრივ ხელისუფლებაში იყვნენ ისეთი ხელისუფლების ერთგული პარტიულ-პოლიტიკური თანამდებობის პირები, რომლებიც არ იზიარებდნენ მთავრობის რეპრესიულ ღონისძიებებს. ავტორი ახასიათებს ასეთ ადამიანებს, გადმოგვცემს მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მონაცემებს. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ზ. ლორთქიფანიძის, მოედინ სურმანიძის, მემედ გოგიბერიძის, გიორგი რამიშვილის, შერიფ აბდიბას, ოსმან კონცელიძის და სხვა-

თა შესახებ საარქივო დაწესებულებებში არსებულ დოკუმენტურ მასალებსა და ზეპიტ ისტორიებს. ანალოგიური ხასიათის დოკუმენტური მასალებია წარმოდგენილი **ადგილობრივი ორგანოების** (მუსტაფა ჩახვაძე, ვიქტორ ჭედია, იასონ ხუციშვილი, ვლადიმერ გიორგაძე, ხუსნი სურმანიძე, თევრათ ჯაში, ილიას დეღიკაძე, ნური/ნუსრედინ ბერიძე და სხვები), **პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების** (არტემ გეურქოვი, შევქეთ და სელმან ლორთქიფანიძეები, ანდრო შავიშვილი, თევდორე ამირიდი, სალვა ცქვიტინიძე, ვალერიან ტრაპაიძე, სერგო დარმანიანი, აბდულ ხალვაში, სეიდ გვარიშვილი, რიზა ხოზრევანიძე, ზერიფე ხოზრევანიძე, ვასილ ჭანიშვილი გული ბერიძე, და სხვები), **ინტელიგენციის** (ხუსეინ ნაკაიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ნინო ღარიბაშვილი, ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, აბდი სურმანიძე, შაქირ შერვაშიძე, ხუსეინ გოგიტიძე, ალექსანდრე დარჩია, ახმედ ირემაძე, ასლან სტამბოლიშვილი, მემედ აბაშიძე, ხასან ლორთქიფანიძე, რეჯებ ნიჟარაძე და სხვები), **სასულიერო პირების** (ილიას შავაძე, შირინ მახარაძე, ნური ართმელაძე, ომერ ფუტკარაძე, ასლან მახარაძე, დურსუნ მუკუტაძე, რიზა დავითაძე, შაქირ გამრეკელიძე და სხვები), **სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო-კავშირგაბმულობის კადრების** (გინზბურგი, შახნაზაროვი, ვანდიშევი, არმაგანოვი, გლუხოვი, პეტროვი, ხუსეინ ფაღავა, ბადელ საფარიანი, ძმები: გრმანე, შალვა და სევერიანე ჯორბენაძეები, მარიამ კროპინა, იოსებ ყაჭეიშვილი, ისიდორე მექვაბიშვილი, სვევოლოდ კანევსკი, ვასილ ოძელაშვილი, მირიან კილაძე, შალვა ჯაში, ალესანდრე რობაქიძე და სხვები), **კულაკების და სხვა არასასურველი** ადამიანების (აბაშიძეები, ბიბინეიშვილები, ბეჯანიძეები, სურმანიძეები, შერვაშიძეები, თავდგირიძეები, წულუკიძეები, ავალიანები, ხუსეინ, ხასან და მერჯან ბერიძეები, იაყუფ ბოლქვაძე, ისრაფილ სურმანიძე და სხვები) შესახებაც.

მომდევნო თავი 1940-1950-იანი წლების დასაწყისში განხორციელებულ მასობრივ რეპრესიებს და მოსახლეობის დეპორტაციის საკითხებს ეძღვნება. აქაც, ავტორი ჩვეული კეთილსინდისიერებითა და მეცნიერული პაუხისმგებლობით განიხილავს პოლიტიკური რეპრესიების მოტივაციისა და თავისებურებების საკითხებს, რეპრესირების ხასიათს და დეპორტირებულთა შემადგენლობას.

აანალიზებს, რა პოლიტიკური რეპრესიების მოტივაციასა და თავისებურებებს, ავტორი ყურადღების მიღმა არ ტოვებს ხელისუფლების წინაწსარ სამზადისს, რომელიც გამოიხატა ჯერ კიდევ 1941 წელს სპეცგასახლების განყოფილებების ფორმირებით, დეპორტაციის ინსტრუქციების შექნით, ვოლგისპირეთში არსებული გერმანელთა ავტონომიის გაუქმებითა და სხვა ღონისძიებებით. შესაბამისად დაიწყეს გერმანელების, ასევე ჩრდ. კავკასიიდან ყარაჩაელების, ჩეჩნების, ბალყარების, ინგუშების, ყალმუხების და სხვათა მასობრივი დეპორტაცია, რომელსაც მთელი ომის განმავლობაში ჰქონდა პერმანენტული ხასიათი. გასახლებას დაუქვემდებარეს აგრეთვე ქურთები, ჰემშილები, თურქები, რომლებზეც არავითარი შეღავათი არ ვრცელდებოდა. ათასობით ადამიანი გაასახლეს აგრეთვე გონიოდან, ურეხიდან, ყოროლისთავიდან, მეჯინისწყლიდან, მაღალმთიანი აჭარის სხვა სასაზღვრო სოფლებიდან.

ავტორი თანმიმდევრულად ფურცლავს იმ პერიოდის ტრაგიკული ისტორიის ფურცლებს და გვმოძღვრავს უკეთილშობილესი იდეით – ვისწავლოთ სხვის შეცდომებზე, პატივი მივაგოთ წარსულს, რომ შევძლოთ ახლის შენება, უანგაროდ გვიყვარდეს და ვემსახუროთ ქვეყანასა და ხალხს, დავაფასოთ წინაპართა ღვაწლი, არ გავიმეოროთ დაშვებული შეცდომები და დანაშაულობანი.

ავტორის სამართლიანი შენიშვნით, საბჭოთა რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულობანი, უდანაშაულო ადამიანების ტანჯვა-წამება შავ ლაქად რჩება ისტორიაში, რომლებმაც სხვა ფაქტორებთან ერთად „ფსიქოლოგიურად და მორალურ-პოლიტიკურად შეამზადა ამ რეჟიმის გარდაუვალი მსხვრევა“.

მონოგრაფიას განსაკუთრებულ მეცნიერულ ღირებულებას მატებს ნაშრომის ბოლო თავი, რომელშიც წარმოდგენილია პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების, რეაბილიტაციისა და კულტურული და ტრავმული მეხსიერების საკითხები. ავტორი არა მარტო მთხრობელთა გადმოცემებს წარმოგვიდგენს, არამედ მეცნიერულა-

დაც აანალიზებს მათ, იძლევა შესაბამის განმარტებებს და გამოხატავს განსაკუთრებულ პატივისცემას რეპრესიების მსხვერპლთა და მათ შთამომავალთა მიმართ.

ნაშრომში უამრავ სხვა საკითხზეცაა გამახვილებული ყურადღება. მის შესახებ კვლავაც დაიწერება მომავალში. ერთი რამ ფაქტია – ავტორის პოზიცია, ფაქტებისა და მოვლენების ავტორისეული ანალიზი უდაოდ იმსახურებს მკითხველი საზოგადოების ყურადღებას, ხოლო მისი მოსაზრებები და არგუმენტირებული დასკვნები კი გათვალისწინებას.

ტრაგიკული მოვლენების შესახებ მსჯელობისას ავტორი მკითხველის წინაშე წარმოსდგება, როგორც პირუთვნელი და ობიექტური მემატიანე, ხვალინდელ დღეზე ღრმად ჩაფიქრებული ადამიანი. ავტორი გამოხატავს პატივისცემას უდანაშაულო მსხვერპლთა მიმართ და ახასიათებს ზოგიერთი მათგანის საქმიანობის ცალკეულ მომენტებს.

ერთ სტატიაში შეუძლებელია წიგნის დეტალური ანალიზი. ეს არცაა ჩვენი მიზანი. მთავარია, რომ მონოგრაფიის გამოცემით გაკეთდა უზარმაზარი საქმე. შესაძლებელი გახდა მაღალკვალიფიციური ისტორიკოსის ავტორობით თანამედროვეობისათვის უაღრესად საჭირო, მოცულობითი და ინფორმაციული ხასიათის 25 წლიანი შრომის შედეგის მკითხველამდე მიტანა, მონოგრაფიის გამოცემა, თანაც საჭირო დროსა და პირობებში. ავტორმა თავისი ნაშრომით გააცოცხლა ისტორიული ბედუკუღმართობით განპირობებული ხალხის ტკივილი და სევდა, დარდი და ვარამი, დაგვეხმარა იმ ჭეშმარიტების ხელახლა გააზრებაში, რომ სამართლიანი საზოგადოების, სამოქალაქო ცნობიერების, ეროვნული თავისთავადობის დაცვისა და შენარჩუნების, ერთმანეთის სიყვარულისა და პატივისცემის გარეშე გარეშე ჩვენს მომავალს პერსპექტივა არ უწერია.

ნაშრომი კიდევ ერთხელ დააფიქრებს სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლებს, აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებულ მკვლევარებსა თუ ზოგადად მკითხველ საზოგადოებას და დაეხმარება მიუკერძოებელი, ობიექტური დასკვნების გაკეთებაში. მწამს, რომ ნაშრომი შეიტანს თავის წვლილს აღნიშნული პრობლემების მეცნიერული შესწავლის საქმეში და ჩადგება ჩვენი სულიერების ამაღლებისა და ზნეობრივი გაკეთილშობიების სამსახურში.

პროფესორ ოთარ თურმანიძის მონოგრაფია „საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში (1921-1952 წლები)“ მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევაა, რომელსაც ინტერესით წაიკითხავს არა მარტო ამ პრობლემატიკით დაინტერესებული სპეციალისტი, არამედ ნებისმიერი მკითხველი. ნაშრომის მეცნიერული ღირებულებიდან გამომდინარე შესაძლებლაბ მიგვაჩნია მისი წარდგენა დარგობრივ პრემიაზე.

## მილოცვა

*ელგუჯა ჩაგანავა*

### *სერგო ტაბაღუა – 95*

ცნობილი ისტორიკოსი, არქივისტი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, პროფესორი სერგო ტაბაღუა 95 წლისაა. იგი დაიბადა 1925 წელს, აბაშის რაიონის სოფელ მარანში. პირველი კურსის სტუდენტს ომმა მოუსწრო. სერგო ომში გაიწვიეს. 18 წლის ასაკში პირველად აღმოჩნდა ბომბების წვიმაში და ასე გაგრძელდა ოთხი წელი, სოხუმიდან ბერლინამდე. რვა მაისს მისი გვარი რაიხსტაგის კედელზე ფანქრით მიაწერა. ომის შემდეგ ს. ტაბაღუამ თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი საარქივო საქმიანობას დაუკავშირა და არაერთ მონოგრაფიაში, სამეცნიერო სტატიასა თუ პუბლიცისტურ წერილებში ასახა ომის მიმდინარეობა, მისი სისასტიკე და მძიმე მემკვიდრეობა.

მისი მეცნიერული მემკვიდრეობა ეფუძნება სამეცნიერო-ლიტერატურულ მინაცემებს და მდიდარ საარქივო წყაროებს. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის, მოსკოვის, პოდოლსკის სამხედრო არქივებში. მას ასობით ქართველ გმირთა საბრძოლო ეპიზოდი გამოუტანია დღის სინათლეზე, მაგრამ დღემდე პირადად არც ერთი სტრიქონი არ დაუწერია თავის თავზე, რადგან ამბობს: „ჩემთვის მეტად ძნელია იმ ქარცეცხლიანი დღეების გახსენება, მტრის ტყვიით განგმირული თანამებრძოლი ბიჭების დასახიჩრებული სახეების გახსენება, მით უმეტეს, უფრო ძნელია და უხერხულიც დაღუპულთა გვერდით თავის თავზე ფიქრი, წერა და წიგნში ფიქსირება". ამ მისიის შესრულება ვიკისრეთ ჩვენ, „საბჭოთა მასალები მოვიკვლიეთ სახელმწიფო და საუწყებო არქივებში და თვით სერგო ტაბაღუას პირად არქივში, რასაც ვაქვეყნებთ წიგნში (რედაქტორები: რ. რიჟვაძე და ტ. ხინთიბიძე, აჭარა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ბათ. 2011, გვ. 272).



1941 წელს, როცა ფაშისტურმა გერმანიამ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ სამკვდრო – სასიცოცხლო ომი დაიწყო, სერგო ტაბაღუა მხოლოდ მე-10კლასის მოსწავლე

იყო. 1942 წელს წარჩინებით დაამთავრა სკოლა და თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩაირიცხა, მაგრამ ომის დაწყებისთანავე სწავლის გაგრძელების ნაცვლად მან ფრონტზე წასვლა გადაწყვიტა. იგი 1943 წლის იანვრიდან ომის დამთავრებამდე (1945 წლის 9 მაისი) მოქმედ არმიაში, ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა. ომის დამთავრების შემდეგაც, კიდევ 3 წელი მოუხდა სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა. რიგითი ჯარისკაცის –სერგო ტაბაღუას გრძელი გზა განსაკუთრებით გამოირჩევა კავკასიის დაცვითი ბრძოლებით – სადგურ ლაზარევსკაიას, ყირიმი – ქერჩის, სიმფეროპოლის, ბელორუსიაში-ვიტებსკის, პოლონეთში – პოზნანის, გერმანიაში – ოდერკიუსტრინის და ბერლინის აღების ბრძოლებით.

ომის მთელი პერიოდის განმავლობაში რიგითი მებრძოლი სერგო ტაბაღუა 734 ცალკე მსხვილკალიბრიან (85 მილიმეტრიან) საარტილერო პოლკში მსახურობდა და ქვემეხის ცეცხლით უმასპინძლებოდა ჰიტლერის მიერ წამოწყებულ უსამართლო ომის გამჩაღებლებს.

სერგო ტაბაღუამ პირველი საბრძოლო ნათლობა სადგურ ლაზარევსკაიაში მიიღო. 1943 წლის იანვარ-თებერვალში ტუაფსესთან და კავკასიის უღელტეხილებთან წინ გამოჭრილი მტერი მიისწრაფოდა, რათა რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ხელთ ეგდო კავკასიის მთავარი უღელტეხილები და შემდგომ განევითარებინა ბრძოლები ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელში ჩასაგდებად. ამ ბრძოლებში სტანცია ლაზარევსკაიდან მარაგდებოდა ძირითადად კავკასიის საუღელტეხილო ადგილებში, თოვლსა და ყინვაში გამაგრებული ჩვენი გმირი დამცველები-ცოცხალი ძალებით, საბრძოლო ტექნიკით და სურსათ-სანოვაგით. აქ კავკასიის მთის კალთებიდან ზღვისპირა ზოლის ტერიტორიის მცირე მონაკვეთზე თავმოყრილი იყო უამრავი სარეზერვო ჯარების ნაწილი, სამხედრო ტექნიკა და სურსათ-სანოვაგე. ყოველივე ამას მტრის თვითმფრინავებისაგან დაცვა სჭირდებოდა, მხოლოდ საარტილერო ძალებს შეეძლო უზრუნველყო კავკასიის ფრონტის წინა ხაზის ცოცხალი ძალებით შევსება, საბრძოლო ტექნიკითა და სურსათ სანოვაგით მომარაგების უსაფრთხოება.

კავკასიის დაცვით ბრძოლებში სტრატეგიულად ისეთ მნიშვნელოვან ობიექტზე, როგორიც სტანცია ლაზარევსკაია იყო, გერმანელებს სისტემატიური იერიში მიჰქონდათ მძიმე ბომბდამშენ „იუნკერებით"და მოიერიშე გამანადგურებელი „მესერშმიტებით". მტრის ამ საჰაერო ძალებს მასიურ ცეცხლს უშენდა საზენიტო საარტილერო პოლკის ქვემეხები და საშუალებას არ აძლევდა მათ ბომბები ჩამოეყარათ ჩვენს სარეზერვო ჯარების თუ საუღელტეხილო გადასვლელების მიმართულებით. „ხშირი იყო შემთხვევები, – იხსენებს ფრონტელი სერგო ტაბაღუა, – როცა მტრის მფრინავები საზენიტო არტილერიის ქვემეხების მასიური ცეცხლის გამო თავიანთბომბებს ჩვენი ჯარის განლაგების ნაცვლად, უკან გაბრუნებულები უთავბოლოდ ზღვაში ჰყრიდნენ".

კავკასიის დაცვით ბრძოლების შემდეგ 734-ე პოლკა უკან დახეულ მტერს კვალდაკვალ მისდევდა, როცა ყუბანის ვაკეზე გავიდნენ ბრძოლის მთელი სიმძიმე უფრო მეტად ფეხოსანთა, მოტომექანიზირებულ და სატანკო ნაწილებს დააწვა, საზენიტო არტილერიის საბრძოლო მოქმედება უფრო შემსუბუქდა ამან კი საშუალება მისცა ფრონტის სარდლობას საზენიტო არტილერიის ნაწილების შესვენებისა და შევსებისათვის.

734-ე საზენიტო ცალკე პოლკის დასვენების, ცოცხალი ძალისა და ტექნიკის შევსების ადგილად ფრონტის სარდლობის ბრძანებით მიჩნეული იქნა ქ. კრასნოდარის გარეუბანი სოფ. პერვომაისკაია. მართალია, პოლკი ამ სოფელში შესასვენებლად იყო განლაგებული, მაგრამ დღე არ გავიდოდა, რომ გერმანელთა შორსმფრენი მძიმე ბომბდამშენების „იუნკერების" მოგერიება და მათთან ბრძოლა რომ არ მოწეოდათ.

734-ე საარტილერიო პოლკის ქ. კრასნოდარის გარეუბანში შევსება – „შესვენების" დროს ბატონ სერგოს ფრონტალ ცხოვრებაში მოულოდნელი რამ მოხდა. მას რუსეთის ამ შორეულ კუთხეში მოულოდნელად „ეწვია" ფრონტის სხვა მოქმედ მსროლელ დივიზიიდან რიგითი ჯარისკაცი, თანასოფლელი – თანაკლასელი

ფრონტელი ტიტე (ტიტიკო) კომახიძე. ამ შეხვედრის ბატონი სერგო დიდი ინტერესით იხსენებს: „ტიტე განსაკუთრებით, მოხერხებულობით და ნიჭითაც გამოირჩეოდა თანაკლასელებს შორის. მისგან ყოველთვის რაღაც ახალს, თან საქმიანს, ან სრულიად სასაცილო – მოსალხენს ველოდით. ამიტომ ქვემეხების ქუხილიდან ახალგადმოსულს სულაც არ გამკვირვებია ამ შორეულ ქვეყანაში და ისიც ფრონტიდან ახალგადმოსულს მისი „სტუმრობა“ . . . მოვიკითხეთ ერთმანეთი, მოვიხსენიეთ გულისტკივილით თანაკლასელ აბესალომ ახობაძის დაღუპვის ამბავი, მოვიკითხეთ ფრონტელი დაღუპულები, დაჭრილი ნაცნობი თანასოფლელები, გავიხსენეთ ჩვენი ფრონტზე გამოცილებისას მოწყობილი თანასოფლელ და თანაკლასელ ვანიშკას (ვანო) ოჯახში გამართული ვახშამ-შეხვედრები, საუბრისას ტიტემ მოულოდნელად მკითხა – მშობლებმა, თუ იციან შენი ძმის – კარლოს ფრონტზე დაღუპვის ამბავიო . . . – მამა კი, დედამ – არა, – ვუპასუხე მე . . . ალბათ მამაჩემი დედას არ ეტყვის ომის დამთავრებამდე და ჩემი დაბრუნებამდე, თუ დავბრუნდი”.

ტიტემ ამ პასუხზე, უხმოდ, მისთვის უჩვეულო დუმილით და ჩვეული მოხერხებულობით სადღაც ნაშოვი არაყის ბოთლი ზურგჩანთიდან ამოიღო. . . მოვიხსენიეთ ომში დაღუპულ-დაჭრილ ნაცნობები, შინ დაბრუნება ვუსურვეთ და ცრემლმორეულები, ერთმანეთს უხმოდ დავცილდით, ფრონტზე ნახული საშინელების შემდეგ გადარჩენის არცთუ ისე დიდი იმედი არსებობდა. . .”

1943 წლის მიწურულს ფრონტის მოწინავე ნაწლებმა მთლიანად გაწმინდეს ყუბანის მთელი ტერიტორია. უკან დახეული მტერი ყირიმის ნახევარკუნძულზე გადავიდა. ყირიმში თავი მოიყარა გერმანიის და მისი მოკავშირეების სამხედრო ნაწილების დიდმა ძალებმა, აქ დაგროვდა სამხედრო ტექნიკის დიდი რაოდენობა, მტერმა ისედაც გამაგრებული ყირიმი მიუვალ ციხე სიმაგრედ იქცა.

კავკასიის, ყუბანისა და სტალინგრადის ისტორიული ბრძოლების შემდეგ ყირიმის განთავისუფლების ჯერი დადგა. ფრონტის მოწინავე ნაწილებმა დიდი ბრძოლებისა და დიდი დანაკარგების ფასად ყირიმში ყუბანიდან ქერჩის სრუტით მცირე-მცირე ჯგუფების სადესანტო ნაწილები გადასახეს, რომლებმაც ყირიმის მიწაზე თანდათანობით, მძიმე ბრძოლებით დაიკავეს შეტევითი ოპერაციების დასაწყებად ზღვისპირა სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი მცირე პლაცდარმი, დაიწყო ყირიმის გასათავისუფლებლად შეტევით ოპერაციების დიდი სამზადისი.

შეტევითი ოპერაციების მზადების პერიოდში გაიზარდა მოთხოვნილება საარტილერიო ნაწილებზე, პირველ რიგში კი საზენიტო არტილერიაზე. ახლა ყირიმში 734-ე საზენიტო საარტილერიო პოლკის გადასხმის მომენტი დადგა.

ყირიმში მტერზე შეტევის ოპერაციის დაწყების წინ 734 საარტილერიო პოლკა ბოლო სადესანტო ნაწილი იყო. საზღვაო სადესანტო კატარღიდან ქერჩის ნახევარკუნძულზე პოლკის ბოლო ქვემეხი რომ ააგორეს, ფრონტის წინა ხაზი ისე ახლოს იყო, რომ მტრის შაშხანის ტყვიასაც მწყობრიდან გამოყავდა პოლკის პირადი შემადგენლობა და ტექნიკაც.

ასეთ პირობებში პოლკა დიდი პრობლემების წინაშე იდგა ჯერ ახლოს მდგომი მტრისგან თავის თავი დაეცვა და ამასთან, უნდა შეესრულებინა სარდლობის ბრძანება – დაუყონებლივ მომზადებულიყო შეტევითი ოპერაციებისათვის. მებრძოლებმა ბრწყინვალედ გაართვეს თავის დასმულ ამოცანებს.

1944 წლის 11 აპრილს დილის ხუთ საათზე ქერჩის პლაცდარმის ფრონტის მთელ ხაზზე დაიწყო დიდი საარტილერიო შეტევისათვის მზადება. გაიხსნა მასიური ცეცხლი. ამოქმედდა ს.ტაბაღუას 734 საარტილერიო პოლკის ქვემეხი, პოლკის ცალკეული ბატარეა, საბრძოლო დანადგარები მსხვილკალიბრიანი ქვემეხებით 15-კილოგრამიან ჭურვებს აყრიდნენ მტერს. 30-წუთიან საარტილერიო სროლის შემდეგ, მოიერიშე თვითმფრინავებმა, სატანკო ნაწილებმა შემუსრეს ქერჩის ციხე-სიმაგრის თავდაცვითი პოზიციები, მებრძოლმა ქვეითებმა „ურას“ შეძახილებით, ქალაქის გარეუბანი დაიკავეს. ქერჩზე საარტილერიო მომზადება და შეტევითი ბრძოლები ისე სწრაფად და კარგად ორგანიზებულად განვითარდა, რომ ქალაქში განლაგებულმა მტრის მთავარმა ძალებმა ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმა ვერ გაბედეს

და ქალაქი თითქმის უბრძოლველად დატოვეს. ქალაქში გამთენიისას შევიდა პოლკის მოწინავე დანაყოფი და უკან დახეულ მტერს კვადაკვალ დაედევნა.

ქერჩის ბრძოლების შემდეგ 734-ე პოლკი ქ. სიმფეროპოლშია. აქ კი პოლკმა ბრძანება მიიღო, საარტილერიო ქვემეხები რკინიგზის ეშალონში სასწრაფოდ ჩაეტვირთათ და შორს ბელორუსიაში, ვიტებსკის რაიონში ალყაში მოქცეულ გერმანელთა მსხვილი დაჯგუფების განადგურებაში მიეღოთ მონაწილეობა. ბრძანების მიღების მესამე დღეს პოლკის პირადი შემადგენლობა და საბრძოლო ქვემეხი მუსრს ავლებდა ალყაში მოქცეულ მტრის ძალებს ბელორუსიაში, ვიტებსკის რაიონში.

გერმანელებთან მეტად მძიმე ხანგრძლივი ომი გრძელდებოდა. იგი დასრულების ფაზაში შედიოდა. 1945 წლის იანვრიდან ბრძოლები პოლონეთის განთავისუფლებისათვის მიმდინარეობდა, 25 იანვარს პირველ ბელორუსიის ფრონტის მოწინავე ნაწილებმა ალყაში მოაქციეს ქ. პოზნანის 60 ათასიანი მტრის დაჯგუფება. ასეთი დიდი ძალის განადგურება მოითხოვდა დამატებით დიდ ძალებს. განსაკუთრებით საჭირო იყო საარტილერიო ქვედანაყოფები. როგორც ჩანს, სწორედ ამან განაპირობა 734-ე ცალკე საარტილერიო საზენიტო პოლკის ბელორუსიის პირველი ფრონტის შემადგენლობაში შეყვანა და მისი გადასროლა პოლონეთის მიწაზე ქ. პოზნანის მისადგომებთან. ვიტებსკიდან – პოზნანში გადასვლას და იქ ბრძოლებს ასე იხსენებს სერგო ტაბაღუა – „1945 წლის იანვრის ქვემეხები ვიტებსკის რკინიგზის სადგურში სახმედრო ეშალონის რკინიგზის ღია ვაგონებში ჩავტვირთეთ. გეზი პოლონეთისკენ ავიღეთ, მეორე დღეს ეშალონი პოლონეთის მიწაზეა, გვიან საღამოს გავიარეთ მტრის მიერ მიწასთან გასწორებული პოლონეთის დედაქალაქი ვარშავა. შემდგომ სამხედრო ეშალონი რკინიგზის სადგურებში თითქმის შეუჩერებლივ, დიდი მიისწრაფვის ალყა-შემორტყმულ პოზნანისაკენ. მოულოდნელად ჰაერში სულ დაბალ სიმაღლეზე ერთიმეორის მიყოლებით გამოჩნდა მტრის მოერიშე თვითმფრინავ „მესერშმიტების“ რამდენიმე ჯგუფი, პირველმა სამმა მოიერიშემ დაზვერვით ჩამოქროლება განახორციელა, მეორე სამეულმა ცეცხლი გაგვიხსნა, მაშინვე ჩვენ დიდი სიჩქარით მიმავალი ეშალონის ღია ვაგონებზე მაგრად დამაგრებული ქვემეხებიდან ცეცხლი გავხსენით. მალე გათამამებული მტრის ერთი მთვითმფრინავი ჩვენი ქვემეხის ჭურვის აფეთქების ალყაში გაეხვია და იქვე ტყეში დაიფერფლა. მტერი მაინც თავისას არ იშლიდა, ცდილობდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, სახმედრო ეშალონი მწყობრიდან გამოეყვანა, მტრის მოიერიშეთა და ბომბდამშენთა ახალი გუნდი გამოჩნდა, დადგა ჩვენი ეშალონის დაღუპვის გარდაუვალი წუთები, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, იმავე წუთებში ჰაერში საიდანღაც გამოჩნდა ჩვენი სახელგანთქმული „იაკების“ სამეულთა გუნდი, მტერმა მათთან საჰაერო ბრძოლაში ჩაბმა ვერ გაბედა და უკანვე გაფრინდა. . . გადავრჩით, სამხედრო ეშალონი კვლავდიდი სიჩქარით გზას პოზნანისაკენ განაგრძობს, თებერვლის გვიან ღამით ჩვენი სამხედრო ნაწილი უკვე პოზნანის მისადგომებთანაა, ქვემეხები ვაგონებიდან გადმოვაგოროთ, საბრძოლო მზადყოფნაში მოვიყვანეთ,გვიან ღამით, გამთენიის ხანს, უკვე ჩვენი ქვემეზები მასიურ ცეცხლს უშენდა პოზნანში ალყაში მოქცეულ მტრის განლაგებებს".

პოზნანის ბრძოლების შემდეგ სერგო ტაბაღუა გერმანიაში, ვარშავა-ბერლინის მთავარ გზაზე-მდინარე ორდერის მარცხენა ნაპირზე მდებარე ქ. კიუსტრინშია. იქ, სადაც მზადდებოდა მთავარი შეტევითი ოპერაციები გერმანიის დედაქალაქი ბერლინზე. აქ ბრძოლების შესახებ მეტად აღელვებული ჰყვება ომგადახდილი: „მთელი ომის მსვლელობაში მომიხდა მრავალ საბრძოლო ოპერაციებში უშუალო მონაწილეობა, მაგრამ ბერლინის შეტევით ოეპრაციებში მონაწილეობა იყო რაღაც განსაკუთრებული, ყველასგან განსხვავებული, მძიმე და საინტერესო.

1945 წლის 15 აპრილს მეტად გააქტიურდა გერმანელთა ავიაცია, ინგრძნო რა ბერლინზე მთავარი დარტმების მოახლოება, მთელი საჰაერო ძალები ორდენზე, კიუსტრინის უბანში თავმოყრილი ჩვენი ძალების წინააღმდეგ მიმართა. ქ. მდინარე ოდერის გადასასვლელ ვარშავა-ბერლინის მთავარ გზაზე ქ. კიუსტრინში მტრის

მრავალრიცხოვან ბომბდამშენებს და მოიერიშე გამანადგურებლებს ჩვენი საჰაერო ძალები დაუპირისპირდა, მთელი დღე მდ. ოდერის სანაპიროზე და ქალაქის თავზე ნამდვილი ქვემეხების საშუალება არ ჰქონია მტრის თვითმფრინავი მიზანში ამოიღო.რადგან ჩვენი გამანადგურებელი „იაკები“ მათ „კუდში აჯდა”, საშიში იყო, ქვემეხებიდან გასროლით მტრის თვითმფრინავთან ერთად ჩვენი თვითმფრინავით არ დაგვეგდო.ასემიილია ის დღე. გვიან საღამოს ბრძანება მივიღეთ, 16 აპრილს დილით ადრე დაიწყებოდა ბერლინზე დიდი შეტევითი ოპერაციები. მთელი ღამე ქვემეხთან გავატარეთ. ძუსტად დილის ხუთ საათზე დაიწყო ბერლინის მიმართულებით მძლავრი მასიური შეტევითი საარტილერიო მომზადება, მრავალ ათასი ქვემეხის, ნაღმტყორცნის, ლეგენდარული „კატიუშების“ და მათ შორის ჩვენი 734-ე საარტილერიო პოლკის ქვემეხიების გასროლისაგან თვალისმომჭრელად გასხივოსდა მთელი არემარე. 30-წუთიანი მძლავრი, მასიური საარტილერიო სროლების შემდეგ, ჰაერში დაიკლაკნა ათობით ფერადი რაკეტა, ამ სიგნალიზე აინთო ათობით პროჟექტორი, რომლებიც განლაგებული იყო ქ. კიურსტენის და მდინარე ორდერის სანაპიროზე ყოველ 200 მეტრზე, მათ შორის რამდენიემ პროჟექტორი განლაგებული იყო ჩვენი 734-ე საარტილერიო პოლკის საბრძოლო პოზოციაზე. დაიწყო ბერლინზე საერთო იერიში. პროჟექტორები ანათებდა ბრძოლის ველს, თვალს ჭრიდა მოწინააღმდეგეს, ხოლო ჩვენს ტანკებს, ქვეით ჯარს, სიბლენეში იერიშის ობიექტს უნათებდა. საერთოდ, იერიშის დაწყებისთანავე მთელი ფრონტის არტილერიამ, მაშ შორის, ჩვენი საარტილერიო პოლკის ქვემეხებმა გააძლიერეს ცეცხლი მტრის პოზიციაზე, ქვეითებმა და ტანკებმა იერიშით გასწიეს წინ, გამთენიისას მოიერიშეთა მოწინავე ძალებმა გადალახეს მტრის პირველი პოზიცია და დაიწყო მეორე პოზიციის იერიში. ჰაერში აღიმართა მტვრის და კვამლის შეუვალი კედელი. პროჟექტორების მძლავრ სხივებსაცკი არ შეეძლო მასში გატანება. ყოველივე ეს მეტად მძიმე, მაგრამ საინტერესო და ძალზე შთამბეჭდავი სურათი იყო. მას ჩემში დავიწყება არ უწერია”.

ბერლინზე შეტევის დაწყების შემდეგ ფაშისტების დღეები დათვლილი იყო.23-24 აპრილს ბელორუსიის 1 ფონრიტს მოწინავე ნაწილები სპობდნენ ჰიტლერელებს ბერლინის მისადგომებთან. 30 აპრილს 14 საათზე აიღეს რაიხსტაგის ძირითადი ნაწილი. 1 მაისის დღის ბოლოსათვის რაიხსტაგის მთლიანი შენობა გაიწმინდა ჰიტლერებისგან. 9 მაისს, 0 საათსა და 43 წუთზე, გერმანიის სახელით, გენერალ ფელდმარშალ კაიტალმა ხელი მოაწერა გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციას.

1945 წლის 9 მაისის ღამეს 65 წლის შემდეგ ბატონო სერგო ტაბაღუა ასე იხსენებს: „9 მაისის ღამეს, ჩვეულებრივ, მთელი პოლკის შემადგენლობა კვლავ საბრძოლო მზადყოფნაშია, მტრის თვითმფრინავების თუ ჯარის სხვა სახეობის ძალების თავდასხმის მოლოდინში. უცებ გაისმა საბრძოლო განგაში, ქვემეხები საბრძოლველად გავამზადეთ, ისმის ბატარეის მეთაურის უჩვეულო გაოგნებული ყვირილის ხმა. ბრძანების ფორმით მოწოდება „ცეცხლი, ცეცხლი! ურაა, ურაა, ჩვენ გავიმარჯვებთ,“ ამ „ბრძანებაზე“ აქუხდა ჩვენი მრავალ ბრძოლაში გამოვლილი ქვემეხები, ახლა მისი ჭურვები სკდება გერმანიის ცაში, ჩვენი გამარჯვების აღსანიშნავად ვისროდით მტერთან საბრძოლველად წინასწარ მომზადებულ ბოლო ჭურვებს. დილით ადრე ქვემეხების მიწურებში გამარჯვების საზეიმო საუზმე მოგვიტანეს, ჯარისკაცის საველე სუფრას არც გერმანული არაყი და ბავარიული ლუდი აკლდა. 9 მაისს, გვიან დილით, პირველად მრავალწლიანი ომის მსვლელობის შემდეგ, უსაფრთხო ძილის საშუალება მოგვეცა. ამ დღესაც ჩემში დავიწყება არ უწერია”.

იდი ომი დამთავრდა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სერგო ტაბაღუას სამხედრო სამსახურში ყოფნა კიდევ სამი წელი მოუხდა. აედან ერთი წელი გერმანიაში, ბერლინის გარეუბანში,ხოლო ორი წელი აზერბაიჯანში, კასპიის ზღვის კუნძულ ნარგენზე იმსახურა.

1948 წელს წ. ტაბაღუა სამხედროდან დემობილიზებული იქნა, იმავე წელს მან ბათუმის შოთა რუსთ ველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის

ფაკულტეტზე განაგრძო უმაღლესი ცოდნის მიღება, ინსტიტუტი 1952 წელს დაამთავრა. 1952-1954 წლებში მუშაობდა ბათ მის №3 საქალაქო ბიბლიოთეკის გამგედ, ხოლო 1954 წლიდან უწყვეტი 60 წელი იმუშავა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. აქედან ორ ათეულ წელზე მეტი – დირექტორის ხელმძღვანელ თანამბდებობაზე.

სერგო ტაბაღუა არქივში თუ უმაღლეს სასწავლებელში მუშაობის კვალდაკვალ ეწევა ღრმა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. მან 1974 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, მოამზადა აგრეთვე სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა.

1983 წლის 10 მარტს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით, სერგო ტაბაღუა შეყვანილ იქნა საქართველოს შრომითი კოლექტივების ისტორიის პრობლემების კვლევის სამეცნიერო საკოორდინაციო საბჭოს წევრად. 1991 წლის 2 აპრილს კი საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილ „ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის შემსწავლელ ასოციაციაში“ ინდივიდუალურ წევრად. სერგო ტაბაღუას გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის, ხუთი მონოგრაფია, ათობით საგაზეთო სტატია და პუბლიკაცია. იგი თანაავტორია აჭარის ისტორიის ოთხტომეულის IV ტომისა და წიგნისა „აჭარა II მსოფლიო ომის პერიოდში”.

სერგო ტაბაღუა სამეცნიერო კვლევითი მუშაობას კარგად უთავსებს უმაღლეს სასწავლებელში პედაგოგიურ მუშაობას – კითხულობს საქართველოს ისტორიას, მსოფლიოს და ეროვნული კულტურის ისტორიას, ასევე, არქივში მრავალწლიანი მუშაობის პრაქტიკას კარგად იყენებს, რომ წაუკითხოს სტუდენტებს ლექციების კურსი წყაროთმცოდნეობაში, არქივმცოდნეობაში.

სერგო ტაბაღუას საბრძოლო და შრომითი აქტივობა აღინიშნა არა ერთი სახელმწიფო საბრძოლო თუ შრომითი ჯილდოებით. იგი დაჯილდოვებულია 10-ზე მეტი საბრძოლო ორდენით თუ მედლებით, მათ შორის, საბრძოლო მედლით „ბერლინის აღებისათვის”, რომელიც ოჯახის რელიქვიაა). მისი საბრძოლო და შრომითი აქტივობა აღინიშნა აგრეთვე მრავალი მედლით და საპატიო სიგელით. 1968 წელს მას მიენიჭა აჭარის, 1971 წელს კი საქართველოს კულტურული დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

ს. ტაბაღუა საზოგადოებისათვის მეტად სასარგებლო, არქივისთვის კი ძალზე საჭირო მუშაკია. იგი გულწრფელად და უანგაროდ იღწვის ახალგაზრდების ცოდნის ამაღლების, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდისათვის და თავის შეხედულებებს განცდებს და ფიქრებს ცხოვრებაზე, დღევანდელობასა და ხვალინდელ დღეზე გულწრფელად გამოხატავს. ამიტომაც სიყვარულით წარმოთქვამენ მის სახელს.

სერგო ტაბაღუა იუბილარია. მას დაბადებიდან 95 წელი შეუსრულდა. აჭარის საარქივო სამმართველო ულოცავს ღვაწლმოსილ პიროვნებას, ამაგდარ არქივისტს ბატონ სერგო ტაბაღუას საიუბილეო თარიღს და უსურვებს ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

*თამაზ ფუტკარაძე*

## *სერგო დუმბაძე — 80*




ყოველ ადამიანს თავისი შინაგანი სამყარო, ღირსება და კეთილი საქმეები წარმოაჩენს. სერგო დუმბაძე სწორედ ასეთ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება. მისი სახით საზოგადოების წინაშეა ღირსეული პედაგოგი, მომავალი თაობის შესანიშნავი აღმზრდელი, კარგი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი.

მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება უხდებოდა ურთულეს პირობებში, მან შეძლო საკუთარი ნიჭისა და უნარის სრული გამოვლენა, შეინარჩუნა ვაჟკაცობა, ალალმართლობა, პრინციპულობა და სრულიად სამართლიანად დაიმკვიდრა ქვეყნის, მშობლიური კუთხის აღორძინებისათვის თავდადებული მებრძოლის სახელი.

შრომისმოყვარეობა, წიგნისადმი სიყვარული, სტუდენტებისადმი უანგაროდ დახმარების სურვილი, რითაც ბატონი სერგო ხასიათდებოდა, უმალ მოექცა სტუდენტების ყურადღებბის ცენტრში. ხალხმრავალ აუდიტორიებში, სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებთან ჩატარებული ორატორული ხელოვნებით გამორჩეული კვალიფიციური ლექციები მაშინვე იპყრობდა სტუდენტების ყურადღებას. ს. დუმბაძის ლექციები ყველასათვის გასაგები იყო. ლექციის წაკითხვის მისეული სტილი, დახვეწილი მანერა უცნობ ადამიანსაც კი აღავსებდა ლექტორის მიმართ პატივისცემის გრძნობით, სტუდენტების საყვარელი ლექტორი გამორჩეული იყო თავისი ადამიანური თვისებებით, სტუდენტებისადმი სიყვარულითა და მომთხოვნელობით. ასეა დღესაც. იგი დღე მუდამ სიახლეების ძიებაშია და ამ სიახლეებს უშურველად გადასცემს ახალგაზრდებს.

მას ყოველთვის გულთან მიჰქონდა სტუდენტის გასაჭირი. ამიტომაც იყო, რომ ყველა სტუდენტი, ვისაც კი რაიმე პრობლემა ჰქონდა გადასაწყვეტი, ბატონ სერგოსთან გარბოდა, რადგან იცოდა, რომ მისი თხოვნა ყურადღების გარეშე არ დარჩებოდა.

ს. დუმბაძე ბევრს მუშაობდა ლექციების ეფექტურობის ამაღლებისათვის. იგი თავად იძლეოდა სანიმუშო მაგალითს. მის გამოცდილებას იზიარებდნენ არამარტო ახალბედა, არამედ გამოცდილი კოლეგებიც.

ბატონმა სერგომ ბრწყინვალედ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. მან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის. მისი ყოფილი სტუდენტები მაღალი ზნეობით, პროფესიონალიზმით გამორჩეულ მასწავლებლებს შორის ასახელებენ ბატონ სერგოს, რომელიც თავისი ერუდიციითა და ზნეკეთილობით იპყრობდა სტუდენტთა გულს, გონებას და კეთილ კვალს ტოვებდა მათ სულში.

ცხადია, ავტორიტეტი და დაფასება თავისით არ მოდის. იგი უანგარო, დაძაბული შრომა-გარჯისა და სტუდენტებზე დაუღალავი ზრუნვის შედეგია. ასეთია სერგო დუმბაძე. იგი ბევრს კითხულობს, სწავლობს, აანალიზებს, იკვლევს, მუდამ ნახულობს დროს თავისთავზე, თვითგანათლებაზე მუშაობისათვის, ესწრება სამეცნი-

ერო სესიებს, სიმპოზიუმებს, კონფერენციებს, სტუდენტთა სამეცნიერო წრის სხდომებს, გამოდის მოხსენებებით სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების წინაშე.

ს. დუმბაძე აქტიურადაა ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. პრესის ფურცლებზე სისტემეტურად იბეჭდება მისი სამეცნიერო, მეთოდური და პუბლიცისტური ხასიათის წერილები. მოვლენათა და ღირებულებათა გადაფასების, წარსულისადმი კრიტიკული დამოკიდებულების არასასურველი ფონის მიუხედავად ბატონმა სერგომ შეინარჩუნა პრინციპულობა, მოვლებენისადმი საკუთარი დამოკიდებულება, თუმცა იმ პერიოდშიც კი ვერ ეგუებოდა ბიუროკრატიზმს, სხვა ნეგატიურ მოვლენებს და ფრთხილადაც გამოთქვამდა აღნიშნულის შესახებ თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას.

ს. დუმბაძეს არ დაკლებია ხალხის სიყვარული, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო ისაა, რომ დღეს საქართველოში არიან მისი ყოფილი მოსწავლეები, რომლებიც საუბრობენ მასზე, როგორც საუკეთესო პედაგოგზე, აღმზრდელსა და მზრუნველ პიროვნებაზე. იგი დღემდე დარჩა უბრალო, სამართლიან და პრინციპულ პიროვნებად. სულიერი ტკივილების წნეხში გამოტარებულ ადამიანს თან უნდა გამოჰყოლოდა შემგუებლობა კაენური ცოდვებისადმი, მაგრამ მის პიროვნებაში ყოველთვის ხარობდა უპირველესი საწყისი – კაცთმოყვარეობა, ურთიერთმიმტევებლობა, შინაგანი პატიოსნება. შრომის სიყვარული იყო და არის მისი ცხოვრების ძირითადი მიზანი.

ს. დუმბაძე ხულოს რაიონის მკვიდრია, მაგრამ არასდროს გამოხატავს თავის წარმომავლობას, საერთო სატკივარით, თანაბარზომიერი ურთიერთობის პრინციპით ცხოვრობს და სხვის მიერ გამოვლენილ კუთხურობას, ტენდენციურობას, მიუკერძოებლობას მოზომილი თავაზიანობით მაგრამ შეუვალი პრინციპულობით ებრძვის.

ბატონი სერგო ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას ეწევა.. იგი წარმატებით იკვლევს აჭარის ისტორიას და გამოაქვეყნა არაერთი საყურადღებო ნაშრომი. მათში პირველწყაროებზე დაყდნობით საინტერესოდაა განხილული აჭარის წარსული და დღევანდელობა. მის გამოკვლევებში ნათლად ვლინდება განსწავლულობა, ისტორიული მეცნიერების მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა, წერისა და აზროვნების მაღალი კულტურა.

ს. დუმბაძემ თავისი ცხოვრების გზა პატიოსნად განვლო და შეინარჩუნა გულმართალი და გულისხმიერი კაცის რეპუტაცია. შეიძლება ბევრჯერ გაუჭირდა, „ცდუნების“ შესაძლებლობაც არაერთხელ ჰქონია, მაგრამ მას არასდროს უღალატია ერთხელ არჩეული გზისათვის. კაცობის გამოცდა მან ბრწყინვალედ ჩააბარა.

სწორედ მისნაირ კაცზეა ნათქვამი აკაკი ბაქრაძის სიტყვები: „ძლიერი ის კი არაა, ვინც ტალახში არ ჩავიდა, არამედ ის, ვინც ჩავიდა და სუფთად გაიარა.”

ბატონ სერგოს მისი თაობის უამრავი ადამიანი იცნობს და ესიყვარულება. იგი დღესაც უზიარებს კოლეგებს თავის გამოცდილებას და მხარდაჭერას სთავაზობს მეზობელს თუ მეგობარს, ნაცნობსა თუ უცნობს.

„კაცურკაცობა ბუნების ჯილდოა, მაგრამ ძვირია.“ ამ ქართული ანდაზის ჭეშმარიტებაში დარწმუნდება ყველა, ვისაც მასთან ერთხელ მაინც ჰქონია შეხვედრის შესაძლებლობა. ბუნების ეს ჯილდო ყველა დანარჩენ თვისებას სჭარბობს ქართული სიდარბაისლით გამორჩეული სერგო დუმბაძის პიროვნებაში.

ცხოვრება გრძელდება, შთამომავლობა მრავლდება, „დრო კი მიდის, მიდის, მიდის მდინარესავით,“ მაგრამ ბატონი სერგო კვლავ ჩვეული შემართებით დააბიჯებს ქალაქში, საზოგადოების წინაშე ვალმოხდილი, ზნეკეთილი, დარბაისელი მოქალაქე, მომღიმარი, სალმიანი და მადლიანი, მხნე და ქედმოუტეხელი. იგი კვლავინდებური მონდომებითა და მუყაითობით ემსახურება საყვარელ საქმეს.

*მაია რურუა*

## *ელგუჯა ჩაგანავა — 70*

არქივისტ ელგუჯა ჩაგანავას 2020 წლის 29 თებერვალს შეუსრულდა დაბადებიდან 70 წელი.



მკითხველს ვთავაზობთ საიუბილეო საღამოზე არქივისტ **მაია რურუას** გამოსვლის ტექსტს:

„მოგესალმებით პატივცემულო სტუმრებო, ძვირფასო კოლეგებო !

21 წელია გაზაფხულის მოსვლასთან ერთად პროფესიულ დღეს ვდღესასწაულობთ. 21 წელია, გაზაფხულის ულამაზესი დღესასწაულებ ი- დედისა და ქალთა დღეები წინ უსწრებენ ან თანხვდებიან ჩვენს პროფესიულ დღესასწაულს და კიდევ უფრო გვილამაზებენ მას. ასეა წელსაც: 1 მარტი- საარქივო დარგის მუშაკის დღე; 3 მარტი-დედის დღე!

უპირველესად, ყველა თქვენგანს გილოცავთ არქივის მუშაკის პროფესიულ დღესასწაულს! გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, პროფესიულ ზრდას, წარმატებულ და ბედნიერ მომავალს თქვენს ოჯახებთან ერთად!

პროფესიულ დღესასწაულთან ერთად კი ქალბატონებსა და დედებს, ყველა ლამაზი სურვილით გილოცავთ დამდეგ დედის დღეს და გისურვებთ ამ ქვეყნად ყველაზე დიდ სიხარულსა და საჩუქარს -შვილის ბედნიერ და ღიმილით გაცისკროვნებულ თვალებს, დაფასებულ ამაგს და ბედნიერ დედობას! ღმერთმა დალოცოს თქვენი დედობა, თქვენი დედაშვილობა!

განსაკუთრებული მილოცვა და მადლობა ჩვენს მინისტრ ქალბატონს – მაია ხაჯიშვილს მობრძანებისა და დაფასებისათვის, ჩვენი პროფესიული დღის მოლოცვისა და გაზიარებისათვის!

დიდი მადლობა და ყველა ლამაზი სურვილი ჩვენს ხელმძღვანელს- ქალბატონ მაია ივანიშვილს საარქივო სისტემაში შექმნილი მშვიდი და სასიამოვნო სამუშაო ატმოსფეროსთვის, დღევანდელი დღისათვის!

იდღეგრძელეთ, იჯანმრთელეთ, გამრავლდით და გაიხარეთ!!!

წელს, კიდევ უფრო გამრავალფეროვნდა, კიდევ უფრო გამორჩეულია ჩვენი დღესასწაული, რამეთუ ნაკიანი წელი დადგა და 29 თებერვალიც აღინიშნა კალენდარზე.

თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით თვალი გადავავლე 29 თებერვალთან დაკავშირებულ ინფორმაციებს და აღმოჩნდა, რომ 29 თებერვალი კალენდარში 365 დღის დაწესების შემდეგ დარჩენილი 5 საათის, 48 წუთისა და 46 წამის 4 წლის განმავლობაში დაგროვების შედეგად მიღებული დღეა და აქედან გამომდინარე იმთავითვე გამორჩეული. ასევე აღმოჩნდა, რომ თურმე ძალიან ბევრს ნაკიანი წლის დადგომა აშინებდა. ძველად მიაჩნდათ, რომ ამ წელს არ შეიძლებოდა ცვლილებები:

დაქორწინება ან განქორწინება..და თუ მაინდამაინც გადაწყვეტდნენ დაქორწინებას, პატარძალს რაც შეიძლება გრძელი კაბა უნდა ჩაეცვა, რადგან თურმე კაბის სიგრძე განსაზღვრავდა რამდენად ხანგრძლივი და ბედნიერი იქნებოდა წყვილის თანაცხოვრება . ამასთან დაკავშირებით იყო სხვა რჩევებიც: ის, რომ პატარძალს არ უნდა გაეჩუქებინა საქორწილო კაბა, ან ფატა, ან თაიგული და მოკლედ არცერთი საქორწინო აქსესუარი; სასურველი იყო ბეჭედი ხელთათმანის ზემოდან გაეკეთებინა, ხოლო სიძეს ფეხსაცმელში ჩაედო მონეტა- რათა ოჯახი სიღარიბისაგან დაეცვა.

ნაკიან წელიწადს უკავშირდება კიდევ ერთი უძველესი ტრადიცია, რომლის თანახმად ამ წელს ქალებს უფლება აქვთ, ხელი სთხოვონ საყვარელ მამაკაცებს. თუ კაცი უარს ეტყვის, ვალდებულია ჯარიმა გადაიხადოს. არსებული ტრადიციის მიხედვით დანიაში ჯარიმა 12 ხელთათმანს შეადგენს, ხოლო ფინეთში ჯარიმის საფასური ქვედაბოლოს შესაკერი ნაჭერია.

იმის შანსი, რომ 29 თებერვალს დაიბადო, სამყაროში თურმე 1461-დან ერთია. ასე რომ შეიძლება ითქვას ისინი ამით უკვე გამორჩეულები არიან. კაცობრიობა დიდიხანია არკვევს-დაიბადო ამ დღეს- ეს გამართლებაა თუ იუღბლობა? ზოგადად კი ერთ რამეში თანხმდებიან, 29 თებერვალს დაბადებულები მაგიური თვისებებით დაჯილდოებულები არიან, აქვთ ძლიერი ინტუიცია და უნარი საოცარი რჩევა მისცენ სხვებს.

ძველად ასევე მიაჩნდათ, რომ ნაკიან წელს განსაკუთრებული, გამორჩეული ბედის ბავშვები იბადებოდნენ, რომ ისინი დიდხანს ცოცხლობენ, მუდამ ახალგაზრდები არიან და თავი 16 წლისანი ჰგონიათ.

ამ მოსაზრებაში არის თითქოს სიმართლის მარცვალი და ამაში დარწმუნებაც შეიძლება, როცა ჩვენს იუბილარს შეხედავ. მიუხედავად იმისა, რომ ელგუჯა ჩაგანავამ დაბადების წლის მიხედვით 70 ლამაზი წელი მოაგროვა, ისე გამოიყურება როგორც 17 ნახევარი წლისა. თუმცა გასაკვირიც არაფერია, მას ხომ, როგორც 29 თებერვალს დაბადებულს, გამორჩეული, ასე ვთქვათ სეზონური გრიპი არა , (ეს ხუმრობით) დაბადების დღე აქვს – ოთხ წელიწადში ერთხელ ზამთრის ბოლო დღეს, ხოლო დანარჩენი სამი წელი გაზაფხულის პირველ დღეს და მილოცვებიც 3 წელიწადს 28 თებერვლიდან იწყება და 1 მარტამდე გრძელდება.

კიდევ იმასაც ამბობენ , რომ ჩვეულებრივ მარტივ წელიწადს, როცა 28 თებერვალი დასრულდება და 1-ლი მარტი დადგება, ამ დროს პირველი ორი წუთი 29 თებერვალს ეკუთვნის და სასურველია სწორედ მაშინ მიულოცოთო დაბადების დღე იუბილარებს. ამ დროს წარმოთქმულ სადღეგრძელოს საოცარი ძალა აქვსო -ამბობს ასტროლოგი მიშა ცაგარელი.

იმის გამო, რომ 29 თებერვალს დაბადებულებს დაბადების დღე 28 თებერვალს ან პირველ მარტს აქვთ ხოლმე, მათ ხშირად მხტუნავებსაც უწოდებენ. 2016 წლის 29 თებერვალს თურმე 4,1 მილიონი „მხტუნავი" ადამიანი დაიბადა.

იცოდით, რომ ნაკიან წელიწადს, რომელიც ასტროლოგიურ მოვლენას უკავშირდება, თავისი დედაქალაქი აქვს და ის ამერიკის შეერთებულ შტატებში, ტეხასისა და ნიუ მექსიკის საზღვარზე მდებარე ქალაქი ანტონიაა.?! ნაკიან წელს ქალაქში 4 დღიანი ფესტივალი ტარდება, რა დროსაც 29 თებერვალს დაბადებულების დღეებს აღნიშნავენ.

ძველად და ახლაც მშობლები ცდილობენ თურმე, რომ მომავალში ბევრი უხერხულობის ასაცილებლად, ახალშობილებს დაბადების თარიღად 29 თებერვლის ნაცვლად სხვა რიცხვი ჩაუწერონ, ისეთი, რომელიც ყველა წელიწადს აღნიშნულია კალენდარში, მაგალითად 28 თებერვალი, ან 1 მარტი...ზოგი ახერხებს ამას, ზოგიც ვერა ..

ასეა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ელგუჯა ჩაგანავას დაბადების ოფიციალურ თარიღად 1950 წლის 27 თებერვალი ჩაიწერა, როცა არქივისტების გრიგოლ ჩაგანავასა და ლენა ზაქარეიშვილის ოჯახში ვაჟი დაიბადა. თბილ, მოსიყვარულე, შრომისმოყვარე ოჯახში იზრდებოდა და თავადაც ბავშვობიდან ეზიარებოდა შრომის სიყვარულს. ბავშვური ძალებით, მაგრამ მაინც შრომობდა სახლში თუ ზაფხულობით ბებია-ბაბუასთან სოფელში ჩასული. ეს ჩვევა დღემდე მოჰყვება და უსაქმოდ ვერ ჩერდება. ხან ისეთი უშუალობით და გულითადად შემოგთავაზებს დახმარებას, რომ უარსაც ვერ ეტყვი.

1967 წელს დაამთავრა ბათუმის N9 საშუალო სკოლა. (თუმცა სწავლაN2 სკოლაში დაიწყო, რატომ შეიცვალა სკოლა ამაზე მოგვიანებით) მერე იყო უმაღლესი განათლების მისაღებად სწავლა საქართველოს სასოფლო -სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე და პარალელურად მუშაობა.

მდიდარი შრომითი ბიოგრაფია აქვს ბატონ ელგუჯას, დაწყებული რიგითი მუშაკიდან ხელმძღვანელ თანამდებობამდე. სხვადასხვა წლებში იგი მუშაობდა აჭარის ცენ-

ტრალურ სახელმწიფო არქივში უმცროს მეცნიერ-მუშაკად (1968-1970წწ), მებაღე-დეკორატორად სალიბაურის სკოლა-ინტერნატში 1972-1974 წწ), მანქანათმშენებელ ქარხანაში (1974-1975 წწ), ხოლო 1975 წლიდან 1996 წლამდე კი პროფესიული ხაზით. 1997 წლიდან კვლავ საარქივო სისტემაშია.

მისი შრომითი ბიოგრაფიიდან, ჩემი აზრით, მეტად საინტერესოა 1978-1996 წლებში სარფის კოლმეურნეობაში მუშაობის წლები, გზა აგრონომობიდან მთავარ აგრონომობამდე და შემდეგ სარფის სასოფლო-სამეურნეო საწარმოს გამგეობის თავმჯდომარეობამდე (1991-1997წწ) . განსაკუთრებით კი გამოირჩევა 1978-1990 წლები, როცა სარფი საზღვრისპირა ჩაკეტილი სოფელი იყო და იქ საპასპორტო რეჟიმი მოქმედებდა. მაშინდელი უშიშროების მიერ განსაკუთრებული შემოწმება-გადამოწმების, უდიდესი პასუხისმგებლობისა და კომუნისტური რეჟიმის მიერ დიდი ნდობის გარეშე, სარფში სამუშაოდ არავის გაუშვებდნენ. აქ მუშაობას პროფესიონალიზმთან ერთად დიდი სიფრთხილე, ყურადღება და ფაქიზი დამოკიდებულება ე. წ. „სახალხო დიპლომატია" სჭირდებოდა, რასაც ელგუჯა ჩაგანავა კარგად უთავსებდა ერთმანეთს. ამიტომაცაა, რომ სარფელები დღესაც პატივისცემით იხსენებენ მას და თვითონაც პირად საუბრებში სითბოთი და სიამაყით მოიგონებს სარფში მუშაობის წლებს.

1997 წლიდან კვლავ საარქივო სისტემაშია და ინიშნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო დეპარტამენტის უწყებათა დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების ახალშექმნილი სამსახურის დირექტორად.

ელგუჯა ჩაგანავა ჩვეული პასუხისმგებლობით მოეკიდა ნაცნობი, მაგრამ ახალი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას. არქივი და საარქივო საქმე მისთვის უცხო არ იყო, მაგრამ უკვე გარდაცვლილი მშობლების სამსახურში თანამშრომლად დაბრუნება, სადაც გრიგოლ ჩაგანავასა და ლენა ზაქარეიშვილს სიყვარულითა და მოწიწებით მოიგონებდნენ ხოლმე, კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას, უფრო მეტ შრომას, ენერგიას და ყურადღებას მოითხოვდა მისგან. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში გაიზარდა და ამაღლდა უწყებათა დოკუმენტების დამუშავების რაოდენობა და ხარისხი, მომუშავეთა დაინტერესება საარქივო საქმის ამ მიმართულების მიმართ.

2006 წელს, საარქივო დეპარტამენტის რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა აღნიშნული სამსახური, რომელიც შემდეგ სახეცვლილი სტრუქტურული ერთეულის სახით შეუერთდა საარქივო სამმართველოს და ელ. ჩაგანავა ამ სამსახურის მთავარ სპეციალიტისტად დაინიშნა.

2009 წლიდან საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლია. 2010 წლის 4 იანვრიდან ინიშნება ამავე განყოფილების უფროსად, ამავე წლის მარტიდან საარქივო სამმართველოს ადმინისტრაციის უფროსად, ხოლო ივლისიდან საარქივო სამმართველოში განხორციელებული რეორგანიზაციის საფუძველზე ინიშნება საარქივო სამმართველოს ცენტრალური აპარატის უფროსად.

საარქივო სამმართველოს უფროსის 2017 წლის 23 ივნისის ბრძანებით საარქივო სამმართველოს ანალიტიკურ-მეთოდიკური და ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობის სამსახურის უფროსი თანამდებობაზეა.

ელ. ჩაგანავა თავისი საქმის კარგი მცოდნე, დისციპლინირებული და შრომისმოყვარეა. აქტიურად მონაწილეობს საარქივო სამმართველოს მიერ მოწყობილ სამეცნიერო ღონისძიებებში, ხშირად აქვეყნებს სტატიებს აჭარის საარქივო სამმართველოს სამეცნიერო ჟურნალ „არხეიონ"-ში, თანამშრომელთა შორის სარგებლობს კარგი ავტორიტეტითა და პატივისცემით.

საქართველოს საარქივო დარგის განვითარებაში, ფონდების დაცვა-დაკომპლექტებისა და ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადებაში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო- პრაქტიკული საქმიანობისათვის, მიღებული აქვს როგორც საარქივო სისტემის , ასევე იმ დაწესებულებების ხელმძღვანელთა მადლობები, რომელთა დოკუმენტების საარქივო დამუშავებასა და მოწესრიგებას ახდენდა. 2002 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილდოვდა ღირსების მედლით.

კარგი შვილია ელგუჯა ჩაგანავა. ლამაზად იარა მშობლების დაწყებულ გზაზე. დღესაც დიდი სიყვარულით აგროვებს და მოიძიებს საარქივო მასალებსა და ფოტოდოკუმენტებს, რომ მამის – დამსახურებული არქივისტის გრიგოლ ჩაგანავას პირადი ფონდი სახსოვრად დაუტოვოს შთამომავლობას.

ბატონ ელგუჯას ჰყავს შესანიშნავი მეუღლე-ვალნინა, რომელთანაც ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში დაწყებული სიყვარული აკავშირებს, ის კი არა, თურმე სკოლაც იმიტომ გამოიცვალა, რომ მუსიკალურ ტექნიკუმთან ტერიტორიულად ახლოს ყოფილიყო, სადაც მისი გულის სწორი და მომავალი მეუღლე ვალნინა მუსიკის მასწავლებლის პროფესიას ეუფლებოდა. ჰყავს ორი შვილი ქალ-ვაჟი, ამასთან უნდა აღინიშნოს რომ ქალიშვილი, ნინო ჩვენი კოლეგაა და მუსიკალური სასწავლებლის საუწყებო არქივს განაგებს. შვილიშვილების შესანიშნავი ოთხეული უხარებს გულს და სიამაყით ავსებს მათი წარმატება. მთელმა საქართველომ გაიცნო პატარა საყვარელი მომღერალი გოგონა- თეკლა ჩაგანავა, რომელსაც მანამდე უკვე იცნობდა საზღვარგარეთის პატარა შემსრულებელთა მუსიკალური სამყარო. სამი მუშკეტერს კი ვაჟკაცური გზა და მიზნები აქვთ. მართლაც საოცრად თბილი, მხიარული და დიდი ოჯახი აქვს ბატონ ელგუჯას, არის კარგი მეუღლე, მამა და კარგი კი არა, კარგზე კარგი ბაბუა და სხვათა შორის თოვლის ბაბუაც.

და ისევ ლირიული გადახვევა… ასტროლოგ მიშა ცაგარელის მიხედვით, როგორც 29 თებერვალს დაბადებულებს, ბ-ნ ელგუჯასაც აქვს იმპროვიზაციისა და ფანტაზიის უნარი და კარგად გამოხატული იუმორის გრძნობა. არის ემოციური (ესეც თევზების ხასიათი) და ცაგარელისავე რჩევით სჭირდებათ ხშირი განტვირთვა და დასვენება, რომ აირიდონ ნერვული გადაძაბვა.

ჰოდა, მე თუ მკითხავთ, ამიტომ კარგი კი არა შესანიშნავი განტვირთვა იქნება 4 წლის შემდეგ, როცა 74 წლის , ანუ სულ რაღაც 18,5 წლის სრულწლოვანი ყმაწვილი იქნება, დაბადების დღე, ნაკიანი წლის დედაქალაქ ანტონიაში აღნიშნოს ...

რას იტყვით? ხომ კარგი იდეაა ...

კეთილი, ლამაზი, ფერადი სურვილებით გილოცავთ დაბადებიდან 70-ე წლისთავს ბატონო ელგუჯა! უფალმა მოგმადლოთ ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, ხვავი და ბარაქა, თქვენი დიდი ოჯახის თითოეული წევრის ბედნიერი და წარმატებული მომავალი!

იხარეთ, იმრავლეთ, მრავალჟამიერ!!!

## ქარდა ქარდუხი „გახდი ბესტსელერის ავტორის“ კონკურსში გამარჯვებული



გამომცემლობა **„პალიტრა L“**-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში – **„გახდი ბესტსელერის ავტორი** “- გაიმარჯვა ნიჭიერმა მწერალმა, აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს თანამშრომელმა **ფრიდონ ქარდავამ** (ლიტერატურილი ფსევდონიმი – **ქარდა ქარდუხი)**. კონკურსის პირობების თანახმად ქარდას ახალი რომანი **„ჰერმესის დახლიდარები“** გახდა მკითხველისა და ჟიურის ერთობლივი რჩეული. როგორც ჟიურის წევრი, მწერალი და დრამატურგი დავით გაბუნია აღნიშნავს ***„კონკურსის ძალიან დიდი სირთულე არის ის, რომ ძალიან ბევრი ტექსტია წარმოდგენილი. პირველ ტურში იყო ტექსტები, რომელიც წარმოდგენილ 21 გვერდში ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ მეორე ტურში გაგრძელება სამწუხაროდ, ისეთივე კარგი აღარ იყო. მკითხველისა და ჟიურის აზრი მხოლოდ ერთ ტექსტზე დაემთხვა ერთმანეთს და ეს არის ქარდა ქარდუხის „ჰერმესის დახლიდარები“. ეს ტექსტი ძალიან საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ გამოცდილი ლიტერატორის ხელი ეტყობა, რაც შეუმჩნეველი არ დაგვრჩა. ...“***

გამომცემლობის წარმომადგებელთა განცხადებით წიგნის პრეზენტაცია მოხდება მიმდინარე წლის ნოემბერში თბილისში. დაგეგმილია ხუთი გასული და სამი წლევანდელი გამარჯვებული კონკურსანტის შეხვედრები მკითხველთან საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, ასევე წიგნის თარგმნა უცხო ენაზე.

აჭარის საარქივო სამმართველო ულოცავს ფრიდონ ქარდავას ამ შესანიშნავ წარმატებას და უსურვებს ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობას ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ!

## გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

*თამაზ ფუტკარაძე*

### *ბიჭიკო დიასამიძე (1940-2020)*



დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა საზოგადოებამ. გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, ქრისტიანული კულტურის მკვლევარი, ემერიტუს-პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე.

ჩვენს წარმოდგენაში მთიელი კაცი სიდინჯესა და დარბაისლობასთან, გულწრფელობასა და ხშირად მიამიტობასთან, გულისხმიერებასა და სიტყვის კაცობასთან არის ასოცირებული. ყველა ეს თვისება მოჭარბებულად ჰქონდა მომადლებული შუახევის რაიონის მაღალმთიან სოფელში – კვიახიძეებში დაბადებულსა და აღზრდილ ბიჭიკო დიასამიძის პიროვნულ ხასიათს.

მისი სახით ჩვენს წინაშე იყო ბროლივით სუფთა, ალალმართალი, უღალატო, სინდისითა და პირდაპირობით გამორჩეული კაცური კაცი, შესანიშნავი პედაგოგი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, რომელიც უკვე თითქმის ხუთი ათეული წელი დაუღალავად და უპრეტენზიოდ ემსახურა მომავალი თაობის აღზრდისა და სპეციალისტად ჩამოყალიბების ეროვნულ საქმეს.

ბ. დიასამიძე დაიბადა 1940 წლის 25 დეკემბერს, შუახევის რაიონის სოფელ კვიახიძეებში. აქვე დაამთავრა რვაწლიანი სკოლა და ჩაირიცხა ხულოს პედაგოგიურ სასწავლებელში. 1960 წელს, პედსასწავლებლის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო გოგინაურის დაწყებით სკოლაში, საიდანაც გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. დემობილიზაციის შემდეგ 1963-1964 წლეებში მუშაობდა წყაროსუბნის (შუახევის რ-ნი) დაწყებით სკოლაში გამგე-მასწავლებლად. 1964 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტია. მან სწავლის პერიოდშივე მიიქცია პროფესორ- მასწავლებელთა ყურადღება. მალე იგი აირჩიეს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარედ, იმავდროულად – ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად. 1970 წლიდან ბ. დიასამიძე ინსტიტუტის პროფკავშირული ორგანიზაციის სათავეშია, 1979-1982 წლებში ხელმძღვანელობს ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციას, 1991-1997 წლებში კი ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტს, პარალელურად მუშაობდა უნივერსიტეტის პრორექტორის თანამდებობაზე (2005 წლის სექტემბრამდე). 2001-2005 წლებში იყო საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, 2009 წლიდან კი ემერიტუსი პროფესორი. პარალელურად მუშაობდა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების გამგის თანამდებობაზე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ყოველწლიურად ტარდებოდა ორი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ჩვენი სულიერების ბალავარი“ და „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“.

უნივერსიტეტში სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობის მიუხედავად, იგი ახერხებს აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას. ბატონი ბიჭიკო სამეცნიერო კვლევას აწარმოებდ ა ორი მიმართულებით: ა) სტუდენტთა მსოფლმხედველობის ფორმირება და ბ) საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორიას. მომავალ სპეციალისტთა პროფესიული ორიენტაციისა და ეროვნული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საკითხებს მიუძღვნა 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 2 მონოგრაფია.

განსაკუთრებით საინტერესოა პროფ. ბიჭიკო დიასამიძის გამოკვლევები, რომლებიც ქრისტიანობის ისტორიის საკითხებს ეძღვნება. აღნიშნულ პრობლემატიკასთან დაკავშირებულ ნაშრომებში გაანალიზებული და ახლებურად გააზრებულია

ქრისტიანობის გავრცელებისა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების, სახელმწიფო-საკანცელარიო და საეკლესიო ღვთისმსახურების ენის, უძველესი საეკლესიო ცენტრების წარმოშობისა და მათი ფუნქციის საკითხი ეგრისის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ეგრის-აფხაზეთის სამეფოსა და შემდგომ საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბებაში ეკლესიის როლისა და ადგილის პრობლემა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ზემოთდასახელებულ პრობლემებს ავტორმა 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნა, მათ შორის ცამეტი წიგნი („ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში," ბათ. 1999; „უძველესი საეკლესიო ცენტრები დასავლეთ საქართველოში," ბათ. 2000; „ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში," ბათ. 2002), რომელთაგან ამ ბოლო ნაშრომს მიენიჭა ტბელ აბუსერისძის სახელობის სახელმწიფო პრემია. აქვე გვინდა მოვიტანოთ ამონარიდი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 2002 წლის 29 მარტის №76 ნომერში დაბეჭდილი რეცენზიიდან: „ნაშრომის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი სახავს ახალ საკვლევ საკითხებს, ბიძგს აძლევს რიგი პრობლემების ახლებურ გააზრებას, საბუთების ძიებას იმ მოსაზრებათა დასასაბუთებლად ან უარსაყოფად, რომლებსაც ავტორი აყენებს." აღნიშნული პრობლემების მეცნიერული შესწავლა საფუძვლად დაედო მის სადოქტორო დისერტაციას, რომელიც წარმატებით დაიცვა 1999 წლის დეკემბერში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში–სპეციალიზებული საბჭოს სხდომაზე და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. იმავდროულად, ბ. დიასამიძე აირჩიეს საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტად, დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საპატიო სიგელით.

პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე გამოირჩეოდა საზოგადოებრივი საქმიანობის თვალსაზრისითაც. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი იყო ეროვნული მოღვაწე. ბ. დიასამიძე იდგა ბრძოლის წინა ხაზზე ისტორიის ყველა ეტაპზე – XX ს. 70-იან წლებში –ქართული ენის დაცვისას, 1980-1990-იან წლებში-ეროვნული მოძრაობის აზვირთების პერიოდში თუ თანამედროვე ეტაპზე–მიუხედავად იმისა, რომ იგი უნივერსიტეტის იერარქიული კიბის საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა. ამიტომაცაა, რომ მისი, როგორც მოღვაწის სიტყვას, აზრსა და პოზიციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რეგიონის თუ სრულიად საქართველოს მტკივნეული საკითხების გადაწყვეტისას. მის კალამს ეკუთვნის არაერთი პუბლიცისტური სტატია რეგიონალურ და ზოგადქართულ პრობლემატიკაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. 1988 წლიდან იგი რუსთაველის საინსტიტუტო საზოგადოების, 1990 წლიდან კი აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარეა. იგი გაბედულად შეებრძოლა აბაშიძის რეჟიმს და პროფ. ამირან კახიძესთან ერთად აჭარაში და სრულიად საქართველოში პირველმა აღიმაღლა ხმა მოსალოდნელი დიქტატურის წინააღმდეგ ჯერ კიდევ აბაშიძის მმართველობის გარიჟრაჟზე – რადიოთი გამოსვლისას. მის მიერ ინიცირებული პაექრობა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში (2003 წ. 2 დეკემბერი) გახდა აბაშიძის მმართველობის დასასრულის დასაწყისი.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემატიკის სხვადასხვა საკითხებს ეძღვნება მისი წიგნები: „ფიქრები ხვალინდელ დღეზე", „გიორგობიდან გიორგობამდე.," და სამტომეული -„ისტპრიული ეტიუდები".

ბ. დიასამიძე არა მარტო სიტყვითა და კალმით, არამედ პრაქტიკულადაც აკეთებდა იმ საქმეებს, რის შესახებაც საუბრობდ,ა. სოლომონ ფუტკარაძესთან და ავთანდილ დიასამიძესთან ერთად იგი იყო ინიციატორი გამონათლევის წმინდა გიორგის სახელობისა და ქედაში ევდემოზ დიასამიძის სახელობის ეკლესიების მშენებლობისა. ქვეყნისათვის მძიმე წლებში, როცა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილებს ვეღარ აუდიოდა ქვეყანა, მან 1993-1996 წლებში, ოთხსულიანი ვადაქარიების ოჯახი შეიკედლა საკუთარ სახლში და სამი წელი უვლიდა და პატრონობდა მათ.

ბატონი ბიჭიკო იყო ინიციატორი იმ საქველმოქმედო აქციებისა, რომლებიც ეწყობოდა 90-იან წლებში სტიქიით დაზარალებულებსა თუ დევნილებზე დასახმარებ-

ლად. ისტორიის დეპარტამენტში დღემდე ინახება ზონარგაყრილი წიგნი, რომელშიც აღრიცხულია საქველმოქმედო აქციებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია.

ბიჭიკო დიასამიძის უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი შუახევის რაიონის სოფელ კვიახიძეებში. მას სასწავლო წლის დასაწყისში არაერთხელ გაუხარებია კვიახიძეებელი პირველკლასელები საკუთარი ხარჯით შეძენილი სახელმძღვანელოებით. იგი უყურადღებოდ არ ტოვებდა ქვედა სამების დაწყებით სკოლასაც, სადაც ერთი წელი ისწავლა.

ბიჭიკო დიასამიძე იყო საქართველოს დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე, წმინდა მოწამე კათალიკოს-პატრიარქის ევდემოზ დიასამიძის სახელობის ეკლესიის მშენებლობის ხელმძღვანელი, რეგისტრირებული კავშირი „მარეთის" გამგეობის წევრი. მისი აქტიური მონაწილეობით ორგანიზაციამ განახორციელა არაერთი საქველმოქმედო აქცია მარეთის ხეობის სოფლებში (40 ათასი ლარის ფულადი გამოსახულებით).

ბატონ ბიჭიკო დიასამიძეს იცნობდნენ, როგორც შესანიშნავ პედაგოგს, აღმზრდელსა და კოლეგას. მისი ლექციები შუა საუკუნეების ისტორიაში (№24 აუდიტორია) წარმოადგენდა სტუდენტი ახალგაზრდობის რომანტიკულ მოგზაურობას ატილას ნაკვალევზე, გოთების სამყაროში თუ არაბთა მიერ დასაპყრობად განწირულ ქვეყნებში. ყოფილი სტუდენტები, დღევანდელი კოლეგები დღესაც ვიხსენებთ პროფ. ბიჭიკო დიასამიძის ლექციების სიღრმეს, ემოციურობას, გვავიწყდებოდა რომელ საუკუნეში ვცხოვრობდით და გადავდიოდით იმ სამყაროში, რომელზედაც ლექტორი მოგვითხრობდა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის იშვიათი თვისება, რასაც ბატონი ბიჭიკო ნიჭის აღიარებით გამოხატავდა. იგი პატივს სცემდა როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი თაობის ნიჭიერებას. მხედველობაში გვაქვს მისი დამოკიდებულება საყოველთაოდ აღიარებულ პროფესორ-ისტორიკოსებთან: როინ მეტრეველთან, დავით მუსხელიშვილთან, გურამ ლორთქიფანიძესთან, ნოდარ ლომოურთან, გურამ გრიგოლიასთან, ამირან კახიძესთან... ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია, ვინც თავადაა კარგი მასწავლებელი და იცის მასწავლებლის ფასი.

კიდევ ერთ საოცარ თვისებას უნდა გაესვას ხაზი: ბატონი ბიჭიკო ყოველთვის ცდილობდა კოლეგის ავტორიტეტის ამაღლებას. მისთვის უცხო იყო აუგის თქმა, მით უმეტეს კოლეგაზე, არც არავის აძლევს ამის უფლებას იგი ყოველთვის იყო და დარჩა ამაღლებული და თავისი პირადი მაგალითით სხვასაც უწყობდა ხელს წარმოჩენილიყვნენ პირადი ღირსების დონეზე.

ბატონი ბიჭიკო გამორჩეული იყო მიმტევებლობის, შენდობისა და პატიების უზარმაზარი უნარით. არაერთხელ ატკინეს გული დაუმსახურებლად, დაალევინეს „მწარე შარბათი," მაგრამ წყენა გულს არ გაუკარებია (რასაც ვერ ახერხებენ ჩვეულებრივი ადამიანები), აფთიაქის სასწორზე ასაწონად არასდროს არ დაუდია ცოდვა-მადლი და გარდაცვალებამდე ჩვეული გულისხმიერებით ხვდებოდა ყველას – მტერსაც და მოყვარესაც.

განსაკუთრებით დასაფასებელი იყო პროფესორ ბიჭიკო დიასამიძის პოზიცია, მისი ეროვნულობა. სტუდენტებთან ურთიერთობისას არასდროს დაუთმია ადგილი პოლიტიკური კონიუქტურისა და ვნებებისათვის. მის ნაწერებში ვერ ნახავთ კუთხური კარჩაკეტილობის ვერავითარ ნიშანწყალს. ყოველთვის წინა პლანზე აყენებდა ზოგადქართულ, ზოგადეროვნულ ფასეულობებს.

ზეციერსა და მიწიერს, ყველას ჰყავს თავისი მეხოტბეც და მაგინებელიც. ბატონი ბიჭიკო კი ყველა ღირსეულს უყვარდა და მრავლადაც ჰყავდა დამფასებელი.

ხშირად კაცი წლებზე გაცილებით მხნედ გამოიყურება და ტოლს არ უდებს ახალგაზრდებს. ბატონი ბიჭიკოც მათ შორის იყო. მან თავისთავს ბოლომდე შეუნარჩუნა ბავშვობა. იგი ამაყად დააბიჯებდა ბათუმის ქუჩებში და ბავშვური გატაცებით სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა თავის საყვარელ საქმეს.

***თამაზ ფუტკარაძე***

## *ვახტანგ შამილაძე — 85*

აჭარის საარქივო სამმართველო არაა მარტო დოკუმენტსაცავი და და სამეცნიერო დაწესებულება. აქ იხსენებენ, აფასებენ და ეფერებიან ღვაწლმოსილ და ამაგდარ ადამიანებს, გამოჩენილ მეცნიერებს, პედაგოგებს, პოეტებს, მწერლებს, საზოგადო მორვაწეებს.



ერთ-ერთი იმათგანია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი ვახტანგ შამილაძე. მას დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდებოდა.

ვახტანგ მამიას ძე შამილაძე დაიბადა 1935 წ. 15 სექტემბერს ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენში. 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. ბათუმის N14 საშუალო სკოლა. იმავე წელს იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1959-1961 წწ. ბატონი ვახტანგი მუშაობდა ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1961 წელს იგი ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ დაიცვა საკანდიდატო (1964), ხოლო მოგვიანებით სადოქტორო (1979) დისერტაციები.

1961 წლიდან ვახტანგ შამილაძე გადაყვანილი იქნა ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, სადაც შემდგომ მუშაობდა სწავლულ მდივნად (1969-1977), დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად (1977-1978), დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში (1981-1984). იმავდროულად კითხულობდა ლექციებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტსა (1976-1977) და უნივერსიტეტში (1993-1996). 1983 წ. იგი მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის გამგედ. 1988 წ. იგი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

პროფესორი ვახტანგ შამილაძე წამყვანი სპეციალისტ იყო ეთნოლოგიაში. იგი იკვლევდა ქართველი ხალხის მეურნეობის, მატერიალური და სულიერი კულტურის, საზოგადოებრივი ურთიერთობების პრობლემებს, ეთნოსისა და ეროვნული პოლიტიკის ზოგადთეორიულ საკითხებს, ისტორიული ეთნოლოგიის, ეთნოლოგიის მეთოდიკისა და მეთოდოლოგიის პრობლემებს. აღნიშნულ საკითხებს მკვლევარმა მიუძღვნა 179 სამეცნიერო ნაშრომი, წერილი, სტატია ქართულ, რუსულ და ინგლისურ და სხვა ენებზე. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მკითხველმა მიიღო მეცნიერის 600 გვერდიანი მონოგრაფია „საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია" – პირველი ტომი, რომელმაც გამოცემისთანავე სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. გამოსაცემად მომზადებული ჰქონდა მეორე ტომი, რომლის გამოცემაც ვერ მოხერხდა ვ. შამილაძის ტრაგიკული დაღუპვის გამო.

მრავალფეროვანია პროფესორ ვახტანგ შამილაძის სალექციო კურსების პროგრამა. წლების განმავლობაში იგი კითხულობდა ლექციებს ზოგადი, საქართვე-

ლოსა და კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიის, წყაროთმცოდნეობითი ბაზის, ძირითადი თეორიული მიმდინარეობების, მეთოდოლოგიის საკითხებზე.

განუზომელია ვახტანგ შამილაძის დამსახურება სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციებით დაცულია თსუ-ს ეთნოლოგიის კათედრის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველოს სხვა სამეცნიერო ცენტრების (სოხუმი, თბილისი, ახალციხე), საზღვარგარეთის (ისრაელი, ბულგარეთი, ადიღე, დაღესტანი, აზერბაიჯანი) მეცნიერ-თანამშრომელთა 20 საკანდიდატო და 10-მდე სადოქტორო დისერტაცია, არაერთი სამაგისტრო ნაშრომი.

დიდია პროფ. ვახტანგ შამილაძის დამსახურება სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობის თვალსაზრისითაც. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეთნოლოგიური კომისიის, კავკასიის ხალხებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და აშშ-ს კავკასიის კულტურათა შემსწავლელი საზოგადოების წევრი, ნიუ-ორლეანის საპატიო მოქალაქე, საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო საბჭოს წევრი. 2002 წელს იგი გახდა აშშ-ს ბიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ გამოცხადებულ მსოფლიოს 1000 ცნობილ მეცნიერთა ნომინაციაში გამარჯვებული. შესაბამისად, მისი ბიბლიოგრაფიული მონაცემები შევიდა ამავე ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ლექსიკონში.

პროფ. ვახტანგ შამილაძე სისტემატურად ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაციას საერთაშორისო მასშტაბით. იგი მრავალჯერ მონაწილეობდა მოსკოვში, თბილისში, სოხუმში, ბაქოში, უფაში, კიშინიოვში, ნალჩიკში, მახაჩკალასა და სხვა ქალაქებში გამართული სამეცნიერო კონფერენციებისა და სესიების მუშაობაში, იყო მოსკოვის, დელის, ჩიკაგოს, ლონდონის, თეირანის საერთაშორისო კონგრესების მონაწილე და მომხსენებელი, მონაწილეობდა ვაშინგტონში, სიეტლში, დენვერში, ახალ ორლეანში, კოლორადოს სპრინგსში, ჰააგაში, მოსკოვში გამართული საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სემინარების მუშაობაში. სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისათვის იგი მრავალჯერ იყო დაჯილდოებული ორდენებითა და მედლებით.

კავკასიის რეგიონში შექმნილი დაძაბული ვითარების მიუხედავად განვლილ პერიოდში ვახტანგ შამილაძე არაერთხელ ეწვია ამიერ და ჩრდილო კავკასიის საააკადემიო, საუნივერსიტეტო და სამთავრობო სამეცნიერო ცენტრებს და პირადი კონტაქტები დაამყარა წანყვან მეცნიერებთან და პოლიტიკოსებთან. 1998-2003 წწ. კომისიის უშუალო ინიციატივით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები თბილისში (1998; 2003), ერევანში (1999, 2003), მახაჩკალაში (1999), ბაქოში (2000), შამქირში (2008) და ა. შ. კომისიის მიერ მიწოდებული იდეითა და მხარდაჭერით ირანის ქალაქებში: თავრიზში, ყაზვინში, თეირანსა და ისპაჰანში 2001 წ. ჩატარდა თეირანის უნივერსიტეტისა და დასავლეთის არასამთავრობო გაერთიანების მიერ ორგანიზებული კონფერენციები და სიმპოზიუმები, სადაც ცალკე ადგილი დაეთმო ირანულ-კავკასიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობების პრობლემებს.

პროფესორ ვახტანგ შამილაძეს მარტო მისი მეცნიერული მემკვიდრეობით როდი იცნობდნენ. იგი ასევე გამორჩეული იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის თვალსაზრისითაც. ბატონი ვახტანგი იყო სხვისი ტკივილისა და სიხარულის გამზიარებელი, გულისხმიერებისა და თანადგომის საუკეთესო თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი, რაშიც დამეთანხმებიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა თუ აკადემიის ინსტიტუტებში ასპირანტურის კურსგავლილი ბათუმელი ახალგაზრდა კოლეგები. ბატონი ვახტანგი ყველა ბათუმელი ასპირანტის, სტუდენტის თუ რიგითი მოქალაქის გულშემატკივარი და სიხარულის თანაზიარი იყო. ისიც კარგად გვახსოვს, როცა 1988-1990-იანი წლების დასაწყისში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეროვნული მოძრაობის აზვირთების პერიოდში თსუ-ს ეთნო-

ლოგიის კათედრა (სადაც ბატონი ვახტანგი იყო კათედრის გამგე) არაერთხელ გამხდარა აქაურთა შეკრებებისა და საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობის ცენტრი. სწორედ ამიტომ იყო, რომ 9 აპრლის ტრაგედიის ცხელ კვალზე, 1989 წ. 14 მაისს, იგი არჩეულ იქნა საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ბათუმის ლეონიძის ტერიტორიული ოლქიდან, 1990 წლიდან იგი იყო სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს წევრი, 1991 წ. აჭარის არ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, 1985 და 1989 წწ. კი ორგზის არჩეული იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად..

1996 წ. ზაფხულში ვ. შამილაძემ ერთ-ერთმა პირველმა (5 პარლამენტართან ერთად) განაცხადა უარი ფრაქცია „აღორძინების“ მიერ საქართველოს პარლამენტისადმი გამოცხადებულ ბოიკოტზე და სათავეში ჩაუდგა საპარლამენტო ფრაქცია „მამულს“. ფრაქციის თავმჯდომარის პოსტზე მუშაობისას და შემდგომ პერიოდშიც, გამართულ პოლიტიკურ დებატებში იგი საპარლამენტო ტრიბუნიდან თუ მასმედიის საშუალებით აშკარად ემიჯნებოდა და გმობდა ა აბაშიძის პოლიტიკას, რის გამოც დაითხოვეს ბათუმის უნივერსიტეტიდან.

საქართველოს პარლამენტში მოღვაწეობის პერიოდში იგი იყო თავდაცვის, უშიშროებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის, საგარეო ურთიერთობებისა და მეცნიერების, კულტურის, სპორტის კომიტეტების წევრი, 1999-2004 წწ. ხელმძღვანელობდა პარლამენტის კავკასიის ქვეყნებთან და ხალხებთან ურთიერთობის ქვეკომიტეტს, მონაწილეობდა და ხელმძღვანელობდა საპარლამენტო დელეგაციებს აშშ-ში, ჰოლანდიაში, ირანში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. ამავე პერიოდში იყო საქართველოს პარლამენტის საქართველო-ირანის საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი, აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს საელჩოსთან ირანში და ირანის საელჩოსთან საქართველოში. მათი მეშვეობით მომზადდა და განხორციელდა ორი ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის არაერთი პროექტი.

ბატონი ვახტანგი იყო საუკეთესო ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნება. მოსმენის უნარი, აუჩქარებლობა, სიდინჯე, ქცევა, ჩაცმულობა, მომხიბლავი გარეგნობა – იმთავითვე გამორჩეული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. პირველი, რაც მეტად შთამბეჭდავია, იყო არაჩვეულებრივი სისტემით დალაგებული ლოგიკური საუბარი. იგი იყო ქალაქელობის შემომტანი სოფლელში კულტურული უნივერსალიზმის კლასიკური მაგალითი, მთლიანი, სრულყოფილი პიროვნება, რომელიც არავის არ ჰგავდა თავისი ჰარმონიულად გამოკვეთილი ინდივიდუალობით.

ბატონი ვახტანგი იყო მისი თანამედროვე ცხოვრების შუაგულში, მეცნიერების ინტერესებით ცოცხლობდა, მეგობრებისა და ახლობლების სიხარულისა და ტკივილის მოზიარე იყო.. ამიტომაც ვიხსენებთ ამ შესანიშნავ პიროვნებას. გვწამს, რომ მომავალი მიუკერძოებლად წარმოაჩენს მის დამსახურებას.

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო
დაწესებულება – საარქივო სამმართველო*

***Sub-department of Ministry of Education, Culture and Sport of Ajara
Autonomous Republic – Archives Administration***

**ISSN 2233-3541**

# ა რ ხ ე ი ო ნ ი

# A R C H E I O N

# XX

**თბილისი 2020 Tbilisi**

„არხეიონის" XX ნომრის ცალკე გამოცემა ვერ მოხერხდა პანდემიით განპირობებული სირთულეების გამო. ამიტომ, სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ XIX და XX ნომრების ერთად გამოცემა. წინამდებარე ნომერში იბეჭდება საარქივო დოკუმენტური წყაროები შენიშვნებისა და კომენტარების გარეშე. საარქივო დოკუმენტების თემატიკა მრავალფეროვანია. მკითხველელი გაეცნობა მეტად საინტერესო და საყურადღებო დოკუმენტებს აჭარის სამეურნეო ცხოვრების (1925 წელი), ქართველ მორწმუნეთა რელიგიური საზოგადოების, გრიგოლ ვოლსკის, საქვეყნოდ ცნობილი ექიმების – პლატონ გიგინეიშვილისა და ვლ. მაქაცარიას, ართვინის სასამართლო განჩინების, ცალკეული მოქალაქეების მიერ სამთავრობო სტრუქტურებში გაგზავნილი წერილების, აჭარისტანის მეჯლისის, რევტრიბუნალის, საშუქურო განყოფილების შემადგენლობის და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ.

# საარქივო დოკუმენტები

## კონიუკტურული მიმოხილვა
## აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობა 1925 წლის
## ო ქ ტ ო მ ბ ე რ შ ი

1. **ამინდის დახარიათება** ამინდი ოქტომბრის თვის განმავლობაში იყო წვიმიანი, ცივი, რამაც უდაოთ იმოქმედა განსაკუთრებით სიმინდზე მთიან ადგილებში, როგორც მაგალითათ ხულოს და ქედის მაზრებში. ზემოთ აღნიშნულ მაზრებში იქმნა ჩამოთოვილი მახლობელი მთები, რომელსაც დასძრა დამწიფებელი სიმინდი. ზარალი გამოურკვეველია. –

2. **ნათესების მდოგმარეობა**: სიმინდის მოტეხა და ჩალის აღება ჯერ არ დამტავრებულა, რეალურ შემოსავლიანობის გამორკვევა საშუალოთ ერთ დესეტინაზე რესპუბლიკის მასშტაბით ჯერ შეუძლებელია. –

   შემოდგომის ხორბლეულობის თესვას აჭარისტანის რესპუბლიკის მოსახლეობა არ მიზდევს, არის ზოგერით მაზრებში ზემოთ_აღნიშნულ ხორბლეულობის ნათესები, მაგრამ ზედმიწევნით მცირე მანძილი უკავია, რომლის დმგომარეობის გამორკვევა რესპუბლიკის მაშტაბით შეუძლებელი ხდება. –

3. **ცალკე კულტურათა მდგომარეობის დახასიათება:** მეთამბაქეობას უმტავრესად მისდევენ ქედის მაზრაში. მოსავლის აკრეფა უკვე დაწყებული არის, მაგრამ არა გვაქვს ცნობა მოსავალის პირის შესახებ. მებამბეობა აჭარისტანში არ არის გავრცელებული. ხეხილის და ყურძნის მოსავალი /მაღლარი/ არის კარგი.

4. **ჩაის კულტურის მდგომარეობა**: არის საშუალოზე კარგი და მოსავალიც იგივე. –

5. **ციტრუსული მცენარეების მდგომარეობა:** არის კარგი, მაგრამ მოსავალი კი ცუდი.

6. **მესაქონლეობა:** საქონლის ეპიზოტიას ქონდა ადგილი აჭარისტანში უმთავრესათ ხულოს მაზრაში სოფ. ხიხაძირში და სკვანაში. უმტავრესათ იყო გაჩენილი რქიან საქონლის ჭირი „ჟამი“ და ციმბირის წყლული. მიწათმოქმედების კომისარიატის ვეტერინალურ განყოფილების ცნობით აჭარისტანის მაზრებში დაიხოცა ეპიზოტიისაგან რქიანი საქონელი საქონლის ჭირით „ჟამი“ 342 სული. ციმბირის წყლულით 15 სული. პიროპლასმოზით 7 სული. სოფით 1 სული.

7. ეპიზოტიის წინააღმდეგ არის მიღებული ზომები აცრის წესით. –

აჭარისტანის ცენტრალურ სტატ. სამ.

**ფონდი რ-2, აღწერა 1, საქმე 411, ფურც. 88**

****

**საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარეს
ამხ. ფ. მახარაძეს. –**

ჩვენ მიერ მიღებულია საქართველოს ცაკ-ის მდივნის ამხ. ს. თოდრიას დეპეშა, რომ აჭარისტანის სახკომსაბჭოს დადგენილება „მიასოტორგი"-ს გამგეთ შემედ გათენაძის დანიშვნის შესახებ შეჩერებულია და ჩვენ გვევალება ხსენებულ დადგენილების გადათვალიერება.

საზოგადოდ აჭარისტანის ცაკ-ის პრეზიდიუმი და სახკომსაბჭო დაწვრილებით არიან გაცნობილი „მიასოტორგი"-ს ბათომის განყოფილების დაარსების და მისი ოპერაციების საკითხებთან და ზემოხსენებული დადგენილება იყო გამოტანილი საქმის ყოველ მხრივ აწონ-დაწონვის შემდეგ.

ვინაიდან ეს შედარებით წვრილმანი საკითხი საქართველოს ცაკ-ის პრეზიდიუმამდე მივიდა ჩვენ საჭიროდ ვსთვლით მოგახსენოთ შემდეგი.

საკითხის შესწავლამ ჩვენ დაგვანახა, რომ ამხ. გათენაძე არაფერში არ არის დანაშაული, ვინაიდან „მიასოტორგი"-ს ცენტრალურ გამგეობას ბათომის განყოფილება სრულიად უყურადღებოთ ქონდა მიტოვებული: არც სათანადო და გარკვეულ დირექტივებს აძლევდა მას და არც საჭირო თანხებს; პირიქით, გამგეობის წვრმა მოქ. ლიარსკიმ ისეთი ხელშეკურლება დასდო ადგილობრივ მუშაკებთან, რომლის შესრულებამ დიდი ზარალი მიაყენა საქმეს; გათენაძის მიერ საქონლის თურქულ ლირებზე შეძენამაც მოუტანა საქმეს ზარალი, მაგრამ ამ შემთხვევაში ის კი არ არის დანაშაული, არამედ თვით გამგეობა, რომელსაც უნდა მიეწვდინა განყოფილებისათვის სხვა რაიონში შეძენილი საქონელი.

თქვენ მოგეხსენებათ რამდენად დაკავშირებულია ეკონომიკურად აჭარელი გლეხობა არტაანის და სხვა ახლო რაიონებთან, საიდანაც მოდის საკლავი საქონელი და რომლებთანაც ყოველნაირ აღებ-მიცემობის წარმოება შეიძლება ჯერ-ჯერობით მხოლოდ თურქულ ლირებზე. ეს არის საერთო მოვლენა და ამხ. გათენაძეს ამაში რა თქმა უნდა ბრალი არ უდევს.

როდესაც ამხ. ვარდოიანი გამოცხადდა ბათომში როგორ /„მიასოტორგი"-ს გამგეობის რწმუნებული, სათანადო დირექტივებით და საკმაო თანხებით, ჩვენ ამ გარემოებას შევეგებეთ, როგორც „მიასოტორგი"-ს გამეგობის პირველ დადებით ნაბიჯს და აღუთქვით მის რწმუნებულს ყოველ გვარი დახმარება, საქმის მოწესრიგებაში ამხ. გათენაძის გამგის თანამდებობაზე დატოვებით.

ვარდოიანს და გათენაძეს შეთანხმებულად უნდა ემუშავათ და მის შემდეგ, როცა მისი ფუნქციები შესრულებული იქნებოდა ამხ. ვარდოიანი უნდა გაბრუნებულიყო თბილისს.

აჭარას საქართველოზე და სხვა ჩვენ პირობით გაგვათავისუფლეს. მდგომარეობა თანდათან მწვავდებოდა. ბოლოს იძულებული შევიქენით კომიტეტისა და მისი წევრების დასაცავად იარაღქვეშ აგვეყვანა 80 კაცი. ბევრი რამ გააკეთა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა. ბევრს შოვინიზმის შხამით გაჟღენთილს დაანახვა სწორი გზა და მათი ნაბიჯების მცდარობა. ბევრი დაარწმუნა იმაში, რომ თურქეთის ორიენტაცია აჭარისათვის დამღუპველი იქნებოდა და ის აჭარელ ხალხს ვერ მისცემდა ვერაფერს, რომ აჭარელი ხალხის ხსნა ჩრდილოეთისაკენ მობრუნება, კავშირი ამიერ საქართველოსთან, ისტორიულ თანამგზავრთან და მოყვარესთან, ეს იქნებოდა ბუნებრივი გზა აჭარის კეთილშობილების და მისი ფიზიკურ და სულიერი ამაღლების. ჩვენი გავლენა მოსახლეობაში თანდათან იზრდებოდა და შევსძელით ისიც, რომ აჭარის მოსახლეობის 80% ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანეთ, რომელნიც ჩვენთან ერთად თავგამოდებით მხარს უჭერდენ საქართველოს ორიენტაციას. მხოლოდ ვაჭრები, ხოჯები, ბეგები და მოლები, რომელთა რიცხვი 20%-ს შეადგენდა დაჟინებით ცოფმორეული გაიძახდნენ: „ძირს საქართველო, გიაურები გაუმარჯოს „სულტან ხამიდს". ასეთი იყო მათი დევიზი. ასეთი მდგომარეობა იყო გამეფებული აჭარაში, როცა მენშევიკური ხელისუფლება დამყარდა. ხალხს უხაროდა ქართველი ხალხის შემოსვლა აჭარაში და ჩვენ კომიტეტის წევრები ხომ სიხარულით გაბრუებულნი ვიყავით, მაგრამ სინამდვილემ მალე სულ სხვა დაგვანახა. ხალხში თანდათან იზრდებოდა უკმაყოფილება. მათი მოლოდინი ვერ გაამართლა დამყარებულმა ხელისუფლებამ. მე ამის შესახებ მაშინ საუბარიც კი მქონდამ ენშევიკების ცნობილ ლიდერ ისიდორე რამიშვილთან, რომელსაც სიტყვა სიტყვით ვუთხარი; რომ აჭარაში ისეთი „ბიჭ-ბუჭები" გამოგზავნეთ და ისეთი დაიწყეთ მუშაობა, რომ ხალხი მალე ჩამოგშორდებათ და ადრე ხანაში აჭარაში სულ ყოველგვარ ნდობას დაკარგავთ მეთქი. და ეს ჩემი დიაგნოზი ადრე ხანში მართალი გამოდგა. სხვათაშორის ამ ხანებში მე, როგორც აჭარელი კაცი, კომიტეტის აქტიური წევრი და ისიც რუსულ-ქართულად საკმაოდ განსწავლული (როგორც ზევით მოვიხსენიე დამთავრებული მქონდა ტფილისის მიხაილოვის სახელობის სამხედრო სკოლის 4 კლასი 1905 წ.) დანიშნულ ვიქენი ქობულეთის რაიონის კომისრად, სადაც დავყავი 1921 წ. ივლისისთვის ბოლო რიცხვამდე. გასაბჭოების პირობებში კომისრის პოსტზე დავყავი ხუთი თვე. მენშევიკურ ან სხვა რომელიმე პარტიაში არასოდეს არ ვყოფილვარ და მაშინდელი ბათომის გენერალ-გუბერნტორი ბენია ჩხიკვიშვილი ხშირად მეტყოდა: მურად! აჭარელი მოწინავე პირი ხარ, დიდი ენერგია გაქვს და რატომ ჩვენთან პარტიაში არ შემოდიხარო. მე კი ვეუბნებოდი, რომ მართალია პარტიაში არა ვარ, მაგრამ მე ისეც შემიძლია ენერგიულად ვიმსახურო ოდესღაც გათიშული ძმების შეკავშირებისა და მათი უკვდავი მეგობრობისათვის. ის კიდევ მეტყოდა არ კმარა მარტო ეს, საჭიროა შენ სხვანაირად გამოყენება და აქ დადუმდებოდა. კომისრად ყოფნის დროს მე აჭარელი მშრომელი ხალხისა და ადგილობრივ სხვა ნაც. უმცირესობისათვის არაფერი ცუდი არ გამიკეთებია, პირიქით, როგორც და რამდენადაც შემიძლია ჩემს თანამებრძოლ მეგობრებთან და ამხანაგებთან ერთად ვაკეთებდი ხალხთა ძმობისა და მეგობრობის საქმეს. არც ერთ მომენტში მე ჩემი თანამდებობდა ბოროტად არ გამომიყენებია. არც მენშევიკების მინისტრთა ფეხები მილოკავს, პირიქით ხშირად ვეწინააღმდეგებოდი მათ. მაგ: 1921 წ. თებერვალში (რიცხვი აღარ მახსოვს) როცა მენშევიკები უფსკრულთან უკვე მისული იყვნენ, ბანდიტმა ვალოდია გოგუაძემ, რომელიც მაშინ ჯავშნოსან მატარებელს კომანდობდა ქ. ქობულეთის სადგურის მახლობლად ,ბათომის ფრონტიდან წამოსული მშიერ მწყურვალე ჯარისკაცები რიცხვით ასი კაცი დააკავა და მოითხოვა მითავე „მოღალატეების" ჩამდენნი. დაასახელეს სამის კაცი. ჯალათმა „დამნაშავენი" ცალკე დააყენა და ასეთი სიტყვებით მიმართა, მაშ თქვენა ხართ სამშობლოს გამყიდველები? და ამ დროს მაუზერზე გაივლო ხელი. ამ გარემოებამ მე ამაღელვა და შეველაპარაკე. ჩვენს შელაპარაკებაზე მან უკმეხად მიპასუხა: ჩვენ ნუ გვასწავლით, თქვენი საქმე არ არის. ჩვენ კარგად ვიცით რა უნდა გავაკეთოთ. ამ უკანასკნელ სიტყვებზე ამოიღო მაუზერი იქ შეკრებილ აჭარელი

ხალხის წინაშე და ვერაგულად გაუმასპინძლდა უდანაშაულო ჯარისკაცებს. ჩვენ ვერაფერი ვერ გავბედეთ. ხალხი შეაშფოთა ამ მხეცურმა აქტმა. გამყიდველ ბანდიტის მხეცობა იქნამდეც კი მივიდა, რომ დამარხვის ნება არ მისცა არავის, მანამ სანამ მე ხალხის ერთად არ მიუთითე იმ უკმაყოფილებაზე, რომელსაც გამოთქვამდა აჭარელი ხალხი. ასე მოქმედებდენ მენშევიკები და ამის გამო მათ ჩემში, სულ ადრე დაჰკარგეს ყოველგვარი ავტორიტეტი. დადგა 1921 წ. საერთო არეულობით თებერვალში ისარგებლა თურქებმა დაიწყო იერიში ბათომისაკენ. ბათომს იცავდა საქართველოს მთავრობის ჯარი. მოხდა შეტაკებაც. არეულობანი მოედო სოფლებსაც. თურქებმა არალეგალურად სხვადასხვა სოფლებში და რაიონებში შესძლეს მტკიცე თურქოფილური ორგანიზაციებისა და შტაბების ჩამოყალიბება. მძლავრი ორგანიზაცია ჩამოაყალიბეს ქ. ქობულეთშიც. ჩამოსული თურქი „ზაბითები“ (ოფიცრები) ქობულეთელ ქართველ მუსლიმანებიდან ადგენდნენ ჯარს. ცდილობდენ ჩოლოქის ხელმეორე გამაგრებას ეხლა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ყოველ ნახევარ ვერსში ჩოლოქზე შექმნილი იყო სპეციალური სამეთვალყურეო სადარაჯოები. ქობულეთელი აჭარელი მუსლუმანების თითქმის 90% ამ დროს საქართველოს ორიენტაციის წინააღმდეგ იბრძოდა. საქართველოს მომხრეებსა და თურქეთის მომხრეთა შორის მოსალოდნელი იყო საშინელი ხოცვაჟლეტა, და განადგურება ურთიერთის, მაგრამ მე ჩემი სამილიციო უწყებით ხელს ვუშლიდი ასეთ განწყობილებას და ვიცავდი სიწყნარესა და მშვიდობიანობას, მაგრამ მდგომარეობა კიდევ უფრო მწვავდებოდა. განსაკუთრებით სახიფათო იყო 18 მარტი. ყველა მოელოდა საშინელ განსაცდელს, მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო. 1921 წ. 18 მარტს საღამოს ქობულეთში უკვე შემოვიდა ბოლშევიკური ჯარის პირველი საბჭოთა ეშალონი №701, 15 ბრიგადის მე-78-ე პოლკის ნაწილი პოლკოვნიკ გეგელაშვილის ხელმძღვანელობით. ხსენებულ ეშალონს მე შევეგებე ქობულეთის სადგურში სამილიციო უწყების მთელი შემადგენლობით და მას გეგელაშვილს მოვახსენე შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რის შედეგადაც მან ჩემი თხოვნის შედეგად ეშელონიდან მომცა ოცდახუთი ჯარისკაცი და ერთიც ზედმეტი. მილიციონერები და აღნიშნული ჯარისკაცების შეშველობით მე იმავ საღამოს, ღამის ორ საათზე ქ. ქობულეთში სროლით ალყა შემოვარტყი თურქეთის შტაბს. დავაპატიმრე შტაბის მთელი შემადგენლობა, მათი დამცველი ჯარი და მათი ხელისშემწყობი ადგილობრივი თურქოფილური, რეაქციონერი უსლიმანობა და მოვახდინე მათი განიარაღება. ქალაქის გაწმენდის შემდეგ ჩემს მიერ გაწმენდილი იქნა სათემო ცენტრები და ზოგიერთი სოფლები (ხუცუბანი, ლეღვა, მუხაესტატე, ალამბარი და სხვა), მაგრამ მალე ისევ ადგილობრივ ქემალიტების მიერ ხელმეორედ სოფ. მუხაესტატეში მოწყობილ იქნა მძლავრი თურქოფილური ორგანიზაცია. ორგანიზაციის წევრებს განზრახვა ჰქონდათ ჩემზე და ადმინისტრაციაზე მოეხდინათ თავდასხმა. მაგრამ ბათუმიდან გმირულ ცხენოსანთა არმიის ნაწილების დახმარებამ მე და ჩემი ამხანაგები გვიხსნა განსაცდელისაგან. სამი დღის განმავლობაში თითქმის სულ გავწმინდეთ რაიონი ყოველგავრი ბნელი ძალებისაგან და მოსახლეობაში შევქენით მშვიდობიანი და მოსვენებული განწყობილება. ამის შესახებ ჩემს მიერ პატაკით მოხსენდა ქ. ბათომის და მისი ოლქის მაშინდელი მილიციის უფროსის ამბერკი ურუშაძეს №539 საქმით. ამ ხანების ჩემი მუშაობა მარტო ამით არ ამოწურულა. ვიბრძოდი მენშევიკების მიერ გავრცელებულ ჭორების განსაფანტავდ და ვცდილობდი მოსახლეობის, ახალ, ნამდვილ ხალხურ ხელისუფლებასთან დაკავშირებას საქართველოს მშრომელ ხალხთან დაახლოებით. ამის შემდეგ 1922 წ. აჭარის სახკომსაბჭოს მიერ დანიშნულ ვიქენი ქობულეთის მაზრის სისხლის აღების ადათთან მებრძოლი კომიტეტის პასუხისმგებელ ინსტრუქტორად. ამ საქმეში მე არა ერთი და ორი მოსისხლე მტრები შემირიგებია. ინსტრუქტორად დავრჩი 1923 წ-მდე. 1924 წ. 1 იანვრიდან ვიდრე 1927 წ. 20 მარტამდე მე ვმსახურობდი აჭარისტანის ფინსახკომისარიატში მე-2-ე რაიონის ფინანსიპექტორის თანაშემწედ. აღნიშნულ თანამდებობიდან გამანთავისუფლეს შტატის შემცირების გამო. 1928 წ. ვიდრე 1930 წ. 1-ლ თებერვლამდე ვმსახურობდი სახელმწიფო ბან-

კის ქობულეთის განყოფილებაში აღმასრულებლად, ვადაგასული სესხების ასაკრებად. ზოგად შტრიხებში ასეთია ჩემი განვლილი გზა.

1929 წლიდან კი გაუგებრობით თუ რაღაც სხვა ჩემთვის გამოურკვეველი მიზეზების გამო მე ჩამომართვეს ხმა და მიმათვისეს კულავთა სიაში, მიუხედავად იმისა, რომ მე არ მქონია არავითარი ობიექტური ნიშანი კულაკობისა. პირიქით უმიწო ვიყავი. ეს უკანასკნელი ე.ი. მიწა ხელისუფლებამ მომცა სახელმწიფო ფონდიდან, რომელზედაც შემდეგში მოვაშენე ჩაი. სხვა რამ არც უძრავი და არც უძრავი არაშრომითი შემოსავლის წყარო მე არ გამაჩნდა. ჩემი შვილები სახელმწიფო ხარჯზე აღიზარდნენ და ყველა საბჭოთა ხელისუფლების ღვიძლი შვილებია. ჩემი შვილი ასლანი, რომელმაც 1928 წ. დაამთავრა ბათომის პედ. Iნსტიტუტე, 6 წელიწადს მსახურობდა განათლების ფრონტზე. სანამ უკანასკნელი წელი მუშაობისა იყო კოლმეურნეობის სკოლის დირექტორად. ეხლა კი ტფილისის სახუნტის სტუდენტია. მეორე შვილი ახმედი ტექნიკია, მსახურობს „აჭარმშენში", ჩემი ქალიშვილი რომელმაც ეხლა დაამათვრა პედ.ტექნიკუმი უკვე მასწავლებლობს სოფ. კონდიდში (ქობულეთის რ-ნი). ამის შემდეგ მე აღარ ვიცი რა დანაშაული მიმიძღვის საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. მე ეხლაც ვერ ამიხსნია რა მოსაზრებით ჩამომართვეს ხმა და მომათავსეს კულაკთა სიაში. ვაჭარი არ ვყოფილვარ, არც ყაჩაღკონტრბანდიტი, არც ხელისუფლების საწინააღმდეგო გამიკეთებია რა გარდა დადებითისა. ყველგან სადაც კი ვმსახურობდი ჩემს დავალებას ვასრულებდი საქმის ცოდნით და პუნქტუალურად. ამასთან არც წარსული, მქონია ცუდი. მართალია 1910-1912 წლამდე ვმსახურობდი პოლიციაში სისხლის სამართლის დარგში, მაგრამ არასოდეს მშრომელთა მიმართ ხელი არ აღმიმართავს, პირიქით მე მუდამ ერთგული და ენერგიული წევრი ვიყავი აჭარულ საზოგადოების იმ ჯანსაღი და პროგრესიული ნაწილისა, რომელშიაც შედიოდენ: მემედ აბაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე, მემედ გოგიბერიძე, ოსმან მოწყობილი, იუსუფ მახარაძე, ხუსეინ გოგიტიძე, ისმაილ მგელაძე, ხასან თხილაიშვილი, ქემალ ნოღაიდელი და სხვები. მევე ხელს ვუწყობდი ქართული კულტურის გავრცელების საქმეს, ვეხმარებოდი წ.კ. გამავრცელებელ საზოგადოებას სკოლების ჩამოყალიბებაში და გახსნაში. პირადად ჩემი და ჩემი ამხანაგების ხელშეწყობით არსენ წითელაძემ სოფ. ხუცუბანში (ქობულეთის რ-ნი) გააკეთა საუცხოვო წაბლის სასკოლო შენობა, რომელმაც შემდეგში აუარებელი აჭარელი ბავშვები მოიზიდა. მევე ვეხმარებოდი აკაკი გვახარიას, მიხ.შარაშიძეს, ლავრენტი ჩიმაკიძეს და სხვებს, რომლებიც სხვადასხვა დროს მეტად სახიფათო მომენტებში ეწეოდნენ მეტად დიდ ნაყოფიერ კულტურულ საქმეს. ვეწეოდი აგრეთვე აგიტაციას აჭარლების საქართველოს მშრომელ ხალხთან კავშირის სასარგებლოდ და არც ერთი საქმე ისე არ მიტაცებდა, როგორც ამ უკანასკნელის განხორციელება. და თუ ვინმეს აჭარაში ეკუთვნოდა პირველობის პალმა საქართველოს ორიენტაციისათვის ბრძოლის საქმეში, ვფიქრობ ერთი პირველთაგანი ვიყავი. მაგრამ მერე რა! მთელი ჩემი ცხოვრების სიგრძეზე ყოველი ჩემი მცირედი ღვაწლი პატარა უისტორიო (წარსულში) აჭარის ასპარეზზე, თუ კი მიმიძღოდა ასეთი სრულებით არ დააფასეს და ხელოვნურად მომაკერეს ისეთი იარლიყი, რომელიც მე არ მეკუთვნოდა, არ მეკუთვნის და არც მეკუთვნება. დღეს უკვე თითქმის შვიდი წელიწადი სრულდება ჩემი ჩავ სიაში – კულაკთა სიაში მოთავსებისა. მაწუხებს ის გარემოება, რომ ადგილობრივად ზოგიერთებმა ინტერესის ნიადაგზე უდანაშაულოდ დამჩაგრა, მიუხედავად იმისა, რომ ცუდი საბჭოთა ხელისუფლებისათვის მე არაფერი არ გამიკეთებია, პირიქით გასაბჭოების პირველი დღეებიდან აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი სოც. მშენებლობის სხვადასხვა უბანზე და ყველგან ვსარგებლობდი ნდობითა და პატივისცემით. სულით და გულით მინდოდა ვყოფილიყავი აქტიური წევრი იმ დიდი საქმიანი მშენებლობისა, რომელიც სამწუხაროდ ჩემი მონაწილეობის გარეშე გაკეთდა. მართალია მე ჩემი ენერგიით ბედნიერების ქარვასლას ვერ დავდგამდი, მაგრამ კმაყოფილი ვიქნებოდი იმითაც, რომ თუ ვიტყოდი: „ჩემი შრომა ურევია იმ დიდ შენობას, რომელსაც ეწოდება დიადი სოციალისტური. ასეთია ჩემი განვლილი შარა ბნელი, თუ მზიანი. შეცდომები – (ანდა ვის არ მოსვლია ის) მაგ-

რამ კიდევ ვიმეორებ ბევრი კარგიც მაქვს გაკეთებული, რომლებსაც დაადასტურე-ბენ ჩემი თანამშრომლები: მემედ აბაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე, მემედ გოგიბერიძე, ოს-მან მოწყობილი, იუსუფ მახარაძე, ხუსეინ გოგიტიძე, ხასან თხილაიშვილი და სხვე-ბი, რომლებიც დღეს სოც. აჭარაში ეწვევიან ნაყოფიერ შრომას.

ამ წერილით მე მოკლედ მოვხაზე მთავარი და მნიშვნელოვანი, რამდენადაც ამას საჭირეობა მოითხოვდა. დაწერილით არ მსურს თავი წარმოგიდგინოთ, რო-გორც პროფესიონალი რევოლუციონერი, ქართველ აჭარლებს ასეთები არ გვყო-ლია, მაგრამ პროგრესულ მოწინავე პირთა რიცხვს მივეკუთვნებოდი, რომელიც სხვებთან ერთად ვამოძრავებდი იმ ბორბალს, რომელსაც აჭარა მიჰყავდა...

რაიმე ჯილდოს არ ვთხოულობ. ოღონდ რატომ უნდა ვიყო მოთავსებული საბჭოთა კავშირის უკანონო შვილთა რიგებში? რით დავიმსახურე მე ასეთი რამ! განა ჩემი წარსული მოღვაწეობა ასეთი საძაგელი რამ იყო? ნუთუ ჩემი მუშაობა ოდნავადაც ღირსი არ იყო პატივისცემის და დაფასების? მე ზოგიერთებსავით ორი პასპორტით არ მოვსულვარ საბჭოთა ხელისუფლებასთან, არც ქამელეონის როლი მიკისრია. დღეს კი აჭარაში ის ხალხი უფრო დაფასებულია, ვინც პანთურქულ რე-აქციონულ წისქვილს წყალს ასხამდა და საქართველოს ძარცვავდა, (აქ პატ. ლავ-რენტი გაიხსენეთ თურქოფილების მიერ მეზობელ, თურქეთის მიერ აოხრებული გურიის გაძარცვა) ანდა ანტანტის აგენტებს „ეარშიყებოდა". მე არ დავასახელებ მათ, თუ საჭირო გახდება ამასაც არ დავერიდები. მე ბოდიშს ვიხდი, რომ წერილი ასე გამიგრძელდა. ბოდიშს ვიხდი თქვენი შეწუხებისათვის პირადი ბარათის საშუა-ლებით.

(აქ ფურცლის ნაწილი მოხეულია)

უკვე 53 წლის მიჯნაზე ვიმყოფები, მაგრამ ვფიქრობ თუკი მომეცემა მუშაო-ბის საშუალება, მე არაფერს არ დავიშურებ იმისათვის, რომ ჩემი მცირედი წვლი-ლი შესაძლებლობის მაქსიმუმისა შევიტანო სოციალისტურ მშენებლობაში. თუ მო-მეცემა შესაძლებლობა მე საქმით დავამტკიცებ ჩემს ერთგულებას პარტიისა და ხე-ლისუფლების მიმართ. შეწუხებისათვის ერთხელ კიდევ გიხდით ბოდიშს.

25/VIII 36 წ.
ქ. ქობულეთი ლენინის ქუჩა № 65

მურად ახმედის ძე კაიკაციშვილი.

Ps. მინდოდა პირადად მოსვლა, მაგრამ გადმომცეს, რომ არ მიგიღებსო და ამიტომ ტფილისში ამოსული ისევ გავბრუნდი უკან. ჩემს მიერ წერილის ფოსტით გამოგზავნა სწორედ ამითაა გამოწვეული.

ასს ცსა, ფონდი რ-4, საქმე 57. აღწერა-1. ფურცელი 5.6.7.8.9.



БАТУМСКОЙ
[А]РМЯНО-КАТОЛИЧЕСКОЙ
[В]О ИМЯ СВ. СПАСИТЕЛЯ
ЦЕРКВИ
26 „ Апреля 192 г.
№ 102
г. Батумъ

Г-ну Консулу
Королевства Италии
в Батуме

Находясь под покровительством Королевства Италии согласно Паспорта выданы из Министерства Иностр. Дел под № 39 в 1919 г. 31 мая и по разрешению Министра при Грузинской Республики Е. П. Г. Черрути под № 115. 1921 г. 16 марта, прошу Вашего ходатайства перед Местным Ревкомом о выдачы меня и Церкви охранного листа о неприкосновенности моего и церковного имущества.

Настоятель [подпись]

ПРЕДСЕДАТЕЛЮ РЕВКОМА.
В Батуме.

R.ª AGENZIA CONSOLARE D' ITALIA
IN BATUM

Покорнейше прошу Вас, о выдаче, итальянско-подданому Настоятелю Армяно-Католической Церкви Аладжоджияну, а также и на Церковь охранный лист

IL R.º AGENTE CONSOLARE d'ITALIA
Итальянский Консул
Беддели
28/4/1921.

ასს, ცსა, ფონდი რ-1; ანაწ.1; საქ. 3;ფ.54

ს.ს.ს.ს.რ.
სახალხო კომისართა საბჭო
კომუნალური მეურნეობის
განყოფილება

21 „Ноября" 1932 г.
№ 12546

-21-

6

СРОЧНО. 39

ПРЕДСЕДАТЕЛЮ

СОВЕТА НАРОДНЫХ КОМИССАРОВ.

тов. Диасамидзе.

Копия Уполномоченному Р.К.И.С.С.Р.Грузии.

Отдел Коммунальнаго Хозяйства просит распоряжения о переселении семейства бывшаго сотрудника станции ДЖИДЖИЕЙШВИЛИ, сидящаго в настоящее время в ЧЕКИ, из помещения I-ой Коммунальной Электрической Станции в его собственный дом, а гражданина Фефелова из помещения 2-ой Электрической Станции тоже в собственный дом.

Мера эта вызвана случаями пожаров в Баку и Батуме в казенных помещениях, предназначенных для казенных электрических станций и других учреждений, проживание в которых, вообще, посторонних лиц, а в особенности неблагонадежных элементов, представляет для таких учреждений определенно большую опасность и по закону недопустимо.

Из указанных лиц Джиджиейшвили до сих пор сидит в ЧЕКА, а гр. Фефелов недавно освобожден, и проживание их в указанных помещениях предприятий, имеющих Государственное значение, безусловно, недопустимо и преступно.

В виду сего и во избежание могущих произойти в будущем несчастий, Отдел Коммунальнаго Хозяйства просит срочной санкции на выселение означенных лиц из занимаемых ими станционных помещений, дабы



не затягивать дело в Нарсуде и избежать могущие произойти несчастия.

ЗАВЕДЫВАЮЩИЙ ОТДЕЛОМ

КОММУНАЛЬНАГО ХОЗЯЙСТВА:

УПРАВДЕЛАМИ:

ასს, ცსა, ფონდი რ-2; ანაწ.1; საქ.21;ფ.39-ა,ბ

45

ა. ს. ს. ს. რ.

სახალხო კომისართა საბჭოს
კომუნალური მეურნეობის
განყოფილება

„24“ ოქტომ. 1922 წ.
№ 399
ქ. ბათომი.

აჭარისტანის სახალხო კომისართა
საბჭოს.

722 23/X 1922

თანახმად პარტიული კომიტეტის დადგენილებისა კომუნალურ მეურნეობას მიეცა წინადადება, შეიმუშაოს სავაჭრო შენობების მუნიციპალიზაციის საკითხი ეკონომიური თვალსაზრისით წარსადგენად და ვასრულებთ რა ზემოაღნიშნულ დადგენილებას მოგახსენებთ შემდეგს:

1. ქალაქ ბათომში არის დაახლოებით 2800 - 3000 სავაჭრო შენობები, რომლის 30%-დი ეკუთვნის უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომებს.

2. უმეტესი ნაწილი სავაჭრო შენობებისა მოთავსებულია ერთ სართულიან სახლებში.

3. ყველა შენობებს და კერძო სავაჭრო შენობებს ესაჭიროება კაპიტალური რემონტი.

ამ სამი დებულებით ამოიწურება სავაჭრო შენობების დახასიათება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ერთ სართულიანი სავაჭრო შენობები გაშენებული იყო იმ ვარაუდით, რომ შემდეგში დაეშენებიათ მეორე სართული.

სავაჭრო შენობების მუნიციპალიზაციას გარეგნული შეხედულებით შესაძლებელია მისცეს სახელმწიფოს დიდ შემოსავალს, მაგრამ ამასთანავე ერთად სავაჭრო შენობების მუნიციპალიზაციას თან დაყვება იმდენი ხარჯი, რომ შესაძლებელია მუნიციპალიზაცია გამართლებული არ იქნეს ფინანსიური თვალსაზრისით.

თანახმად საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის № 64 დეკრეტისა მუნიციპალიზაციისაგან განთავისუფლებულია უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების კუთვნილება, მაშასადამე ნაწილი სავაჭრო შენობებისა დარჩება მუნიციპალიზაციის გარეშე.

როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, სავაჭრო შენობები უმეტეს შემთხვევაში მოთავსებულია ერთ-სართულიან სახლებში და უკეთუ მოხდება მათი მუნიციპალიზაცია სახელმწიფოს დასჭირდება დიდი ხარჯების გაწევა მათი შესაკეთებლად.

აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება, რომ კომუნალურ მეურნეობის განკარგულებაში არის 95 სახლი, რომელთა შესაკეთებლად მეურნეობას დასჭირდა არა ერთი ათასი მანეთი და მომავალშიც ვალდებული უნდა იქნეს საგრძნობი თანხა, ვინაიდან მარტო სახურავების შეკეთება კომუნალურ მეურნეობის: შენობებში, თანახმად საამშენებლო ქვე-განყოფილების ცნობისა, დაჯდება 45.000 მანეთი ოქროთი.

ქალაქ თბილისში, როგორც ვიცით, მჩხთა სავაჭრო შენობების მუნიციპალიზაცია, მაგრამ თბილისის ადგილობრივი პირობები არ ეთანაბრება ბათომისას, ამიტომ ქალაქ თბილისში სავაჭროების მუნიციპალიზაციას აქვს გასამართლებელი საბუთი იმ მხრივ, რომ იქ უმეტეს შემთხვევაში სავაჭრო შენობები მოთავსებულია ორ-სამ-ოთხ სართულიან სახლებში და თუ ხდება მუნიციპალიზაცია სავაჭრო შენობების სახლი რჩება კერძო მ პატრონის ხელში, რომელიც თანახმად დეკრეტისა, ვალდებულია ყოველივე შეკეთება გაუკეთოს სახლს თავის ხარჯით, მაშასადამე ის ვალდებულია შეაკეთოს სახლის სახურავიც, რომელის შესაკეთებელი ხარჯი არ დაედება მუნიციპალიზაციით ჩამორთმეულ სავაჭრო შენობას. ასეთი მდგომარეობა უმეტეს შემთხვევაში ქალ. ბათომში არ არის და მაშასადამე კომუნალურ მეურნეობას თითქმის ყველა სავაჭრო შენობების შეკეთება დასჭირდება სავხებით.

სავაჭრო შენობების მუნიციპალიზაცია ამასთანავე ერთად დაარღვევს იმ საერთო მდგომარეობას, რომელიც ამჟამად არსებობს აჭარისტანის სახალხო კომისარიატის №№ 4 და 9 დეკრეტების ძალით სახლის პატრონები შედიან თავის მამულების

სრულს უფლებებში 50% გამოყოფით სახელმწიფო ფონდისა. სახლის პატრონზე საკუთრების მინიჭებამ ის მდგომარეობა შექმნა, რომ მრავალ სახლს შეკეთება დაუწყეს და არის შემთხვევები ახალი სახლების აგებისა და ამ უკანასკნელ რიცხვში უმთავრესი ადგილი სავაჭრო შენობების აგებას უკავია.

სავაჭრო შენობების მუნიციპალიზაცია, რა თქმა უნდა გავლენას მოახდენს აღმშენებლობაზე და ისედაც ცუდ მდგომარეობაში მყოფი საერთო აღმშენებლობა საცხოვრებელი ბინებისა უარეს ფაზაში ჩავარდება და ამჟამად არსებულ საბინაო კრიზის, თქმა არ უნდა, ხელს შეუწყობს.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სავაჭრო შენობების უმთავრესი ნაწილი ერთ სართულიან შენობებშია აგებული იმ განზრახვით, რომ მომავალში საცხოვრებელი ბინები დაეშენებიათ. მუნიციპალიზაციის პრინციპი სავაჭრო შენობებისა მეტად დიდ გავლენას იქონიებს ზემოაღნიშნულ მდგომარეობაზე იმ მხრივ, რომ არც ერთი სახლის პატრონი არ შეუდგება სავაჭრო შენობაზე მეორე სართულის დაშენებას, რადგან ფინანსიური თვალსაზრისით ეს მისთვის ხელსაყრელი არ იქნება – ამ შემთხვევაში მას დასჭირდებოდა შენობის სახურავის რემონტი, რომელიც კომუნალურ მეურნეობას შეუმცირებდა მომავალში ხარჯებს, ამნაირად ეს დებულებაც იმას გვეუბნება, რომ მომავალში ბინების აგების საქმე უარესდება და მით საბინაო კრიზისი გართულდება.

გარდა ამისა, ყოველივე ხარჯი, დაკავშირებული სანიტარულ-საასინიზაციო წესების დაცვის და წყლის საექსპლოატაციო ხარჯები, რომელსაც ამჟამად ასრულებენ სავაჭრო შენობების მეპატრონენი, მათი მუნიციპალიზაციის შემდეგ კვლავ კომუნალურ მეურნეობას დააწვებოდა და ისედაც დიდი გასავალი ამ დარგებში, თუ მეტი არა გაორკეცდებოდა.

ამას თან დაერთვებოდა შეფასებითი გადასახადის საკითხის რთული რეორგანიზაცია, რომელსაც სრული გადა[illegible] დასჭირდებოდა და რომელიც ამ გადასახადისების რეორგანიზაციისთვის მოითხოვდა ხარჯების გაწევას ერთის მხრივ და რომელიც შეამცირებდა კომუნალურ მეურნეობის შეფასებითი გადასახა-

ლის შემოსავალს მეორეს მხრით.

გარდა ამისა აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს მოლ-ხსენება, რომ თანახმად მისივე ბრძანებისა შემოღებულია ეგ-რედ წოდებული საარშინო გადასახადი, რომელიც ხდება ყოველგვარ სავაჭრო - სამრეწველო დაწესებულებებზ, განურჩევლად მათი ბა-ტრონების ქვეშევრდომობისა.

საარშინო გადასახადი ბათომში არსებული გაცილებით მეტია, ვიდრე იჯარის ქირა სავაჭრო მაღაზიებზე ქუთაისში არსებული, რო-გორც ცნობები გვაქვს ეს გადასახადი მეტია საიჯარო ქირაზე, რო-მელიც თბილისშიც არსებობს, რადგან ქალაქ თბილისში საიჯარო გა-დასახადის რაოდენობა განსაზღვრული არის იმავე სტავკებით, რო-გორც საარშინო გადასახადი ბათომში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საარშინო გადასახადი ბათომში შემოღებულია აქროთი და თბი-ლისში კი ქართული ბონებით, მაშასადამე ბათომში არსებული საა-შინო გადასახადი თუ მეტი არა, ყოველ შემთხვევაში ნაკლები არ არის ვიდრე საიჯარო გადასახადი თბილისში და მით უმეტესად ქუ-თაისში არსებული.

სავაჭრო შენობების მუნიციპალიზაციას გარდა იმ ხარჯებისა, რომელნიც თანდაყვება მათ მუნიციპალიზაციის გამო, არის კიდევ სხვა ხარჯები, რომელნიც მალა-უნებურად დაკავშირებული არის მუ-ნიციპალიზაციასთან, სახელდობრ:

ა/ მეეზოვეების ხარჯი.

ბ/ რაიონების გამგეები სახლების.

გ/ საგადასახადო აპპარატის შტატის გადიდების ხარჯი.

ამ-ნაირად სავაჭრო შენობების მუნიციპალიზაციით კომუნალურ მეურნეობას დააწვებოდა შემდეგი ხარჯები:

I. სავაჭრო შენობების რემონტი.

2. სასანიზაციო - სანიტარული წესების დასაცავი.

3. მეეზოვეთა შესანახი.

4. საგადასახადო აპპარატის გადიდების გამო გამოწვეული, მაშინ როდესაც მუნიციპალიზაციის გამო კომუნალურ მეურნეობას მოემატებოდა ყველა ზემოაღნიშნული ხარჯები, მოაკლდებოდა შეფა-სებითი გადასახადის შემოსავალი, ამიტომ კომუნალური მეურნეო-ბა ვამოდის რა ორი დებულებიდან - ფინანსიური საამშენებლო


47

საქმის მფარველობის, გამოსთქვამს სავაჭრო შენობების მუ-
ნიციპალიზაციის საწინაალმდეგო აზრს.-

კომუნალური მეურნეობის თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

საქმეთა მ მ ა რ თ ვ ე ლ ი

ასს ცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 21, ფურც. 45-ა, 45-ბ, 46-ა, 46-ბ, 47

საქ. საბ. სოც. რესპ.

АВТОНОМНАЯ СОВЕТСКАЯ СОЦ. РЕСПУБЛИКА АДЖАРИСТАНА.

République Socialiste Autonome des Soviets d' Adgearistane.

აჭარისტანის ავტ. საბ. სოც. რესპუბლიკის
სახკომსაბჭო.

СОВНАРКОМ.
А. С. С. Р. Аджаристана

آجارستان مختارتی سوسیالیست شورا جمهوریتی خلق قومیسرلری شوراسی امور خارجیه شعبه‌سی

ბათომი ,,25,, აპრილი 1923 წ.

თქვენი №

ჩვენი № 3242

აჭარისტანის აკადემიური თეატრის სახელმწიფო ქართული დასის დამსახურებულ მსახიობ-მწერალს

ვ ა ლ ე რ ი ა ნ   გ უ ნ ი ა ს .

ღრმად პატივცემულო

ვ ა ლ ე რ ი ა ნ !-

მაქვს პატივი და მოხარული ვარ გაუწყოთ, რომ აჭარისტანის მთავრობის, სახკომსაბჭოს პრეზიდიუმის 23 აპრილის სხდომის დადგენილებით, აღსანიშნავად თქვენი 25 აპრილის ბენეფისისა, ნიშნად ფრიად დამსახურებულისა და ნიჭიერ მსახიობ-მწერლისადმი პატივისცემის გამოხატვისა, გეძლევათ სახკომსაბჭოს სალაროდან ერთდროული, მცირე დახმარება (50.000.000 მანეთი) და სურვილი თქვენი მრავალ-ჟამიერ დღეგრძელობისა და ხალხისადმი მკვლავინდებულათ სამსახურისა.

ვსარგებლობ-რა შემთხვევით, მიიღეთ პირადად ჩემგან უტყუარი, შეუპოვრებელი გრძნობები, კეთილი სურვილებით დამთბარი, გულწრფელი მილოცვა.

კომსაბჭოს საქმეთა

მ მ ა რ თ ვ ე ლ ი

(ნ. ქორქოლიანი)

ასს, ცსა, ფონდი რ-2; ანაწ.1; საქ.83;ფ.36



ასს, ცსა, ფონდი რ-2; ანაწ.1; საქ.83;ფ.45-ა, ბ

1921 წ.

# სია
## აჭარისტანის მეჯლისის წევრებისა

| | სახელი და გვარი | რომელ რაიონის | მისამართ |
|---|---|---|---|
| 1. | ხასან ეფენდი ლორთქიფანიძე. . . . . . . . | ბ ა თ ო მ ი ს | |
| 2. | ხუსეინ ეფენდი ჩექ-ოღლი . . . . . . . . | " " | |
| 3. | მუსტაფა ეფენდი რეიზ-ოღლი. . . . . . . . | " " | |
| 4. | ოსმან ეფენდი ჩალ-ოღლი . . . . . . . . | " " | |
| 5. | ოსმან ეფენდი თოფჩი-ზადე. . . . . . . . | " " | |
| 6. | მემედ ეფენდი ლეკემჯი-ზადე. . . . . . | " " | |
| 7. | ჲსეფ ეფენდი ვაშალომიძე. . . . . . . . | " " | |
| 8. | სულეიმან ეფენდი ყარა ბექირ-ოღლი. . . | " " | |
| 9. | უსეფ ეფენდი ქიქავა. . . . . . . . . | " " | |
| 10. | სულეიმან ეფენდი ჭაღავა. . . . . . . . | " " | |
| 11. | ტაირ ეფენდი ბაკურიძე . . . . . . . . | " " | |
| 12. | მემედ ეფენდი კონცელიძე.. . . . . . . . | " " | |
| 13. | სულეიმან ეფენდი ალი ბაშ-ოღლი. . . . . | " " | |
| 14. | ზია ეფენდი სარაზი . . . . . . . . . | კ ი ნ ტ რ ი შ ი ს | |
| 15. | ახმედ ეფენდი ჰალვაში . . . . . . . . | " " | |
| 16. | ხასან ეფენდი დადიან-ზადე. . . . . . . | " " | |
| 17. | ოსმან ეფენდი ბექანიძე. . . . . . . . | " " | |
| 18. | ილიას ეფენდი ცეცხლაძე. . . . . . . . | " " | |
| 19. | ოსმან ეფენდი გიგიძე. . . . . . . . . | " " | |
| 20. | მურად ეფენდი მეგრელიძე . . . . . . . . | " " | |
| 21. | ბექირ ეფენდი აბუსერიძე. . . . . . . . | " " | |
| 22. | სულეიმან ეფენდი კომახიძე. . . . . . . | " " | |
| 23. | მემედ ბურხან-ზადე. . . . . . . . . . | ზემო აჭარის | |
| 24. | კემალ ეფენდი ჩიპლახ-ოღლი. . . . . . | " " | |
| 25. | ასლან ეფენდი ხიმში-ზადე . . . . . . | " " | |
| 26. | რეჯებ ეფენდი ახმედ ეფენდი-ზადე. . . . | " " | |
| 27. | ზაბით ეფენდი ვანაძე. . . . . . . . . | " " | |
| 28. | ახმედ ეფენდი ველი-ოღლი. . . . . . . . | " " | |
| 29. | შევქეთ ეფენდი ხემშიაშვილი. . . . . . | " " | |
| 30. | იუნუს ეფენდი ჯაყელი. . . . . . . . . | " " | |
| 31. | შაქირ ეფენდი ჩალ-ოღლი . . . . . . . . | ქვემო აჭარის | |
| 32. | ხუსეინ ეფენდი ბიბინ-ზადე. . . . . . . | " " | |
| 33. | კემბერ ეფენდი კონცელიძე. . . . . . . | " " | |
| 34. | ისმაილ ეფენდი ლორთქიფანიძე. . . . . | " " | |
| 35. | ეიუბ ეფენდი კობულაძე . . . . . . . . | " " | |
| 36. | ფეიზულა ეფენდი სურმანიძე. . . . . . . | " " | |


ქვემო ავარის
"      "
ზემო ავარის

ასს, ცსა,  ფონდი რ-1; ანაწ.1; საქ.83;ფურც.29, 30



1921წ.

სია

აჭარისტანის რევტრიბუნალის თანამშრომლებისა.

| №№ რიგზე | გვარი სახელი და მამის სახელი | თანამდებობა | მისამართი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| I | დავით ლ. ბზიავა | თავმჯდომარე | ბულვარის ქ. I | |
| 2 | პროკოფი ეგნატესძე ვაჩაძე | საგამომ. ნაწილის გამგე | ბულვარის ქ. № 9 | |
| 3 | მათე ივანესძე ჩერქეზოვი | კოლეგიის წევრი. | მიხაილოვის ქ. ნომერი "ფრანცია" | |
| 4 | ილია სოლომონისძე. რუხაძე. | მდივანი | ქართული შესახვევი № I3 | |
| 5 | სერგო ისმაილისძე მესხი | გამომძიებელი-მომხსენებელი. | მიხაილოვის ქ. № I4 | |
| 6 | ევგენი აჩილისძე თვალთვაძე | გამომძიებელი | ასათიანოვის ქ. № 4I | |
| 7 | დავით ბესარიონისძე კაკაბაძე | გამომძიებელი-მომხსენებელი. | ბულვარის ქ. № 26 | |
| 8 | დიმიტრი დავითისძე მიქელაძე | გამომძიებელი | მარინეს პროსპექტი № 43 | |
| 9 | ილია ალექსანდრესძე არსენიშვილი | კომენდანტი | ტელის ქ. № 7 | |
| I0. | ალექსანდრა ალექსანდრეს ასული გოლიაძე-გარუნია | მემანქანე | სმეკალოვის ქ. № 3 | |
| II | ანნა პარმენის ასული ბიგვავასი | რეგისტრატორი | სვეტოპოლკმირსკის ქ. № 3I | |
| I2 | იონა ლუკასძე ჯალაღანია | მდივნის თანაშემწე. | სამხედრო შოსე № I3 | |
| I3 | დიმიტრი ვლადიმერისძე კანდელაკი | საქმის მწარმოებელი | ერისთავის ქ. № 28 | |
| I4 | მარიამ ალექსანდრეს ასული მაკედონსკაია | დამლაგებელი | კატოლიკის ქ. № I6 | |
| I5 | ლეონიდე არკადისძე ბერ[illegible] | შიკრიკი | აჭარის ქ. № 5. | |

თავმჯდომარე

პასუხის მგებელი მდივანი

112

ასს, ცსა, ფონდი რ-1; ანაწ.1; საქ.83;ფურც.112

სია.

სამუზეუმო განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა.

| №№ რიგზე | სახელი მამისსახელი და გვარი | თანამდებობა. | მისამართი. |
|---|---|---|---|
| I | სერგი ვ. სრეზნევსკი. | მუზეუმის დირექტორი | ლითმუზეუმის შენობაში. |
| 2 | მიხეილ მ. სტავრაკი. | " გამგე. | " " |
| 3 | ანდრო ვ. ჩერეპნოვი. | მუზეუმ მექანიკი. | " " |
| 4 | კირილე ს. ტკეცეშვილი. | მუზეუმის მოსამსახურე | " " |
| 5 | გიორგი მ. ცხოიძე. | " " | " " |
| 66 | გიორგი კიწმარიშვილი | " " | პატარა მუზეუმის შენ. |
| 7 | ანასტასია ვ. ტკეცეშვილი | დარაჯი. | " " " |
| 8 | ტიმოთე დ. თერკაჩი. | მუზეუმის მოსამსახურე. | " " |
| 9 | ფრანცი ა. გრაბიევი. | " " | " " " |

ასს, ცსა, ფონდი რ-1; ანაწ.1; საქ.83;ფურც.131

2

2) Парфюмерные и аптекарские магазины.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| I | ДАТЬЯШВИЛИ Ксенефор Дав. | I | Лорис-Мелик. | I2 |
| 2 | ЗЕМЧИНСКИЙ Вениам. Ефим. | " | Мариинск. | 23 |
| 3 | ГАЛЯХОВСКИЙ Яков Пейсах | " | " – | I9 |
| 4 | ФЕРАДЖ-ОГЛЫ Мирза Гусейн | 5 | I Набережн. | I2 |
| 5 | ИМНАДЗЕ Сергей Иван. | I | Кутаисск. | 3о |
| 6 | БОЯХЧЕВ Григорий Март. | 3 | Мариинск. | 43 |
| 7 | ГАПОЯН Карапет Галуст. | 4 | Петроград. | 4I |

41

3) Мебельные и посудные магазины.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| I | МАЧАРАДЗЕ Констан. Ант. | I | Владикавк. | 2 |
| 2 | МАЧАРАДЗЕ Иллар. Антон. | I | Донд.-Корс. | 26 |
| 3 | МИКЕЛАДЗЕ Виссар. Федор. | 2 | Михайловск. | 32 |
| 4 | МУРАЛОВ ИСаак Иванов. | 5 | Лорис-Мелик. | 5 |
| 5 | ХАЛВАШИ Изет – | 5 | Кутаисск. | I8 |
| 6 | ГЛОНТИ Леван Дмитр. | I | Михайлов. | 7 |
| 7 | АЙРАПЕТОВ Геонт Арак. | 3 | Комаровск. | I4 |
| 8 | МЕШАРЧИШВИЛИ Георг. Иос. | 4 | Новый тур. баз. | 6 |
| 9 | НАЗАРОВ Гаврил Иосив. | 4 | Тифлисск. | 52 |
| I0 | М | | | |

ასს, ცსა, ფონდი რ-1; ანაწ.1; საქ.83;ფურც.41

ს ს ს რ
აჭარისტანის საბჭოთა სოციალ.
ავტონომიური რესპუბლიკის
შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარი
С. С. Р. Г.
АДЖАРИСТАНСКАЯ
СОЦ.-СОЦИАЛ. АВТОНОМ.
РЕСПУБЛИКА.
НАРКОМВНУДЕЛ
"15" [illegible] 1923 г.
№ [illegible]
г. Батум. ქ. ბათომი

14 15

მოხსენება ა. ს. ს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახკომისარიატის მოქმედების შესახებ ა/წ. იანვრის თვის განმავლობაში.-

24

## საქმეთა მმართველობა და საერთო განყოფილება.

იანვრის თვის განმავლობაში შინაგან საქმეთა სახკომისარიატის ყველა განყოფილებაში მსახურებდა სულ "38" თანამდებობის პირები. საქმის წარმოება ხდებოდა თითქმის სულ ქართულ ენაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიწერ-მოწერა იგზავნებოდა წითელ არმიასთან, საკონსულოსთან და სხვა ასეთი დაწესებულებებთან. ამ ხნის განმავლობაში კანცელარიაში შემოვიდა სულ "859" ქაღალდი. ამათ რიცხვში ქართულ ენაზე "709" და რუსულ ენაზე "150" საერთო კანცელარიიდან გავიდა "657" ქაღალდი : ამათში ქართულ ენაზე "429" და რუსულ ენაზე "228" დაიწერა და გამოიცა ცნობათ და შესასრულებლათ "67" ბრძანება. შინაარსის მხრივ, ბრძანებების უმეტესობა ეხებოდა თანამდებობის პირების დანიშვნა-დათხოვას და გადაყვან-გადმოყვანის საქმეს. დანარჩენი ბრძანებები კი არის საერთო ხასიათისა. ამ უკანასკნელთა რიცხვში ყურადღების ღირსია ბრძანება შინაგან საქ. სახკომისრისა I5 ამა იანვრის № 5 თარიღით გამოცემული ყ. სამხედრო ტაძრების ჩამორთმევის შესახებ, თანახმად აჭარისტანის ა. ს. ს. რესპუბლიკის ცენტრალმასკომის დადგენილებისა I3 იანვრის 1923 წ. № 35 თარიღით. ჩამორთმეულია სულ სამი ყ. სამხედრო ტაძარი, სახელდობრ:

I. ყ. ალექსანდრე-ნეველის ტაძარი
2. ყ. გოსპიტლის ტაძარი
3. ყ. ალექსანდრე -ნეველის ტაძარი " სლაბოდა ხოლოდნაიაში .

ხსენებული ტაძრები სავსებით ჩამოერთვა მიგ მყოფ საეკლესიო საბჭოებს, იმ წესით, როგორც გათვალისწინებული იყო ცენტრალმასკომის

დადგენილებით.
მეორე ლირს შესანიშნავი ბრძანება საერთო ხასიათისა, რომელიც გამოიცა ამ ხნის განმავლობაში,-ეს არის ბრძანება შინ. საქ. სახკომისარისა 20 იანვრის ა/წ. № 7 თარილით-შესახებ საკონტროლო კომისიის დაარსებისა აჭარისტ. საგ. კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. დ ე მ ი ტ ა ვ ი ს თავმჯდომარეობით. ხსენებული კომისიის ფუნქციებში შედის გამორკვევა იმისა, თუ რამდენათ არის ცხოვრებაში გატარებული აჭ. ა. ს. ს. რ. სახკომსაბჭოს დადგენილება 6 ივლისის 1922 თარილით და ამავე სახკომსაბჭოს ბრძანება № 62 საბინათ საკითხის შესახებ.-
მესამე ბრძანება, რომელიც აღნიშვნის ლირსია და გამოიცა ამ თვის განმავლობაში ეხება შინ. საქ. სახკომისარიატის შტატის გადიდებას ერთი თანამდებობით: დაარსებულ იქნას, თანახმად ა. ს. ს.ა. რ. სახკომსაბჭოს ნებართვისა მდივნის თანამდებობა, ასეთი შტატის მომატება გამოწვეულია იმ ცვლილებით, რომელიც მოხდა საგარეო წარმომადგენლობის აჭარისტანში გაუქმებისა გამო და რომელ ცვლილებას შედეგათ მოჰყვა ის რომ, ბევრი საქმეები საგარეო ხასიათისა გადავიდა შინ. საქ. სახკომისარიატის ფუნქციაში.-
ყველა ამის შესრულებისა გარდა, საქმეთა მმართველობამ გარდა იმისა, რომ აწარმოვა წვრილი მიწერ-მოწერა, შეასრულა შემდეგი: თანახმად აჭ. ა. ს. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს ბრძანებისა, შეადგინა ვრცელი მოხსენება შინ. საქ. სახკომისარიატის მოღვაწეობის შესახებ და გადაგზავნა შემდეგ დაწესებულებებში:

I. აჭარისტანის ა. ს. ს. რ. სახკომსაბჭოში
2. " საგანგებო კომისიაში
3. ბათომის პარტიულ კომიტეტში
4. და საინფ.- საინსტრუქტორო ქ/განყოფილებაში.

## II.-

## აჭარისტანის შინაგან საქმეთა სახკომისარიატის სამილიციო გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა.

იანვრის თვეში, როგორც წლის დასაწყისში, სამილიციო განყოფილებამ მოაწესრიგა მილიციის სამმართველოებში საქმის წარმოება მის მიერ შემუშავებული ნიმუშების მიხედვით. ყველა შემოსული მილიციის შეკითხვებს მიეცა სათანადო ახსნა განმარტება. შემოსული თხოვნები და მიმოწერები ნაწილად იქმნა შესრუ-

ლებული, ხოლო ნაწილს მიეცა სათანადო მსვლელობა. შემოსულია იანვრის თვის განმავლობაში სხვა და სხვა ხასიათის თხოვნები და მიმოწერები სულ 236. გასული იმავე ხნის განმავლობაში 234. შედგენილია საქმეები I-ლ მაგიდის 2I, მეორეს I3. ვინაიდან ბათუმის ოლქის მაზრის მილ.უფროსებს არ ყავდათ თავიანთ განკარგულებაში ცხენები, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა მათთვის მომხდარ ბოროტ-მოქმედებების დროზე აღსაკვეთად, ამისათვის ცხენები ოლქის მილიციის ცხენოსანი ასეულისა განაწილებულ იქმნა მაზრებში, ხოლო ცხენოსანი ასეულის მილიციელები შეყვანილ იქმნა ქალაქის მილიციის შტატში. მიღებული იქმნა ყოველგვარი ზომები რესპუბლიკის ფარგლებში სახელმწიფოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი მყუდროების დამყარებისათვის. მიცემულ იქმნა მილ.უფროსებისათვის წინადადება, რათა გამოცემული ბრძანებები და ცირკულიარები შეურყევლად გატარებულ იქმნას ცხოვრებაში მიღებულ იქმნა მკაცრი ზომები აღსაკვეთად მომხდარ ბოროტ-მოქმედებების.-

II იანვარს საღამოს 9 საათიდან II საათამდე ახლად დანიშნული შინაგან საქმეთა სახკომისარის მოადგილეს, იგივე რესპუბლიკის მილიციის უფროსის ამხ. გ ო გ ი ტ ი ძ ი ს და სამილიციო განყოფილების უფროსის მიერ დათვალიერებულ იქმნა ქალაქ ბათუმის, ბათუმის ოლქის, სისხლის სამართლის, ქალაქის რაიონების და ბათუმის მაზრის მილიციის სამმართველოები გასაცნობად, თუ რამდენად მოწყობილია სამმართველოებში მუშაობა. თითქმის ყოველგან შემჩნეული იქმნა ნაკლი და ზოგანაც დიდი არეულ დარეულობა და დაუშვებელი დაუდევრობა, განსაკუთრებით კი მილიციის სამმართველოების საპატიმროებში პირველ და მესამე რაიონის მილიციის სამმართველოებში, მეხუთე რაიონის მილიციის სამმართველოს საპატიმროში, და ბათუმის მაზრის მილიციის სამმართველოში. ყოველივე რაც შემჩნეული იყო თვითეულ მილიციის სამმართველოში აღნიშნულია დაწვრილებით სახკომისარის მოადგილეს ბრძანებაში I2 იანვრიდან № I6, რომლის ასლები გაეგზავნათ ყველა მილიციის უფროსებს ცნობად და სასწრაფ ზომების მისაღებათ რომ შემჩნეული ნაკლები დაუყონებლივ იქნან აღკვეთილი.

ქალაქ ბათუმის მილიცია:

ქალაქ ბათუმის მილიციის მიერ გასულ იანვრის თვის განმავლობაში მიღებულ იქმნა ენერგიული ზომები, როგორც მომხდარ ბოროტ-მოქმედებების აღსაკვეთად ისე საერთო წესრიგის დასამყარებლად, აგრეთვე თვით მილიციის თანამშრომლებთა შორის დისციპლინის განსამტკიცებლად, რამაც შესაფერი ნაყოფი მოიტანა.

იანვრის თვის განმავლობაში ქალაქში მოხდა შემდეგი ბოროტ-მოქმედებები.

| №№ რიგ-ზე.- | ხასიათი ბოროტ-მოქმედებისა. | საერთო რიცხვი შემთხვევისა. | საერთო რიცხვი ახსნილ შემთხვევებისა. | რაოდენობა აუხსნელი შემთხვევებისა. | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|---|---|
| I. | ქურდობა. . . | 27 | I7 | I0 | |
| 2. | შეიარაღებული თავდასხმა. | 6 | 3 | 3 | |
| 3. | ხანძარი. . . . | 2 | 2 | " | |
| 4. | მკვლელობა . . | 6 | 5 | I | |
| 5. | თანამშრომლების მიერ ბოროტ-მოქმედების ჩადენა.- | 3 | 3 | " | |
| | ს უ ლ | 44 | 30 | I4 | |

იანვრის თვის განმავლობაში ქალაქის მილიციის სამმართველოში შემოსულია მიმოწერები და თხოვნები სხვა და სხვა ხასიათის 774, რომლებიც სათანადოთ შესრულებულია. შედგენილია საქმეები ადმინისტრაციული ხასიათის 20 და სამოქალაქო 22.-

ბათომის ოლქის მილიცია:

ბათომის ოლქის მილიციის მიერ იანვრის თვის განმავლობაში ორჯერ იქმნა შემოვლილი ოლქის მაზრები გასაცნობად ადმინისტრაცია და მცხოვრებთა შორის დამოკიდებულებისა, აგრეთვე გადათვალიერებულ იქმნა მაზრის მილიციის სამმართველოებში საქმის წარმოება და შემჩნეული ნაკლის შესასწორებლად მის მიერ მიღებულია სათანადო ზომები. წახალისებული იქმნა. მაზრის მილიციონერები რათა გამოცემული ბრძანებები და ცირკულიარები გატარებულ იქმნას ცხოვრებაში. მიღებულ იქმნა მკაცრი ზომები მომხდარ ბოროტ-მოქმედებების აღსაკვეთად. საერთო წესრიგის დასამყარებლად მცხოვრებლებში და თვით მილიციის თანამშრომლებთა შორის დისციპლინის განსამტკიცებლად, რამაც შესაფერი ნაყოფი მოიტანა.

იანვრის თვის განმავლობაში ბათომის ოლქში მოხდა შემდეგი

17

ბოროტ-მოქმედობა.-

| №№ რიგ-ზე.- | ხასიათი ბოროტ-მოქმედობისა. | საერთო რიცხვი შემთხვე-ვისა.- | საერთო რიცხვი ახსნილ შემთხვე-ვისა.- | რაოდენობა აუხსნელ შემთხვე-ვებისა.- | შენიშვნა.- |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ქურდობა . . . . | 6 | 4 | 2 | |
| 2. | შეიარაღებული თავ-დასხმა. . . . . | 3 | - | 3 | |
| 3. | ხანძარი /ცეცხლი/ | I | - | I | |
| 4. | მკვლელობა . . . | I | - | I | |
| 5. | დაჭრა . . . . . | I | I | - | |
| | სულ | 12 | 5 | 7 | |

იანვრის თვის განმავლობაში ოლქის მილიციის სამმართველოში შემოსულია თხოვ-ნები და მიმართვები სხვა და სხვა ხასიათის 1076 რომლებიც სათანადოდ შეს-რულებული იქმნა, შედგენილია ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხასიათის საქ-მეები 45.-

III.

საინსპექტორო-საინფორმაციო განყოფილება

ხსენებული განყოფილება იანვრის თვის განმავლობაში ისე როგორც ყოველთვის, მთელ თავის ყურადღებას აქცევდა მოგზაურებისა და ეცნობებია სადაც ჯერ არს უწყებათა ნამოქმედარი და მათი ნაშრომ-ნაღვაწი მთელი თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. ამ ხნის განმავლობაში მთელ დაწესებულებებიდან, როგორც ქ. ბათომში, აგრეთვე ოლქში, საინფორმაციო განყოფილებაში შემოვიდა ნუსხა მათ მოქმედების შესახებ, რომლებიც სავსებით გადაგზავნილია სადაც ჯერ არს. გარდა ამისა, საინფორმაციო-საინსპექციო განყოფილების მიერ იანვრის თვის განმავლობაში გატარებულ იქნა გამოსაქვეყნებლად სხვა და სხვა უწყებების ბრძანებები სულ 18

4.

სამოქალაქო აქტების ჩაწერის განყოფილება

ეს განყოფილება იმ თავითვე შესაფერ ნიადაგზე იყო დაყენებული დღესაც

განაგრძობს ნორმალურ საქმიანობას და პირნათლად ასრულებს ყველა იმ დავალებას, რომელსაც მას ავალებს მის შესახებ გამოცემული დებულებანი. ფართო მასსა თანდათან ეჩვევა და უახლოვდება იმ გარემოებას, რომ ევროპაში ასრულდება აქტის ჯვარისწერისა, დაბადებისა და სხვ. არავისთვის სავალდებულო არ არის და თანდათან უფრო აწყობს ამ განყოფილებას 98% სამოქ. აქტებისა გატარებულია ხსენებულ განყოფილებაში.

სულ ერთი თვის განმავლობაში მომხდარა რეგისტრაცია: გარდაცვლილთა 5 დაბადებულთა 34 შეუღლებულთა 62 გაყრილთა 8.

იანვრის თვეში ეს განყოფილება გადაყვანილ იქნა ცალკე შენობაში, /მუშველ-ხინის შენობაში ვინაიდგან ფინ. სახ. სახკომისარიატში ბინაზე სივიწროვე არის.-

5.

## საფინანსო განყოფილება:

აღსანიშნავია იმისა, რომ საფინანსო განყოფილებამ გასულ წლის ბოლოში დაამთავრა და წარმოადგინა ცენტრში შინაგან საქმეთა სახკომისარიატის ერთიანი სახარჯ-აღრიცხვა 1923 წლის, ასეთი სახარჯ-აღრიცხვა ჯერაც დამტკიცებული არ არის.

სულ იანვრის თვის განმავლობაში საჭირო იყო ხარჯ-აღრიცხვის მიხედვით — 15.603.000.000 მან. მიიღო კი შინ. საქ. სახკომისარიატმა თავის საჭიროებისათვის მხოლოდ [illegible] — მან.

[illegible] აჭარისტანის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი [illegible]

ამონაწერი

ოქმი № 2.-

ა. ა. ტ. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომისა.-

"18" თებერვალი 1923 წ.

დაესწრნენ: შინაგან საქმეთა სახკომისარი გ. თავბერიძე, მისი მოადგილე ბოკიტიძე, კოლეგიის წევრი კაიკაციშვილი და აჭარ. მილიციის პოლიტ-სეკრეტარიატის უფროსი ამხ. ხარაბაძე.-

თავმჯდომარე გ. თავბერიძე    მდივანი ქილიფთარი.

| მოისმინეს | დაადგინეს |
|---|---|
| 23. აჭარისტანის პოლიტ-სეკრეტარიატის უფროსი 8 თებერვალს № 116 თარიღით მოხსენება რომ მილიციაში არ შეგვეპაროს არა სასურველი ელემენტები " პროტექციის " საშუალებით, საჭიროა დაწესებული იქნას მილიციის სამსახურში მიმღები კომისია შემდეგი წარმომადგენლებისა.-<br>1/ შრომის კომისარიატის,<br>2/ პროფ-კავშირის,<br>3/ შ. საქ. კომისარიატის<br>4/ პოლიტ-სეკრეტარიატის და<br>5/ პარტკომის.- | 23. პოლიტ-სეკრეტარიატის უფროსის მოსაზრებანი პრინციპიალურად მიღებულ იქნას, მხოლოდ, კომისიის საშუალებით მიღება უნდა ხდებოდეს კომშემადგენლობისა, მილიციონერების კი უბნის მილიციის მიერ, ადგილობრივ პოლიტ-ხელმძღვანელთან შეთანხმებით.- |

დედანზე ხელს აწერენ: შინაგან საქმეთა სახკომისარი თავბერიძე, კოლეგიის წევრი კაიკაციშვილი/ხარაბაძე. მდივანი ქილიფთარი.-

დედანთან სწორია/საქმის მმართველი



ბათუმს

სწორიად.-

"17" თებერვალი 1923 წ. № 1077

შინაგან საქმეთა სახკომისარიატის
საქმეთა მმართველი

საქ. მწარმოებელი

ასს, ცსა, ფონდი პ-1;ანაწ.1;საქ. 119; ფ.15-18 (შენიშვნა, ერთ ფურცელში იგულისხმება ფურცლის ორივე მხარე)

ასლი

АДЖАРКОМ К.П.Г.
Вх. № 5714
26/8 1923 г.

62

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

აჭარისტანის შინაგან საქმეთა სახკომისარიატისა

№...

... ოქტომბერი 1923 წ. ქ. ბათომი

§-1

აჭარისტანის ცენტრალურ სისხლის სამართლის მილიციის უფროსის დრო-ებით აღმასრულებელი ამხ. ფ ი ლ ი პ ო ვ ი  ისლონ განთავისუფლებულ იქმნას ამ თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან აჭარეთის განკარგულებაში მივლინებით, დღეის რიცხვიდან.

§-2

ინიშნება ამხ. ლ ო მ ი ა  ირაკლი თეოფილეს-ძე აჭარისტანის ცენტრა-ლურ სისხლის სამართლის მილიციის უფროსად.

§-3

ინიშნება: აჭარისტანის ცენტრალურ სისხლის სამართლის მილიციის რწმუ-ნებული ამხ. ჭ უ ბ ა ბ რ ი ა  გრიგოლი იმავე მილიციის უფროსის მო-ადგილედ.

§-4

წინადადებას ვაძლევთ ამხ. ფილიპოვს დაუყონებლივ გადააბაროს ამხ. ლო-მიას სისხლის სამართლის მილიციის სამმართველო, შემდეგ-ჩაბარების სიები მე წარმომიდგინოს და თვითონ გამოცხადდეს აჭარეთში.

დედანზე ხელს აწერს: შინაგ.საქ.სახკომი /გოგიციძე

საქმეთა მმართველი /მომფორია/

სამილიციო განყ.უფროსი /ვასაძე /

თარგმანი სწორია: საქმის მწარმოებელი

ბათომის საოლქო პარტიულ კ ო მ ი ტ ე ტ ს.-

ასლს ამა ბრძანებისა შინაგან საქმეთა სახკომისარიატი გაახლებს ცნობად.-

"25" ოქტომბერი 1923 წ. №10.379

შინაგ. საქ. სახკომისარიატის
საქმეთა მმართველი /მომთცო[illegible]

საფინანსო განყ. უფროსი /ვასაძე/

საქმის მწარმოებელი /ქაჯაია/

ასლი.

29 4463

# ოქმი № 16.

ქალ. ბათუმის მილიციის თანამშრომელთა ადგილკომის საერთო სხდომისა
12/12- 1923წლ.

დაესწრნენ: ამხ. ლ ო რ ი ა , ბილისოძე, არაბულიძე, ციქაურაძე და ბეწინიშვილი

თავ-რე: ამხ. ლ ო რ ი ა          მდივანი ა. ბილისოძე.

| მოისმინეს. | დაადგინეს. |
| --- | --- |
| I. გაზეთ-"მრძოლა"-ში № 197-12 დაბეჭდილი კორესპონდენტის წერილი, საბჭოთა მუშაკების კლუბის დახურვის შესახებ. | I. კითხვა რა მწვავეობამდე რომ ყოველმხრივ კულტურული მუშაობის აკვნით, საბჭოთა წყობილების დროს, არის ჩაჩნეული მუშათა კლუბები, რომ საბჭოთა მუშაკების კლუბის საშუალებით ტარდება ყოველი კულტურული მუშაობა ამ კავშირის 2000, წევრთა შორის, რომ ეს კლუბი არი ერთად ერთი კულტურული სადგური, სადაც ამ კავშირის წევრი მუშა ბოულობს გართობასაც და განვითარებასაც-რომ ამ კლუბის საშუალებით მილიციის თანამშრომლებიც, რომელიც ამ დროშიც სრულებით მოკლებული ყოველგვარ მზრუნველობას ამ [illegible]-იმპერიის განვითარების საშუალება, აქ სწავლობს ის წერა-კითხვას აქ ბოულობს ის უსიამოვნო [illegible] გართობას, აქ ბოულობს ის საშუალებას თავისუფლად თავისი აზრის გამოთქმისა და ამის საშუალებით უკავშირდება ის სხვა მუშას, რომელიც მისთვის დღემდე უცნობი იყო; რომ ასეთ დროს ამ კლუბის დაკეტვა ბირდაპირი დასკვნა იქნება მილიციის თანამშრომლებისათვის, რომ მილიციის სასისხლოს [illegible] ცდილობს არა თუ უფრო გაღრმავებას სხვებთან მეკავშირეობას, არამედ თავისუფლების საფუძველს, რომელიც მას ყოველმხრივ აკმაყოფილებს ხსენებული კლუბი.- ადგილკომის ღრმა მწუხარებას გამოსთქმავს ასეთი დადგენილების გამო და მოითხოვს კავშირის გამგეობისგან, რათა უკანასკნე" |



ასს, ცსა, ფონდი პ-1;ანაწ.1;საქ. 119; ფ.62, 62-ბ, 63, 63-ბ

## ს ა რ ჩ ე ვ ი


1. **თამაზ ფუტკარაძე** – პოლიტკატორღელების საკავშირო საზოგადოების აჭარის განყოფილება (1925-1935) (ფონდი რ-91-ის მიმოხილვა) ........4
2. **მარიამ მარჯანიშვილი** – ისტორიული მოვლენები პირად არქივებში (კერესელიძეების ეპისტოლეების მიხედვით) ........17
3. **ჯეირან-გიორგი ფალავანდიშვილი** – აკაკისთან. . . სხვიტორში (მასალები ქვეყნდება აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის ეგიდით) ........26
4. **ზაზა ბურკაძე** – საფრანგეთის შიგა წინააღმდეგობების მოძრაობა: ეროვნული აჯანყება ........34
5. **სიმონ კილაძე** – სერვის ხელშეკრულება – „დიდი სომხეთის" კონტურები, თურქეთის დიდი უკმაყოფილება და ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობა საქართველოსთვის ........45
6. **მარინა ჯინჭარაძე** – „რენესანსული ხელოვნების ტენდენციები ქართულ სახვით ხელოვნებაში" ........51
7. **მზია კეკეიშვილი** – პირველი აგარაკები და სანატორიუმები ქობულეთში ........53
8. **თინათინ ჯაბადარი** – ქართული სამხედრო აზროვნების სამჭედლო და 1921 წლის თებერვალი........58
9. **ლალი ფაცია** – კაკლის ქვეშ ხუთი სურფა და დახარჯული სამი საპალნე ღვინო – როგორ აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე ილიაობას........71
10. **ელგუჯა ჩაგანავა** – ვინ მოკლა პუშკინი?! ........74
11. **ვლადიმერ მამულაძე** – ელგუჯა მეძმარიაშვილი – პირველი კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი........79
12. **თამაზ ფუტკარაძე** – რეცენზია პროფესორ ოთარ თურმანიძის მონოგრაფიაზე „საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში (1921-1952 წლები) ........83
13. **მილოცვა** ........**88**
    ა. **ე. ჩაგანავა** – სერგო ტაბაღუა – 95 ........88
    ბ. **თ. ფუტკარაძე** – სერგო დუმბაძე – 80........94
    გ. **მაია რურუა** – ელგუჯა ჩაგანავა – 70........96
    დ. **ქარდა ქარდუხი** „გახდი ბესტელერის ავტორის" კონკურსში გამარჯვებული........100
14. **გახსენება** ........**101**
    ა. **თ. ფუტკარაძე**- ბიჭიკო დიასამიძე – 80........101
    ბ. **თ. ფუტკარაძე** – ვახტანგ შამილაძე-85 ........104

**XX ნომერი**

**საარქივო დოკუმენტები** ........109
1. კონიუკტურული მიმოხილვა ჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობა 1925 წლის ოქ ტ ო მ ბ ე რ შ ი........109
2. საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარეს ამხ. ფ. მახარაძეს........110
3. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ხასან ლორთქიფანიძეს......111
4. აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს........111
5. ბათომის უძველეს ძირითად ქართველ მორწმუნეთა რელიგიურ საზოგადოების სახელწოდებით „მთავარ ანგელოზი"-ს სამრევლო საბჭოსგან ........111
6. ქობულეთის აღმასკომის თავმჯდომარეს ........114
7. საარქივო მონაცემები გრ. ვოლსკის შესახებ ........115
8. საარქივო მასალები ცნობილი ექიმის პლატონ გიგინეიშვილის შესახებ ........129

9. საარქივო მასალები ცნობილი ექიმის ვლ. მაქაცარიას შესახებ ............ 134
10. ართვინის სასამართლოს სისხლის სამართლის ნაწილი განჩინება ............ 139
11. აჭარისტანის სახალხო კომისარიატის თავმჯდომარეს............ 140
12. პატ. ლავრენტი ............ 140
13. აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, ამხ. დიასამიძეს ............ 147
14. აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს ............ 155
15. აჭარისტანის რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ............ 155
16. სია აჭარისტანის მეჯლისის წევრებისა (1921 წ.) ............ 156
17. სია აჭარისტანის რევტრიბუნალის თანამშრომლებისა (1921 წ.) ............ 158
18. სია საშუქურო განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა ............ 159
19. პარფიუმერიისა და სააფთიაქო მაღაზიები ............ 160
20. მოხსენება ა. ს. ს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოქმედების შესახებ ა/წ. იანვრის თვის განმავლობაში (1927) ............ 161
21. ამონაწერი ოქმი N 2 ა. ა. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომისა 1923 წ. 8 თებერვალი ............ 167
22. ბრძანება აჭარისტანის შინაგან საქმეთა სახკომისრისა ............ 169
23. ოქმი N 16 ქალ. ბათომის მილიციის თანამშრომელთა ადგილკომის სასწრაფო სხდომისა 12/12. 1923 ............ 171

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com